

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლია გაბლიშვილი

**საქართველო და ჩინეთი – ისტორიული ბმულები ძველი
„აბრეშუმის დიდი გზიდან“ თანამედროვეობამდე**

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი **ზურაბ ჰაპასქირი**

თბილისი – 2022

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>შესავალი</i>	3
თავი I. საქართველო და „აბრეშუმის დიდი გზა“ გვიან ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში. მობადი მიმოხილვა	9
თავი II. რა იცოდნენ საქართველოში ჩინეთსა და ჩინელებზე	22
§1. ჩინეთისა და ჩინელების კვალი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში	22
§2. ჩახრუხადის ჩინეთში სავარაუდო მოგზაურობის შესახებ	27
§3. რაფიელ დანიბეგაშვილის ცნობები ჩინეთის შესახებ	31
თავი III. ქართულ-ჩინური კონტაქტები XX საუკუნეში	39
§1. ჩინელები საქართველოში – ლიუ წვენჭოუ (ლაო ჯინჯაო) და მისი წვლილი ქართული ჩაის განვითარებაში	39
§2. ქართველები ჩინეთში – ხარპინის ქართული სათვისტომო ხარპინში	46
§3. 1956 წლის „ამბოხი“ საქართველოში და ჩინური სამთავრობო დელეგაცია თბილისში	49
§4. ქართულ-ჩინური კულტურული კონტაქტები – ქართველი პოეტების მიერ დანახული ჩინეთი	55
თავი IV. საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი დონის წარმომადგენელთა ვიზიტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ჩინური პრესის მასალების მიხედვით	67
თავი V. ჩინური მხარის მნიშვნელოვანი ვიზიტები საქართველოში	112
თავი VI. საქართველოს-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველი	137
დასკვნა	157
ბიბლიოგრაფია	160

შესავალი

XX საუკუნის 90-იან წლები ახალი ეტაპის დასაწყისია 3 ათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. 1992 წ. 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო საქართველოს რესპუბლიკა. ამით დასრულდა ქვეყნის რუსული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სივრციდან (რომელშიც მოქცეული იყო XIX ს. დამდეგიდან) გამოსვლის პროცესი და საქართველო დაუბრუნდა მსოფლიო თანამეგობრობას სრულუფლებიანი სუბიექტის სტატუსით. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებით საქართველომ კვლავ შეიძინა საგარეო-პოლიტიკური ფუნქცია და საერთაშორისო პოლიტიკის დამოუკიდებელი აქტორი გახდა. ახალმა ქართულმა სახელმწიფომ იმთავითვე გამოკვეთა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, რომლის მაგისტრალური მიმართულება გადის დასავლურ ვექტორზე.

აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდეს. პირიქით ქართული სახელმწიფო არანაკლებ ესწრაფვის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების დამყარება-გაღრმავებას ამ მიმართულებით არამხოლოდ მეზობელ ქვეყნებთან, არამედ გეოგრაფიულად უფრო შორეულ სახელმწიფოებთან, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობას.

XXI საუკუნეში შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებიდან და ტენდენციებიდან გამომდინარე ადვილად დავასკვნით, რომ ჩინეთი დიდი ხანია ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ მოიაზრება, რაც ძირითადად მის სწრაფ და ეფექტურ ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. ისეთი დიდი ქვეყნები, როგორცაა აშშ, რუსეთი, გამუდმებით ცდილობენ ჩინეთთან მჭიდრო, პარტნიორული კავშირების დამყარებას და შენარჩუნებას. უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთთან ურთიერთობას მითუმეტეს საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის.

საქართველოსთვის ჩინეთი არასდროს ყოფილა სრულიად უცხო ქვეყანა. ყველა პირობა არსებობს ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ გვიან ანტიკური ხანიდან, როდესაც უნდა ამოქმედებულიყო ე.წ. „აბრეშუმის დიდი გზა“ – საერთაშორისო საქარავნო სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც აკავშირებდა ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზებთან, ძველ კოლხეთსა და იბერიაში გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ ჩინეთსა და ჩინელებზე. შუა საუკუნეებიდან საქართველოში გაცილებით მეტი უნდა ცოდნოდათ ჩინეთზე, რასაც ადასტურებს, არამხოლოდ არქეოლოგიური არტეფაქტები, არამედ ქართული წერილობითი ტრა-

დიცია. ქართულ-ჩინური ურთიერთცნობადობა კიდევ უფრო გაიზარდა XIX-XX საუკუნეებში, რასაც ხელს უწყობდა ცალკე ჩინელების (*ლიუ წვენჭოუ/ლაო ჯინჯაო*) ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოში და ცალკე „ქართული კოლონია“ – *ხარპინში (ხარბინი)*. საბჭოთა პერიოდში – საქართველოს, როგორც სსრ კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკას, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ჰქონდა გარკვეული ურთიერთობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (ძირითადად კულტურის სფეროში). საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები სახელმწიფო დონეზე კი იწყება მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – XX ს. 90-იანი წლებიდან, როდესაც საფუძველი ჩაეყარა მჭიდრო დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. ესაა თვისობრივად ახალი ეტაპი ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

ბოლო პერიოდში ქართულ-ჩინური თანამშრომლობა სულ უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი გახდა. დღეისთვის ჩინეთი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პარტნიორს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში. ჩინეთიდან ხორციელდება მსხვილი ინვესტიციების შემოდინება, რაც დადებითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე. ამ მიმართულებით ახალი პერსპექტივები გააჩინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამჟამინდელი ლიდერის – *სი ძინფინგის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“* ინიციატივამ, რომელშიც საქართველო აქტიურადაა ჩართული. მეტიც, ამ პროექტში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია, როგორც ევრაზიის შემაერთებელ სატრანსპორტო-სატრანზიტო ჰაბს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად ცხადია ქართულ-ჩინურ ურთიერთობებზე მეცნიერულად გამართული ისტორიული ნარატივის შექმნის აუცილებლობა. ამ მიმართულებით კონკრეტული კვლევითი სამუშაოს შესრულების აქტუალობას ზრდის ის გარემოებაც, რომ ჯერჯერობით ისტორიოგრაფიაში არ მოგვეპოვება მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც წარმოჩენილი იქნება ჩინეთთან – მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს, თავისი ცივილიზაციური მიღწევებით ცნობილ სახელმწიფოსთან – საქართველოს ურთიერთობების მეტ-ნაკლებად სრული სურათი უძველესი დროიდან დღემდე. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის ერთგვარი აღმოფხვრის პირველი მოკრძალებული ცდაა.

ქართული ისტორიოგრაფია მუდამ იჩენდა ცხოველ ინტერესს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების მეცნიერული შესწავლისადმი. ეს პრობლემატიკა დღემდე რჩება ქართული საისტორიო მეცნიერების პრიორიტეტულ მიმართულებად. კაპიტალურადაა დამუშავებული საქართველოს ურთიერთობები, როგორც მეზობელ, ისე შორეულ ქვეყნებთან და ნაჩვენებია ქართული პოლიტიკური სამყაროს როლი და ადგილი საერთაშორისო არენაზე უძველესი დროიდან XXI ს. დამდეგის ჩათვლით [ამის შესახებ ვრცლად იხ.: **მეტ-**

რეველი, პაპასქირი, 2010: 193-208]. ამ ფონზე თვალშისაცემია ის ჩამორჩენა, რომელიც გვაქვს ჩინეთის მიმართულებით. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-ჩინური ურთიერთობები, ფაქტობრივად, შეუსწავლელია. ეს განსაკუთრებით ეხება ძველ პერიოდსა და შუა საუკუნეებს, რომლის საგნობრივ კვლევას სულ ახლახან შეუდგნენ ქართველი მკვლევრები [ჭილაძე, 2016: 39].

მიუხედავად ამისა, წერილობითი წყაროების მონაცემებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე, ისტორიოგრაფიაში შექმნილია გარკვეული წარმოდგენა გვიანანტიკური ხანიდან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ე. წ. „აბრეშუმის დიდი გზის“ მეშვეობით სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე. სადისერტაციო ნაშრომში თავმოყრილია ამ მიმართულებით არსებული სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, მათ შორის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად შემოდის ჩინური პუბლიკაციები [Хенниг, 1961: 264-279; 兰音, 2021; 张骞与丝绸之路, 2016; 丝绸之路的来源[资料], 2016; 张一平, 2015; 何芳川|万明, 2007; 张秋梅, 2021; 古代西域, 2012;]; [აბრეშუმის გზის მარშრუტების შესახებ იხ.:王|小华, 2015; 秘境高加索, 2019; 谭天宅, 2017]; [აბრეშუმის გზაზე ფაიფურით ვაჭრობის შესახებ იხ.: 丝绸之路, 2014]. გარდა ამისა, ნაშრომში ასახვა ჰპოვა კვლევებმა, რომლებიც ეხება ე. წ. „აბრეშუმის დიდ გზის“ საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალის მარშრუტებს და მასში კავკასიისა და საქართველოს ჩართულობას [ზვიადაძე, 1989; ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993; გოილაძე, 1997; ვაჭრობა, 1999; ივანიძე, 2002; Кверфельдт, 1938; Гозалишвили, 1956; Ямпольский, 1956; Иерусалимская, 1967; Иерусалимская, 1972; Иерусалимская, 2012; Кузнецов, 1993; Лихтер, 1994; Доде, 1994; Лубо-Лесниченко, 1995; Плетнева, 1996; Мастыкова, 1997; Прокопенко, 1999; Прокопенко, Чаплыгина, 2017; Алимова, Ртвеладзе, Абдурасулов, 2009; Олбрихт, 2009; Колесникова, 2016 და სხვ.].

უშუალოდ ქართულ-ჩინურ შესაძლო კონტაქტებზე შუა საუკუნეებში არსებობს საკუთრივ ქართული საისტორიო ტრადიცია, რომელიც აისახა ცალკეულ წერილობით ძეგლებში – XI საუკუნის სპარსული პოემა „ვისრამიანის“ თარგმანი [თმოგველი, 1988], იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ [შავთელი, 1964], სარგის თმოგველის „დილარიანი“ [დილარიანი, 1997], შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ [რუსთაველი, 1957], უცნობი ავტორის „რუსუდანიანი“ [რუსუდანიანი, 1957; რუსუდანიანი, 1983], „ქართლის ცხოვრების“ ჟამთააღმწერლის სახელით ცნობილი მემათიანის ქრონიკა [კიკნაძე, 1987; ჟამთააღმწერელი, 2008], ფეშანგი ფაშვიბერტყაძის (ხითარიშვილის) პოემა „შაჰნავაზიანი“ [ფეშანგი, 1935: 40]. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თამარ მეფის მეხოტბე პოეტისა და მოგზაურის

ჩახრუხადის „თამარიანს“ [ინგოროყვა, 1924; ინგოროყვა, 2012; ლოლაშვილი, 1957]. მასში გადმოცემულია ისტორია, თუ როგორ მოიარა ავტორმა – „თითქმის მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო: ჩინეთიდან დაწყებული ვიდრე ანტილანტიურ ოკეანემდე (მაროკომდე), და რუსეთიდან ვიდრე ეკვიტორამდე და არაბეთამდე (იემენამდე)“ [ინგოროყვა, 1924; ინგოროყვა, 2012: 347]. ჩინეთი კიდევ უფრო აქტიურად მოხვდა ქართველ მოგზაურთა თვალსაწიერში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, რისი დადასტურებაც ცნობილი ქართველი მოგზაურის რაფიელ დანიბეგაშვილის ჩანაწერები [Маруашвили, 1969; დანიბეგაშვილი, 1950; ზარდალაშვილი, 1971; მარუაშვილი, 1956; Путешествие в Индию, 1815].

XIX ს. მიწურულიდან უკვე იწყება უშუალოდ ქართულ-ჩინურ კონტაქტები, რაც, პირველ რიგში, უკავშირდება ლიუ წვენჭოუს ჩამოსვლას საქართველოში და მის ღვაწლს ჩაის განაშენიანებასა და ჩაის მრეწველობის განვითარებაში. ამ საკითხზე არსებობს საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა (ძირითადად ინფორმაციული ხასიათის), რომელიც იძლევა მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას ამ უაღრესად საინტერესო ჩინელი მოღვაწის ნაყოფიერ საქმიანობაზე საქართველოში [ლიუ-ყანდარელი, 1987; დაუნდარიძე, ლიუ-ყანდარელი, 2003; გოგუა, 2010; ძიანი, 2012; შავლაძე, 2012; დუმბაძე, 2019; მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020; აბულაშვილი, 2013; Chichkina, 2016; Ремезов, 2021; Монахов; Маргиев, 2002 და სხვ.]. ჩინეთი საქართველოსთვის კიდევ უფრო ახლო გახდა, ხარპინის (ხარბინის) ქართული სათვისტომოს მეშვეობით.

ხარპინში მცხოვრები ქართველები არა მხოლოდ მონაწილეობდნენ ეკონომიკურ და სამეწარმეო საქმიანობაში, ასევე ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში, არამედ აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. სწორედ ხარპინში გაიხსნა საქართველოს პირველი ოფიციალური წარმომადგენლობა (საკონსულო), რომლის მოქმედების არეალი საკუთრივ მანჯურიის გარდა მოიცავდა აღმოსავლეთ ციმბირს. ბოლო პერიოდში ქართველი მკვლევრები შეუდგნენ ქართული კოლონიის საქმიანობის შესწავლას, მათი კვლევის შედეგები [ჩიხლაძე, ჭილაძე, 2021: 92; გიორგაძე, 2016a: 153; გიორგაძე, 2016b] ასევე აისახა წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს ჰქონდა გარკვეული ურთიერთობები ჩინეთთან, განსაკუთრებით სახელმწიფოს სათავეში კომუნისტური ხელისუფლების მოსვლისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობების ცალკეული ეპიზოდებით დაინტერესდნენ ქართველი მეცნიერები [ჩიხლაძე, 2020], ამ მიმართულებით კვლევა ჯერ-ჯერობით საწყის სტადიაშია. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ეპიზოდზე – ცნობილი ჩინელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის მარშალ

ჭუ დეს საქართველოში ყოფნის პერიპეტიებზე საინტერესო მასალა აქვს ჩინელ ავტორს – ჩინური დელეგაციის წევრს (თარჯიმანს) ჭაო ჟუნგიუნს [赵仲元, 2016], რომელიც ასევე პირველად შემოგვაქვს ქართულ სამეცნიერო სივრცეში. ამ კუთხით ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა ჩინურმა პუბლიკაციამ [朱岩, 2019]. სადისერტაციო ნაშრომში ცალკე გამოვყავით ქართველი პოეტების – ალიო მირცხულავასა და ხუტა ბერულავას ნარკვევები ჩინეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956; ბერულავა, 1958], რომლებიც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას ქართულ-ჩინურ კულტურულ ურთიერთობებზე აღნიშნულ პერიოდში.

XX საუკუნის მიწურულიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ქართულ-ჩინური კონტაქტები თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა – ამიერიდან (პირველად მთელი ისტორიის მანძილზე) საფუძველი ეყრება საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობებს უკვე სახელმწიფო დონეზე. ჩინეთი, როგორც უკვე აღინიშნა, გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს პარტნიორად სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში. განვლილი 30 წლის მანძილზე დაგროვდა ჩინეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება, რომლის გაშუქება-გაანალიზება წინამდებარე ნაშრომის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი მთლიანად აგებულია პერიოდულ პრესასა და საინფორმაციო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ ქართულ და ჩინურ მასალებზე. ჩინური ოფიციალური პრესის მასალების, ჩინეთის კომპარტიის და ცალკეული პოლიტიკური ორგანოების ოფიციალურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის შეგროვება და მათი პირდაპირი დამუშავების (ჩინურ-ქართული თარგმანის) გზით ქართული მწირი მასალების შევსება-გამდიდრება წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის მთავარ სიახლეს. ეს ჩინურენოვანი მასალები, რომელიც აქამდე არ ყოფილა ხელმისაწვდომი ქართველი მკვლევრებისათვის იძლევა მეტ შესაძლებლობას პრობლემის უფრო სიღრმისეულად და სრულად გასააზრებლად.

ამ მასალებზე დაყრდნობით ცალ-ცალკე გაშუქებულია საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი დონის წარმომადგენელთა ოფიციალური და სამუშაო ვიზიტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ჩინური მხარის მნიშვნელოვანი ვიზიტები საქართველოში. გარდა ამისა, ცალკე თავადაა გამოყოფილი საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები, რომლის ირგვლივაც უკვე არსებობს საკმაოდ წონადი სამეცნიერო და ანალიტიკური ლიტერატურა [სირბილაძე, მღებრიშვილი, 2020; აფციაური, 2020; ჭარაია, კურდღელია, ანგურიძე, ლაშხი, გულბანი, შატაკიშვილი, 2020;

ყორდანაშვილი, 2018 აროშიძე, 2017: 37-42; აროშიძე, 2017b; ფუტკარაძე, 2016; გრიგალაშვილი, 2016; Larsen, 2017; ლარსენი, 2017; Rumer, Sokolsky, Stronsky, 2017] და რომელმაც ასახვა ჰპოვა წარმოდგენილ ნაშრომში. ამ თემატიკის ირგვლივ ასევე ჩვენი ყურადღება მიიქცია ზოგიერთმა ჩინურმა პუბლიკაციამ, რომელიც ასევე ჩავრთეთ სადისერტაციო ნაშრომში [容亮、钱克锦, 2003; 周继胜, 2006; 徐伟, 2006].

კვლევის მეთოდი. ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდოლოგიური ხერხები, მიდგომები და ინსტრუმენტები, რომლებიც ემყარება თანამედროვე საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგიის ფუნდამენტურ საფუძვლებს, მათ შორის:

- ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და წყაროთა ჰერმენევტიკის მეთოდს;
- ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდს; რაოდენობრივ-თვისებრივი შედარების მეთოდს.

**თავი I. საქართველო და „აბრეშუმის დიდი გზა“
გვიან ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში
გოგადი მიმოხილვა**

ჩინეთის ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებთან დამაკავშირებელი „აბრეშუმის დიდი გზის“ სახელით ცნობილი საერთაშორისო საქარავნო სავაჭრო მაგისტრალის ამოქმედების ხანად მიჩნეულია ძვ. წ. II ს. 30-20-იანი წლები, როდესაც ჩინელი მოგზაური და დიპლომატი *ჭანგ ციენი* იმპერატორ უ-დი-ს (ძვ. წ. 141-87 წწ.) დავალებით საგანგებო მისიით იმყოფებოდა შუა აზიაში [Женниг, 1961: 264-279; 兰音, 2021; 张骞与丝绸之路, 2016; ასევე იხ.: 丝绸之路的来源[资料], 2016]. ტერმინი „აბრეშუმის დიდი გზა“ სამეცნიერო ლიტერატურაში გერმანელმა გეოგრაფმა *ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენმა* [Richtshofen, 1877: 496; Zögner, 1983; Дреж, 2006: 14] (1833-1905) შემოიტანა. აბრეშუმის გზაზე ძირითად ყიდვა-გაყიდვის საგანს აბრეშუმი წარმოადგენდა ამ გზის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ლათინურად აბრეშუმს ეწოდებოდა – „Serica“ და ამიტომაც რომაელები ჩინეთს სწორედ ასე ეძახდნენ – „სერიკა“ [Pliny, 1961: 378; 张—平, 2015]. ამ საქარავნო-სავაჭრო გზით აბრეშუმი და ბევრი სხვა ვაჭრობის საგანი შუა აზიის, ირანის, ამიერკავკასიის და საქართველოს გავლით ვრცელდებოდა შავი და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში [ზვიადაძე, 1989: 16].

პეკინიდან და მანხაიდან სავაჭრო გზები სწორედ აბრეშუმის გავრცელების ცენტრში – ქალაქ სიანთან იყრიდა თავს, იქიდან კი ლანჭოუს გავლით ჩადიოდა ქალაქ ღუნხუანში, სადაც გზა ორად იყოფოდა, ერთი განშტოება ქალაქ ტურფანზე მეორე კი ხოტანისა და იარკენდის გავლით ქალაქ კამგარში ჩადიოდა. „ქ. კამგარიდან აბრეშუმის გზა კიდევ ორ განშტოებად მიემართებოდა: 1) ჩრდილოეთის გზა სამარყანდის გავლით, მდინარე ამუდარიით არალის ზღვამდე და იქიდან კასპიის ზღვისაკენ მიემართებოდა. კასპიის ზღვიდან კი ერთერთი გზა უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, მტკვრისა და სურამის უღელტეხილით, მდინარე ფაზისით (რიონ-ყვირილის მაგისტრალით) გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისთან (ფოთი) შავი ზღვით ბიზანტიონსა და რომამდე აღწევდა...“ [ზვიადაძე, 1989: 19-20; აბრეშუმის გზის მარშრუტების შესახებ ასევე იხ.: 何芳川·万明, 2007; 张秋梅, 2021; აბრეშუმის გზაზე შავი ზღვის მნიშვნელობის შესახებ იხ.: 古代西域, 2012].

ცნობილია, რომ, კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძნული კოლონიები, რომლებიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის აღმოცენებული ბერძნული პოლისებისაგან განსხვავებით, სავაჭრო ფაქტორიებს წარმოადგენდნენ, ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში აღ-

მოცენდნენ [ამ საკითხზე სრულად იხ.: **ინაძე, 1982; Лордкипანიძე, 1979: 187-256** და სხვ.], რაც იმას ადასტურებს, რომ საქართველო ოდითგანვე, აბრეშუმის გზამდე გაცილებით ადრე, იყო ჩაბმული საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. VI-IV საუკუნეებში ბერძნული ნაწარმი გვხვდება მტკვრისა და რიონ-ყვირილის მთელ მაგისტრალზე (*ფაზისი, ვანი, დაბლაგომი, ქუთაისი, საჩხერე, იხთვისი*) [**ვაჭრობა, 1999: 26-28**]. შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს ქალაქი ფაზისი წარმოადგენდა. *ჰეროდოტესა და სტრაბონის* ცნობები მიუთითებენ ფაზისის სამხრეთაღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო ნავსადგურებთან კავშირზე. [**ვაჭრობა, 1999: 27**]. ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ბერძნული იმპორტი დადასტურებულია მთელი საქართველოს მასშტაბით მდინარეების, რიონის, მტკვრისა და არაგვის გაყოლებაზე აღმოჩენილი მრავალფეროვანი ბერძნული კერამიკული და მინის ნაწარმით და სხვა ნიმუშებით [**ვაჭრობა, 1999: 26-28**]. ამრიგად, უკვე არქაულ და კლასიკურ ხანაში ბერძნული იმპორტი დაფიქსირებულია კოლხეთსა და იბერიაში, რამაც ხელი შეუწყო ისეთი გზების ჩამოყალიბებას, რომლებიც შემდგომში აბრეშუმის დიდი გზის შემადგენლობაში შევიდნენ [**ვაჭრობა, 1999: 28**]. იბერიის ტერიტორიაზე, ამ დროს, წამყვან მაგისტრალურ მნიშვნელობას იძენდა მტკვრის გასწვრივ არსებული გზა.

ამ გზის იბერიული მონაკვეთის სახმელეთო ხასიათზე მიგვითითებს სტრაბონის ცნობა: „*ალბანიიდან (იბერიაში) შემოსასვლელი კლდეებში არის გამოჭრილი...*“ [**ყაუხჩიშვილი, 1957: 129; Страбон, 1879: 511; მელიქიშვილი, 1970a: 633**], აგრეთვე, უფლისციხის დიდი კლდეკარი, რომელიც ანტიკური ხანის კავკასიის ერთ-ერთ უდიდეს საგზაო ნაგებობას წარმოადგენდა და გამართული იყო საჭაპანო ქარავნებისა და ბორბლიანი ტრანსპორტის სამოძრაოდ [**ხახუტაიშვილი, 1964: 68-69; მელიქიშვილი, 1970a: 633**]. ცნობილი რომაული საგზაო რუკა – *Tabula Peutingeriana* (მკვლევართა აზრით, შედგენილია ძვ. წ. I – ახ. წ. V საუკუნეებში) [ამის შესახებ ვრცლად იხ.: **Подосинов, 2002: 287-298**] იბერია-ქართლის ტერიტორიაზე უჩვენებს არაერთ გზას, რომლებიც, უეჭველია, ამავე დროს სავაჭრო მაგისტრალებს წარმოადგენდა [**მელიქიშვილი, 1970b: 535**]. ასევე, სტრაბონის მონაცემებით, მცხეთაზე გადიოდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა [**世界文化遗产, 2014**], რომელიც ინდოეთიდან შავიზღვისპირა ქალაქებისკენ, კერძოდ ფაზისისაკენ მიემართებოდა. შუა აზიის გამოვლით ინდური საქონელი ჩამოჰქონდათ კასპიის ზღვაში, აქედან ალბანეთზე გაატარებდნენ და მტკვრის ხეობით გაიტანდნენ დასავლეთ საქართველოში [**ყაუხჩიშვილი, 1957: 128-129; Страбон, 1879: 133-137; მელიქიშვილი, 1970c: 449**].

დადგენილია, რომ სტრაბონს, ისევე როგორც სხვა შედარებით გვიანი პერიოდის მწერლებს, ასეთი ცნობები აღებული აქვთ უფრო ძველი წყაროებიდან, რომელთა შორი-

საა პატროკლეს ჩანაწერები [ყაუხჩიშვილი, 1957: 148; Страбон, 1879: 519-520; Грацианская, 1988: 6-175]. იგი ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე სელევკისა და ანტიოქოს I-ს დროს, განაგებდა სამხრეთ კასპიისპირა რაიონებს, მან კასპიის ზღვის გარშემო იმოგზაურა და აღნიშნა, რომ არის გზა, რომლითაც საქონელი კასპიის ზღვიდან ალბანეთის (მტკვრის და მისი მიმდებარე ტერიტორიების) გავლით აღწევს შავ ზღვამდე [Ямпольский, 1956: 162]. პატროკლეს ცნობებს იმეორებენ არისტოტელე და ერატოსტენე. შემდგომში ამ გზის შესახებ ცნობებს გვაწვდის მარკუს ტერენციუს ვარონი (ძვ. წ. 116-27), რომელიც მონაწილეობდა პომპეუსის ლაშქრობაში ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ, მისი ცნობები შემონახულია პლინიუსთან. პლინიუსი წერს, რომ ვარონის ცნობის მიხედვით, პომპეუსის ლაშქრობის დროს დადგინდა, რომ ინდოეთიდან შვიდი დღის სავალზეა ბაქტრია, მდინარე ბაქტრი, რომელიც ჩაედინება მდინარე ოქსში, და რომ ამ მდინარით, კასპიის ზღვით და მდინარე მტკვრის გავლით გადმოტანილი ინდური საქონელი მაქსიმუმ ხუთ დღეში სახმელეთო გზით ჩადის პონტში ფასისტან [Плиний Секунд, 1949; Ямпольский, 1956: 163; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: Алимова, Ртвеладзе, Абдурасулов, 2009: 10].

ფიქრობენ, რომ რომაელებმა პირველად გაიგეს აბრეშუმის შესახებ იმ დროს, როდესაც პომპეუსი ჩაუდგა სათავეში მეკობრეთა დარბევას, მცირე აზიაში [პომპეუსის ამ წარმატებული სამხედრო ექსპედიციის შესახებ ვრცლად იხ.: Хлезов, 2005: 326-331], ანუ, მაშინ როდესაც მარგალიტი და ძვირფასი ქვები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი რომისთვის [Хенниг, 1961: თავი 23]. მეტიც, ცნობილი გერმანელი გეოგრაფის კარლ რიტტერის აზრით, პომპეუსმა მხოლოდ საქართველოს აღმოჩენის შემდეგ გაიგო პონტოდან ინდოეთში მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების შესახებ [Риттер, 1854: 80; Хенниг, 1961: თავი 23]. მიუთითებენ აგრეთვე, რომ მდინარე ოქსი, დღევანდელი ამუდარია, არა კასპიის არამედ არალის ზღვას უერთდებოდა და შესაბამისად ინდური საქონელი, რომელიც მდინარე ოქსით მოდიოდა ვერ მოხვდებოდა კასპიის ზღვაში. თუმცა ისიც ცნობილია, რომ მდინარე ოქსი ხშირად იცვლიდა კალაპოტს [ამის შესახებ იხ.: Олбрихт, 2009: 84-89]. წყაროები მოწმობენ ამუდარიის არამდგრადობას, აქედან გამომდინარე, ასკვნიან, რომ მდინარე ამუდარიამ რამდენიმეჯერ იცვალა მიმართულება [Гозалишвили, 1956: 157]. პატროკლეს ცნობით, რომელიც საკმაოდ სანდოდაა მიჩნეული, რადგან მას საგანგებოდ დავალებული ჰქონდა კასპიის ზღვის შესწავლა მისი სანაოსნოდ ვარგისიანობის დადგენის მიზნით, კასპიის ზღვიდან ალბანეთის და შემდეგ მტკვრის და მისი მიმდებარე ტერიტორიების გაყოლებაზე გადიოდა გზა, რომლითაც საქონელი შემოდიოდა შავ ზღვაში [Ямпольский, 1956: 162]. აქ ყველგან

საუბარია ინდურ საქონელზე, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ჩინელი მოვაჭრეების სარგებლობდნენ ამ გზით, რომელიც მდინარე ოქსიდან უკავშირდებოდა კავკასიას.

მკვლევართა ნაწილი, რომელიც „აბრეშუმის დიდი გზის“ მარშრუტში საქართველოს არ მოიაზრებს, იშველიებს ჰომპეუსის თანამებრძოლის *თეოფანე მიტილენელის* ცნობას, იმის შესახებ რომ მტკვარი სანაოსნოდ ვერ გამოდგებოდა. შესაძლოა რომაელებმა თავისი წარუმატებლობის რეაბილიტაციის გამო გადმოცემულ ცნობებში განგებ დააკნინეს მტკვრისა და კასპიის საზღვაო გზის სანაოსნოდ ვარგისიანობა. გარდა ამისა, რომაელები გვიან ზაფხულში იყვნენ მდინარე მტკვარზე, როდესაც წყლის დონე დაწეული იყო და შესაძლოა ამანაც მოახდინა მათზე შთაბეჭდილება [Ямпольский, 1956: 168]. ამასთანავე, სირიელი ავტორების ტრადიციის კვალდაკვალ, არაბი და სხვა IX-X საუკუნეების არაბულენოვანი გეოგრაფები ერთხმად მიუთითებენ მტკვრის სანაოსნოდ ვარგისიანობაზე [Ямпольский, 1956: 170].

მინგეჩაურიდან არც თუ ისე შორს სოფელ ბეიუკ-დეგნთან ახლოს მდებარეობს ძველი ქალაქი, სადაც ერთ-ერთ ნაგებობაში ჩატანებულ ქვაზე ბერძნული წარწერაა გაკეთებული ელია *იასონის* სახელით, რომელიც სწერს ვინმე *ევნონს* [Ямпольский, 1956: 180]. სახელი იასონი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, ხოლო მეორე სახელს კი ატარებდნენ სწორედ იმ აორსების მეთაურები, რომლებსაც გადაჰქონდათ ინდური და ბაბილონური საქონელი, რომელსაც მიდიელებისა და სომხებისგან იღებდნენ [Ямпольский, 1956: 180]. ბეიუკ-დეგნთან მდებარე ეს ქალაქი შესაძლოა ძველი სახმელეთო გზის საყრდენი პუნქტი ყოფილიყო, რადგან ის აერთიანებდა დიდი კავკასიის მთისწინეთს, მინგეჩაურისა და მტკვრის მეშვეობით მთავარ გზასთან და ენიანის (იუნანის) მეშვეობით კასპიის ზღვასთან. მინგეჩაურის (ან ევლახის) შემდეგ მტკვრიდან მიდიოდა ოთხი დღის სავალი სახმელეთო გზა დასახლებულ პუნქტ შორაპანამდე, საიდანაც იწყებოდა სანაოსნო გზა მდინარე რიონზე ვიდრე შავ ზღვამდე [Ямпольский, 1956: 180]. „*თუ გავითვალისწინებთ I-II სს. სომხეთის ასპარეზზე რომისა და პართიის გააფთრებულ ბრძოლებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იბერიასა და კოლხეთში გამავალი გზები, შორეულ აღმოსავლეთთან დასავლეთის ვაჭრობის მაგისტრალად დროდადრო მაინც გამოიყენებოდა. ამ მიზნით ამიერკავკასიის გზებით, როგორც ითქვამს რომაელები მაშინათვე დაინტერესდნენ, როდესაც პირველად შემოდგეს აქ ფენი*“ [შელიქიშვილი, 1970b: 536].

როგორც აღვნიშნეთ, აბრეშუმის გზის ცალკეული განშტოებები უძველესი დროიდანვე გადიოდა საქართველოზე. ირანსა და ბიზანტიას საუკუნეების განმავლობაში ომები ჰქონდათ ჩრდილეთ კავკასიიდან გადმომავალ გზებზე გაბატონებისათვის [Прокопенко,

1999: 93; აბრეშუმის გზის მარშრუტების შესახებ იხ.: 王小华, 2015]. პროკოპი კესარიელი ასახელებს დარიალის ხეობის მმართველს ვინმე ამბაზუს – „შთამომავლობით ჰუნს“ [პროკოპი, 1965: 46-47; მდრ. Прокопий Кесарийский, 1993: 30-31; Прокопий Кесарийский, 1876: 112-113]. სახელი ამბაზუკი ირანული წარმოშობისაა, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ დარიალის გასასვლელი V ს. მიწურულს და VI ს. დასაწყისში კონტროლდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომელიც მოხერხებულად აწარმოებდა ვაჭრობას ირანსა და ბიზანტიასთან [თოგოშვილი, 1978: 61-67; Ковалевская, 1984: 109]. ჩრდილოეთ კავკასიის მობინადრენი ხან ერთს უჭერდნენ მხარს, ხანაც მეორეს, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი შესთავაზებდა მეტ სიმდიდრეს. მაგალითად, ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ალანები, როგორც წესი, მერყეობდნენ ამ მხრივ, ხოლო დასავლეთის ალანები ძირითადად ბიზანტიას უჭერდნენ მხარს [Ковалевская, 1984: 133-134]. თავის მხრივ, ბერძენი ვაჭრებიც არჩევდნენ გაევლოთ პრობიზანტიურად განწყობილი ალანთა ტომების ტერიტორიებზე, ისინი კი როგორც ითქვა უღელტეხილზე გატარებისათვის გასამრჯელოსაც იღებდნენ. პროკოპი კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით [Прокопенко, Чаплыгина, 2017: 73], მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მგზავრებს უხდებოდათ აქ ცხენების შეცვლა, გადასახადს კი იხდიდნენ აბრეშუმის ნაჭრებით, მძივებით და ა.შ. [Иерусалимская, 1972: 5; Лихтер, 1994: 117; Иерусалимская, 2012: 350-351; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 66]

აღსანიშნავია, რომ VI ს. II ნახევრიდან ძირითადი სატრანსპორტო სატრანზიტო დატვირთვა აბრეშუმის გზის კავკასიურ მონაკვეთებზეა [秘境高加索, 2019; 谭天宅, 2017], VI ს. ბოლოდან კი მისი ჩრდილოკავკასიური მიმართულება იქცა რეგულარულად მოქმედ სავაჭრო მაგისტრალად [Прокопенко, 1999: 93; დიდი აბრეშუმის გზის ჩრდილოეთ კავკასიაზე გამავალი მარშრუტების ირგვლივ არსებობს საკმაოდ მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა – მიმოხილვა იხ.: Колесникова, 2016: 118-122; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 5-30]. საროსის (დასავლეთის ალანების მეთაური, რომლის მფლობელობაშიც შედიოდა ყუბანი, პიატიგორიე და ამჟამინდელი ბალყარეთი) მოკავშირულ ქმედებებს მკვლევარები უკავშირებენ VI-VII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში ისეთი დასახლებების გაჩენას, რომელიც ჩრდილოეთის უღელტეხილებისკენ მომავალი გზების გასწვრივ კარგად ორგანიზებულ დაცვას უზრუნველყოფდა [Ковалевская, 1984: 134-135]. დასავლეთის ალანების გეოგრაფიული მდებარეობა, იგულისხმება მდ. ყუბანის ზემო წელი, ხელს უწყობდა მათ ბიზანტიის მიერ კონტროლირებად ლაზიკასთან და აბაზგიასთან ახლო მეზობლობაში. მეორე მხრიდან კი საროსის მამულები ესაზღვრებოდა სტეპებს, რომლებიც სხვადასხვა მომ-

თაბარე ტომებს ეკავათ და შესაბამისად სამხრეთ-დასავლეთის სატრანსპორტო მიმართულება გამზადებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთთან შესაერთებლად [Прокопенко, Чаплыгина, 2017: 56].

VI საუკუნეში მომთაბარე ჰუნებს ცვლის თურქთა სახაკანო. ეს იყო მომთაბარეებისგან შემდგარი დიდი იმპერია, რომელიც მოიცავდა სოგდიანას, სამარყანდს და სემიგორიეს [Прокопенко, Чаплыгина, 2017: 56; თურქთა ამ დიდი იმპერიის შესახებ ვრცლად იხ.: Гумилев, 2003]. ისინი დაკავებულები იყვნენ აბრეშუმითა და აღმასებით ვაჭრობით, აქტიურად იყვნენ ჩართულები და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ ჩინეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობაში [Кузнецов, 1993: 11; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 56-57]. ეს ის პერიოდია, როდესაც სასანიდურმა ირანმა აკრძალა თავისი ტერიტორიის გავლით აბრეშუმის დასავლეთში გატანა და მეტიც, მის ტერიტორიაზე აბრეშუმით თავისუფლად ვაჭრობაც კი. ამან სოგდიელები აიძულა გადაედგათ დიპლომატიური ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ მათმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა, რის შემდეგაც, მათ გადაწყვიტეს რომს დაკავშირებოდნენ. როგორც მენანდრე აღნიშნავს, მათ გაიარეს ბევრი ქვეყანა და კავკასიის გავლით მიღწიეს ბიზანტიას [Менандр, 2003: 269; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 57].

ჩინეთისა და დასავლეთის ურთიერთობის [ამ ურთიერთობებზე იხ.: 第三章, 2013; 比较文学史, 2018] შესახებ მენანდრეს მასალებს ერთგვარად ავსებს VI-VII საუკუნეების მიჯნაზე (589-621 წწ.) მოღვაწე ჩინელი ისტორიკოსის ჰეი ძუის (სუის დინასტიის მემატიანე)¹ მიერ შედგენილი დასავლეთის ქვეყნების ატლასის (裴矩《西域图记》) მონაცემები. მართალია, ატლასი დაკარგულია, მაგრამ მისი წინასიტყვაობაა შემონახული, სადაც ნათქვამია რომ ჩრდილოეთის გზა, რომელიც იწყება ქ. ხამიდან და მიემართება „დასავლეთის ზღვისკენ“, გაივლის ბარკულის ტბას, თურქთა კაგანატის ბანაკს (ისიკ-კულის ტბასთან ახლოს), და ლუიხეშუის მეშვეობით ჩადის ბიზანტიამდე [რომსა და ბიზანტიაში აბრეშუმის გზით შემავალი ნაწარმის შესახებ იხ.: 丝绸之路, 2016] და აღწევს დასავლეთის ზღვას [Ся, 1962: 179-180; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 58]. მკვლევართა დაკვირვებით, ჰეი ძუის მიერ ჩრდილოეთის გზის აღწერაში ირეკლება იმ ძველი აღმოსავლურ-თურქესტანული და სოგდიური ცენტრების გავლით შავი ზღვის სანაპიროებისკენ მიმავალი სავაჭრო გზების განახლების დასაწყისი. რაც სწორედ, რომ დიდ აბრეშუმის გზაზე სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციების ცვლილებასთანაა დაკავშირებული [Лубо-Лесниченко, 1995: 93-94; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 58].

¹ ჰეი ძუი 606-607 წლებში განაგებდა დასავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს ქალაქ ჭანგ-იში (Чжан-ი) (განჭოუ, განსუს პროვინცია). იხ.: Ся, 1962: 180; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 57).

ცენტრალურ აზიაში მობინდრე თურქთა გაერთიანებები ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი ზეკარებით უკავშირდებოდნენ ბიზანტიას. ამის შესახებ მენანდრეს მიერ დაცულ ცნობებს [Менандр, 2003: 268-269] ადასტურებს ჩრდილოეთ კავკასიაში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალაც, რომელმაც მკაფიოდ აჩვენა, რომ აღნიშნულ მარშრუტზე აქტიურად მიმდინარეობდა აბრეშუმით ვაჭრობა [ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: Иерусалимская, 1972: 3; Иерусалимская, 2012: 21; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 75; გოილაძე, 1997: 34]. ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში აღმოჩნდა უცხოეთიდან შეტანილი აბრეშუმის ნაწარმი, რომლის მსგავსს ევროპაში მეფეები და უმაღლესი საერო თუ სასულიერო პირები იყენებდნენ [Иерусалимская, 1972: 5; გოილაძე, 1997: 34]. ძვ. წ. II საუკუნეში ჩინეთიდან დასავლეთში გატანილი აბრეშუმი ძალიან ფასობდა [Кузнецов, 1993: 10-11; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 53; Петро, 1995: 48]. ცხადია, სავაჭრო გზაზე მოძრავი სხვადასხვა ძვირფასი საქონელი მთლიანად არ გადაიზიდებოდა ბიზანტიაში ან შუა აზიაში, არამედ ადგილზეც რჩებოდა [გოილაძე, 1997: 34]. სწორედ ჩრდილოეთიდან საქართველოში გადმოსასვლელეებზე არსებულ სამარხებშია აღმოჩენილი აბრეშუმის ნივთები, რაც იმის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საზღვარზე მცხოვრები მოსახლეობა ქარავნებს ემსახურებოდა, რის სანაცვლოდაც გასამრჯელოსაც იღებდა [გოილაძე, 1997: 35].

თუ რა სახით ხდებოდა ქარავნების გატარებისთვის გასამრჯელოს გადახდევინება, ამაზე გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდიან XVIII საუკუნეში კავკასიაში მყოფი მოგზაურები (იაკობ რაინეგსი, ლეონტი შტედერი, იოანე გულდენშტედტი) [Осетины, 1967: 20, 33, 97, 99; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 65]. ისინი უთითებენ განსაკუთრებულ გადასახადზე, რომელსაც უხდიდნენ უხუცესებს და ადგილობრივ „მთავრებს“, ასევე თავდაცვითი კომპების ცალკეულ მფლობელებს და უშუალოდ ქარავნების უღელტეხილზე გატარებაში მონაწილე ყველა პირს [Иерусалимская, 2012: 95]. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელეებზე ადგილობრივი მოსახლეობა ქარავნებისგან აბრეშუმის გარდა გადასახადებს ნიჟარებითა და მძივებით იღებდნენ [Мастыкова, 1997: 84-85; Лихтер, 1994: 117; Иерусалимская, 2012: 349-351]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, ამ გზით თვით ჩინელი ვაჭრებიც მიმოდისდნენ. მდ. ყუბანის შენაკადის ბოლშაია ლაბას ზემო წელში მდებარე სამარხში (Мощевая Балка) თანის ეპოქის ჩინური ნივთების მთელი კომპლექსი, ჩინური ამოქარგული აბრეშუმისა და ამ ვაჭრის პირადი სავაჭრო ჩანაწერის ფრაგმენტი აღმოჩნდა [Иерусалимская, 1972: 7; გოილაძე, 1997: 35]. ა. იერუსალიმსკაიას აზრით, ეს არის ვაჭრის დღიური სადაც თავის შემოსავლებს და ხარჯებს აღრიცხავდა ჩინელი ვაჭარი [Ие-

რუსალიმская, 2012: 368-369]. მანვე დაადგინა იმიერკავკასიის ტერიტორიაზე მოხვედრილი აბრეშუმის ჩინური, ბიზანტიური და შუააზიური წარმოშობა, რომელთაგან 60% იყო სოგდიური, ხოლო 18-20% – ჩინური, 25% კი ბიზანტიური წამოების **[Иерусалимская, 1967: 55-78]**. ა. იერუსალიმსკაიას დაკვირვებით, დასავლეთიდან (ხმელთაშუა ზღვა, ეგვიპტე, სირია-პალესტინის რეგიონი) აღმოსავლეთში დასავლეთის ჩრდილოკავკასიური უღელტეხილებით გადაიზიდებოდა შალის გობელენები და სადა თხელი ქსოვილები, სამი სახეობის აბრეშუმის ქსოვილები (წარმოდგენილია 30-ზე მეტი ნახჭი), ფიჭვისგან დამზადებული მოხატული ყუთები, შუმის მძივები, მინის ჭურჭელი, რომელიც აბრეშუმის დიდ გზაზე ყველაზე მოთხოვნილი საქონელი იყო **[Иерусалимская, 2012: 351]**.

საპირისპირო მიმართულებით, აღმოსავლეთიდან (ჩინეთი, ცენტრალური და შუა აზია) დასავლეთში ამ დასავლეთის ჩრდილოკავკასიური უღელტეხილების გავლით გადაიზიდებოდა: 1) აბრეშუმის ქსოვილები (ქსოვის სულ მცირე ცხრა სახეობის, სხვადასხვა შეფერილობის და ნახჭის); 2) ბამბის ქსოვილები; 3) აბრეშუმის ნელეული; 4) შორეული აღმოსავლეთის ოკეანის დიდი პერლამუტრის ნიჟარები და კაური **[Иерусалимская, 2012: 349-350]**. ნიჟარების გარდა ჩინელი ვაჭრები ცისქვეშეთის ცენტრებიდან მძივებსაც უზიდებოდნენ. კერძოდ, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე – წებელდის სამარხში აღმოჩნდა სუის დინასტიის (VI ს.) დროინდელი ქვის მძივი, რომელზეც დატანილია ჩინური იეროგლიფი „ბენ“ („იმპერატორი“) **[Воронов, 1975: 82]**, სავარაუდოდ ამ მძივებს ჩინელი ვაჭრები იყენებდნენ უღელტეხილებზე გადასვლისას გასამრჯელოს სახით **[Прокопенко, Чаплыгина, 2017: 76]**. აბრეშუმის ქსოვილების ნაშთები საქართველოში გათხრილ სამარხებშიცაა აღმოჩენილი და განეკუთვნება ახ. წ. II საუკუნეს. აბრეშუმის ფრაგმენტები გვხვდება აგრეთვე IV საუკუნის და მომდევნო ხანის სამარხებშიც **[ივანიძე, 2002: 66]**. ჩინური ქსოვილების გარდა წინა აზიის გავლით შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოდის ჩინური ფაიფურის [აბრეშუმის გზაზე ფაიფურით ვაჭრობის შესახებ იხ.: **丝绸之路, 2014**]. საუბარია „სელადონებზე“, რომელთა ფრაგმენტები ნამდვილად აღმოჩნდა მსხვილი სავაჭრო ქალაქის ანისისა და ქალაქ დმანისის გათხრების დროს. სელადონებში იგულისხმება ჩინური კერამიკის ნივთები, უმეტესად საკმაოდ სქელკედლიანი ლანგარები და ლარნაკები, რომლებიც განეკუთვნილი იყო ჩინეთიდან საზღვაო და საქარავნო გზით გასატანად. ჩინური ფაიფურის ეს სახეობა მზადდებოდა XII-XIII საუკუნეებში. ერმიტაჟის კოლექციებში ინახება რამდენიმე ნივთი, რომელიც წამოღებულია კავკასიიდან და მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ ეპოქას **[Кверфельдт, 1938: 188; გოილაძე, 1997: 11]**.

ელინისტური ხანის მრავალრიცხოვანი მონეტების აღმოჩენა ქართლის ტერიტორიაზე და ისიც, რომ ქართლში იჭრებოდა *ალექსანდრე მაკდონელის* ოქროს მონეტის მინაბა-

ძები, *ალექსანდრე მაკედონელის* დრაქმა, ეგვიპტის მმართველის *პტოლემეოს ფილომეტორის* (181/180-145) სპილენძის მონეტა, სელევკიდების სირიის მეფეების *დემეტრე I სოტერისა* და *ანტიოქოზ ვერგეტის* სპილენძის მონეტები, *მითრიდატე ევპატორის* ამასტრიაში მოჭრილი მონეტები და სხვა მეტყველებს იბერია-ქართლის აქტიურ და ინტენსიურ სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან. ამის ირიბი დადასტურებაა უცხოური მონეტების საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვა შემდგომი პერიოდში (V-VIII სს.) [Джалагания, 1979: 12-13]. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ამ მონეტებს შორის გვხვდება ჩინური მონეტაც.

აღნიშნული მონეტა, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში, აღმოჩენილ იქნა 1993 წელს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის განყოფილების ექსპედიციის (ხელმძღვანელები – *ზურაბ ბრაგვაძე* და *ამირან დავითაშვილი*) მიერ ხაშურის რაიონის სოფელ მცხეთიჯვარში, ალის ციხის მახლობლად, „გასაყიდლიანთ ვენახში“ წარმოებული გათხრითი სამუშაოებისას [ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46]. მონეტა ბრინჯაოსგანაა დამზადებული, ოთხკუთხედააა გახვრეტილი, მონეტის ორივე მხარეს შესრულებულია ჩინური წარწერები, რომელიც „ერმიტაჟის“ ჩინური მონეტების მცველმა ნ. ივოჩინამ ამოიკითხა: „ცინ იუან ტუნ ბაო“ – „ბედნიერი წამოწყებების ეპოქის მოარული მონეტა“ [ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46]. დადგენილია, რომ მონეტა ჩინეთში სუნის დინასტიის მმართველობის ხანაში, კერძოდ კი, სამხრეთ სუნის დინასტიის (1127-1279) მმართველობის პერიოდშია მოჭრილი, მონეტაზე მოჭრის თარიღიცაა აღბეჭდილი, მასზე დატანილი ნიშანი „ლიუ“ – ნიშნავს 6-ს, რაც ნიშნავს, რომ მონეტა მოჭრილია მმართველობის მე-6 წელს, ე. ი. 1200 წელს [ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46].

მცხეთიჯვარში მოპოვებულ ჩინურ მონეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება XII-XIII საუკუნეების საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით [ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 47]. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს მონეტა აღმოჩნდა შუა საუკუნეების ცნობილი ქართული ქალაქის ალის მიდამოებში, სწორედ იქ, სადაც, მკვლევართა დაკვირვებით, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გადიოდა დიდი სავაჭრო სატრანზიტო გზა [ნადირაძე, 1990: 98-122; ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46]. როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს ქალაქები არამარტო ხელოსნობის, არამედ სავაჭრო პუნქტებსაც წარმოადგენდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საშინაო თუ საგარეო ვაჭრობაში, ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებთან და მათ შორის ჩინეთთანაც [მესხია, 1979: 108; ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46-47]. ქალაქ ალში კი 1925 წელს აღ-

მოჩნდა წვრილი მონეტებისგან შედგენილი განძი, რომლის უდიდესი ნაწილი სწორედ XIII საუკუნეს განეკუთვნება [მესხია, 1979: 110; ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46-47]. ალი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქი იყო, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს [ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 47]. მიუხედავად იმისა, რომ არ გამოირიცხება 1200 წელს მოჭრილი ჩინური მონეტის საქართველოში შემოტანა უკავშირდებოდეს მონგოლთა შემოსვლას საქართველოში, მკვლევარები მაინც უპირატესობას ანიჭებენ ამ მონეტის შემოდგომას ქვეყანაში ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გზით [ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 47].

საგულისხმოა, რომ მონეტებთან ერთად დარიალის ხეობით ხაზარეთში და ალანებთან შედიოდა კაურის (მოლუსკების სახეობა) ნიჟარები და მძივები. IX ს. I ნახევარში დარიალის ხეობას აკონტროლებდნენ არაბები [Дзаттиаты, Туаллагов, 2010: 115-116; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 69]. იმიერკავკასიაში ქრისტიანული საგნების გავრცელება VIII-IX საუკუნეებში [Прокопенко, 2015: 80; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 70] და ქვემო არხიზში ნაპოვნი ქრისტიანული მისიონერული ბეჭდის (რომელზეც გამოსახულია ჯვრის ფორმის ვოკაციური მონოგრამა „ღვთისმშობელო შეეწიე მონას შენსას“ – VIII-IX სს.) [Малахов, 2014: 95; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 70] აღმოჩენა, მკვლევარებს აფიქრებინებენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალით ამ პერიოდში ქრისტიანი მისიონერებიც სარგებლობდნენ. არსებობს მოსაზრება იმის შესახებაც, რომ VII-IX საუკუნეებში ამ რეგიონში ფუნქციონირებდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი [იხ.: Кузнецов, 2002: 30; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 70].

სავაჭრო მაგისტრალზე გადაიზიდებოდა ისეთი საქონელიც, რომელიც არ იყო გათვლილი შუა აზიის და ჩინეთის ბაზრებისათვის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის მიზნით იყო შეტანილი. საუბარია საქართველოს რეგიონებიდან, მათ შორის თანმედროვე აფხაზეთის ტერიტორიიდან შემოტანილ ნივთებზე (მაგ. კოლხური ბზისგან დამზადებულ ორმხრივ სავარცხლებზე), რომელთა ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში [Туаллагов, 2005: 269-270; Иерусалимская, 2012: 363; Прокопенко, 2011: 104-105; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 77] უხვად აღმოჩენაც, ადასტურებს ზემოხსენებულ ფაქტს. თანამედროვე აფხაზეთის (კონკრეტულად ისტორიული აფშილეთი-აფსილიის) ტერიტორიიდან შემოტანილად ითვლება ბზის რელიქვიური ნივთი, რომელის კედლებზე მაღალი ოსტატობითაა გამოსახული ქრისტიანულ ისტორიოგრაფიაში უკვდავების სიმბო-

ლოდ ცნობილი სცენა: ფარშევანგები რომლებიც ჭურჭლიდან სვამენ, ხოლო სახურავზე გამოსახულია ჯვარი [Иерусалимская, 2012: 357; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 78].

საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში შექჟონდათ აგრეთვე ნახევრადძვირფასი ქვებით ინკრუსტირებული ნაკეთობები: ვერცხლის ქინძისთავები ალმანდის ბურთისებრი მძივით გაფორმებული [Чижова, 2006: 192; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 78-79] და სერდოლიკის (ზოგიერთზე დატანილი იყო წარწერაც) [Ковалевская, 2005: 173-174; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79] და გიშრის მძივებით დამზადებული სამკაულები [Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79]. გიშრის მოპოვების რაიონად მიჩნეულია დასავლეთი საქართველო, კერძოდ, დიოსკურია-სოსუმის მიდამოები [Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79], საიდანაც ხდებოდა გიშრის მძივების ექსპორტი მთელ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და იმიერკავკასიაში, ასევე ვოლგის რეგიონშიც [Шилов, 1959: 440; Иерусалимская, 2012: 349; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79]. მკვლევართა დაკვირვებით, ქართული წარმოების მინის ნაკეთობები იმიერკავკასიაში შედიოდა ორი მარშრუტით – დარიალის ხეობის გავლით და დიოსკურიიდან [Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79]. მაგალითად, ითვლება, რომ „მოშვანია ბალკას“ სამარხში აღმოჩენილი თაფლისფერი შუშისგან დამზადებული ჭურჭლის ფრაგმენტები დამზადებული უნდა ყოფილიყო ერთერთ ქართულ მინის სახელოსნო ცენტრში, სავარაუდოდ ორბეთში VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე [Иерусалимская, 2012: 348; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79].¹ ამიერკავკასიიდან ჭურჭლთან ერთად უზიდებოდნენ მინისთვლიან (მინის) ბეჭდებს [Доде, 1994: 12; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79]. მინის ნაწარმის გარდა აქედან ალანთა დასახლებებში თიხის ნაწარმიც შედიოდა [Ковалевская, 2005: 173; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79].

VIII ს. I ნახევარში არაბ-ხაზართა პერმანენტული ომების დროს, რომელშიც ხაზარების მთავარ მოკავშირეებად ბიზანტია და იბერია-ქართლი და ალანები მოგვევლინნენ.² ზოგიერთი მკვლევარი ამ დაპირისპირების ერთერთ მიზეზად თვლის მონაწილე მხარეების, პირველ რიგში, ბიზანტიის იმპერიის სწავფას შეენაჩუნებინა კონტროლი აბრეშუმის დიდი გზის ტრასებზე,³ თუმცა ეს მთლად ასე არ უნდა იყოს, რადგან ამ დაპირისპირების დასკვნითი სტადიისათვის, შეინიშნება აბრეშუმის დიდი გზის ყველაზე დიდი გამოცოცხ-

¹ ა. ჩიჟოვა ასევე თვლის, რომ ჩრდილო ოსეთის სამარხებში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის ნაწილი, მაგალითად, როგორცაა ტიტის ფორმის ჭიქები, შესაძლოა დამზადებული ყოფილიყო სამხრეთ კავკასიის ქალაქებში [Чижова, 2017: 46; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79].

² ისტორიოგრაფიაში ეჭვს არ იწვევს, რომ არაბ-ხაზართა კონფრონტაციის ინსპირატორი იყო ბიზანტიის იმპერია, რომელიც ამ დაპირისპირებაში ამკარად ხაზარებს ლობივდა [ამის შესახებ იხ.: Новосельцев, 1990: 178-184; Заваскири, 2008: 448].

³ ვლადიმირ კუზნეცოვის აზრით, არაბებს შეეძლოთ ამ ტრასებზე გადაზიდვების შეწყვეტა რითაც დაზარალებოდნენ ბიზანტიაც ალანებიც და ხაზარებიც, რამდენადაც ვერ მიიღებდნენ შემოსავალს ამ გზის ფუნქციონირების წყალობით [იხ.: В. А. Кузнецов, 1984: 109; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79].

ლება [Mako, 2010: 48-49]. მართლაც, VIII-IX საუკუნეებისათვის შესამჩნევია მაგისტრალური ტრასების ფუნქციონირების გაძლიერება, რომელიც ხაზართა სახაკანოს ცენტრალური იმიერკავკასიის ქალაქურ დასახლებებს აკავშირებდა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან და ყირიმთან [Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79]. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია ისევე, როგორც ცენტრალური იმიერკავკასია იყო გასაღების ბაზარი ქართული წარმოების ნაკეთობებისთვისაც. საქართველოდან შესული საქონლიდან, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ბეჭდები. დაღესტნის ძეგლებში გამოიყოფა ასეთი სამკაულების ჯგუფი, რომელიც თარიღდება VIII-IX საუკუნეებით [Гусев, 1992: 13; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 82].

IX ს. მიწურულისათვის თვალში საცემია ჩინური აბრეშუმის ექსპორტის შემცირება, მაგრამ აბრეშუმით დასავლეთის მომარაგებისთვის გამოყენებული ძირითადი ტრასები ისევ მოთხოვნადია. აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავკასიის სავაჭრო ურთიერთობები გრძელდება, თუმცა ხანის, სუის და თანის ეპოქებთან შედარებით ნაკლებად აქტიურად. შეინიშნება აბრეშუმის გზის ტრასების შემოკლება, მაგრამ საერთო ჯამში ისინი აგრძელებენ ფუნქციონირებას [Плетнева, 1996: 150; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 83]. X საუკუნეში ხაზართა სახაკანოს განადგურების შემდეგ ცენტრალური იმიერკავკასიის ტომებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ტრანსკავკასიური მაგისტრალების გზაჯვარედინზე დაიწყეს აქტიური ეკონომიკური ურთიერთობები კიევის სახელმწიფოსთან, რისთვისაც ის სავაჭრო გზები გამოიყენებოდა, რომელთა მეშვეობით IX საუკუნიდან აღმოსავლეთ სლავებთან შედიოდა არაბული ღირებულებები [Прокопенко, 1997: 30-32; Прокопенко, 1999: 120; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 84].

მაგისტრალი, რომელიც ამიერკავკასიას დარიალის ხეობის გავლით აკავშირებდა მდინარე დონის ქვემოწელში მდებარე რაიონებთან ერთერთი ძირითადი მიმართულებად რჩებოდა [Прокопенко, Чаплыгина, 2017: 84], რის დადასტურებად მიჩნეულია ახლოაღმოსავლური ლითონის ჭურჭლის და კუფიური მონეტების აღმოჩენა დარიალის ხეობის მიდამოებში [Кесати, 1940: 12-13; Крупнов, 1948: 43; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 84]. ვარაუდობენ, რომ ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი აფრიკული მონეტის სიქის ნიმუშები, აღმოსავლეთ საქართველოდან იყო შეტანილი, რადგანაც მთისძირისა და ფიჩხოვანის სამარხებში აღმოჩენილია ჩრდილოაფრიკული დინასტიის *იდრისიდის* მონეტები [Джалагания, 1979: 37; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 84-85].¹

¹ ნუმისმატიკის ა. ნიკიტინისა და ა. ფომინის დაკვირვებითაც აღმოსავლეთ ევროპაში ლევანტის (აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის) და ამიერკავკასიის ქვეყნებიდან შედიოდა აფრიკული მონეტები [იხ.: Никитин, Фомин, 1992: 48-49; Фомин, 1992: 32-33].

ასეთია ძირითადად ჩვენი დაკვირვებები გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აბრეშუმის დიდი გზის ფუნქციონირებაზე, მის მარშრუტებსა და საქართველოს ჩართულობაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ამ მასშტაბური საერთაშორისო მაგისტრალის მეშვეობით. რასაკვირველია, ეს არ არის სრული სურათი იმ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობებისა, რომელიც გაჩაღებული იყო აბრეშუმის დიდ გზაზე ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში – ჩვენ არც შეიძლება გვქონდეს პრეტენზია აღნიშნული პრობლემის ყოველმხრივი სიღრმისეული შესწავლისა. მიუხედავად ამისა, ვთვლით, რომ წარმოდგენილი მასალა ამ სახითაც მეტ-ნაკლებად ავსებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ცოდნას აბრეშუმის გზის ფუნქციონირების შესახებ საკვლევ პერიოდში.

თავი II. რა ისოდნენ საქართველოში ჩინეთსა და ჩინელებზე

§1. ჩინეთისა და ჩინელების კვალი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში

ჩინეთი ძველ ქართულ წყაროებში მოიხსენიება შემდეგი სახელწოდებებით: ჩინი, ჩინეთი, მაჩინეთი, ჩინ-მაჩინი, ხატაეთი [ჭიღლაძე, 2016: 39]. სწორედ „ჩინ“ ფუძისგან წარმოდგება ამ ქვეყნისა დღევანდელი სახელწოდება „ჩინეთი“ [ამის შესახებ ვრცლად იხ.: Wade, 2009; ჭიღლაძე, 2016: 39-40]. XI საუკუნის სპარსული პოემა „ვისრამიანის“ თარგმანი არის პირველი ქართულენოვანი წერილობითი ძეგლი,¹ რომელშიც გვხვდება ტერმინი „ჩინ“. თხზულებაში არაერთგანაა მოხსენიებული ჩინელები და ჩინეთი: მაგალითად, „სძლის-განცა უკვლუცნთა“ ჩამონათვალის შემდეგ აღნიშნულია, რომ მათ შორის „იყვნეს: ჩინელნი, თურქნი, ბარბარელნი, ბერძენნი, აზნაურისა ასულნი“; ასევე როდესაც „აქა ხუზისტანით მოიყვანეს ვისი ჰამიანის ქალაქსა“ და შაჰრომ სცხო მას „მუშკი-ამბარი“ და „ოქროქსოვილიანი“ შესამოსელით შემოსა, ავტორი აღნიშნავს, რომ „ესრეთ შეკაზმა, ვითა მანი ჩინელისა სახეო“; „და გაგზავნილნი წავიდეს ქარისაგან უფიცხესად ყოველგან [და იტყოდეს], ვითა: „შევიყრებით, შევეკაზმებით მათ ზედა მისავლად ტაბარისტანით, ჯორჯანით, დეისტანით, ხვარაზმით, ხორასანით, ქოისტანით, სინდით, ჰინდოეთით, თობითით, ჩინით-მაჩინით, სუდდით და თურანიითაო“; „ჰმვენოდა ყელ-ყური სამკაულიანი და თვით შვენოდა ერთობით უებროდ, ვითა ჩინური სახე ოქსინოსა შიგან“; „მოაბად მას დღესა ეგზომი გაუგზავნა, თვითო-თვითო ვინ ავსენოს: მრავალი ზანდუკი ოქროისა თვალითა და მარგალიტითა სავსე... და მრავალნი მონა-მხევალნი – ბერძენნი, ჩინელნი – [პირმთვარენი], ყველანი კვლუცნი...“; „ჰე კვლუცთა დასაბამო... ჩინელნი კვლუცნი შენგან აშფოთებულან, ბარბარული ბუთი შენგან გაწბილებულა...“; „ჩინეთს ქვაზედ წერია, ვითა: „მიჯნურთა ჯოჯოხეთი სამოთხედ უჩნს, რა მოყვარესა ახლავს, მიჯნურსა, თუ პილწიცაა, მას ეტრფიალების...“; მოიარა ყოველი პირი მიწისა: ოხერი და შენი, ზღვა და ხმელი, ჰინდოეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ჩინი-მაჩინი, რანი და ერაყი...“; „... ერანისა და თურანისა პატრონი ხარ, ჩინით ყიროვნამდის ყველა შენია...“; „ინდოეთითგან დაიწყე: ჩინი, ბარბარი, საბერძნეთი, ერანი ხორასანამდის შენ და შენსა ძმასა მორჭმით გაქვსთ...“; „ყველა ოქრო-ქსოვილი, ჩინური, ბადდადური ოქსინო და ყველასთანა ყველა ერთმანერთისა მჯობი...“; „მხევალნი ჰყვნეს მისებრვე შვენვარენი: ჩინელნი, თურქნი, ბერძენნი...“; „ქალაღდისა ნაცვლად ჩინური ჰეტ-

¹ ითვლება, რომ XI საუკუნის სპარსული პოეტის ფახრ ალ-ადინ ასად გორგანის სამიჯნურო პოემის „ვის რამიანის“ პროზაული თარგმანი, შესრულებულია XII საუკუნეში სარგის თმოგველის მიერ [კვაკელიძე, 1952: 52-53].

რატიკონი მოიღო...“; „გულისა ცეცხლითა დამწვრისა – **ჩინურის** სტავრისა მსგავსსა...“; „სახელმწიფოთა სარტყელთა ირტყემვდი, თუ ოქრო-ქსოვილი **ჩინური** არ იყვის, – ტანსა არ შეიმოსი...“; „ჰე ყვავილო **ჩინელთა**, ბარბარელთა...“; „ქვეყანა მრავალ-ფერობითა **ჩინურისა** სტავრისაებრ გასრულ იყო...“; „**ჩინით** ბარბარამდის ყოველი ქვეყანა დაიჭირა...“) [თმოგველი, 1988: 346]. როგორც ვხედავთ, „ვისრამიანში“ უხვადაა ინფორმაცია ჩინეთის, ჩინელების და ჩინური წარმოების საგნების შესახებ. ჩინეთი ნახსენებია იოანე შავთელის „აბდულმესიანშიც“: „ეგვიპტეს, მაშრიყს, **ჩინეთ-მაჩინეთს**, თარშის ქებულსა!“ [შავთელი, 1964: 117], ასევე სარგის თმოგველის „დილარიანში“: „ყოველივე უნაკლულოდ უამბო, წარვიდა ესე დალალი და მის ხელმწიფის დედოფალთან მივიდა, რომელი იგი იყო დედოფალი **ჩინეთისა** მეფისა, ქალი ქეთევან“ [დილარიანი, 1997].

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ნაწარმოები ცნობილი იყო შოთა რუსთველისთვისაც. იგი თავისი პოემის სხვადასხვა ადგილას ახსენებს ვისსა და რამინს („იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა“ [რუსთაველი, 1957: 181]; „ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა“ [რუსთაველი, 1957: 220]; „ნუ ეჭვ მიჯნურად მათებრსა ნუცა თუ რამინს და ვისსა“ [რუსთაველი, 1957: 311]). ასევე საინტერესოა, რომ შოთა რუსთაველს თავის პოემაში, ისევე როგორც ფანრ ალ-დინ ასად გორგანს „ვისრამიანში“, დასახელებული აქვს ჩინური, ჩინეთის ქვა – „ესე არაკი მართალი **ჩინს** ქვასა ზედა სწერია: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ [რუსთაველი, 1957: 177]. ეს არის სწორედ ის ერთადერთი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ნახსენებია ჩინეთი, როგორც „ჩინ“, რაც დანამდვილებით აღნიშნავს ჩინეთს.¹

„ვეფხისტყაოსანში“ მრავლად გვხვდება ტერმინი „ხატაეთი“,² რომელიც მკვლევართა ნაწილის აზრით უნდა აღნიშნავდეს ჩრდილოეთ ჩინეთს [სვანიძე, 1934: 30; უახლესი პუბლიკაციებიდან იხ.: **The Secret History, 2001: 112, 233; ჭილაძე, 2016: 41**].³ კერძოდ, ეს

¹ აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსნის ჩინურ თარგმანშიც ამ აფორიზმში ნახსენები „ჩინ“ გადატანილია, როგორც ჩინეთი [鲁斯塔维里, 2002: 181].

² დადგენილია, რომ ტერმინი „ხატაეთი“ მომდინარეობს „ხიტანების“ / „Ch'i-tan“/ ტომისაგან ინფორმაცია, რომელთა შესახებ პირველად ჩნდება ჩინურ წყაროებში ახ. წ. IV საუკუნიდან. ამ ტომებს უკავშირდება ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ლიანოს სამეფოს დაარსება ახ. წ. X საუკუნეში [Twitchett, Tietze, 2008: 75; ჭილაძე, 2016: 43]. მას შემდეგ, რაც 1125 წლიდან ჩრდილოეთ ჩინეთში ძინის დინასტია დამკვიდრდა (1125-1235), ხიტანების ნაწილი აიყარა და დასავლეთით გადაინაცვლა, სადაც ამჟამინდელი ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე „ყარა-ხიტაის“ („შავი ხიტანები“) ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი [ჭილაძე, 2016: 43].

³ რევაზ კიკნაძე ასევე თვლის, რომ ხატაეთი ჩრდილოეთ ჩინეთი იყო [ჯუვეინის ცნობები, 1974: 64-65], თუმცა „შემდგომში ეს სახელწოდება თანამედროვე ჩინეთის მთელს ტერიტორიაზე გავრცელდა“ იყო [ჯუვეინის ცნობები, 1974: 64]. განსხვავებული თვალსაზრისია წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ჩინურ თარ-

თვალსაზრისი განვითარებულია *ალექსანდრე სვანიძის* ნარკვევში [სვანიძე, 1934: 30].¹ მისი დასკვნით, ხატაეთის ქვეშ იგულისხმებოდა ჩრდილოეთ ჩინეთის ის ტერიტორიები, რომელსაც ისტორია სახმელეთო ურთიერთობებით იცნობდა, ხოლო „ჩინ“ და „ჩინ-მა-ჩინ“ ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთს უნდა აღნიშნავდეს [სვანიძე, 1934: 30]. ალ. სვანიძე ცნობილი ბრიტანელი სინოლოგის *ედვარდ პარკერის* ნაშრომზე დაყრდნობით, კიტან-ხატაელების სამეფოს წარმოქმნას ათარილებს 916 წლით [Паркер, 1903: 57-58; სვანიძე, 1934: 30]² და აღნიშნავს რომ იგი მოიცავდა *ჩილის, შენსის, მანდუნის, ხენანის* (ნაწილს), მონღოლეთის და მანჯურიის პროვინციებს, მას მიეკუთვნებოდა სინძიანის პროვინციაც. ხატაეთის სატახტო ქალაქი კი პეკინი იყო [სვანიძე, 1934: 30]. რაც შეეხება სამხრეთ ჩინეთს, ის სუნის დინასტიის გამგეობის ქვეშ იმყოფებოდა ჩვენთვის საინტერესო დროს [სვანიძე, 1934: 30].

ხატაეთის სამეფოს დაარსება თითქოს ხატაეთის მეფის ნათესავის ტუმი-ტალგუნის მიერ შენსიში თავის შეფარებას, იქ ჯარების შეკრებას და კაშგარის, იერკენდის, ხოტანის, თურქისტანის და უიდურეთის დაპყრობას უნდა უკავშირდებოდეს. მაჰმადიანი მწერლები ამ ქვეყანას მოიხსენიებენ, როგორც ყარა-ხატაეთს, შემდგომში ამ სამეფოს საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცვა როგორც რუსული ისე ჩინური თურქისტანი, რომელიც თავის მხრივ ინდოეთს ესაზღვრებოდა [სვანიძე, 1934: 30]. აღსანიშნავია, რომ ხატაეთი სწორედ ის ადგილია, რაზეც ტარიელი ამბობს: „ერთგან ვნახე საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე“ (460-ე ტაეპი) [რუსთაველი, 1957: 100] ასევე საინტერესოა ფრაზა: „ხარაჯა დასდევს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია, კვლა ხატაური მრავალი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია“ (471-ე ტაეპი) [რუსთაველი, 1957: 102], რომელიც მიუთითებს ძვირფას აბრეშუმის ქსოვილებზე, რითაც ჩინეთს სახელი ჰქონდა განთქმული. ცნობილია ასევე, რომ 1222 წელს სპარსეთის ტერიტორიაზე ქირმანში კიდევ დაარსდა ერთი ხატაური სამთავრო [სვანიძე, 1934: 31], რომელიც ძვირფასი ქალაქაიებით (ქირმან შალი) იყო განთქმული [გრიშაშვილი, 1997: 304]. საკუთრივ „ჩინეთი“ – ჩინეთის აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება უცნობი ავტორის

გმანში, რომელშიც ხატაეთი გადატანილია – „ხათაი“-დ (哈塔伊), სქოლიოში კი განმარტებულია, როგორც სახელმწიფო შუა აზიაში [鲁斯塔维里, 2002: 41, 199-ე ტაეპი].

¹ დადგენილია, რომ ა. ს.-ის ქვეშ იგულისხმება სწორედ *ალექსანდრე სვანიძე*, თვალსაჩინო პარტიული მოღვაწე (იოსებ სტალინის ახლო ნათესავი, მისი პირველი მეუღლის, *ეკატერინა სვანიძის* ძმა), რომელიც ამავე დროს იყო საკმაოდ ავტორიტეტული მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე, ცნობილი პერიოდული სამეცნიერო გამოცემის „*Вестник древней истории*“-ის დამფუძნებელი და პირველი მთავარი რედაქტორი.

² სავარაუდოა, რომ ა. სვანიძე მკვლევარი სარგებლობდა ინგლისელი მეცნიერის მონოგრაფიის სწორედ ამ რუსული თარგმანით. აღსანიშნავია, რომ ედ. პარკერის ნაშრომის ორიგინალის მეორე (1917 წ.) გამოცემაში კიტან-ხატაელების სამეფოს არსებობის ქვედა ზღვრად მითითებულია 915 წელი [იხ.:Parker, 1917: 33].

„რუსუდანიანი“ [რუსუდანიანი, 1983]. ამ თხზულების დაწერის დრო ბოლომდე დადგენილი არ არის. ერთი მოსაზრებით, ის XIII საუკუნეში შექმნილად ცხადდება, სხვა შეხედულებით, „რუსუდანიანი“ დაწერილი უნდა იყოს XV საუკუნეში, ან სულაც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე [კეკელიძე, 1952: 325-328; რუსუდანიანი, 1957: XI].

ჩინეთზე ინფორმაციებს ვხვდებით „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. კერძოდ, კი XIV ს. *ქამთააღმწერლის* ქრონიკაში, რომელიც „ასწლოვანი მატიანის“ სახელითაცაა ცნობილი [ამის შესახებ ვრცლად იხ.: კიკნაძე, 1987: 10-33]. აღნიშნულ მატიანეში „ჩინეთი“ მოხსენიებულია, როგორც ჩინ-მაჩინი, რაც მკვლევარების აზრით მთლიან ჩინეთს უნდა აღნიშნავდეს.¹ ივარაუდება, რომ „მაჩინი“ და მარკო პოლოს მიერ მოხსენიებულ „მანზი“ ერთსა და იმავეს „სამხრეთ ჩინეთს უნდა აღნიშნავდეს [კიკნაძე, 1974: 64; ჭილაძე, 2016: 42, იქვე შესაბამისი ლიტერატურა.].

„ჩინმაჩინის“, „ჩინეთის“, აგრეთვე „ხატაეთის“, მოხსენიების კუთხით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ასწლოვანი მატიანის“ პასაჟი, რომელშიც ჯალალ ედ-დინი მოხაზავს თავის სამფლობელოებს: „ფარმანსა ჩემსა ქუეშე იყო ყოველი სპარსეთი ადარბადაგნით ვიდრე ჯეონამდე და ჯეონით ვიდრე ინდოეთამდე, თურანი, ხატაეთი, ჩინმაჩინი და ყოველი აღმოსავლეთი. განგებითა ზენითა გამოჩნდეს ქუეყანასა ჩინეთისასა, ადგილსა შურაფხსა, ყარაყურუმად წოდებულსა, კაცნი ვინმე საკრველნი, უცხონი და უცხოთა ცხოვრებითა მყოფნი, რომელთა ყოველი აღმოსავლეთი დაიმორჩილნეს და მრავალნი ჯელმწიფენი მოსრნეს. ჯელმწიფედ ჰყვის კაცი ვინმე საკრველი, დრმა და გამგონე, მუნე ბრძოლასა შინა, სახელითა ჩინგიზ ყაენი. ამან ჯელთ იგლო ხატაეთი...“ [ქამთააღმწერელი, 2008: 538; შდრ. ქამთააღმწერელი, 1987: 58, ხაზგასმა ჩვენია – ლ. გ.]. დადგენილია, რომ ქამთააღმწერელი კარგად იცნობდა სპარსულ წყაროებს [კიკნაძე, 1962: 127-156; კიკნაძე, 1974: 17; კიკნაძე, 1987: 23], პირველ რიგში, ცნობილი სპარსი ისტორიკოსის ჯუვეინის თხზულებას, საიდანაც იყენებდა ტერმინ „ჩინს“ [კიკნაძე, 1987: 23].²

ამის შემდეგ იწყებს ჩინ-მაჩინელების გარეგნობის და ცხოვრების წესის აღწერას. მისი თხზულების რამდენიმე ეპიზოდი მიუთითებს ჩინეთის ლოკალიზაციაზე, მაგალითად როდესაც ჩინგიზ ყაენი ხატაეთში იმყოფებოდა ეკლესიაში ქრისტეს სახე დაინახა და თქვა:

¹ რევაზ კიკნაძის დაკვირვებით, „ჩინი“ ცენტრალურ ჩინეთის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, მაჩინი კი სამხრეთ ჩინეთსა [ქამთააღმწერელი, 1987: 221]. მკვლევარების დაკვირვებით აღმოსავლურ ლიტერატურაში გარცელებული ტენდენცია იყო ორი თანამედროვე სიტყვის ერთად გამოყენება, რითაც ორი შინაარსის გაერთიანებას ახდენდნენ. ამის მაგალითად მოაქვთ სინდი და ჰინდი, რომელშიც მთლიანი ინდოეთი იგულისხმება, ასევე ირან-თურანი) შესაბამისად მათი აზრით „ჩინი-მაჩინი – მთლიან ჩინეთს უნდა აღნიშნავდეს [ამის შესახებ იხ. ჭილაძე, 2016: 42-43].

² ეს უკანასკნელი მონღოლთა უგედეი ყაენის სამფლობელოზე საუბრისას მის აღმოსავლეთ საზღვარს „მაჩინსა“ და „ჩინზე“ ავლებს (იხ.: *The History*, 1958: 201; *Чингисхан*, 2004: 134; ჭილაძე, 2016: 41).

„აჰა კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილუ, ამ სახითა იყო, ამაჲს მასწავა ყოველივე წესი“ [კიკნაძე, 1987: 48].¹ მიაჩნიათ, რომ ეს მთა ჩინეთში იყო, ჩინეთის (ჩინ-მაჩინის) ქვეშ, როგორც ჩანს, მონღოლეთის ტერიტორიასაც მოიაზრებდნენ [ჭილაძე, 2016: 41-42]. ამის ერთგვარი დადასტურებაა ჟამთააღმწელის მიერ მოტანილი მონღოლთა დახასიათება: „ქუყანასა შვისასა, აღმოსავლეთით კერძო, რომელსა ეწოდების **ჩინ-მაჩინი**, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკრველნი ადგილსა, ყარაყურუმად წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა და შესახედავადცა...“ [ჟამთააღმწერელი, 2008: 527-528. შდრ. ჟამთააღმწერელი, 1987: 43-45, ხაზგასმა ჩვენია – ლ. გ.]. აღსანიშნავია, რომ ამ პასაჟში მემატიაზე ცალკე ჩერდება თურქ-მან-უიღურებზე, რომლებიც, როგორც ცნობილია, ამჟამად ჩინეთის შემადგენლობაში არიან: „ხოლო უიღურნი კერპისმსახურნი იყუნეს, რომელთა ქუჩინად უძმობდეს... ესენი ენითა მათითა უწოდიან თავთა მათთა მონღოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა ვკონებ ერთსოფლელად...“ [ჟამთააღმწერელი, 2008: 527-528; ჟამთააღმწერელი, 1987: 44-46].

„ჩინ-მაჩინი“ და „ხატაეთი“ ნახსენებია იმ ეპიზოდშიც, სადაც საუბარია ჩინგიზ ყაენის მიერ მისი შვილებისთვის სამფლობელოების დანაწილებაზე: „შესამესა შვილსა ოქოთასა მისცა თუით მისი ტახტი საჯდომად და ყარაყორუმი, **ჩინ-მაჩინი**, ემელისა და ყუბაყისა ქუყანა, **ხატაეთი**“ [კიკნაძე, 1987: 65, ხაზგასმა ჩვენია – ლ. გ.]. „ჩინეთი“ იხსენიება ბაბილოვანის აღების ეპიზოდში, როდესაც ქართველებმა და თათრებმა ხელთ იგდეს აურაცხელი სიმდიდრე და მათ შორის იყო „ჭურჭელინი ჩინეთით და ქაშანით მოხმულნი...“ [კიკნაძე, 1987: 114], ხოლო როდესაც ბათო ყაენმა წარავლინა არღუნი თავისი საბრძანებლის სხვადასხვა მხარეში, ჩამოთვლილ ქვეყანათა შორის ფიგურირებს ჩინეთიც: „ესე წარავლინა ყოველსა საბრძანებულსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაღეთს, ვიდრე ბნელეთამდე, და აღმოსავლით ვიდრე ჩინეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღთუალოს და განაჩინოს მხედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა...“ [კიკნაძე, 1987: 116]. თხზულებაში ასევე ნახსენებია ტერმინი ალთუნ-ხანი, რომელსაც მონღოლები ცინის დინასტიის იმპერატორს უწოდებდნენ [კიკნაძე, 1987: 47, 222].

„ჩინი“ და „მაჩინი“ ნახსენებია XVII საუკუნის პოეტის ფეშანგი ფაშვიბერტყაძის (ხითარიშვილის) პოემა „შაჰნავაზიანში“: „მას უჭირავს ჩინ მაჩინი, აგრევ სრულად ინდოქველი“ [ფეშანგი, 1935: 40].

¹ ამ პასაჟის ერთგვარ განმარტებას წარმოადგენს ფრაგმენტი „ჩინგიზ ყაენ აღვიდა მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, დღერთი ყოველთა“ (იხ.: ჟამთააღმწერელი, 1987: 48).

§2. ჩახრუხადის ჩინეთში სავარაუდო მოგზაურობის შესახებ

ჩინეთისა და საქართველოს ისტორიული გადაკვეთის წერტილების კვლევისას ძალიან საინტერესო და გასათვალისწინებელია იმ ქართველი მოგზაურების ჩანაწერები, რომლებმაც ჩინეთში ერთერთმა პირველებმა იმოგზაურეს და დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი ცნობები ჩინეთის, ჩინელი ხალხის ცხოვრების წესის, კულტურის, მსოფლმხედველობის და კონკრეტულ ეპოქაში მათი განვითარების დონის შესახებ. უპირველეს ყოვლისა მათ შორის უნდა დასახელდეს თამარ მეფის მეხოტბე, მოგზაური *ჩახრუხადი*. სანამ უშუალოდ მისი შთამბეჭდავი და საკმაოდ მასშტაბური მოგზაურობის შესახებ ვისაუბრებდეთ, მოკლედ ქართველთა გეოგრაფიულ თვალსაწიერზე.

ქართველ ხალხს საკმაოდ ადრეულ პერიოდში ჰქონდა მიმოსვლა უცხო ქვეყნებში, ქართველთა მოგზაურობისთვის ხელშემწყობ ფაქტორს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენდა, იქიდან გამომდინარე, რომ კავკასია იყო ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ხიდი. საქართველოში გადიოდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო გზები: დასავლეთში შავ ზღვასა და მდინარე ფაზისზე, ხოლო აღმოსავლეთში – მდინარე მტკვარზე. ახ. წ. V ს. უცნობი ავტორი წერს, რომ ფაზისში თავს იყრიდნენ 60 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომის წარმომადგენლები [არიანე, 1961: 77-78].

ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში კარტოგრაფიამ განვითარება იწყო საბერძნეთში. ელემენტარული კარტოგრაფიული ცოდნა საქართველოში უნდა ჰქონოდათ ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან მაინც, მაგრამ „პერიოდულად მტერთა შემოსევები აფერხებდა და ანადგურებდა კულტურისა და ეკონომიკის მიღწევებს. ამით უნდა აიხსნას ის, რომ XVIII საუკუნემდე ქართულ კარტოგრაფიული ძეგლები და მოგზაურთა ჩანაწერები თითქმის არ გაგვაჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებს“ [ხარაძე, 1988: 9]. XI-XII საუკუნეებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნამ და შემდგომში გაძლიერებამ დიდი გავლენა მოახდინა ცხოვრების ყველა სფეროზე, სწორედ ამ პერიოდში განვითარდა მეცნიერების მრავალი დარგი, მათ შორის გეოგრაფია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თამარისა და ლაშა-გიორგის ეპოქაში (XIII ს. 10-იან წლებში) საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში შედიოდა მთელი კავკასია, სპარსეთის ჩრდილოეთი პროვინციები და ანატოლიის აღმოსავლეთი თემები. სახელმწიფოში შემავალი ქვეყნები სხვადასხვა დამოკიდებულებაში იყვნენ საქართველოს სამეფო ტახტთან, ზოგი მათგანი უშუალოდ ემორჩილებოდა სამეფო ცენტრს, ზოგი კი ყმადნაფიცის სტატუსით მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. კლასიკური პერიოდის ქართულ ლიტერატურაში განვითარდა ე.წ. საკარო-სახოტბო პოეზია, რაც დაკავშირებული იყო სამეფო კარის ცხოვრებასთან, კარის პოეტი ხოტბას ასხამდა მეფეს და მის მიერ ჩადენილ საგმირო და სახელოვან საქმეებს. სწორედ მათ შორისაა ჩახრუხადის „თამარიანი“.

„თამარიანი“ ლირიკულ ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, პოემის ძველ XVIII საუკუნეზე აღრინდელ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. პოემიდან შინაარსის გამოტანა ჭირდა და სრულიად გაუგებარ პოემად მიიჩნეოდა, სანამ *ნიკო მარი* არ დაადგენდა და გამოსცემდა ტექსტს [Mapp, 1902]. ტექსტი შედგენილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის მიერ.¹ პოემა განადიდებს თამარ მეფეს და დავით სოსლანს. ჩახრუხაძეს თავისი პოემა „თამარიანი“ (იგივე „ქება თამარ მეფისა“) ამავე დროს საკმაოდ ფართო გეოგრაფიული ხედვით აქვს დაწერილი და დღესდღეობით მის ჩინეთში მოგზაურობასაც ადასტურებს. ჩახრუხაძის პოეტური მემკვიდრეობისადმი დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ ნიჰილისტური დამოკიდებულება სუფევდა. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც გამოიცა ნიკო მარის ცნობილი გამოკვლევა ძველ ქართველ მხობლებზე [Mapp, 1902] და *ჰავლე ინგოროყვას* ვრცელი ესეე საკუთრივ ჩახრუხაძეზე [ინგოროყვა, 1924: 271-320; ინგოროყვა, 2012: 339-406]. სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია *ივანე ლოლაშვილის* გამოკვლევა [ლოლაშვილი, 1957: 9-180].

ჩახრუხაძის ვინაობა დღემდე არ არის ბოლომდე დადგენილი. მწერალი, მეცნიერი, ღვთისმეტყველი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე ანტონ კათალიკოსი, ჩახრუხაძის შესახებ აღნიშნავდა: „ჩახრუხაის ძე, უცხო პიიტიკოსი, თამარ დიდისა მკობი შაირებითა, მოთას შაირითა, თუ ჰსთქუა უკეთესთაცა, მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის-მოყვარე ყოვლად საქები, რიტორთ მესტიხთ გვირგვინი“ [წყობილ-სიტყუაობა, 1853: 286; ლოლაშვილი, 1957: 10]. „მესტიხთ გვირგვინად“ ჰყავს მოხსენიებული ჩახრუხაძე იოანე ბაგრატიონსაც, რომლის მიხედვით ის სამეფო კარზე დაწინაურებული პირიც ყოფილა – „ცერემონმეისტერი თამარ მეფისა“ [იოანე ბატონიშვილი, 1948: 185; ლოლაშვილი, 1957: 10]. ჰავლე ინგოროყვა ჩახრუხაძეს იხსენებს, როგორც *შაჰრუხ ჩახრუხაისძეს*, (პოეტის გვარი კრებულის ბოლოსიტყვაობაშია ნახსენები ხოლო სახელი ირკვევა ერთი ბიბლიოგრაფიული მოსახსენებლიდან) [ინგოროყვა, 2012: 347].

ვარაუდობენ, რომ პოეტი XII ს. 60-იან წლებშია დაბადებული და სრულწლოვანების შემდეგ ე.ი. 1184-1185 წლებში მიღებულია სამეფო კარზე [ინგოროყვა, 2012: 348]. ერთი მოსაზრებით (ჰავლე ინგოროყვა), ის მთიულეთიდან (მოხევე) უნდა ყოფილიყო [ინგოროყვა, 2012: 348]. სხვა შეხედულებით (ნიკო მარი, სარგის კაკაბაძე) ჩახრუხაძე მესხეთის მკვიდრადაა მიჩნეული [Mapp, 1902: 53; თამარიანი, 1937: 11]. პოეტი „მოყმეთა“, იგივე

¹ „თამარიანის“ შემადგენლობაშია 12 ოდა (ნიკო მარის მოსაზრებით კი 11 ოდა) და 2 ელეგია. *ჰავლე ინგოროყვას* აზრით, ოდებში დაცული რეალიების მიხედვით ისინი თამარის მეფობის პირველ ნახევარს მიეკუთვნება და დაწერილია 1184-1193 წლებში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით. ელეგიების დათარიღებისთვის კი საკმარისი აღმოჩნდა ტექსტების შესწავლა და დადგინდა, რომ ისინი შექმნილია XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლთა ბატონობის დამყარებამდე. მეტიც, შეიძლება ითქვას რომ ელეგიები დაიწერა თამარის მეფობის მეორე ნახევარში და არა უგვიანეს 1204 წლისა [ინგოროყვა, 2012: 347].

რაინდთა და „დიდებულთა“ წრეს მიეკუთვნებოდა [ინგოროყვა, 1924: 280]. „თამარიან-ში“ ნახსენები ელინელი მწერლები, მუსლიმური ინტელექტუალური მსოფლიოს შესახებ ცნობები, შაჰ-ნამე, სალამანდა და ნიზამის პოემები მეტყველებენ იმაზე, რომ ჩახრუხაძე უაღრესად განათლებული პიროვნება ყოფილა. „თამარიანის“ ზოგი დეტალი გვაფიქრებინებს, რომ პოეტმა ბერძნული, არაბული და სპარსული ენები იცოდა, და საერთოდ მისთვის სპარსულ-არაბული სამყარო ძალიან ახლო იყო.

ჩახრუხაძე საინტერესო ფიგურაა იმითაც, რომ ის ეპოქის უდიდესი მოგზაურია. „*მთელ საშუალ-საუკუნეთა მანძილზე, რომელმაც როგორც ტრუბადურმა და მოგზაურმა-რაინდმა, მოვლო თითქმის მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო: ჩინეთიდან დაწყებული ვიდრე ანტლანტიურ ოკეანემდე (მაროკომდე), და რუსეთიდან ვიდრე ეგვიპტემდე და არაბეთამდე (იემენამდე)*“ [ინგოროყვა, 2012: 347].

ჩახრუხაძემ თავის ოდებში ასახა XII საუკუნის დამლევის საქართველოს კულტურულ პოლიტიკური ვითარება. „თამარიანის“ ტექსტიდან გასაგები ხდება, რომ თამარ მეფისადმი უპასუხო სიყვარულით გულგატეხილ პოეტს განუზრახავს უცხოეთში გადახვეწა, შესდგომია აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობას, როგორც ტრუბადური და მოგზაური-რაინდი. სწორედ აქედან იწყება ჩახრუხაძის თავგადასავალები. პოეტს მოუვლია „კიდით კიდე“ თითქმის მთელი იმ დროსთვის ცნობილი მსოფლიო [ინგოროყვა, 1924: 306]. ეს იყო დაახლოებით 1193-1203 წლებში [ინგოროყვა, 1924: 306]. საქართველოდან გადახვეწილი პოეტი პირველად ჩადის სპარსეთში, ეს იქნებოდა დაახლოებით 1193 წელი [ინგოროყვა, 1924: 306]. მას მოუვლია სპარსეთი, ხლებია თვით სულთანსაც;¹ გარკვეული პერიოდი დაჰყო სპარსეთში და სულთნის სიკვდილის შემდეგ გადავიდა გურილების სამეფოში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ირანისა და ინდოეთის ნაწილებიც [ინგოროყვა, 1924: 307].

პოეტის გურილების სამეფოში გადასვლა უნდა მომხდარიყო ხვარაზმშას გამარჯვების შემდეგ, ესე იგი დაახლოებით 1194-1196 წლებში. გურილების სამეფოდან მოგზაური რაინდი ინდოეთში გადასულა. შემდეგ მას განუზრახავს მთელი მსოფლიოს შემოვლა და უმოგზაურია კიდევ „*დაწყებული ინდოეთიდან და ჩინეთიდან ვიდრე ატლანტიკის ოკეანემდე. ეს იმ დროისთვის ნამდვილ გმირობად უნდა ჩაითვალოს, თუ წარმოვიდგენთ იმ მრავალ სიძნელეს, რომელიც მოგზაურს წინ ედობებოდა. ჩახრუხაძის შემოუვლია მთელი რიგი ისეთი ქვეყნებისა, სადაც მანამდე ევროპიელის ფეხი არ მიჰკარებია*“ [ინგოროყვა, 2012: 374]. ჩახრუხაძე ინდოეთიდან ჩინეთში მოხვედრილა. პ. ინგოროყვას დაკვირვებით, მას გაუვლია ინდისა და განგის ველები და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის გავლით ჩინეთში

¹ პავლე ინგოროყვას აზრით, ეს უნდა ყოფილიყო სელჩუკიანთა დიდი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ტოდრულ III /1176-1196/ [ინგოროყვა, 1924: 306].

გადასულა. „ამ გზის ერთი ნაწილი ბირმანიიდან – ვიდრე ჰასინგანამდე გაიარა მარკო პოლომ ერთი საუკუნის შემდეგ, XIII საუკუნის 80-იან წლებში“ [ინგოროყვა, 2012: 375].

პოემის მიხედვით ირკვევა, რომ ინდოეთიდან ჩახრუხაძე „ხანთა“ ქვეყანაში ესე იგი „გურხანების – თურქების სამეფოში, ეგრედ წოდებულ ხატაეთში“ გადავიდა, რომელიც იმ დროისთვის მოიცავდა თურქესტანს, ბუხარას და მათ მიმდებარე ქვეყნებს ამუ-დარიას გადაღმა. „გზა, რომელიც აერთებდა ჩინეთს ხატაეთთან, და რომელიც უნდა გაეკლო ჩახრუხანისძეს, ეს არის ეგრედ წოდებული „ჩინეთის ძველი სააბრეშუმო გზა“ (alte Chinesische Seidenstrasse) [ინგოროყვა, 1924: 308]. ეს გზა გასდევდა ჩინეთის კედლებიდან, შუა აზიის ველებზე გავლით, ვიდრე ყაშგარამდე. ეს მოგზაურობა ამ უცნობ ქვეყნებში, ჩინეთის კედლებიდან შუა აზიით ხატაეთამდე, დიდ სიძნელეს შეიცავდა, განსაკუთრებით ტანგუტების ქვეყანაში, სადაც „ჩინეთის ძველ სააბრეშუმო გზას“ გარს ეკრა ველური მომადების „გია“-ს სამეფო. მოგზაურობა ამ გზებზე, დიდ საშიშროებას – „ზარს“- წარმოადგენდა“ – „ამოკლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი არა რად უჩნდის მას მათი ზარი!“ [ინგოროყვა, 2012: 375].

როგორც პოემის შინაარსიდან ირკვევა, ამ გზაზე ჩახრუხაძეს ბევრი ფათერაკი გადახდენია და საფიქრებელია, რომ თანმხლები „მოყმენი“ ამ გზაზე დახოცილან ან დაუხოცეს [ინგოროყვა, 1924: 308-309]. ამ უცხო მხარეებში და პოეტსაც აღარ დაუყოვნებია, „გზა მოიმოკლა“ და „მოსწრაფებით“ ხატაეთიდან ხაზარეთისკენ გაემართა. იქიდან მან მიაღწია ვოლგას და სავარაუდოდ კიევის სამთავროს გავლით შავი ზღვის სანაპირომდე ჩავიდა, საიდანაც საბერძნეთში კონსტანტინპოლში გადავიდა. ამის შემდეგ მან მოიარა „ზღვისა ალაგნი“ – ე. ი. იმოგზაურა ხმელთაშუა ზღვის გარშემო, აქ უნდა იგულისხმებოდეს საბერძნეთისა და იტალიის ქალაქები და სავარაუდოდ პროვანსიც [ინგოროყვა, 1924: 310-311]. შემდეგი მარშრუტი არაბული ქვეყნები ყოფილა. ეს იყო „მადრიბის“ (ანუ დასავლეთის) ხალიფატი, სადაც მან უფრო მეტი ხანი დაჰყო. მადრიბის ხალიფატი იმ დროს მოიცავდა „მთელ დასავლეთ არაბულ მსოფლიოს: ანდალუზიას (მუსულმანური ესპანია) და ჩრდილოაფრიკას, მავრიტანიას (მაროკო-ალჟირი-ტუნისი-ტრიპოლი)“ [ინგოროყვა, 2012: 378]. დასავლეთის არაბული ქვეყნებიდან იგი ეგვიპტეში გადასულა და მთელი ეგვიპტე შემოუვლია, შემდეგ კი იემენი და მექა [ინგოროყვა, 1924: 312]. ჩახრუხაძეს ქააბაში ისლამი მიუღია და არაბი ქალი შეურთავს და თავის „მნათობთა დარი“ ცოლისა და მონა-მხევლების თანხლებით საქართველოსკენ გამოუწევია (დახლოებით 1203 წლისთვის) [ინგოროყვა, 1924: 312-314]. მაგრამ ის საქართველოში არ დაბრუნებულა და ახალი მოგზაურობა წამოუწყია ივარაუდება, რომ ზღვით – სპარსეთის ყურითა და ინდოეთის ოკეანით [ინგოროყვა, 1924: 316].

იქიდან გამომდინარე, რომ პოეტი თავის წერილში იტყობინება, რომ კვლავ ზღვის გავლას აპირებს და ვინაიდან ის ადგილი ბაღდადის ხალიფატი საიდანაც მან წერილი გამოგზავნა „ბასრას მხრით სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეს აკრავს, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტს ამ მხარისკენ ჰქონდა განზრახული თავისი ახალი მოგზაურობა (ე.ი. იმავე მარშრუტის შესრულება, რომელიც 90 წლის შემდეგ განახორციელა მარკო პოლომ). ეს მით უფრო ახლო უნდა იყოს სინამდვილესთან, რომ ჩახრუხაისძეს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოუვლელი დარჩა მხოლოდ ეს მხარე, – აზიის სამხრეთი ზღვის სანაპიროები“ [ინგოროყვა, 1924: 59].

პ. ინგოროყვა თვლის, რომ „ერთადერთი მოგზაური საშუალ-საუკუნეებიდან, რომლის მოხსენება შესაძლოა ჩახრუხაისძის გვერდით, ეს არის სახელოვანი მარკო პოლო – პირველი ევროპიელი, რომელმაც შეასრულა დიდი მოგზაურობა აღმოსავლეთში, ჩახრუხაისძის შემდეგ ერთი საუკუნით უფრო გვიან, 1271-1295 წლებში“ [ინგოროყვა, 2012: 393]. თუმცა ჩახრუხაისძის მოგზაურობა გაცილებით უფრო მასშტაბური და რთულია – ჩახრუხაისძემ მარკო პოლოსთან შედარებით უფრო მძიმე პირობებში იმოგზაურა, რადგან ქვეყნები რომლებიც შემოიარა ამ უკანასკნელმა XIII საუკუნეში ერთი – მონღოლების – იმპერიის ქვეშ იყო გაერთიანებული და, ფაქტობრივად, იგი მთელ თავის მოგზაურობას ერთი იმპერიის ფარგლებში და თანაც, უმთავრესად მონღოლთა მთავრობის მისიით აწარმოებდა. ამავე დროს, იმპერიის ქვეყნებს შორის მიმოსვლა გაცილებით მოწესრიგებული იყო წინა საუკუნეებთან შედარებით. ხოლო ჩახრუხაისძის დროს – XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე – აღმოსავლეთი დაყოფილი იყო სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად, სადაც განსხვავებული კანონები მოქმედებდა, და მათ შორის ურთიერთობაც საკმაოდ გაძნელებული იყო. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ „ზოგიერთ მხარეებს, რომლებიც მოვლო ჩახრუხაისძემ, არ მიჰკარებია ევროპიელი მოგზაური არა თუ მარტო საშუალ-საუკუნეებში, არამედ ზოგჯერ უფრო ახლო ეპოქაშიც. ასე, ჩახრუხაისძე ერთად-ერთი ევროპიელი იყო, რომელმაც მოახერხა საშუალ-საუკუნეთა მანძილზე მექაში მისვლა. ცნობილია, რომ ევროპიელმა მოგზაურებმა ამის შესრულება მხოლოდ XIX საუკუნეში შესძლეს“ [ინგოროყვა, 2012: 395].

§3. რაფიელ დანიბეგაშვილის ცნობები ჩინეთის შესახებ

კიდევ ერთი ქართველი მოგზაური, რომელმაც თავის ჩანაწერებში ჩინეთი ახსენა იყო რაფიელ დანიბეგაშვილი. XVIII-XIX სსაუკუნეების საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან, შესაბამისად ქართველი ვაჭ-

რები საქარავნო თუ საზღვაო გზით ბევრს მოგზაურობდნენ შორეულ მხარეებში, მათ ბევრი ხიფათის გადატანა უხდებოდათ, რაც დიპლომატიური და საბრძოლო უნარების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ამან განაპირობა საქართველოში უცხოეთთან მოვაჭრე საგვარეულოების ჩამოყალიბება, რაფიელ იოსების ძე დანიბეგაშვილიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი გვარის წარმომადგენელი იყო [მარუაშვილი, 1956: 4].

XVIII ს. II ნახევრიდან ქართლ-კახეთის მეფეთა დავალებით ინდოეთში მოგზაურობდნენ და ვაჭრობის პარალელურად საგანგებო დავალებებს ასრულებდნენ იოსებ და რაფიელ დანიბეგაშვილები. რაფიელ დანიბეგაშვილის ბიოგრაფიას ვეცნობით ქართლ-კახეთის მეფეების მიერ გაცემული სიგელ-გუჯარებიდან და თვით „მოგზაურობის“ ტექსტიდან, აგრეთვე ორენბურგისა და სემიპალატინსკის არქივებში დაცული მასალები მოგვითხრობენ დანიბეგაშვილის მოგზაურობის შესახებ.¹

მეფე გიორგი XII-ის წყალობის სიგელში რაფიელ დანიბეგაშვილის ინდოეთს გაგზავნის შესახებ ნათქვამია: „ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი და საბოლოოთ გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ მუნ, მამაპაპით ჩვენს ერთგულსა და თავდადებით მრავალფერათ ნამსახურების კაციშვილს, აზნაურს დანიბეგაშვილს, ხუთასის თავის ოსეფას შვილს რაფიელსა, ძმასა მუნსა იოსებსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, – ასე რომ ძველთაგან მეფეთ წყალობა გჭირდებოდათ და წყალობის სიგელებიცა გქონოდათ, აგრეთვე სანატრელის პაპის ჩვენის, მეფის თეიმურაზისაგანაც წყალობათ გბოძებოდათ სახელოს სიგელი, რომელიც პაპის მუნისათვის დადბამობა ებოძებინა და აგრეთვე კურთხეულმან მამა ჩვენმან, მეფემან ირაკლიმა მამაშენს ოსეფას ხუთასისათობა უბოძა წყალობის სიგელით და ამ ხუთასისათობის ჯამაგირიცა“ [დანიბეგაშვილი, 1950: 55]. აქედან ჩანს, რომ დანიბეგაშვილები თეიმურაზ II-ის (კახეთის მეფე /1733-1744/, ქართლის მეფე /1744-1762/) დროიდან მოყოლებული ამ საქმეს ასრულებდნენ. შემდეგ სიგელში ნათქვამია, რომ დანიბეგაშვილების კუთვნილი მეფეთაგან და ყუენებისან ბოძებული წყალობის სიგელები თუ დამტკიცებული ნასყიდობები, რომლებიც დაიკარგა ალა მაჰმად ხანის მიერ საქართველოს აოხრების დროს, ყველაფერი აღუდგინეს და ხელახლა დაუმტკიცეს რაფიელს და მის ნათესავებს. ასევე ამ წყალობის სიგელის შემდგენელი ეგნატე თუმანიშვილი წერს: „ამ სიგლის რიცხვის შემდგომად ეს ზემოხსენებული ხუთასის თავი რაფიელა კურთხეულმან მეფემან გიორგიმ გაგზავნა ინდოეთს სამსახურ-

¹ ეს მასალებია: 1) სემიპალატის კომენდანტის პოდპოლკოვნიკ კემპენ მე-2-ეს პატაკი; 2) რაფიელ დანიბეგაშვილის დაკითხვის ოქმი; 3) ჩუბარ დონდუკ იმანტიურის წერილი ბიების რუსეთის ქვეშევრდომად მოქცევის თაობაზე; 4. გ. გენსის ჩანაწერი დანიბეგაშვილის 1822-1827 წლებში მოგზაურობის შესახებ. ეს მასალები, მოძიებულია ქ. ომსკისა და სემიპალატინსკის არქივებში, აგრეთვე ორენბურგის ისტორიული არქივში. [ამის შესახებ იხ.: ზარდალაშვილი, 1971: 41-51, 76].

ზედ“ [დანიბეგაშვილი, 1950: 55]. რაფიელის პაპას მეფე თეიმურაზისგან ნაბოძები ჰქონდა დაღბამის ესე იგი ათისთავის ჩინი, რაფიელის მამას კი ერეკლე მეორისაგან ნაბოძები ჰქონდა ხუთასისთავის ჩინი, იგი მოხსენიებულია აგრეთვე 1786 წელს შედგენილ საქართველოს სახელმწიფო მოხელეთა სიაში, როგორც „ფრანგი იოსება“, ფრანგი კათოლიკეს ნიშნავდა, როგორც სიგელებიდან ირკვევა რაფიელის ინდოეთში გამგზავრების შემდეგ მისი დედ-მამა – როზა და იოსები მეფის ხაზინიდან მემკვიდრეობით ჯამაგირს იღებდნენ. რაფიელს ჰყავდა აგრეთვე ძმა იოსები.

XVIII ს. II და XIX ს. I ნახევარი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენებით ხასიათდება. XVIII საუკუნის საქართველოში ქართლის (ქართლს-კახეთის) სამეფოს ეკავა გაბატონებული მდგომარეობა, მას უხდებოდა ბრძოლები თურქეთთან, ირანთან, და დაქირავებულ ლეკთა ბრბოებთან. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობა არ აღემატებოდა 40 ათას კომლს. ამ დროს ეკონომიკურადაც რთული ვითარება იყო ქვეყანაში და მეფეების უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა სწორედ ვაჭრობის გაფართოება. მეფე ერეკლე საქართველოში ვაჭრობის აღორძინების დ განვითარებისთვის ბევრ რამეს აკეთებდა, მაგალითად ამისათვის მან აზნაურშვილობის ბოძებაც დაწესა, ერთ ვაჭარს მან თავადიშვილობაც კი უბოძა, ეს კეთდებოდა ვაჭრობის წასახალისებლად, „ვაჭრობის მხრივ თფილისის მოქალაქენიც უფრო დიდის პატივით შემოსა. იგინი იქმნენ „მოქალაქედ“ წოდებულნი თფილისისა, გვამნი დარბაისელნი და ერთგულნი ვაჭარნი მეფისა და ერისა, ვინაიდგან ხანდისხან მეფე მათ ვაჭრობის მგზავრობის დროს აქა-იქ სამეფო საქმეების გამო ქალაქებსაც კი ატანდა, მაგალითებრ, თვით რუსეთის კარისადმი, სპარსეთის და ოსმალეთის“ [დანიბეგაშვილი, 1950: 86].

ქართველი მეფეებისთვის უპირველეს ამოცანად რჩებოდა მოკავშირის გამოძებნა, ჯერ კიდევ ვახტანგ VI ძალას არ იშურებდა რუსეთთან დასაკავშირებლად. თეიმურაზ II და ერეკლე II-ც ცდილობდნენ ერთმორწმუნე რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარებას. 1781 წელს მეფე ერეკლე II-ს ევროპის სახელმწიფოებთანაც ჰქონდა მიმოწერა. საბოლოოდ მოვლენები ისე განვითარდა რომ მეფე ერეკლემ რუსეთს სთხოვა მფარველობა და 1783 წ. 24 ივლისს ხელი მოეწერა ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატს. მეფე ერეკლე ამის მერეც ცდილობდა სხვა ქვეყნებთან კავშირის დამყარებას. სწორედ ეს მოტივაცია ჰქონდა მამა-შვილი დანიბეგაშვილების ინდოეთში გაგზავნას. 1798 წელს გარდაიცვალა მეფე ერეკლე. 1799 წლის ნოემბერში საქართველოში შემოვიდა რუსეთის ჯარი, 1800 წლის დეკემბერში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. ხოლო 1801 წ. 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოსცა მანიფესტი, რის საფუძველზეც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და აქ რუსული მმართველობა დამყარდა.

ამ პერიოდში რუსეთისა და ინგლისის ინტერესების შეჯახებაც. ინგლისი თანდათანობით იპყრობდა ინდოეთს და ავღანეთითა და თურქეთითაც საკმაოდ იყო დაინტერესებული. ასეთ ვითარებაში რუსეთს რასაკვირველია სჭირდებოდა გამოცდილი და საქმეში ჩახედული ადამიანი რომელიც მოახსენებდა მას ინდოეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. სწორედ ასეთი იყო რაფიელ დანიბეგაშვილი და მისი ბოლო სამი მოგზაურობა უკვე რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა. ამრიგად, დანიბეგაშვილების მოგზაურობა ორ პერიოდად უნდა გაიყოს, პირველი – როდესაც დანიბეგაშვილები ქართლ-კახეთის მეფეების დავალებით მოგზაურობდნენ და მათ ინტერესებს ემსახურებოდნენ, ამ პერიოდს მიეკუთვნება რაფიელის მამის, იოსებ დანიბეგაშვილის პირველი მოგზაურობა, რომლის დათარიღებაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ამ მოგზაურობის დროს მან ერეკლე მეფის დავალებით *შამირ ალას* წაუღო სოფელ ლორეს ბოძების სიგელი, მეორე მოგზაურობა 1786-1787 წლებში, როდესაც მან თავადობის სიგელი წაუღო *შამირ ალას*, და რაფიელ დანიბეგაშვილის პირველი ორი მოგზაურობა ინდოეთში, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო 1795-96 წლებში და 1797-98 წლებში, ამ ორი მოგზაურობის მარშრუტებსა და მიზნებან დაკავშირებით ცნობები არ გვაქვს. ხოლო მოგზაურობათა მეორე პერიოდი, როდესაც რაფიელი უკვე რუსეთის ინტერესებს ემსახურება, მოიცავს რაფიელ დანიბეგაშვილის კარგად ცნობილ მესამე მოგზაურობას, რომელიც განხორციელდა 1799-1813 წლებში. სწორედ ეს მოგზაურობა გამოსცა რაფიელმა წიგნად, რუსეთის სამსახურში განახორციელა რ. დანიბეგაშვილმა აგრეთვე თავისი მეოთხე (1815-1820 წწ) და მეხუთე (1822-1827 წწ) მოგზაურობებიც. სამივე მოგზაურობა ემსახურებოდა რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის საჭირო ინფორმაციის (შუა აზიაში გასატარებელი პოლიტიკის შემუშავებისათვის) მოძიებას.

ცნობებს ჩინეთის შესახებ ვხვდებით დანიბეგაშვილის მესამე მოგზაურობის ჩანაწერებში – *„ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში“*, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1815 წელს [*Путешествие в Индию, 1815*].¹ ეს წიგნი რაფიელს დაუწერია ქართულად და შემდეგ უთარგმნია რუსულ ენაზე, მაგრამ დედანი დაკარგულა. ამ ნაშრომში რაფიელ დანიბეგაშვილმა აღწერა საკუთარი მოგზაურობა, რომელიც განახორციელა 1795-1813 წლებში. რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა აზიის ქვეყნებში ქართული გეოგრაფიული აზროვნებისა და მოგზაურობათა ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. მისი *„მოგზაურობა“* არაერთხელ გამოიცა, მათ შორის: რუსულ, ქართულ, ინგლი-

¹ აღნიშნული წიგნი კიდევ ერთხელ გამოიცა 1969 წელს ცნობილი ქართველი მეცნიერის *ლევან მარუაშვილის* წინასიტყვაობით და კომენტარებით [იხ. *Маруашвили, 1969*].

სურ ენებზე და ჰინდიზე, 1964-1969 წლებში აღმოჩნდა ახალი მასალები რომლითაც შეივსო ბიბლიოგრაფია რ. დანიბეგაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

რაფიელ დანიბეგაშვილი თავის ნაშრომში წერს: „1795 წლის მარტის მე-15 დღეს წარგზავნილი ვიყავი საქართველოს მეფის ერეკლეს მიერ ინდოეთს შემდეგი გარემოების გამო“.¹ ჩანაწერებში უმეტესად მოთხრობილია მხოლოდ მესამე მოგზაურობის შესახებ, რასაც ადასტურებს მასში ასახული მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც 1800 წლის შემდგომია განვითარებული [**ზარდალაშვილი, 1971: 7**]. რ. დანიბეგაშვილმა ამ მოგზაურობის დროს გაიარა ახალციხე, არზრუმი, მუში, არღანი, ფალა, მერტინი, დიარბექირი, მოსული, ბაღდადი. აქედან თხუტმეტ ღლეში მივიდა სპარსეთის ყურეში ქალაქ ბასრაში, შემდეგ მასკატში. მასკატიდან ოცდაათი დღის შემდეგ მიაღწია ბომბეის, საიდანაც მოგზაური ზღვით გაემგზავრა ცეილონის კუნძულზე, ქალაქ კოლუმბში.² აქედან კი აღმოსავლეთისკენ განაგრძო გზა და მიაღწა ოკეანისპირა ქალაქ მანარს, შემდეგ ზღვით გაემგზავრა ბონდოჩერში, იქიდან თრაკბერში, და შემდეგ ჩააღწია მადრასში. აქედან 15 დღეში ჩავიდნენ ბეკუში (იგივე რანჰუნში), რომლის მკვიდრნი დანიბეგაშვილმა გარეგნობთ ჩინელებს მიამსგავსა. იქიდან კი ქალაქ კალკუტაში (კალკადა) გაემგზავრა. მოიარა ქაშმირი, გადავიდა ტიბეტში და დაწვრილებით აღწერა იქაურ მაცხოვრებელთა წესჩვეულებები. კერძოდ, აღნიშნავს, რომ სიღარიბის გამო აქაური მაცხოვრებლები შვრიის, რძის და კარქისგან დამზადებულ საჭმელს მიირთმევენ ძირითადად, აგრეთვე აღნიშნავს ერთ მეტად უცნაურ ჩვეულებას: „*თუ სახლში სამი ან ოთხი ძმაა, მათ ცოლად ერთი ქალი ჰყავთ. მათგან ნაშობი შვილი უფროსი ძმის სახელს ატარებს, და მხოლოდ მას თვლის თავის მამად*“ და განაგრძობს: „*აქ ბევრია ჩაი. შალის დასამზადებლად საჭირო მატყლს ქალაქ ლასიდან უზიდებიან. ყველა რბილი ტვირთი, რაც აქ შემოდის, მოაქვთ ცხვრებით... ტიბეტში ბლომად შეიძლება გასაღდეს რუ-*

¹ ეს გარემოება კი ასეთი იყო, მადრასში ცხოვრობდა მდიდარი ახალ-ჯულფელი სომეხი – ხოჯა სულთან დავითის შვილი იაკობ სულთანუმისანი შემდგომში (შაჰამირინცის) შამირ-აღას სახელით ცნობილი მილიონერი (იაკობის მამა ერეკლე ბატონიშვილის ამაღლაში მონაწილეობდა, როდესაც იგი ნადირ-შაჰს ახლდა ინდოეთის ლაშქრობაში), რომელიც მეფე ერეკლეს ყოველწლიურად უგზავნიდა საჩუქრებს. ამის სანაცვლოდ მეფემ მას ერთი დიდი სოფელი ლორე უბოძა, თუმცა იქ ჩასულ რაფიელს ეს სომეხი კაცი გარდაცვლილი დახვდა და მის ვაჟს გადასცა მეფის მიერ ბოძებული მფლობელობის სიგელი. აქვე უნდა აღინიშნოს, ერთი გარემოება, ერეკლე II-მ შამირ-აღას სიგელი ლორეს გადაცემის თაობაზე 1775 წელს, ხოლო თავადობა 1786 წელს უბოძა და ორივე სიგელი არა რაფიელმა, არამედ მისმა მამამ, იოსებმა წაიღო. ამის გათვალისწინებით, ფიქრობენ, რომ „*მოგზაურობაში*“ ნახსენები თარიღი (1795 წელი) არ არის სწორი და თუ მან ასეთი შინაარსის სიგელი წაიღო, შესაძლოა ეს იყო გიორგი XII-ის სიგელი, რომლითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ერეკლე II-ს მიერ გაცემული სიგელი ლორეს ბოძებაზე. შესაძლოა რომ ეს პირველი აბზაცი შეთხზული იყოს მოგზაურობის ნამდვილი მიზნების დასაფარად. პირველი აბზაცის გარდა აღარსადაა ნახსენები მოგზაურობის ეს მიზანი [იხ.: **ზარდალაშვილი, 1971: 7, 52-54**].

² რ. დანიბეგაშვილის მიხედვით კოლუმბი – ძველად კალანტოდა – ცეილონის დედაქალაქი (1815 წლიდან), მდ. კელანის შესართავთან [**ზარდალაშვილი, 1971: 61**].

სული აბრეშუმის ოქრომკედლიანი ქსოვილი, რასაც დიდი ხალისით ყიდულობს ჩაბად წოდებული ხალხი“ [ზარდალაშვილი, 1971: 34].

დანიბეგაშვილი იქიდან იარკენდში (მდებარეობს ჩინეთის პროვინციის სინძიანის სამხრეთ ნაწილში) გადადის, სადაც ადგილობრივებისგან შეიტყობს, რომ ისინი 50 წლის წინ ჩინგიზ-ხანის შთამომავალ თათრებს ემორჩილებოდნენ, მოგზაური აღნიშნავს, რომ თუმცა ისინი მაჰმადიანები არიან, მაინც ჩინელებს მიეკუთვნებიანო. „აქ ორი ათასზე მეტი ჩინელი ჯარისკაცია თავის მეთაურებთან ერთად... და დაახლოებით სამი ათასი ჩინელი, რომელიც ვაჭრობას მისდევს“ [ზარდალაშვილი, 1971: 35]. ამ ქალაქის აღწერისას რ. დანიბეგაშვილი ახსენებს „უცნაურ მტვერს“, რომელიც „წვიმასავით მოდის ზევიდან“, აგრეთვე საუბრობს სინესტის გამო გაჩენილ მოწითალო ფერის მომაკვდინებლად მხამიან მწერებზე, რომლებსაც ადგილობრივები კორბიტს უწოდებენ, აგრეთვე დასძენს: „ნახსენები მტვერი ისეთი სიხშირით მოდის ზევიდან, რომ შვის სხივებიც კი ვერ ატანს მასში და ხანდახან ასე 7 და 8 დღეს გრძელდება. მტვერი იმდენად წვრილია, რომ უწვრილეს ჭურჭრულანშიც კი აღწევს“ [ზარდალაშვილი, 1971: 36].

რ. დანიბეგაშვილი აღნიშნავს, რომ იარკენდის გარდა „ჩინელებს უპყრიათ შემდეგი ქალაქები: ხუდანი, გამგირი, ახსუ, ურობანი და ილი. თითოეულ მათგანში ზის ჩინელი მმართველი, რომელთა თანამდებობა ისეთივეა, როგორიც იარკანტის მთავარმართებლისა. ქალაქ ილიში ან კულჯაში¹ ბევრი ჩინელია. მათი რიცხვი აქ ათი ათასზე მეტია. ამ ქალაქში მყოფი ჩინელები მეტისტუმეტად ზარმაცნი არიან. მათი დროსტარება მხოლოდ თამბაქოს წევაა, ამასთანავე ამაყნი არიან, ადგილობრივ მცხოვრებთ ამ ქალაქიდან არ შეუძლიათ უპასპორტოდ გასვლა, რადგან ძალზე ბევრი ზედამხედველია. ეს ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც ჩინელები თვითნებობის აღსაკვეთად იყენებენ“ [ზარდალაშვილი, 1971: 37].

რაფიელ დანიბეგაშვილი აქედან გამგზავრებიდან 13 დღეში ჩავიდა ქალაქ ახსუში,² რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა, ერთი ჩინელებით იყო დასახლებული მეორე კი მაჰმადიანებით, და ისინი ერთმანეთში ვაჭრობას ეწეოდნენ. იქიდან კი სამ დღეში ჩავიდა ტურფანში,³ რომელიც არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ღირსშესანიშნაობებით. ტურფანი-

¹ ილი სადგურია თურქეთისტან-ციმბირის რკინიგზაზე. კულჯა – დასავლეთ ჩინეთის პროვინციის – სინძიანის – ქალაქი [დანიბეგაშვილი, 1950: 119].

² ახსუ-აკსუ – დასავლეთ ჩინეთის პროვინციის – სინძიანის ქალაქი [დანიბეგაშვილი, 1950: 120].

³ სოლომონ იორდანაშვილი ისტორიულ-გეოგრაფიულ კომენტარებში აღნიშნავს, რომ ეს არის კუნია-ტურფანად წოდებულ საბოქაულოს მთავარი ქალაქი, რომელიც „შედგება ერთმანეთისგან 1 ვერსზე დაშორებულ ორი ქალაქისგან, ერთში ადგილობრივი მაჰმადიანები მოსახლობენ, იგი შეადგენს მდიდარ ტურფანისოლის სავაჭრო ცენტრს. მეორე ქალაქში ჩინელები და მანჯურიელები ცხოვრობენ. აქვეა ჩინელ ხელი-სუფალთა რეზიდენცია“ [დანიბეგაშვილი, 1950: 119].

დან სემიპალატიში, სადაც რ. დანიბეგაშვილის მონათხრობით, მოგზაურებისთვის დარჩენა სასიფათოა რადგან იქ ძარცვა-გლეჯვას ეწევიანო. რ. დანიბეგაშვილი სემიპალატიდან ომსკში გადადის და იქ ხვდება გენერალ გლაზუნას,¹ ომსკის ციხე-სიმაგრის შემდეგ ჩადის მოსკოვში – მაკარიას² გავლით. რაფიელ დანიბეგაშვილი ძალიან დაკვირვებულია და თავის ირგვლივ მოვლენებსაც აქტიურად სწავლობს, იგი ფლობს რამდენიმე ენას (სულ მცირე ქართულს, რუსულს, სომხურსა და თურქულს). ცხადია, რომ ამ მოგზაურობის დროს იგი უკვე რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება, ამდენად, იგი არა მხოლოდ საქართველოს არამედ რუსეთის ისტორიისთვისაც მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს – „იგი 15 წლის განმავლობაში ვაჭრის ნიღბის ქვეშ ზვერავდა ინგლის-რუსეთის პოლიტიკური ინტერესების შეჯახებას აზიაში“ [მარუაშვილი, 1956: 10].

რაფიელ დანიბეგაშვილი 1815-1825 წლებშიც იმყოფებოდა მოგზაურობაში – ამჯერად უკვე რუსული დიპლომატიური მისიის შესასრულებლად, რომლის მიზანი იყო ყირგიზებს მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა. დეტალები, მათ შორის ცნობები ჩინეთის შესახებ, ირკვევა სემიპოლატის კომენდანტის პოდპოლკოვნიკ კემპენ მე-2-ს 1820 წ. 28 ივლისის პატაკიდან, ეს არის „სემიპოლატინსკის ციხესიმაგრეში ჩასული საზღვარგარეთ სავაჭრო საქმეებზე მყოფი ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგოვისგან ჩამორთმული ანგარიში საზღვარგარეთული მდგომარეობის შესახებ“. დანიბეგაშვილი ამ დაკითხვის ოქმში იუწყება, რომ 1815 წლის 11 ოქტომბერს ის სემიპოლატის საბაჟოს გავლით სავაჭროდ გაემგზავრა ქამირში, საიდანაც გადავიდა ტიბეტში, იარკენდში, აქსუმი და ჩავიდა ჩინეთის ქალაქ ყულჯაში,³ „ხოლო აქედან უსაფრთხო მგზავრობისათვის თხოვნით მივმართე მდინარე ილიზე მყოფ სულთან აბლასს, რომელმაც აგრეთვე გამომიგზანა თავისი წერილი ჩინელი გუბერნატორის სახელზე თხოვნით, რათა მე გავეშვი მათ საზღვარზე...“ – აღნიშნავს რ. დანიბეგაშვილი [ზარდალაშვილი, 1971: 43]. შემდეგ ის წერს, თუ როგორ დაარწმუნა ყივჩაღები და სხვადასხვა თემების ყირგიზები რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე და როგორ დააფიცა ისინი ყურანზე. ახლა კი სანქტ-პეტერბურგში გამგზავრებაზე ითხოვდა ნებართვას [ზარდალაშვილი, 1971: 44].

რაფიელ დანიბეგაშვილის მეხუთე მოგზაურობის (1822-1827 წლებში) შესახებ ორენბურგის სასაზღვრო კომისიის თავმჯდომარემ გრიგოლ თევდორუს ძე გენსმა გააკეთა ჩანა-

¹ გრიგოლ ივანეს ძე გლაზუნაჰი (1750-1819). ციმბირის ხაზის უფროსი. ამ თანამდებობაზე მას შეხვდა ომსკში ინდოეთიდან დაბრუნებული (1813 წ.) რ. დანიბეგაშვილი [დანიბეგაშვილი, 1950: 121].

² მაკარია – ქალაქი ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში, მდებარე ვოლგის მარცხენა ნაპირზე [ზარდალაშვილი, 1971: 74].

³ კულჯა (ყულჯა), ძველად ინინი, XVIII საუკუნის ნახევრიდან ილი – ქალაქი მდ. ილიზე, სინძიან-უიღურეთის ავტონომიურ რაიონში, ძველად რუსეთიდან ცენტრალური აზიისაკენ მიმავალი გზის დასაწყისი პუნქტი [ზარდალაშვილი, 1971: 73].

წერი: „ქართველი აზნაურის, გუბერნსკი სეკრეტარის რაფაილ იოსებს ძე დანიბუკოვის ნაამბობი: „დანიბუკოვი, რომელმაც 1795 წელს საქართველოდან იმოგზაურა სპარსეთით, ინდოეთით, ტიბეტითა და ჩინეთის თურქეთისტანით, მოვიდა რუსეთში, 1822 წლის დამდეგს ხელახლა მოახდინა მოგზაურობა. ის გაემგზავრა ასტრახანიდან“ [ზარდალაშვილი, 1971: 49].

რ. დანიბუგაშვილმა რამდენჯერმე გადაიარა მსოფლიოში უმაღლესი უღელტეხილები ქაშმირისა და დასავლეთ ტიბეტის ტერიტორიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მან კარგად იცოდა ხიფათით სავსე ყარაყორუმის სავალი გზები დასავლეთ ჩინეთიდან ქაშმირამდე. მის მიერ აღწერილი ქალქები სამხედრო სტრატეგიულ აღწერას წააგავს. მას აღწერილი აქვს „ციხესიმაგრეები, იქაური მცხოვრებნი, ეროვნული შემადგენლობა, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი რელიგიური რიტუალები და საკულტო ადგილები, მმართველობის სისტემა, ჯარების რაოდენობა და განლაგება, ინგლისელ კოლონიზატორთა საქმიანობა. წიაღისეული სიმდიდრეები, მდინარეები და ტბები, ჰავა და მისი სარგებლიანობა, მცენარეები და მათი გამოყენება, ცხოველები, ქვეწარმავალნი და მწერები, ვაჭრობა და საქონლის სახეობანი. მანდილი (სავალი დღე) არა მარტო მის მიერ ნახულ ქალაქებს შორის, არამედ მეზობელი ქვეყნების დიდ ქალაქებამდე და ა.შ.“ [ზარდალაშვილი, 1971: 97].

მოგზაურის მიერ მოწოდებული ცნობები ზოგან უზუსტობებს შეიცავენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი თხრობა ნაწილობრივ ზეპირად გამოცემებსაც ეყრდნობოდა, თუმცა მის მიერ მოწოდებულ ცნობების უმრავლესობა ზუსტია და მნიშვნელოვანია აზიის ხალხთა ყოფის შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ მის ჩანაწერებში ცნობების უმრავლესობა მოგვითხრობს ინდოეთზე, აქ მოცემულია ჩინეთის რამდენიმე ქალაქის დახასიათებაც, რაც ესოდენ ძვირფასი მასალა იყო იმ პერიოდის ქართველი მოგზაურებისა თუ პოლიტიკოსებისთვის, ჩინეთზე და ჩინელების ცხოვრების წესზე, მათ ზნე-ჩვეულებებზე წარმოდგენის შესაქმნელად.

თავი III. ქართულ-ჩინური კონტაქტები XX საუკუნეში

§1. ჩინელები საქართველოში – ლიუ წვენჭოუ (ლაო ჯინჯაო) და მისი წვლილი ქართული ჩაის განვითარებაში

XIX ს. ბოლო და XX ს. დამდეგს თავისი მოღვაწეობით საქართველოს თავი დაამახსოვრა ლიუ წვენჭოუმ. მას ზოგი ლაო ჯინჯაოს, ზოგი ლაო ჯონჯაოს უწოდებს, თანამედროვე ტრანსლიტერაციის წესების მიხედვით – ლიუ წვენჭოუ. მისი სახელი საქართველოში ჩინური ჩაის¹ შემოტანასთან ასოცირდება. ლიუ წვენჭოუს მიერ 1900 წელს გამოყვანილ ჩაის „საუფლისწულო ჩაის“, ხან „ლაო-ჩაის“ [შავლაძე, 2012; ლიუ-ყანდარელი, 1987: 66; Chichkina, 2016] უწოდებდნენ. მის სახელს ასევე უკავშირდება ჩაის ნერგების ორანჟერეისა და ჩაის გადამამუშავებელი პირველი მცირე ფაბრიკის შექმნა [კვაჭაძე, 2014].

XX ს. II ნახევარში აჭარის ზღვისპირა ზოლი ხშირი, გაუვალი ტყით და ბუჩქნარით იყო დაფარული, მოსახლეობა, რამდენიმე კომლებისგან შემდგარი სოფლებიდან ერთმანეთს ბილიკებით უკავშირდებოდა, სანაპირო ზოლი ჭაობებს მიჰქონდა და მალარიის ბუდედ ითვლებოდა. რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წწ.) და აჭარის დედა-სამშობლოსთან რეინტეგრაციის შემდეგ, რეგიონში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. XIX ს. 90 იან წლებში საუფლისწულო უწყებამ ბათუმის ოლქში დიდძალი მამული შეიძინა და სუბტროპიკული მეურნეობების მოწყობას შეუდგა. ჩაქვის საუფლისწულო მამულის მოწყობა 1895 წლიდან დაიწყო. აქ მთავარი დარგი ჩაის და სუბტროპიკული კულტურების გაშენება იყო [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 96]. საქართველოში ჩაის და სუბტროპიკული კულტურების გაშენების სამრეწველო-ეკონომიკური პერსპექტივა რუსეთის იმპერიამაც სწორად შეაფასა, რაც სობხუმის, ქუთაისის და სალხინოს ბაღების გაშენებას დაედო საფუძვლად [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 96].

ჩაის ჩინეთიდან შემოტანის დაწყებას ასეთი ისტორია აქვს: ბოტანიკოს ზედელიცის (რომელიც ჩაის კულტურაში კარგად ერკვეოდა) მიერ პეტერბურგში საერთაშორისო კონგრესზე წაკითხული მოხსენების შემდეგ ჩინეთიდან ჩაის ჩამოტანით დაინტერესდა ჩაქველი მემამულე თადარიგის ინჟინერ-პოლკოვნიკი ა. სოლოვცოვი, 1884 წელს მან ბათუმელ თანამოაზრეებთან ერთად მთავრობას სთხოვა ჩინეთიდან ჩაის თესლის და მეჩაიე სპეციალისტების ჩამოყვანა, ა. სოლოვცოვს იგივე უთხოვია ადმირალ ნიკოლაი ჩინხაჩოვისთვი-

¹ ცნობები ჩაის შესახებ ჩინეთში ჩნდება ჯერ კიდევ ძვ. წ. XI საუკუნიდან. „ჩა წინ“ – ტრაქტატი ჩაის შესახებ ძვ. წ. II ათასწლეულს მიეკუთვნება [დალუნდარიძე, ლიუ-ყანდარელი, 2003: 10]. ისტორიული ჩანაწერებით ირკვევა, რომ თანის ეპოქაში (618-907 წწ) მეჩაიეობამ ფართო გავრცელება ჰპოვა, ხოლო ხუნის ეპოქაში (960-1279 წწ.) არნახულ წარმატებას მიაღწია. ჩინელებს ჩაი ოდითგანვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაჰქონდათ აბრეშუმის გზით. ჩინეთიდან ჩაის საქმის მცოდნის ჩამოყვანის აუცილებლობას განაპირობებდა ისიც, რომ რუსეთს ჩინეთიდან ჩაის შემოტანა ძვირი უჯდებოდა, თვითონ პროდუქტის სიძვირის და ჩინეთამდე მანძილის სიშორის გამო [გოგუა, 2010: 25].

საც, რომელმაც ეს თხოვნა შეუსრულა და თავის მამულშიც გააშენა *სოლოვცოვის ჩაი*. აქედან იწყება საქართველოში ჩინეთიდან შემოსული პირველი ჩაის პლანტაციის ისტორია. ჩაის კულტურის გაშენებით 1880 წლიდან დაინტერესებული იყო ასევე *კონსტანტინე პოპოვი*, რომელმაც ამ მიზნით ჩინეთში იმოგზაურა და ნანჯოუს პროვინციაში გაიწყო ჩაის ცნობილი სპეციალისტი *ლიუ წვენჭოუ* (წყაროს მიხედვით *ლაო ჯონ-ჯაუ*) და შესთავაზა მას 10 ჩინელი სპეციალისტთან ერთად ჩამოსულიყო საქართველოში და ამ საქმისთვის მიეხედა **[Ли, История чая в России]**. ისიც დათანხმდა და 1893 წელს სპეციალისტებთან და ჩაის ნერგებთან (თესლებთან) ერთად ჩამოვიდა საქართველოში. ჩინელებმა 3 წლის განმავლობაში 80 ჰექტარზე გააშენეს ჩაის პლანტაციები და ჩინური ტიპის ჩაის ფაბრიკაც ააშენეს.

ჩაქვი საუფლისწულო მამულის დაარსების იდეა დაებადა სწავლულ-აგრონომ *ივანე კლინგენსაც*,¹ მან კავკასიის მთავარმართებელს *გრიგორი გოლიცინს* სთხოვა ჩაქვი სუბტროპიკული მამულის გაშენების ნებართვა, ისიც დათანხმდა და ჩინეთში, ინდოეთში ცვილონში, ალექსანდრიაში და იაპონიაში ი. კლინგენის მეთაურობით ჩაის გაშენების და მისი დამზადების შესასწავლად დელეგაცია გაგზავნა. ექსპედიციამ დიდი რაოდენობით ჩაის ბუჩქი და თესლი ჩამოიტანა. ამის შემდეგ 1899 წელს ჩაქვი ახალი ფაბრიკა ააგეს სადაც საუფლისწულო მამულების უფროსმა, თავადმა *ვიქტორ კოჩუბეიშ* ი. კლინგენის ინიციატივით სწორედ *ლიუ წვენჭოუ* მიიწვია დირექტორად, მის მიერ დამზადებულმა ჩაიმ კი პარიზის გამოფენაზე ოქროს მედალი მოიპოვა **[აბულაშვილი, 2013: 9]**.

ლიუ წვენჭოუ დაბადებულია 1870 წ. 23 დეკემბერს კანტონის პროვინციაში – დიდგვაროვანთა ოჯახში; 18 წლის ასაკში მემკვიდრეობით კაპიტნის წოდება მიუღია და ამ ჩინით შესულა ჩინეთის ცხენოსანთა ჯარში, მაგრამ სამხედრო სამსახურისთვის თავი მალევე დაუნებებია და ჩაის ფაბრიკაში დაუწყია მუშაობა. თურმე დედამისს ეშინოდა მისი ფიცხი ხასიათის გამო რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა, მითუმტეს რომ *ლიუ წვენჭოუ* განსხვავებულად მოაზროვნეთა საზოგადოებაში ჰყავდათ შემჩნეული, თანაც ის იცნობდა კანტონელ რევოლუციონერებს, რომლებმაც შემდგომში ჩინეთში დიდი რევოლუცია მოხდინეს **[ლიუ-ყანდარელი, 1987: 64; დადუნდარიძე, ლიუ-ყანდარელი, 2003: 30-51]**. *ლიუ წვენჭოუ* რწმენით ბუდისტი ყოფილა. ის დაქორწინებულია *ოუტ ვაზე*, რომელთან შესძენია ორი ვაჟი – *ლაო (ლიუ) სიუჯაო* და *ლაო (ლიუ) ვეიჯაო* და ოთხი ქალიშვილი: *კიუნა, მოია, ნოო, სანსანი* **[ლაო ჯინ ჯაოს „ანკეტა“, 2015]**. 23 წლის *ლიუ წვენჭოუ კონსტანტინე პოპოვის*² მოუწვევია ჩინეთიდან. საქართველოში მას სამართავად გადასცეს რამდენიმე მამული – „*ნაკრძალი*“ (კაპ-

¹ იმ პერიოდში ამიერკავკასიის ყოფილი საუფლისწულო მამულის ინსპექტორი **[Ластовка, Былов, 1949: 86-90]**.
² *კონსტანტინე სერგეის ძე პოპოვი* – ცნობილი რუსი მეწარმე, რუსეთში ჩაის წარმოების ენთუზიასტი, რომელმაც ჩაქვი შეიძინა 300 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი ჩაის გასაშენებლად [მის შესახებ ვრცლად იხ.: **Ли. История чая в России]**.

რეზუმში), „სალადობო“ (სალიბაურში) და „საამო“ (ჩაქვი). აჭარის საარქივო სამმართველოში მოძიებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ: „*ლათ ჯინ ჯაო 1893 წლის 4 ნოემბერს ჩამოსულა ბათუმში, ცხრა ჩინელ ჩაის სპეციალისტთან ერთად. თვითონ ლათ აღნიშნავს, რომ ერთი ამათგანი სამშობლოში დაბრუნებულა, მიზეზთა გამო, ხოლო დანარჩენი ბათუმში დაღუპულა მალარიით. ამ დროისათვის ლაოს ჩინეთიდან ჩამოუტანია რამდენიმე ათასი ჩაის ორიგინალური ნერგი და ასობით ფუთი ჩაის თესლი.*¹ ერთდროულად მუშაობა დაუწყია სამ მამულში და უკვე სამ წელიწადში ორასი ფუთი ჩაიც მოუწვია. ამის შემდეგ ჩქარი ტემპით წასულა საქმე წინ თან წარმატებით, 1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ლათ ჯინ ჯაოს (ლაიუ წვენჭოუს) გამოყვანილ ჩაის ოქროს მედალი მოუპოვებია – „მსოფლიოში საუკეთესო კავკასიური კონსტანტინ ჰოპოვის ჩაისთვის“ [ლაო ჯინ ჯაოს „ანკეტა“, 2015; კვაჭაძე, 2014; ძიანი, 2012: 4; Ремезов, 2021]. ოქროს მედალზე ეწერა – „კავკასიის ჩაი მსოფლიოში საუკეთესოა“ [კვაჭაძე, 2014; გოგუა, 2010: 27]. აღსანიშნავია რომ ჩაის გაშენებას XX ს. დამდეგიდან ხელი მოჰკიდა გლენობამაც [გოგუა, 2010: 27]. 1901-1903 წლებში ქ. გლაზგოსა და ქ. რეიმსში მოწყობილ გამოფენაზე კიდევ უფრო გაითქვა სახელი ქართულმა ჩაიმ [გოგუა, 2010: 27].

ლიუ წვენჭოუს მიერ ჩაქვი მოყვანილი ჩაი საუკეთესოდ ითვლებოდა რუსეთის იმპერიაში. აღსანიშნავია, რომ ჩაქვის საუფლისწულო მამულებში ათიოდე წლის გოგონები კრეფდნენ ჩაის ორ ნედლ ფოთოლს, რომ საუკეთესო ფოთოლი უხეშ თითებს არ დაეზიანებინათ [ლიუ-ყანდარელი, 1987: 66]. ჩაქვის ფაბრიკა ამზადებდა და უშვებდა ბაიხის ჩაის, აგურა ჩაის და ჩაის მტვერს. ფაბრიკის მუშები კმაყოფილები იყვნენ ლიუ წვენჭოუს მუშაობით [გოგუა, 2010: 27]. 10 წლიანი მუშაობის შემდეგ 1909 წლის 5 დეკემბერს ჩაის კულტურის მოშენებაში შეტანილი წვლილისთვის, ლიუ წვენჭოუ ცარისტულმა მთავრობამ წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა [ლაო ჯინ ჯაოს „ანკეტა“, 2015; Монахов, Китайский чайный мастер].² სტანისლავის ორდენზე გაკეთებულია წარწერა: „ხელმწიფე იმპერატორმა გამოთქვა სურვილი, რათა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ჩინეთის მოქალაქე ლათ ჯინ ჯაო დააჯილდოვოს სტანისლავსკის მესამე ხარისხის ორდენით“ [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 98]. 1912 წელს კი პეტერბურგში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სახელწოდებით „რუსული რივიერა“ მადლობის ფურცელიც მიიღო [დადუნდარიძე, ლიუ-ყანდარელი, 2003: 37]. 1918 წელს ლიუ წვენჭოუ უშვებს ჩაის

¹ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩაის წარმოების განვითარების მიზნით 1896 წელს ჩაქვი მოწვეულ იქნა ჩინელი სპეციალისტების მეორე ჯგუფიც. ისინი ჩამოვიდნენ ქ. ხანკოუდან (ტაი ვო ინი, ციუ ციაბი, ხეცია გუანი, ჯაო ლიუფი, ფინ ხუაიციანი და ტოსიე ძინი, მათ საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები ჩამოიტანეს [გოგუა, 2010: 27].

² სხვა მონაცემებით, ეს ჯილდო მას მიუღია 1911 წელს [ძიანი, 2012: 4; Ремезов, 2021; Chichkina, 2016].

პირადი დამლით. აღსანიშნავია, რომ ჩაქვის მამული 1918 წლიდან თურქეთის სამხედრო მთავრობის ხელში იყო, მაგრამ 1920 წელს ის ისევ საქართველოს მთავრობას დაუბრუნდა [გოგუა, 2010: 27]. მოგვიანებით (1925 წელს), უკვე საბჭოთა პერიოდში ლიუ წვენჭოუს მიღებული აქვს შრომის წითელი დროშის ორდენი [Маргиев, 2002].¹ დიდი ალბათობით ის ერთადერთი ჩინელია, რომელიც ამგვარი ჯილდოს მფლობელი გახდა [ძიანი, 2012: 4].

აჭარაში ჩინელი მეჩაიეების წარმატებით მუშაობას ხელს უწყობდა ისიც რომ ლიუ წვენჭოუმ კარგად იცოდა რუსული ენა. მან ქართული ენაც შეისწავლა და ამრიგად მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტის. მეჩაიეობამ დააინტერესა ადგილობრივი გლეხობა, რომელიც მანამდე ჩაის, როგორც სამკურნალო და დეკორატიულ მცენარეს, იცნობდა. აღსანიშნავია, რომ ჩაის გამწვანების შესახებ კონსულტაციების მისაღებად გლეხები გურიიდან, სამეგრელოდან და აფხაზეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ [გოგუა, 2010: 26].

ლიუ წვენჭოუ იცნობდა ბათუმის ქალაქის თავს ივანე ანდრონიკაშვილსაც. 1911 წელს მან სოფელ ჩელტაში (ჩალთაში) შეიძინა 25 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, იქ მოაშენა ჩაის და მანდარინის პლანტაციები და მოაწყო სანერგე მეურნეობა, სადაც დიდი რაოდენობის მანდარინის ნერგები გამოჰყავდა და დაბალ ფასებში ყიდდა ადგილობრივ მოსახლეობაში, რამაც ბათუმის ოლქში ციტრუსების გავრცელებას შეუწყო ხელი [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 98].

ლიუ წვენჭოუს მრავალსულიან ოჯახში როგორც ჩინური ასევე ქართული დღესასწაულებიც აღინიშნებოდა [დადუნდარიძე, ლიუ-ყანდარელი, 2003: 71-73], ქართულ მრავალხმიან სიმღერებსაც მღეროდნენ. აღსანიშნავია, რომ მის სტუმართმოყვარე ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი ადამიანები, როგორიცაა ისაკ ბაბელი, სერგეი ესენინი, კონსტანტინე ბალმონტი. იშვიათად მაგრამ მაინც ხვდებოდნენ მის ოჯახში ჩინელი ვაჭრებიც, რომლებსაც ჩინეთიდან აბრეშუმის ჩამოქონდათ გასაყიდად [ლიუ-ყანდარელი, 1987: 69-70]. ბავშვები თუმცა მოუნათლავები იყვნენ, მაგრამ ეკლესიაში დადიოდნენ და გიმნაზიაში საღმრთო სჯულს სწავლობდნენ, ამაზე შეეძლოთ უარი ეთქვათ, როგორც ჩინელებს, მაგრამ ლიუ წვენჭოუს ეს აუცილებლად მიაჩნდა [ლიუ-ყანდარელი, 1987: 72].

¹ რუსი ავტორის ნიკოლაი მონახოვის მიხედვით დაჯილდოების შესახებ ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს გამოუცია 1924 წ. 13 ნოემბერს [იხ. Монахов, Китайский чайный мастер]. როგორც ირკვევა, 1924 წელს მისი შრომის წითელი ორდენით დაჯილდოებისთვის აჭარის მთავრობამ საქართველოს მთავრობასთან იშუამდგომლა, მიმართვაში ეწერა: „მოქალაქე ლაო ჯონ ჯაუს მიუძღვის დიდი დამსახურება აჭარაში ჩაის კულტურის გავრცელების საქმეში და დღევანდელ მდგომარეობამდე მიღწეული ჩაის კულტურა მოქალაქე ლაო ჯონჯაუს თავგამოდებული ღვაწლის, ცოდნისა და დაუმრეტელი ენერჯის ნაყოფია. აჭარის რესპუბლიკის ფარგლებში არსებული ჩაის პლანტაციები, შეიძლება ითქვას პირმშო შვილია უცხოეთიდან ჩამოსული ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი უმაღლესი სპეციალისტის, მოქალაქე ლაო ჯონ ჯაუსი“ [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 98].

ასევე აღსანიშნავია, რომ *ლიუ წვენჭოუს* დიდ პატივს სცემდნენ აჭარლები, მათ ამისთვის არაერთი მიზეზი ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ქართველი ვაჭრები და მოსახლეობა საკმაოდ შევიწროვებულნი იყვნენ იმ პერიოდის ბათუმში. თურქეთის ტერიტორიიდან გამოქცეულ აჭარლებს თურქი მესაზღვრეები იჭერდნენ და თუ თურქულად ვერ ლაპარაკობდა და მხოლოდ ქართული იცოდა, ენას ორად უჭრიდნენ, ასე დამუნჯებულ და დასახინჩრებულ ადამიანებს სამსახურის შოვნა ძალიან უჭირდათ, მათ მხოლოდ *ლიუ წვენჭოუ* იყვანდა სამსახურში და ხელფასსაც ჯანმრთელი მომუშავეების თანასწორად უხდიდა. მის ღობესთან თურმე ხშირად იყრიდნენ თავს მათხოვრები, მათ ეზოში შეიყვანდნენ და ბრინჯის წვნიანით უმასპინძლებოდნენ ხოლმე [**დადუნდარიძე, ლიუ-ყანდარელი, 2003: 78; ლიუ-ყანდარელი, 1987: 69**].

ჩაქვში რკინიგზის სადგურის მახლობლად ნინოშვილის #12-ში დღესაც დგას *ლიუ წვენჭოუს* სახლი [**კვაჭაძე, 2014**], რომელიც მისთვის საგანგებოდ ააშენეს.¹ ბათუმში *ხარითონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში* დაცულია *ლიუ წვენჭოუს* წყვილი ქოში, ქუდი, რომელსაც ის ჩაიში მუშაობის დროს იყენებდა. ასევე ჩაის კულტურასთან დაკავშირებული სხვა ნივთები (ლარნაკები, ვაზები დ. ა.შ.), რომლებთანაც *ლიუ წვენჭოუს* შეხება ჰქონდა [**დუმბაძე, 2019**].

აღსანიშნავია, რომ *ლიუ წვენჭოუს* შთამომავლები დღემდე ცდილობენ საქართველოსთან და ჩინეთთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას. მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა *ლიუ ძე-ჯონგმა* საფუძველი ჩაუყარა ჩინურ-რუსულ ლექსიკოგრაფიას, *ლიუ ძე-ჯონგი* სანქტ-პეტერბურგში თარჯიმნად მუშაობის დროს რამდენჯერმე შეხვედრია თვით ლენინს, ლენინის მიერ მისთვის მიწერილი წერილი ჩინეთის რევოლუციის მუზეუმში ინახება [**ლიუ, 2021: 19; ძიანი, 2012: 4**].

როგორც *ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის* დირექტორი *თამუნა ორაგველიძე* მოგვითხრობს *ლიუ წვენჭოუს* ერთერთი შვილი, მემუარებში აღნიშნავს, რომ მას ენატრება და სიზმარშიც ხშირად ესმის ზღვის ხმაური და მატარებლის ხმა; იხსენებს იმასაც თუ როგორ აღინიშნებოდა *ლიუ წვენჭოუს* ოჯახში ჩინური დღესასწაულები სრული წესების დაცვით – ზუსტად ისე როგორც ჩინეთში (მაგალითად ბრინჯის დღესასწაულს, თეთრი სუფრით და ჩინური სამოსით), რომლებზეც სპეციალურად ეპატივებოდნენ ქართველ სტუმრებს. *ლიუ წვენჭოუსთან* ყოველთვის მოდიოდა საქართვე-

¹ აღსანიშნავია, რომ 2018-2019 წლებში საპარტნიორო ფონდის დირექტორი *დავით საგანელიძე* იმყოფებოდა ჩინეთში კომპანია *ხუახე ინტერნეშენალის* მიერ ორგანიზებულ ჩაის საერთაშორისო თანამშრომლობის ფორუმში მონაწილეობის მისაღებად, მან წარმოადგინა ქართული ჩაის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც მოიცავდა ჩაის წარმოების აღდგენას და შემდგომ რეალიზაციას, პროექტი ასევე მოიცავდა სწორედ *ლიუ წვენჭოუს* ამ სახლის, როგორც სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციას და აქ ტურისტულ-კულტურული კომპლექსის მოწყობასაც [ამის შესახებ იხ.: **საგანელიძე, 2021: 18**].

ლოს ნაღები საზოგადოება და ის მათ ახვედრებდა ჩინური კულტურის ელემენტებს, აქ ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა.

ლიუ წვენჭოუმ აჭარა 1926 წელს დატოვა და ჩინეთში დაბრუნდა [ლაო ჯინჯაოს ჩაის, 2015]. ეს მოხდა მას შემდეგ რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მას მოქალაქეობის შეცვლა მოსთხოვა. ამის შესახებ მისი შვილიშვილი, ლიუ კუანგვენი გვიამბობს: როცა „წითლები“ ბათუმში შევიდნენ, ლიუ წვენჭოუსთვის შეუთავაზებიათ, შეიცვალე მოქალაქეობა და ჩვენთან ერთადაც განაგრძე საქმიანობაო. პაპაჩემს უარი უთქვამს. – ამბობს ლიუ კუანგვენი [დაუნდარიძე, ლიუ-ყანდარელი, 2003: 51].¹ ჩინეთში დაბრუნების შემდეგ მიწები, რა თქმა უნდა, ჩამოერთვა. ჩაქვისა და მწვანე კონცხის სახლებს მთავრობა გროშებად იძენს. მოგვიანებით მწვანე კონცხზე, სადაც ლიუ წვენჭოუს აგარაკი ჰქონდა, სანატორიუმის სასადილო იხსნება. ლიუ კუანგ ვენი წერს: „კარგად მახსოვს, უკვე 60-იანი წლების ბოლოს, მე და ჩემი მეუღლე რომ დავდიოდით დასასვენებლად, ამ სასადილოს დამსვენებლები ისევ „ჩინურ სახლად“ იხსენიებდნენო“ [შავლაძე, 2012]. სანამ ლიუ წვენჭოუ თავისი ოჯახით სამშობლოში გაემგზავრებოდა, მისმა უმცროსმა ვაჟმა და ქალბატონი ლიუ კუანგვენის (მალის) მამამ ლიუ ვეიჭოუმ ქართველ ქალზე ნონა თუმშალიშვილზე იქორწინა [ლიუ-ყანდარელი, 1987: 72], შემდეგ ისინი ჩინეთში გადავიდნენ, 1958 წელს კი მათი ქალიშვილი ლიუ კუანგვენი ჩამოდის საქართველოში და იწყებს აქ მოღვაწეობას, სწორედ ის არის საქართველოში ჩინური ენის სწავლების ფუძემდებელი, დღეს ის აბრეშუმის გზის კულტურული ცენტრის თავმჯდომარე და დამაარსებელია (სადაც ჩინური წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა ხორციელდება), ასევე საქართველოში მცხოვრები ჩინელი ემიგრანტების ასოციაციის მუდმივი საპატიო პრეზიდენტი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფუძემდებელი ანდრია კრასნოვი ლიუ წვენჭოუს შესახებ წერს: „ვლადიმეროვით რა ჩაქვზე, მე არ შემიძლია არ ვთქვა რამდენიმე სიტყვა მის ღირსშესანიშნაობაზე – ჩაის ფაქტორიის გამგეზე ჩინელ ლაო ჯინ ჯაოზე, რომელსაც ბათუმელები იცნობენ ივან ივანის-ძის სახელით. ეს პიროვნება ბათუმელებში სარგებლობს დიდი სიყვარულითა და პოპულარობით. მე კარგად ვიცნობ ჩინელს, რომელიც თავიდან მსახურობდა პოპოვთან და მერე გადავიდა საუფლისწულო უწყებაში, რომელსაც გაუწია დიდი სამსახური, დააყენა რა ჩაის მოყვანა შესაბამის სიმაღლეზე. ამჟამად იგი ცხოვრობს სპეციალურად მის-

¹ როდესაც ბათუმი გასაბჭოვდა, ფილიპე მახარაძემ ლიუ წვენჭოუს შეუთავალა, თუ გინდა ღირეპტორად დარჩე საბჭოთა მოქალაქეობა უნდა მიიღო, თუმცა მან მოქალაქეობის შეცვლაზე უარი განაცხადა, მისი პროფესიონალიზმის გამო ის ფაბრიკის მმართველად მაინც დატოვეს, თუმცა ღირეპტორად ზაქარია თუმშალიშვილი, (იგი ყოფილი სამხედრო იყო და მეფის არმიის პოლკოვნიკი) მომავალში ლიუ წვენჭოუს მძახალი, დანიშნეს, ზაქარიამ და ლიუ წვენჭოუმ კარგად გაუგეს ერთმანეთს [ლიუ-ყანდარელი, 1987: 71-72].

თვის აშენებულ სახლში, ყავს საკუთარი ცხენები და მოსამსახურე. მან დიდი ხნის წინათ ჩამოიყვანა მეუღლე ჩინეთიდან და ზრდის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს ბათუმის სასწავლო დაწესებულებებში. დღემდე იგი ატარებს ეროვნულ ტანსაცმელს. გააერთიანა რა თავის თავში ლაპარაკის სიმკვირცხლე, თავაზიანობა, ფხიანობა, ენერგია და ზეციური იმპერიის დაუცხრომელი შვილის თვისებები. მან ამაჯდროულად აითვისა განათლებული და საქმიანი კაცის მეთოდები და ქმედითი პრინციპები. მისი ქცევა ჰუმანურია, განკარგულება – საქმიანი და მოფიქრებული. მისი ბინა მოწყობილია გემოვნებით, ევროპული კულტურის შერწყმით თავისებური შორეული აღმოსავლეთის დეკორაციასთან. ეს გულთბილი მასპინძელი როცა უმასპინძლდება მრავალრიცხოვან სტუმარს, იგი ყოველთვის ინარჩუნებს სალაპარაკო თემას. მისი ცოლი, რომელიც ასევე შემოსილია ჩინური ტანსაცმლით, ბრწყინვალედ ლაპარაკობს რუსულად, რაც შეეხება შვილებს, მათ ქცევას და საუბარს ვერ განასხვავებთ ბათუმის მცხოვრებლებისაგან. ქარხნის საქმიანი ადმინისტრატორი ლაო ჯონ ჯაუ ბათუმის მხარის მხურვალე პატრიოტია, ბრწყინვალედ შეეთვისა მოსახლეობას“ [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 97-98].

ლიუ წვენჭოუმ დაგვიტოვა ჩაის პლანტაციების დამუშავების და მზა პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ თავისი დაკვირვებების საფუძველზე გაკეთებული ჩანაწერები. აი რას წერდა ის: „ბათუმში მე 30 წელი მივუძღვენი ჩაის საქმეს და მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმის ოლქში შეიძლება დამზადდეს ჩაი საშუალო და მაღალი ხარისხის, ვიდრე ჩინეთსა და ცვილონში. კერძოდ შეიძლება დიდი წარმატებების მიღწევა, რისთვისაც ჩაის პლანტაცია საჭიროებს სწორ გასხვლას, გადაბარვას და რაც მთავარია ფოთლის სწორად...“ [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 99].

ლიუ წვენჭოუს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურების შესახებაც. მათგან აღსანიშნავია მისი დებულება ჩაის პროდუქციიდან კოფეინის და ტანინის მიღების თაობაზე, რაც პირველად სწორედ მან შეისწავლა. ზამთრის პერიოდში მოკრეფილ ჩაის ლაოს (ლიუს) საპატივცემულოდ მისი სახელით მოიხსენიებენ. დღესაც ბევრი ამზადებს ლიუ წვენჭოუს მეთოდით დამზადებულ ციტროს მურაბას [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 99].

აი რას წერდა ლიუ წვენჭოუ თავის გამოსამშვიდობებელ წერილში სამშობლოში დაბრუნების წინ: „30 წლის წინ გამოჩენილმა რუსმა ვაჭარმა კონსტანტინე პოპოვმა გადაწყვიტა განევრცო აქ ჩაის კულტურა, ამ საქმის განხორციელებისათვის, როგორც საქმის სპეციალისტი მომიწვია მე. მივდივარ რა აქედან, მივმგზავრები რა ჩემს სამშობლოში, ჩინეთში, მე არასოდეს არ დავივიწყებ ჩემთვის ამ უსაყვარლეს კუთხეს, ვუსურვებ მას აყვავებას, სიმდიდ-

რეს, დიდ წარმატებას მრეწველობასა და ტექნიკაში, მაღალ კულტურასა და მშვიდობას. არასოდეს დავივიწყებ კეთილ დამოკიდებულებას ჩემდამი, რისთვისაც მოგიძღვნიოთ სულიერ მადლობას. მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემს ღვიძლად მიმაჩნია ამ კუთხეში ჩემს მიერ დარგული მილიონობით ბუჩქი, პალმები, ციტრუსები, ბამბუკები, აკაციები და სხვები, ყოველივე ესენი მაინც ვერ გამაჩერებენ აქ, რამდენადაც დიდი სურვილი მაქვს, დავბრუნდე ჩემს სამშობლოში და იქ გავატარო სიცოცხლის დარჩენილი დღეები“ [მაკარაძე, გოგოლიშვილი, 2020: 99-100].

ლიუ წვენჭოუმ სამშობლოში დაბრუნების წინ მუზეუმს სახსოვრად დაუტოვა ჩინური ნივთები, რომელთა ნაწილი ინახება მუზეუმის ფონდებში, ნაწილი კი გამოფენილია სტაციონარულ ექსპოზიციაში. აღსანიშნავია, რომ მუზეუმში ინახება ასევე სხვადასხვა პირებისგან შექმნილი და შეგროვებული ჩინური ნივთები. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში 60-იან წლებში იმყოფებოდა ლიუ წვენჭოუს რძალი ნონა თუმშალიშვილი. 1989 წელს კი მუზეუმს ეწვია მისი შვილიშვილი (ნონას ქალიშვილი) კუანგვენ ლიუ-ყანდარელი და მისი ბიძაშვილი სცენარისტი ვან ლი, რომელმაც გადაწყვიტა გადაეღო ფილმი ლიუ წვენჭოუს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ [გოგუა, 2010: 27].

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჯი-ეიჩ-ენის სტატია, სადაც გაჟღერდა რომ ბათუმში ჩინური სახლის აშენება იგეგმებოდა, ამ სახლს მუზეუმის დატვირთვა ექნებოდა და ჩინური მხარის დაფინანსებით უნდა აშენებულიყო და ლიუ წვენჭოუს პირადი ნივთები და ჩინური ყოფის ამსახველი ნივთები უნდა განთავსებულიყო. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ჩინეთის ელჩ ჩენ ძიენფუსა და აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრს გია აბულაძეს შეხვედრის შემდეგ. შეხვედრაზე მხარეებმა განათლების და კულტურის სფეროებში თანამშრომლობასა და ერობლივი პროექტების განხორციელებაზეც ისაუბრეს [ჯი-ეიჩ-ენი, 2011: 7].

§2. ქართველები ჩინეთში – ხარპინის ქართული სათვისტომო ხარპინში

პირველი ქართული სათვისტომო ჩინეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქ ხარპინს უკავშირდება [ჩიხლაძე, ჭილაძე, 2021: 92]. ხარპინში მცხოვრები ქართველები მონაწილეობდნენ ეკონომიკურ და სამეწარმეო საქმიანობაში, ასევე ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში და ისინი კავშირში იყვნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან [薛连举, 1998; ჩიხლაძე, ჭილაძე, 2021: 93].

1896 წელს რუსეთმა ცინგის დინასტიასთან გააფორმა „ჩინეთ-რუსეთის საიდუმლო პაქტი“, რომელიც მიხედვითაც, რუსეთი იღებდა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერი-

ტორიაზე, კერძოდ ხეილუნგძიანგისა და ძილინის პროვინციებზე ე.წ. „აღმოსავლეთ ჩინეთის სარკინიგზო ხაზის“ გაყვანის მონოპოლიურ უფლებას, რომლის ცენტრალურ ჰაბადაც სწორედ ხარპინი აირჩიეს [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 95-96]. ამ რეგიონში პოლიტიკური ავტონომიის გარდა ეკონომიკური შეღავათების დადგენამ ხარპინის მოსახლეობა კოლოსალური სისწრაფით გაზარდა, თუმცა ძირითადად რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ხარჯზე. სავარაუდოდ ქალაქის დაარსების პირველ წლებში უნდა გამოჩენილიყვნენ ქართველებიც, 1904 წელს ქართული სათვისტომო მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი ქ. ხარპინში.

1904 წელს ქართულ პრესაში ქვეყნდება ხარპინელი ქართველების წერილი, „რომელშიც ისინი რუსეთ-იაპონიის ფრონტზე გაწვეულ ჯარისკაცებს დახვედრასა და ყურადღებას ჰპირდებოდნენ“ [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 96; ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. მესხიშვილი, 2017: 39-45]. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში ხარპინის პრესაშიც დაიბეჭდა სტატია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქართველების მიერ ჩამოყალიბებული დანაყოფი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის შემოგარენის ყაჩაღური დაჯგუფებებისაგან დაცვაში. ნათელია, რომ ხარპინში უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობა იყო დამკვიდრებული და მათ კიდევ ახალი ნაკადი შეემატათ რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

ხარპინში მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი იყო ეკონომიკური შეღავათები [张葳, 2020; ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 97]. ხარპინელი ქართველობა წერილებს აგზავნიდა სამშობლოში და ოჯახის წევრებს, მეგობრებს იწვევდა [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 97]. 1912 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, რომელშიც არ შედიოდა ქალაქის გარეუბნები, ხარპინში ცხოვრობდა 183 ქართველი. რუსეთის იმპერიიდან ხარპინში ხალხის კონცენტრირებას ხელი შეუწყო რუსეთის რევოლუციებმა და არეულობებმა, ამ სიტუაციებისთვის თავის არიდების მიზნით ბევრმა ქართველმა პოლიტიკოსმა თუ უბრალო ადამიანმა თავი ხარპინს შეაფარა. ხარპინელი ქართველების წერილებიდან ირკვევა, რომ 1921 წელს ქ. ხარპინში და მის შემოგარენში უკვე 3000-მდე ქართველი ცხოვრობდა [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 97]. მათი უმეტესობა ვაჭრობით და სხვა ბიზნესით იყო დაკავებული [გიორგაძე, 2016a: 153; გიორგაძე, 2016b; ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 97-98].

ჯერ კიდევ 1905 წელს ხარპინში გაიხსნა ქართული ბიბლიოთეკა, ხოლო 1908 წელს იქვე რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრების ნიკოლოზ წულუკიძისა და ივლიანე ხაინდრავას¹ ინიციატივით დაფუძნდა „ქართველთა ნაციონალური საზოგადოება“, რომელსაც დი-

¹ ივლიანე ხაინდრავას ახალგაზრდობაში ჩაუდენია ტერორისტული აქტი, რის გამოც სახალინზე გადაუსახლებიათ. სასჯელის მოხდის შემდეგ ხარპინში დამკვიდრებულა, სადაც ტყის დამუშავების ბიზნესით იყო დაკავებული და მიღებულ თანხებს ხშირად ეროვნულ საქმეს ახმარდა [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 98].

დი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა *ივლიანე ხაინდრავა* (გარდაიცვალა 1938 წელს) [გიორგაძე, 2016a: 152; ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 97].

ქართული კოლონიის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ხარპინის საქალაქო თვითმმართველობის 60 წევრიანი საბჭოს (მასში ირჩევდნენ მაღალი ფინანსურ-ეკონომიკური ცენზის გათვალისწინებით) შემადგენლობაში 2 ქართველი შედიოდა [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 98]. ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რეგიონის კულტურულ ცხოვრებაშიც. ასე მაგალითად, ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელის ივლიანე ხაინდრავას ქალიშვილი – ლილია ხაინდრავა საკმაოდ ცნობილი პოეტი იყო. ის ავტორია ხარპინსა და მანხაიში გამოცემული რამდენიმე პოეტური კრებულისა [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 97. ლილია ხაინდრავას შემოქმედების შესახებ იხ.: Русская, 2001; Забияко., 2015: 144, 149, 154, 171, 174, 193, 196; Солодка, 2012: 29-40; Кузнецова, 2021: 72-91]. ქართული სათვისტომოს საქმიანობის მაგისტრალური მიმართულება ყოფილა ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. ამ მიზანს ემსახურებოდა ბიბლიოთეკის დაარსება, ქართულენოვანი საკვირაო სკოლის გახსნა და ა. შ. [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 98-99].

ხარპინის ქართული სათვისტომო აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. 1918 წელს ხარპინში შორეული აღმოსავლეთის ქართველთა ყრილობა შედგა, მათ ორი წარმომადგენელი გამოუშვეს საქართველოში [გიორგაძე, 2016a: 152; ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 99], საქართველოს შორეულ აღმოსავლეთთან ეკონომიკური კავშირების დამყარების გეგმა-შეთავაზებით, თუმცა გეგმა გეგმად დარჩა [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 99]. შორეულ აღმოსავლეთში საქართველოს პირველი ოფიციალური წარმომადგენლობა (საკონსულო) სწორედ რომ ხარპინში გაიხსნა და პირველი კონსული იყო ექიმი ნიკოლოზ ჯიშკარიანი. საკონსულოს მოქმედების არეალი არა მხოლოდ მანჯურიას, არამედ აღმოსავლეთ ციმბირსაც მოიცავდა [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 99]. XX ს. 20-იანი წლების დამდეგს განვითარებულმა მოვლენებმა (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საფრანგეთში გახიზვნა, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გაფორმებული შეთანხმება), გამოიწვიეს ქართული წარმომადგენლობის მუშაობის დროებით დახურვა 1924 წელს [გიორგაძე, 2016a: 160; ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 100]. მიუხედავად ამისა, ხარპინის სათვისტომოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საფრანგეთში გახიზნულ ქართულ მთავრობასთან (სანამ საფრანგეთი საქართველოს მთავრობის ლეგაციას არ გააუქმებდა); უგზავნიდა ფულად დახმარებას და იღებდა იქიდან ქართულ პერიოდიკას [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 100]. მას შემდეგ, რაც ხარპინი იაპონელებმა იგდეს ხელთ, ხარპინში არაჩინელი მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა და უკვე 1941

წლისთვის ქართული სათვისტომო სულ 400-მდე ადამიანს ითვლიდა [Хисамутдинов, 2015: 94; ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 100].

XX ს. 20-30-იან წლებში ქართველები ჩართულნი აღმოჩნდნენ ჩინეთში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ პროცესებში. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია პოლკოვნიკ გიორგი სიღამონიძის მოღვაწეობა. მან ჩინეთში ჯანგ წუოლინთან მსახურობის დროს საბრძოლო მოქმედებებში თავი გამოიჩინა და 1926 წელს დააჯილდოვეს „უდიდესი თავთავის“ მეორე ხარისხის ორდენით [ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 101. გიორგი სიღამონიძის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: Балмасов, 2007: 73, 106, 115, 118, 124-126, 204, 223, 230, 238, 240, 24]. ჩინეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი ბოლშევიკი ლიდერები ბესარიონ ლომინაძე და ალექსანდრე სვანიძე [ვრცლად იხ. ჩიხლაძე, ჭიღლაძე, 2021: 101-110].

§3. 1956 წლის „ამბოხი“ საქართველოში და ჩინური სამთავრობო დელეგაცია თბილისში

საბჭოთა პერიოდში არაერთი ჩინელი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე ჩამოსულა საქართველოში. მათ შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სხვადასხვა დროს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი, ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, მარშალი ჟუ დე (ის უფრო ცნობილია – ჯუ დე-დ). მისი საქართველოში ვიზიტი თბილისის 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს დაემთხვა.

ჩინეთის კომპარტიის ისტორიის და დოკუმენტური წყაროების ინსტიტუტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ჯაო ჟუნგიუანის სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1955 წლის დეკემბრიდან 1956 წლის მარტამდე ჩინეთის წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილის ჟუ დეს მეთაურობით რუმინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და პოლონეთში ვიზიტი განახორციელა, რის შემდეგაც ჩამოვიდა მოსკოვში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე დასასწრებად [赵仲元, 2016].

ჯაო ჟუნგიუანი იყო ამ დელეგაციის წევრი (როგორც თარჯიმანი – რუსული ენის). ამდენად მის მონათხრობს თითქმის დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა აქვს. საინტერე-

სოა, რომ ჩინეთის წარმომადგენლობით დელეგაციის რუმინეთში და საბჭოთა კავშირში ყოფნისას ჰქონია ჩინეთის კომპარტიის დელეგაციის სტატუსი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ვიზიტისას ჩინეთის სამთავრობო დელეგაციის. გამგზავრების წინ ჯანდაცვის სამმართველომ გასცა რეკომენდაცია, რომ ჟუ დეს ასაკიდან გამომდინარე მას ემგზავრა არა თვითმფრინავით, არამედ სახმელეთო ტრანსპორტით, ამიტომ დელეგაცია თავს არიდებდა ფრენას და ხშირ შემთხვევაში მატარებლით გადაადგილდებოდა [赵仲元, 2016]. 1955 წ. 11 დეკემბერს ჩინეთის დელეგაცია პეკინიდან მატარებლით გაემგზავრა რუმინეთში მოსკოვის და კიევის გავლით. კიევის გავლისას მოკლე შესვენების დროს ჟუ დესთან შესახვედრად მივიდა საბჭოთა კავშირის მარშალი, იმჟამად კიევის სამხედრო ოლქის სარდალი ვასილი ჩუიკოვი. ორი ძველი მეგობრის¹ შეხვედრა გულთბილი იყო. ვ. ჩუიკოვმა ჟუ დეს მტაბში დაპატიჟა, სადაც მათ ერთად ისაუბლეს [赵仲元, 2016].

21 დეკემბერს ჩინეთის დელეგაცია უკვე რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩავიდა, სადაც მას მუშათა პარტიის მეორე ყრილობაში მიიღო [赵仲元, 2016]. 1956 წლის 1 იანვარს ჩინური დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ესტუმრა. რკინიგზის სადგურზე დელეგაციას გდრ-ის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივარი ვალტერ ულბრიხტი დახვდა. ჟუ დემ მონაწილეობა მიიღო გდრ-ს პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის 80 წლის იუბილეს საზეიმო ღონისძიებაში [赵仲元, 2016]. 1956 წლის 14 იანვარს ჟუ დე უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტს ეწვია [赵仲元, 2016], 1956 წლის 17 იანვარს კი ჩინური დელეგაცია ესტუმრა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღას [赵仲元, 2016]. ვიზიტის ფარგლებში ჩინეთის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკურ-საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე [赵仲元, 2016]. 1956 წლის 30 იანვარს ჩინეთის წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩავიდა ვარშავაში. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს არ იყო პირველი ქვეყანა, სადაც მან შეამჩნია საბჭოთა კავშირით უკმაყოფილო ხალხი [赵仲元, 2016].

1956 წლის 14-25 თებერვალს მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. იქამდე კი როდესაც ჩინეთმა მიიღო ამ ყრილობაზე დასწრების მოსაწვევი, გამოყო ხუთი პოლიტიკოსისგან (ჟუ დე, ტენგ სიაოფინგი,² თან ჟენლინი,¹

¹ ცნობილი რუსი მხედართმთავარი, სსრ კავშირის მარშალი ვასილი ჩუიკოვი (1900-1982) და ჟუ დე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს ჩინეთ-იაპონიის ომის დროიდან, როდესაც ვ. ჩუიკოვი სტალინმა გაგზავნა, როგორც ჩინეთის სახალხო მთავრობის სამხედრო საქმის მთავარი მრჩეველი [赵仲元, 2016].

² ტენგ სიაოფინგი (1904-1997) – ჩინელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რეფორმატორი, ჩინეთის დე-ფაქტო ლიდერი XX ს. 80-იან წლებში, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე (1981-1989).

ვანგ ძიასიანგი² და ლიუ სიანო³) შემდგარი დელეგაცია ჟუ დეს ხელმძღვანელობით ამ ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად. და აი, 4 თებერვალს ჟუ დეს ჩადის მოსკოვში, სტატიის ავტორი ამბობს, რომ ჟუ დეს მოსკოვში ჩასვლას სსრკ ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდაო [赵仲元, 2016]. 6 თებერვალს ჟუ დეს და ლიუ სიანოს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი [赵仲元, 2016].

14 თებერვალს გაიხსნა სკკპ XX ყრილობა, რომელზეც ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება წაიკითხა ნიკიტა ხრუშჩოვმა. მოხსენებაში არამართო არ მოხსენიებული სტალინის ღვაწლი და დამსახურებანი, არამედ, პირიქით, არაერთი მინიშნება გაკეთდა იმის თაობაზე, რომ სტალინი ანგრევდა სოციალისტურ დემოკრატias და საკანონმდებლო სისტემას და მმართველობის პერიოდში სერიოზული შეცდომებს უშვებდა. მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ „აუცილებელია მტკიცედ შევეწინააღმდეგოთ მარქსისტულ-ლენინურ სულისკვეთებასთან შეუთავსებადი პიროვნების კულტს, რადგან პიროვნების კულტი ამა თუ იმ მოღვაწეს სასწაულმოქმედ გმირად აქცევს; ხოლო იმავდროულად ამცირებს პარტიის და ხალხის როლს და ადაბლებს მათ შემოქმედებით ინიციატივას, პიროვნების კულტმა დაადაბლა პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობის როლი, და რიგ შემთხვევებში ჩვენს მუშაობას სერიოზული ზიანი მიაყენა...“ [赵仲元, 2016].

ჩინური დელეგაციისთვის, როგორც ჩანს, მოულოდნელი აღმოჩნდა სტალინის კრიტიკა. როგორც ჭაო ჟუნგიუნი აღნიშნავს, ჟუ დემ და ტენგ სიაოფინგმა სასწრაფოდ გაგზავნეს დეპეშა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, პირადად მათ ძედუნთან, რათა გაერკვიათ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ოფიციალურმა პეკინმა დელეგაციას ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის გაგრძელების ღირებულება გასცა [赵仲元, 2016]. 15 თებერვალს ყრილობას ჩინეთის კომპარტიის სახელით მიესალმა ჟუ დეს. მის გამოსვლაში ხაზი გაესვა საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეული წარმატებებს, რომელიც მან დაუკავშირა „გამოცდილი ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით სსრკ-ს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სწორ მმართველობას“ [赵仲元, 2016].

1956 წ. 24 თებერვალს გაიმართა ყრილობის დახურული სხდომა, რომელზეც მოისმინეს ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ მომზადებული მოხსენება „პიროვნების კულტის და მისის შედეგების შესახებ“ [თუშურაშვილი, ლუარსაბიშვილი, 2014: 135]. ეს რუსულენოვანი მოხსენება

¹ თან ჟუნლინი (1902-1983) – ჩინეთის კომპარტიის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე, 1956 წელს ეკავა ჩინეთის კომპარტიის მერვე ყრილობის ცენტრალური კომიტეტის წევრის, სამდივნოს მდივნის, პოლიტიბიუროს წევრის, სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერის თანამდებობები.

² ვანგ ძიასიანგი (1906-1974) – ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

³ ლიუ სიანო - (1908-1988 წწ) ჩინეთის კომპარტიის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

ნება გადაეცა ჩინეთის დელეგაციასაც, რომელსაც დელეგაციის თარჯიმანი ჭოუ იენტან ერთად თარგმნიდა მთელი ღამის განმავლობაში. ჩინურად თარგმნილ საიდუმლო მოხსენებას გაეცნენ დელეგაციის წევრები, დაიწყო დისკუსია, იყო აზრთა სხვადასხვაობა. ბოლოს შეჯერდნენ იმაზე, რომ სტალინის კრიტიკასთან დაკავშირებით პოზიცია ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შეემუშავებინათ [赵仲元, 2016]. 28 თებერვალს ხრუმოვი შეხვდა ჟუ დეს, ტენგ სიაოფინგს და დელეგაციის დანარჩენ წევრებს. შეხვედრისას ხრუმოვმა ახსენა სტალინის კულტის დაგმობის დიდი მნიშვნელობა სოციალისტური მართლწესრიგის აღდგენის და სოციალისტური საქმიანობის განვითარების საკითხში. ჩინურ მხარეს ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოუთქვამს, მათ პასუხს თავი აარიდეს [赵仲元, 2016].

ამის შემდეგ ტენგ სიაოფინგი და თან ქენლინი სასწრაფოდ დაბრუნდნენ ჩინეთში რათა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის მოეხსენებინათ ყრილობის პერიპეტიების შესახებ და განსაკუთრებით ხრუმოვის საიდუმლო მოხსენების შესახებ. ჟუ დემ კი გააგრძელა ვიზიტი სხვა ქვეყნებში საბჭოთა კავშირის მასშტაბით. 1956 წელს ჟუ დემ კუიბიშევის შემდეგ განახორციელა ვიზიტი ბაქოში და ერევანში, რის შემდეგაც 7 მარტს თბილისში ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა დაემთხვა საქართველოს დედაქალაქში დაწყებულ მწვავე საპროტესტო გამოსვლებს, რომელიც სწორედ სკკპ XX ყრილობაზე სტალინის „პიროვნების კულტის“ დაგმობით იყო გამოწვეული. ქართველმა ახალგაზრდობამ ეს ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღო და ქუჩაში გამოვიდა.

დაიწყო პერმანენტული მიტინგები. ჟუ დე და თვით *მაო ძედუნი* სტალინის მეგობრებად მოიაზრებოდა.¹ სახალხო მსვლელობა სასტუმროში მიაღგა ჩინელ სტუმარს. ხალხი ჩინეთის კომუნისტური პარტიისგან მხარდაჭერას ელოდა და ზოგადად საერთაშორისო კომუნისტური მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. ისმოდა შეძახილები და ჟუ დესადმი მიძღვნილი ლექსები. ჟუ დეს სახელს, სკანდირებდნენ საქართველოს მაშინდელი კომუნისტური მმართველობის პირველი პირის *ვასილ მუჟანაძის* რეზიდენციასთან. ვ. მუჟანაძეს გარკვეულწილად მწუხარება გამოუთქვამს ქართველები ჩინელისგან რომ მოელოდნენ თანადგომას: „*არა გრცხვენიათ, ქართველებო, ჩვენო შვილებო! აქ ვართ თქვენი მამები, ბიძები, ახლობლები და თქვენ ჩინელ კაცს უხმობთ დასახმარებლად? მაშ, ჩვენ აქ რას ვაკეთებთ, ჩვენ ხომ თქვენი აზრის გამტარებლებად ვართ დანიშნულნი? მე სტალინის გაზრდილი ვარ, სტალინის ჯარისკაცი, სტალინისთვის მაქვს ფიცი მიცემული, მე ვინ უნდა მაჯობოს სტალინის სიყვარულში?!“* [ჩიხლაძე, 2020]. არის ცნობა, რომ საპროტესტო მოძრაობის ხუთ კაცი-

¹ როგორც ცნობილია, ჩინეთში კომუნისტური პარტიის მოსვლა ხელისუფლების სათავეში სწორედ საბჭოთა კავშირის აქტიური მხარდაჭერით მოხდა, რის გამოც *მაო ძედუნი* და ჩინეთის ხელისუფლება სტალინის მაღლიერი იყო [ამის შესახებ იხ.: ჩიხლაძე, 2020].

ანი წარმომადგენლობა ჩინელ მარშალს შეხვდა, ასევე რომ ერთ-ერთი ჩინელი სტუმარი გამოვიდა ჟუ დეს სახელით და დემონსტრანტებს მიმართა [სარალიძე, 2012]. ზუსტად არ ვიცით მოხდა თუ არა ჩინელების და ქართველების შეხვედრა. ამის შესახებ ჩინურ წყაროებში სხვადასხვა ვერსიებია დაფიქსირებული [ჩინლაძე, 2020].

ჭაო ჟუნგიუანის მიხედვით, როგორც კი გაიგეს მომიტინგეებმა, რომ ჟუ დე თბილისში იყო, მისი სასტუმროს წინ მოიყარეს თავი და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: „ადმოსავლელი ძმებო, თქვით სამართლიანი სიტყვა! თქვენ სიმართლეს უნდა დაუჭიროთ მხარი!“ ისინი ითხოვდნენ ჟუდესთან შეხვედრას და მასთან საუბარს. ჟუდეს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გამოვიდა აივანზე და ვენ ნინგს დაავალა მისი სახელით ესაუბრა ხალხთან [赵仲元, 2016]. ვენ ნინგმა ძირითადად ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესახებ წარმოთქვა რამდენიმე თავაზიანი სიტყვა, ასევე თანაუგრძნო ქართველებს და მოუწოდა წესრიგის დაცვისკენ და მუშაობის მშვიდად გაგრძელებისკენ, სტალინი და ხრუშჩოვი საერთოდ არ უხსენებია. სასტუმროს გარშემო უმრავ ხალხს მოეყარა თავი, საბჭოთა მხარე, განსაკუთრებით საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი პირები და ჩინეთიდან ჩამოსული დელეგაციის წარმომადგენლები (თანამდებობის პირები, ჩინოსნები) სასტუმროს შესასვლელში იდგნენ და ცდილობდნენ თავიდან აერიდებინათ სასტუმროს ეზოში ხალხის შეჭრა. შებიბნდებისთანავე ჩინეთის დელეგაციამ თბილისიდან დაუყოვნებლივ გამგზავრება გადაწყვიტა. მათ აცნობეს, რომ ჩინური დელეგაციის თბილისიდან გამომგზავრების მეორე დღეს სამხედრო პოლიციასა და მომიტინგეებს შორის შეტაკება მოხდა, რასაც ათობით ადამიანი ემსხვერპლა.

სხვა ჩინურ პუბლიკაციაში ასევე მოთხრობილია საქართველოში ჯუ დეს ვიზიტის შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ დემონსტრაციების დროს ხმაურიანად და სწრაფად მოძრაავ ავტომობილების საქარე მინებზე დამაგრებული ლიდერების პორტრეტები განსაკუთრებულად ჭრიდა თვალს. ხალხი სკანდირებდა: „ლენინი, სტალინი“, კიდევ ისმოდა შედახილები „მაო ძედუნი!“. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ეს ეს იყო მიიღო გადაწყვეტილება: მაო ძედუნის თანამებრძოლისთვის ჟუ დესთვის „გენერალისიმუსის“ სამხედრო წოდების მინიჭების თაობაზე. ამ ამბით აღფრთოვანებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა, იმ დღეს ათასობით ადამიანის პროცესია გაემართა მტკვრის ნაპირზე მდებარე კრწანისში, სადაც მდებარეობდა სამთავრობო სასტუმრო (საპატიო სტუმრებისთვის), რომელშიც გაჩერებული იყო მარშალი ჟუ დე. პროცესია წითელი დროშების ფრიალით მოძრაობდა, ყველანი მღეროდნენ სიმღერას ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობაზე „მოსკოვი-პეკინი“: „სტალინი და მაო ძედუნი გულისყურით გვისმენენ...“ ამ სულისკვეთებით გაქლენთილი

ქართველები სულიერად ამაღლებულები და გმირულად თავდაჯერებულები იყვნენ [朱岩, 2019]. მათ მიაღწიეს სასტუმრომდე და ერთერთი ვერსიის მიხედვით: ჯუ ლეს თან ახლდა დაცვის თანამშრომლების მთელი ბრიგადა, რომელმაც ფანჯრის მიღმა ხალხის ზღვა შენიშნა და გაიგონა ხმამაღალი შეძახილები რომლითაც ჯუ ლეს უხმობდნენ, რამაც ფრიად შეაკრთო ისინი, რადგან მათ წინასწარ არაფერი იცოდნენ ამ სიტუაციის შესახებ. მაშინ ერთერთი პასუხისმგებელი პირი გამოვიდა და აუხსნა ხალხს, რომ მარშალი უეცრად შეუძლოდ შეიქმნა და ამიტომ ვერ გამოვიდოდა ხალხთან შესახვედრად, მაგრამ თქვენს პეტიციას მე გადავცემ მასო, რის შემდეგაც პროცესია უკან, ქალაქისკენ გაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ წადილი ვერ აისრულეს და ვერ მოახერხეს ჯუ ლესთან შეხვედრა და ამის გამო განაწყენებულები იყვნენ, მათი მაინც მტკიცედ სჯეროდათ, რომ წარმატებას მიაღწევდნენ. როგორც მათ ძედუნი იტყოდა: „ვიბრძოლოთ, დავმარცხდეთ, კიდევ ვიბრძოლოთ, ისევ დავმარცხდეთ, კიდევ ვიბრძოლოთ სანამ არ გავიმარჯვებთო...“ [朱岩, 2019].

მეორე ვერსიის მიხედვით კი: ხალხის ბრბო შეიჭრა სასტუმროს ეზოში და ჩინურ მხარესთან მოლაპარაკებების შედეგად, კომპრომისების საფუძველზე მიაღწიეს შეთანხმებას და, როდესაც პეტიცია გადასცეს ჯუ ლეს, როგორც ჩანს, ის თითქოს მთლიანად დათანხმებია მის შინაარსს. ავტორი აღნიშნავს, რომ იმ დროის თბილისი თითქოს უზარმაზარი ბაზარი იყო, ჭრელი, ხმაურიანი და მრავალფეროვანი, შესაძლებლობების მასშტაბები კი სწრაფად იზრდებოდა და ვრცელდებოდა ყველგან. მაგრამ ყველაზე ცხელი სურათი მაინც ქალაქის მთავარ მოედანზე იყო, დროშების უნაპირო ზღვაში ერთი მეორეს მიყოლებით მოჩანდა დიდი პლაკატები ლოზუნგებით: „ძირს ხრუმჩოვი!“, „ძირს მიქოიანი!“, „ძირს ბულგანინი!“, „სტალინს და ბერიას აღვუდგინოთ სახელი!“... ლიდერთა გამოსახულებანი, სტალინის საქებარი ლექსები და სიმღერები, ამაღელვებელი სიტყვით გამოსვლები და დაუსრულებელი მოგონებები ისმოდა მუდმივად [朱岩, 2019]. აქციის მონაწილეები ასეთ ლექსსაც უძღვნიდნენ ჩინელ ლიდერებს: „გაუმარჯოს მათ ძედუნს, გაუმარჯოს ჯუ ლეს, გაუმარჯოს საქართველოს, არწივების ბუდეს“. ერთი რამ ცხადია, რომ 1956 წლის შემდეგ ხრუმჩოვსა და მათ ძედუნს შორის ურთიერთობა გაფუჭდა [ჩიხლაძე, 2020].

აქვე, აღსანიშნავია საბჭოთა უშიშროების არქივში (საქართველოს უშიშროების კომიტეტის ყოფილ არქივში) შემორჩენილი ინფორმაცია ამ შეხვედრის დროს დაკავებული ქართველის შესახებ, რომელიც კიდევ უფრო ადასტურებს ამ ვერსიის ნამდვილობას, ეს პიროვნება იყო კონსტანტინე დიმიტრის ძე ციციშვილი, „ქალაქ თბილისის №50 საშუალო სკოლის მოსწავლე“, რომელიც „დაპატიმრებულ იქნა საქართველოს უშიშროების კომიტეტის მიერ 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენებში აქტიური მონაწილეობისთვის. კ. ციციშვილი

ხელმძღვანელობდა ტრიბუნას გამოსვლების დროს, აქტიურობდა დემონსტრაციების მსვლელობისას, იყო მარშალ ჯუ დე-სთან მოსალაპარაკებლად შერჩეული დელეგაციის წევრი...“ [Следственное дело, 1956].

§4. ქართულ-ჩინური კულტურული კონტაქტები – ქართველი პოეტების მიერ დანახული ჩინეთი

XX საუკუნეში, საქართველოს საბჭოთა კავშირში ნაძალადევად გაწევრიანების შემდეგ, მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსიდან გამომდინარე, ჰქონდა გარკვეული ურთიერთობები ჩინეთთან. ეს მოიცავდა თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, კულტურულ-შემოქმედებით კონტაქტებს. ამ კუთხით ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცნობილი ქართველი პოეტების *ალიო მირცხულავასა და ხუტა ბერულავას* ჩინეთში მოგზაურობის ამსახველმა ჩანაწერებმა, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოიცა კიდეც [*მირცხულავა /მამამვილი/, 1956; ბერულავა, 1958*]. პოეტების მოგზაურობის მიზანს ჩინელი ხალხის კულტურისა და ყოფის ახლოდან გაცნობა წარმოადგენდა. ამ მოგზაურობას არ ჰქონდა არანაირი პოლიტიკური მისია, თუმცა ისინი გაჟღენთილია კომუნისტური სულისკვეთებით. მოგზაურების ჩანაწერები საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ ჩინელი ხალხის კულტურის, მათი განვითარების დონის, ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების და რაც მთავარია ჩინელი და ქართველი ხალხის ურთიერთობის შესახებ.

ალიო მირცხულავა და ხუტა ბერულავა სხვა 17 ტურისტთან ერთად მოსკოვის გავლით ჩინეთში ჩასულან 1956 წლის 28 აგვისტოს. ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით საგანგებოდ მოუმზადებიათ კედლის გაზეთი „თბილისიდან – ჰეკინამდე“ და ალიო მირცხულავას სახელდახლოდ ლექსიც შეუთხზავს:

*„მატარებელ მოსკოვ-ჰეკინს
მოაქროლებს რკინის რაში,
საქართველოს ბადნარიდან
მოვქრით ზღაპრულ ქვეყანაში.
გზები, ტბები, მთა-ველები,
სიმღერები, მწყობრი ხმები,
ჩინელები ქართველები
გავხდით დვიძლი მეგობრები.
გამარჯობა შენ, ჩინეთო,
საბჭოეთის მკვიდრო ძმაო,*

ხალხთა ძმობის საიმედო

დღეგრძელობდეს დიდხანს მამო!“ [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 7].

ხუტა ბერულავა თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ ქართველი მწერლები მანამდე ჩინეთში არასოდეს ყოფილან: „შორიდან კი ვწერდით ჩინელი ხალხის სახელოვან საქმეებზე, მაგრამ სულ სხვაა, როცა საკუთარი თვალთ ხედავ ყველაფერს, რასაც აკეთებს ხალხი, თავისი ბედის ბატონ-პატრონი“ [ბერულავა, 1958: 6]. სადგურ ოტპორთან (ამჟამინდელი – ზაბაიკალსკი, იმიერბაიკალეთის მხარე – რუსეთის ფედერაცია) მიახლოებისას, ალიო მირცხულავა წერს: „აქ 1922 წელს თეთრი გენერლის სემიონოვის პოლკი ჩინელ ხუნხუებთან ერთად განადგურებულ და განდევნილ იქნა ჩვენი წითელი არმიის მიერ. ამიტომ დაერქვა ალბათ ამ ადგილს ოტპორი“ [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 11].

ოტპორიდან მანჯურიისკენ (ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინცია) გაემართა მოგზაურთა მატარებელი. ალიო მირცხულავა მანჯურიის აღწერას გეოგრაფიულ თავისებურებებზე ხაზგასმით იწყებს: „ნახვარი საათის შემდეგ დაიწყო მანჯურია. საგრძნობლად შეიცვალა ჰეიზაჟიც. უფრო მეტად ტიალი მინდვრები და გორაკებია. გზაზე გვხვდებიან ჩინელი ბავშვები და ხელს გვიქნევენ“ [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 12]. მანჯურიის სადგურში გაჩერებისას ჩინელებმა დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და სტუმრებს ჩინური სიგარეტებით და სურნელოვანი ჩაით გაუმასპინძლდნენ. მიღებულ შთაბეჭდილებებს ხუტა ბერულავა ასე გადმოგვცემს: „მანჯურიაში ჩვენ ერთხელ კიდევ ვიგრძენით ის სიანლოვე, რაც საბუდამოდ კავშირებს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს, მე ვამაყობ, რომ შვილი ვარ იმ ხალხისა, ვისაც ჩინელები მთელი სულითა და გულით ძმას ეძახიან, დვიძლსა და საყვარელ ძმას“ [ბერულავა, 1958: 8].

ალიო მირცხულავას არ გამოჰპარვია ჩინურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მესაზღვრეები, რომლებსაც ქუდზე წითელი ვარსკვლავები ეკერათ. მანჯურიის ინტურისტის წარმომადგენლებს მათი ჩასვლის შესახებ პეკინიდან ინფორმაცია მიუღიათ და დახვედრა მოუწყვიათ სტუმრებისთვის. ა. მირცხულავა, შეხვედრის დარბაზის აღწერისას, აღნიშნავს, რომ კედლებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების პორტრეტები ეკიდა და შესასვლელთან სტალინისა და მამო ძე-დუნის ერთიანი სკულპტურა იდგა, აგრეთვე კედელზე გაკეთებული იყო წარწერა „გაუმარჯოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ძმობას და მეგობრობას“, ყოველივე ეს ადასტურებს იმ დროინდელი ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულად კეთილმოსურნე და მეგობრულ ურთიერთობას.

ჩინელი ხალხის შრომისმოყვარეობას აღტაცებაში მოჰყავდა ქართველი სტუმრები. ალიო მირცხულავა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ერთი მტკაველიც კი არაა და-

უმუშავებელი, და რომ პეკინსა და თიენძინს შორის რამდენიმე ათას ჰექტარზე, ტაიფუნის შედეგად ზღვიდან გადმოგდებულ წყალში მარილის მოპოვება წარმოებს. ხუტა ბერულავაც ხაზს უსვამს ჩინელების შემართებით და თავდაუზოგავ შრომისმოყვარეობას, და აღნიშნავს, თუ მდინარე სუნგარის წყალდიდობის შედეგად წყლით დაფარულ ბრინჯისა და სიმინდის ყანებს როგორ ბეჯითად ამუშავებდნენ ჩინელები.

საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, მეცნიერი გივი ბახტაძე მგზავრებს დაწვრილებით მოუთხრობდა მარკო პოლოს მოგზაურობის შესახებ და სწორედ მან ამცნო თავის თანამგზავრებს ქალაქ ხარბინში შესვლის ამბავი. ალიო მირცხულავა აღნიშნავს, რომ ხარბინი მანჯურიის სიდიდით მეორე ქალაქია მუკდენის (იგივე შენიანის) შემდეგ. ეს ქალაქი მისი თქმით თავიდან პატარა პროვინციულ დაბას წარმოადგენდა, თუმცა რუსეთის მიერ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქალაქმა ზრდა იწყო და ახლა იგი მანჯურიის ერთერთ ინდუსტრიულ ცენტრს წარმოადგენს, მისი მოსახლეობის რაოდენობა კი 2 მილიონს აღწევს. ალიო მირცხულავა მანჯურიის ყოფილ დედაქალაქ ჩანჩუს შესახებაც მოგვითხრობს და აღნიშნავს ამ ქალაქში ველო-რიქების სიმრავლეს. პოეტს ჩინელმა თანამგზავრმა აუხსნა, რომ თურმე მათ ძე-დუნს ერთი პერიოდი საერთოდ აუკრძალავს რიქები, მაგრამ მათი საპროტესტო გამოსვლის შემდეგ მათ ისევ დაუწყიათ მოძრაობა, მიუხედავად იმისა რომ შემოსავალი ფაქტობრივად აღარ რჩებოდათ.

აქვე ა. მირცხულავას მოყვანილი აქვს ნიკოლაი ბოგდანოვის დოკუმენტური ჩანაწერიდან ამონარიდი – რიქმას და მათ ძე-დუნის ამბავი. თუ როგორ დაადგინა პოლიციელები-სა და ჯაშუშების ალყას თავი კომუნისტმა მათ ძე-დუნმა რიქმას დახმარებით. ხუტა ბერულავაც გაკვირვებას გამოთქვამს იმის შესახებ რომ ჩინეთში ჯერ კიდევ მოძრაობდნენ რიქმები, ამას ჩინელები ორი მიზეზით ხსნიდნენ: „ჯერ ერთი, ტრანსპორტის საკითხი ამ უზარმაზარ ქვეყანაში ძალიან მწვავედ დგას, მეორეც რიქმების მრავალრიცხოვანი არმიის ახალ სამუშაოზე მოწყობა ერთბაშად შეუძლებელია. ამ საკითხის გადაწყვეტა დროს მოითხოვს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად რიქმები უმთავრესად ველოსიპედებზე სხედან... რიქმები ძალიან პატიოსანი ხალხია, ზედმეტს მგზავრებისგან არასოდეს არ იღებენ“ [ბერულავა, 1958: 28].

მოგზაურებმა მატარებლით ჩამოიტოვეს ძინჭოუ, შანხაი-გუანი, საიდანაც იწყებოდა ჩინეთის ისტორიული კედელი, ტანშანი, თიენძინი და ჩინეთის დედაქალაქ პეკინს მიაღწიეს, ხუტა ბერულავა პეკინის შესახებ გვიამბობს: „პეკინი მსოფლიოს ერთერთი უძველესი ქალაქია. სამი ათასი წლის წინათ დაბადებულ ქალაქს სახელი მრავალჯერ შეუცვალეს, მაგრამ მისი დამორჩილება ვერავინ შეძლო. პეკინი რაც ჩრდილოეთის დედაქალაქს ნიშნავს,

მეთხუთმეტე საუკუნიდან ეწოდა. პეკინი არამარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული ცენტრიც არის მთელი ჩინეთისა. აქ თითოეული სასახლე თუ ციხე-კოშკი გრანდიოზული მასშტაბით ხასიათდება“ [ბერულავა, 1958: 13].

ხუტა ბერულავას ჩანაწერებიდან ასევე ვიგებთ რომ იმ დროს პეკინის მოსახლეობა ოთხ მილიონს, ხოლო სრულიად ჩინეთისა კი ექვსას მილიონს აღწევდა. ჩანს, პოეტის მოგზაურობის პერიოდში პეკინში დიდი მშენებლობები მიმდინარეობდა. ისინი ეწვივნენ იმპერატორის სასახლეს ე. წ. „გუგუნს“. ავტორი აღწერს სასახლის მარმარილოს კიბეებს, სადაც ურჩხულების გამოსახულებებია ამოკვეთილი და სადაც ერთ დროს მხოლოდ იმპერატორს ჰქონდა ავლის უფლება და ახლა მუზეუმადაა გადაქცეული. აქ ავტორი ყურადღებას აქცევს ქვისგან ამოკვეთილ ხალხურ შვიდსიამიან საკრავს, რომელიც რაღაცით წააგავს ჩვენებურ ჩონგურს და სპილოს ძვლის, ნეფრიტის, ხის, ფაიფურის, ლითონისა და ქვისგან შექმნილი ხელოვნების ნიმუშებითაა აღტაცებული.

ბ. ბერულავა ერთ საინტერესო ფაქტზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ჩინეთში ყველაფერს პოეტური სახელწოდება აქვს, მაგალითად ბეიხაის ბაღში არსებულ ტალავარს ჰქვია „დაუსრულებელი ჭრეტის ტალავარი“, იგი აღნიშნავს, რომ მათ ამ ტალავართან ნახეს მსახიობების ლიანა ასათიანის და ედიშერ მაღალაშვილის სურათები, ქართული ფილმის კინოკადრები. ბეიხაის შესახებ პოეტი მოგვითხრობს რომ რვა საუკუნის წინ აქ ბრინჯის ყანები ყოფილა, შემდეგ მიწა ამოუთხრიათ და მის ადგილზე გაჩნდა „ტინხაი“ (სავარაუდოდ – „ძინხაი“ – ლ. გ.) – „ოქროს ზღვა“.

აღიო მირცხულავა თავის ჩანაწერებში ჩინეთის დედაქალაქის შესახებ შესახებ გვიამბობს, რომ პეკინი მდებარეობს მონღოლეთისა და მანჯურიისაკენ მიმავალ ძველ სავაჭრო გზაზე, ქალაქი იყოფა ორ ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულ ნაწილად. ქალაქის ჩრდილო ნაწილს ჰქვია მანჯურიის ანუ თათრის ქალაქი, სამხრეთს კი ჩინეთის ქალაქი. ჩრდილო ნაწილი შემოსაზღვრულია მასიური ქვის კედლებით, ამ კედლებს შუა ცენტრში მოთავსებულია ჩინეთის იმპერატორებისა და სამეფო კარის დიდებულების ყოფილი რეზიდენცია, ამჟამად აქ მთავრობის სასახლეა, წინ სადემონსტრაციო ტრიბუნით. ყოფილ საიმპერატორო ქალაქში მოთავსებულია მრავალი შენობა, სასახლე და ბაღები. თვით იმპერატორის ყოფილი სასახლე ამჟამად გადაქცეულია ისტორიულ მუზეუმად. ქალაქში ჭარბობს ჩინური სტილის ორ-სამსართულიანი სახლები. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ იმ პერიოდში ბევრი შენობა ბამბუკის ხარაჩოებში იყო ჩასმული, მიმდინარეობდა ქალაქის რეკონსტრუქცია.

ა. მირცხულავა აღნიშნავს, რომ რევოლუციამდე პეკინი სამეურნეო სამრეწველო ცხოვრების მხრივ ძალიან დაბალ დონეზე იდგა, ახლა კი მეტალურგიული მრეწველობა, მსუბუქი, კვებისა და ქიმიური მრეწველობა საკმაოდ განვითარებული დარგებია, საქვეყნოდ ცნობილია პეკინის ფაიფური, აბრეშუმი და ნოხები, ავტორი დაწვრილებით აღწერს გუგუნის, ზამთრის სასახლის და ცის ტაძრის მოხატულობას და მნიშვნელობას და დასძენს, რომ ჩინეთის ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლები ჩვენამდე არ არის მოღწეული, რადგან მათ უმთავრესად ხისგან ან მდარე ხარისხის აგურისგან აგებდნენ, ასეთი შენობები კი ვერ უძლებენ დროს. თუმცა მაინც შენარჩუნებულია ის დეკორატიული მოტივი და სტილი რომელიც დაამკვიდრა ბუდიზმმა ჩინურ ხუროთმოძღვრებაში. ჩინური არქიტექტურის მთავარი ფორმაა – ტინი, ე. ი. რამდენიმე სართულიანი კალთებაკეცილი კონუსის ფორმის სახურავი, იგი დამახასიათებელია განსაკუთრებით პაგოდების, ტაძრებისა და სასახლეებისათვის, ეს ფორმა როგორც ჩანს წარმოიშვა კარვისაგან რომელშიც ცხოვრობდნენ ჩინელთა ძველი მომთაბარე წინაპრები [მირცხულავა /მაშაშვილი/, 1956: 26].

შემდეგ მოგზაურებმა ჩინეთის დიდი კედლისკენ გადაინაცვლეს. მომთაბარე ტომების თავდასხმებისგან თავდასაცავად აღმართული ჩინეთის დიდი კედლის შემხედვარე ხუტა ბერულავა იხსენებს საქართველოს ომების ისტორიას, სამშობლოს მცველ კომკებს, და ამბობს „ხალხებო! ხანდახან როგორ შორს ხართ ერთმანეთისგან, როგორ განსხვავდებით ერთიმეორისგან, და... მაინც როგორ ჰგავხართ ერთმანეთს“ და ამ ფიქრებში გართულ პოეტს მათ ძე-დუნის ლექსიდან ნაწყვეტიც აგონდება: „... თუ კი ვერ მივადწევთ იმ დიად კედლამდის, მაშინ ჩვენ საკმაოდ არ გვიყვარს ჩინეთი!“ [ბერულავა, 1958: 20].

აღიო მირცხულავა ერთ ჩინურ ლეგენდას მოგვითხრობს: „კედლის ასაშენებლად იმპერატორმა უამრავ ხალხს მოუყარა თავი. სხვათა შორის შანხაი-გუანის რაიონიდან ამ მშენებლობაზე ჩამოსული იყო ერთი ახალგაზრდა გლეხი – ვან სი-ლიანი. ბიჭი ახლად ცოლშერთულ იყო. იმ ადგილას სადაც იწყებოდა კედელი, ჩამოდიოდა პატარა მდინარე, რაც აბრკოლებდა მშენებლობას, თანაც დრღნიდა, მშენებლებმა გადაწყვიტეს კედელში ხვრელი გაეყვანათ წყლის გასაშვებად ან აეგოთ ჯებირი. იმპერატორმა, რომელსაც მოახსენეს ეს ამბავი, კედლის გახვრეტა მიზანშეუწონლად ჩათვალა, ხოლო ჯებირის აგებაზე ნება დართო, თუგინდ 10000 გლეხკაცის სიცოცხლის ფასად დაჯდესო, იმპერატორის ჯარისკაცებმა გაიგეს რა, რომ მათ შორის იმყოფებოდა ვიღაც გლეხი, სახელად ვან (ე. ი. 10000) გადაწყვიტეს მისი მოკვლა და გადაგდება მდინარეში იმ განზრახვით, იქნებ იმ ერთმა შესცვალოს ათი ათასი გლეხკაცის სიცოცხლეო. და აი, ერთხელ მუშაობის დროს ვანი დაიღალა, წამოიწვა და ჩაეძინა, ჯარისკაცებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, მოჰკლეს მდინარე და გვამი მდინარეში გა-

დააგდეს, მისი ახალგაზრდა ცოლი მოვიდა მუშაობის ადგილას და ქმარს ძებნა დაუწყო. მაგრამ გაიგო რომ ვანი მკვდარია და ჩამარხულია კედელში. ქალი დაჯდა კედელთან და ტირილი დაიწყო. უცებ კედელი გაიბზარა და იქიდან გადმოვარდა ვანის გვამი. ჯარისკაცებმა ეს საკვირველი ამბავი იმპერატორს აცნობეს. მან ბრძანა მოეყვანათ ქვრივი და რა ნახა მისი სილამაზე, მეფემ ისურვა დაეტოვებინა ქალი თავისთან. მაგრამ ქალმა უპასუხა: თუ კარგად დამარხავთ ჩემს ქმარს, მაშინ გამოგყვები ცოლადო. იმპერატორმა ამაზე თანხმობა განუცხადა ქალს და ბრძანა პატივით დაემარხათ დაღუპული. ვანი დამარხეს მისავე სოფელში, მანხაიგუანში. მაგრამ ცოლმა იმპერატორს პირობა არ შეუსრულა, ის კლდიდან გადავარდა ზღვაში და იმ ადგილას სადაც ქალი ჩაიძირა გაჩნდა დიდი ქვა“ [მირცხულავა /მაშაშვილი/, 1956: 26].

მოგვიანებით მოგზაურები ეწვივნენ ჩინეთის მწერალთა საზოგადოებას სადაც ჩინელ მასპინძლებთან ერთად გაიმართა საინტერესო საუბარი ჩინეთისა და საბჭოთა ლიტერატურის შესახებ. ხ. ბერულავა აღნიშნავს, რომ „ჩინელმა მკითხველებმა მეტად გულთბილად მიიღეს შესანიშნავი ქართული მწერლების შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელის, ირაკლი აბაშიძის და გრიგოლ აბაშიძის ნაწარმოებები. ჩინურ ენაზე ცალკე წიგნებად გამოვიდა დრამატურგ გიორგი ნახუცრიძვილის პიესა – „სიჭაბუკე ბელადისა“ და ახალგაზრდა მწერლის თენგიზ გოგოლაძის მოთხრობა „გარიყული განთიადი“, ... მარკა ბარათაშვილის „ჭრიჭინამ“ შორეულ ჩინეთშიც შეიჭრიჭინა“ [ბერულავა, 1958: 22]. მოგზაურებმა შეიტყვეს რომ ბოლო ორი სამი წლის მანძილზე ჩინურ ენაზე გამოიცა რამდენიმე ქართული წიგნი, და რომ ჩინელი ხალხი მშობლიურ ენაზე ეცნობა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც თარგმნა ცნობილმა ჩინელმა პოეტმა ლი ცი ემ [ბერულავა, 1958: 22].¹

მოგზაურები დაინტერესდნენ თუ ვინ იყო იმ დროისთვის ყველაზე დიდი პოეტი და ვინ ფლობდა ყველაზე მეტ იეროგლიფს, ჩინელებმა მოგზაურებს სამი პიროვნება დაუსახელეს: მაო ძე ღუნი, გო მო ყო, და მაო ღუნი. აქვე პოეტი აღნიშნავს, რომ თუ უწინ მარჯვნიდან მარცხნივ ვერტიკალურად კითხულობდნენ ჩინეთში, 1953 წლიდან მარცხნიდან მარჯვნივ პარალელურად იკითხება. მოკლე ხანში იეროგლიფებიდან ანბანზე გადასვლას აპირებენო.

აღიო მირცხულავა აღგვიწერს ჩინური ენის თავისებურებას, და აღნიშნავს, რომ ძალიან ცოტაა და თითქმის არაა შენარჩუნებული სიტყვები, და რომ უბრალო მკითხველისთვის 3-5 000 იეროგლიფის ცოდნაა საჭირო ხოლო მეცნიერებისა და მწერლებისთვის 5-15 000-ს. პოეტი, ისევ და ისევ საკუთარი შემოქმედებითი ინტერესებიდან გამომდინარე, გვამ-

¹ ტრანკრიფციის ვარიანტის მიხედვით, რომელიც შეიმუშავა „დიდი ჩინურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ (WWW.CHINESE.GE) რედაქტორთა ჯგუფმა: ლი ძიიე (李霁野).

ცნობს რომ ჩინური მწერლობის ძირითადი თემა სოფელია, რადგან ჩინეთის მოსახლეობის თითქმის სამოცდათხუთმეტ პროცენტზე მეტს გლეხობა წარმოადგენს, რომელიც კოლქერატული მეურნეობის გარდაქმნის გზაზე დგას. როდესაც ქართველი პოეტები ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში იმყოფებოდნენ სტუმრად, მათ ესაუბრა საზოგადოების გენერალური მდივანი ლი ჯან უ. რომელიც თურმე 1953 წელს საქართველოში ყოფილა, სტუმრებია გორის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობას. სიხარულითა და აღფრთოვანებით იგონებდა იგი ქართველთა სტუმართმოყვარეობას, კერძებს და განსაკუთრებით ღვინოს. ლი ჯან უმ განაცხადა რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მთლიანად იყენებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და კულტურულ გამოცდილებას, მისი ლოზუნგია: „საბჭოთა კავშირის აწმყო ჩინეთის მომავალია“. მან განაცხადა: „მთელმა ჩინელმა ხალხმა იცის მრავალ სახალხო საქმეში რასაც ჩვენი სახელმწიფო აწარმოებს, მონაწილეობენ საბჭოთა ადამიანები, თქვენი დიდი ხალხის წარმოგზავნილი სპეციალისტები. ისინი ძმურად უნაგროდ გვეხმარებიან“ [ბერულავა, 1958: 25].

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოება დიდ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა და დაემოკრატული ქვეყნების ლიტერატურათა თარგმნის საქმეში. საერთოდ საბჭოთა ლიტერატურა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩინეთში. ჩინელი ხალხის მატერიალური მდგომარეობის თანდათან ამაღლებასთან ერთად ვითარდებოდა და იზრდებოდა მისი სულიერი კულტურაც [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 32].

ჩინელებმა აღნიშნეს რომ ჯერ კიდევ ცოტა ქართული წიგნი ჰქონდათ ნათარგმნი: „ჩვენ ვიცით რომ საქართველოს უმდიდრესი კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობა მოეპოვება და დღესაც ჩინებული მწერლები ჰყავს. შვეცდებით ჩვენს ხალხსაც გავაცნოთ მათი საუკეთესო ნაწარმოებები!“ ჩინეთის მწერალთა საზოგადოების წევრად იმ დროისთვის დაახლოებით ათასი მწერალი ითვლებოდა [ბერულავა, 1958: 22]. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლოზუნგმა – „დაე ჰყვოდეს ასი ყვავილი“ ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლება და შემოქმედებით აღმავლობა გამოიწვია. პოეტებმა მასპინძლებს ქართულ ენაზე გამოცემული მათ ძე-ღუნის თხზულებათა პირველი ტომი, ჩინური ხალხური ზღაპრები და თანამედროვე მწერალთა წიგნები გადასცა საჩუქრად, მათგან კი სახსოვრად რამდენიმე წიგნი და მათ შორის ჩინურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ მიიღეს. ხუტა ბერულავას ჩანაწერებიდან ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მომღერალი პეტრე ამირანაშვილი უკვე ცნობილი ყოფილა ჩინელი ხალხისთვის.

ხუტა ბერულავა წერს: „ჩინეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას გაეცნოს საბჭოთა ადამიანების მდიდარ გამოცდილებას. ამასთან დაკავშირებით ჩი-

ნეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წინაშე საპატიო ამოცანებია დასახული. სხვათა შორის, საზოგადოებამ მოაწყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა პეკინში, მანხაიში, კანტონში. გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად“ [ბერულავა, 1958: 26]. საზოგადოება უშვებს გაზეთს „ჯუნ სე (სუ) იო ხაო ჰაუს“ (ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა) 150 ათასიანი ტირაჟით. ეს გაზეთი აცნობს ჩინელ მკითხველებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. ალიო მირცხულავა წერს, რომ საერთოდ ცნობილია ჩინელების გულმართლობა და სტუმართმოყვარეობა; მომხიბლავია მათი გამოსედა და ღიმილი, განსაკუთრებით კარგად ხვდებიან საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულებს.

ხუტა ბერულავა კი ჩინელ ხალხზე წერს: „ბევრი რამ გამეგონა ჩინური ცერემონიების შესახებ. ვაკვირდები, არავითარი ცერემონიები, ესე იგი არავითარი ზედმეტი და ყალბი ჟესტები. მე ვიგრძენი მხოლოდ ღრმა პატივისცემა და გულში ჩამწვდომი სითბო სტუმრებისადმი“ [ბერულავა, 1958: 14]. ავტორი ჩინელების პატიოსნებაზე ამბობს: „პატიოსნება დაფნის გვირგვინით ამშვენებს ჩინელ ხალხს“. და მაგალითები მოჰყავს: „ვთქვათ სასტუმროში ცხოვრობთ და ოთახიდან გასვლისას ნომერს გასაღებით ჰკეტავთ. იცოდეთ, რომ ეს სრულიად ზედმეტია. თქვენს ნივთებს, როგორც იტყვიან, ცივი ნიავიც არ მიეკარება. ვთქვათ ერთი ფინი ანუ კაკიკი გერგებათ და არ დაუცადეთ ხურდის დაბრუნებას. დარწმუნებული იყავით რომ იმ მრავალრიცხოვან ხალხშიც გიპოვნინან და ხურდას ჩაგაბარებენ. ვთქვათ, მიემგზავრებით მატარებლით, დაბლა დასტოვეთ ჩემოდანი და ახვედით მესამე სართულზე (აქაური ვაგონები სამ სართულიანია!) სრული იმედი გქონდეთ რომ თქვენს ჩემოდანს სხვა პატრონი არ გამოუჩნდება. დაუშვათ ფეხსაცმელი შუუკვეთეთ, ხელოსანს ნუ სთხოვთ კარგად შეკეროს. დარწმუნებული იყავით თქვენი სურვილი ისედაც ასრულდება!“ [ბერულავა, 1958: 36-37].

საბჭოელი სტუმრების დელეგაციამ პეკინიდან ნანკინისკენ აიღო გეზი. ხუტა ბერულავა გზად აღწერს, თუ ჩინელები როგორ იღებდნენ ტბებიდან ბრინჯის მოსავალს, როგორ ამოაქვთ სასმელი წყალი, რომელსაც აუდუღებლად არავინ დალევს. როგორ მიერეკებიან პატარა ბიჭები კამეჩებს, რასაც ავტორი კოლხეთში მდინარე ხობისწყალზე კამეჩების მწყემსვას ადარებს, ზოგან ლაღუმებით აფეთქებენ კლდეებს, ზოგან კალათებით გადააქვთ მიწა და ქვა... ყველგან, ქალაქებსა თუ სოფლებში დაკვირვებული თვალი შეამჩნევს ჩინელი ხალხის უდიდეს შრომით ენთუზიაზმს და ორგანიზებულობას. ხუტა ბერულავა ენება ჩინურ სამზარეულოსაც და აღნიშნავს, რომ: „თუ ჩინელ კაცს შეეკითხებით ამის შესახებ ის უთუოდ მოგიგებთ მეტად გავრცელებული ხუმრობით: „ფრთოსანთაგან მე ვჭამ ყვე-

ლაფერს, გარდა თვითმფრინავისა, ხოლო ოთხფეხთა შორის ყველაფერს, გარდა სკამისა“ [ბერულავა, 1958: 36-37].

როდესაც მოგზაურები მდინარე იანძის ნაპირას გაშენებულ ქალაქ ნანკინში ჩავიდნენ და 100 კაციანი ხომალდით მდინარეში შეცურეს, ავტორი აღნიშნავს რომ ხომალდზე იმყოფებოდნენ სინძიანის შორეული პროვინციიდან ჩამოსული ახალგაზრდები და რომ ბევრი სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელი შედიოდა სინძიანელთა ჯგუფში: ჩინელი და უზბეკი, უიღური და ყაზახი, ტაჯიკი და ტუნგანი, თათარი და შიბო, ყირგიზი და მონღოლი, ამ გასეირნების დროს პოეტმა შენიშნა, თუ როგორ თავისუფლად ცხოვრობდნენ ჩინეთში ეროვნული უმცირესობები, და როგორ ყვაოდა აქ მათი კულტურა და ხელოვნება.

შემდეგ მოგზაურები სუნ იატსენის მავზოლეუმისკენ გაემართნენ, ეს მავზოლეუმი დიდინის მთაზე თვით სუნიატსენის სურვილით იქნა აგებული 1926-1929 წლებში. ხუტა ბერულავა ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ სუნ იატსენის მავზოლეუმი არაფრით არ ჩამოუვარდება მინის დინასტიის იმპერატორთა აკლდამებს. აი რას წერს ავტორი: „მღელვარებით ავდიოდით მავზოლეუმის კიბეებზე. ჩვენი გვირგვინი მიჰქონდათ ალიო მირცხულავას და ელიკო ნანობაძვილს. გვირგვინზე ეწერა: „დიდ ჩინელ პარტიოტს, საბჭოთა კავშირის მეგობარს სუნ იატ-სენს“ [ბერულავა, 1958: 36]. მოგზაურთა ჯგუფმა დიდი პატივი მიაგო ღუმლით სუნ იატსენის აკლდამას. ალიო მირცხულავა აღნიშნავს რომ სუნ იატსენმა სიკვდილის წინ დატოვა პოლიტიკური ანდერძი, სადაც მოუწოდებს ჩინელ ხალხს განამტკიცოს მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. ავტორი აღნიშნავს რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც მატერიალური და კულტურული აღორძინებისკენ მიჰყავს უზარმაზარი და ხალხმრავალი ქვეყანა, წარმატებით ხელმძღვანელობს სოფლის გარდაქმნის ისტორიულ საქმეს. ჩინეთი მდიდარია, ნავთობით, ქვანახშირით, ვოლფრამით, ტყვიით, თუთიით, მოლიბდენით, ოქრო-ვერცხლითა და სხვა წიაღისეულით. და ყოველივე ამის მოპოვება წარმოებს მოწინავე ტექნიკით, ჩინეთში დღეს წარმოებს თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, ამზადებენ სხვადასხვა დაზგებს და მანქანებს, ტურბინებს ორთქლმავლებს, საზღვაო და სამდინარო გემებს [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 56].

მოგზაურებმა ნანკინიდან სიდიდით და მოსახლეობით ჩინეთის პირველ ქალაქ შანხაიში გადაინაცვლეს, სადაც შვიდ მილიონამდე მოსახლეობა ცხოვრობდა, ხუტა ბერულავა გვამცნობს, რომ აქ მრავალი ცათამბჯენია, აგრეთვე აღმართულია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის 106 მეტრი სიმაღლის სასახლე, რომელიც საბჭოთა ხალხმა ათ თვეში ააშენა და მიუძღვნა მეგობარ ხალხს. იგი კიდევ ერთ ფაქტზე მიგვითითებს, რომ „საბინაო საკითხი, ჯერ ისევ მწვავე საკითხია ჩინეთში, აქ კიდევ არიან ადამიანები რომლებიც პირდა-

პირ წყალში, ესე იგი ნავებში ცხოვრობენ. აი ამიტომაც საბინაო მშენებლობას საგანგებო ყურადღება ექცევა. საშუალოთა გაქანება გვარწმუნებს, რომ შორს არ არის დღე როცა ეს საკითხიც წარმატებით გადაიჭრება“. საინტერესოა ის, რომ ჩინელი ხალხის ეს შეშინება და უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის წყურვილი საბავშვო სიმღერებშიც აისახებოდა, მაგალითად ერთერთი მათი სიმღერა ასე მთავრდებოდა: „ჩამორჩენა არ შეიძლება, სულ წინ!“ [ბერულავა, 1958: 42].

აღიომ მირცხულავა თავის ჩანაწერებში აღნიშნავს რომ „ქალაქი შანხაი ყველზე დიდი ზღვისპირა ინდუსტრიული ქალაქია ჩინეთში. პოეტები შანხაიში შეხვდნენ საბჭოთა კავშირიდან მივლინებულ ქართველ მეჩაიე სპეციალისტებს, ესენი იყვნენ პოლიკარპე ქურიძე და იოსებ ჩიგოგიძე. ისინი კარგა ხანია ეხმარებიან ჩინელ ამხანაგებს, მათ გვითხრეს, რომ ხანკოუში ჯაველიძე, ხოლო კანტონში, მიქელაიშვილი უზიარებენ იქაურ ამხანაგებს, თავიანთ გამოცდილებებს ჩაისა და ციტრუსების დარგში“ [ბერულავა, 1958: 42].

ჩანაწერებში დაცული ცნობების მიხედვით, ხანჭოუ განთქმულია აბრეშუმისა და ჩაის ფაბრიკებით. აღიომ მირცხულავა წერს: „არც საქართველოს თაიგული ჩამორჩება ჩინურ პირველხარისხოვან ჩაის ხარისხის, გემოს და სურნელების მხრივ. რაც შეეხება ჩაის ფაბრიკას ჩვენში იგი ტექნიკურად უკეთ მოწყობილია და მექანიზირებული აქ საბჭოთა კავშირიდან ჩაის ბევრი სპეციალისტი ჩამოდის. ამჟამად საქართველოდან ერთი წლის ვადით მოვლინებულია ორი მეჩაიე სპეციალისტი – პ. ქურიძე და ი. ჩიგოგიძე ისინი მე შანხაიში გავიცანი. ქართველი სპეციალისტები აქ ეცნობოდნენ ჩინელების გამოცდილებას – სხვადასხვა ყვავილებით ჩაის არომატიზაციის მეთოდებს. თავის მხრივ მათ გააცნეს ჩინელ მეჩაეებს მოწინავე აგროტექნიკური ხერხები ბუჩქების ხშირ მწკრივებად რგვისა და კრეფის გაუმჯობესების შესახებ კოოპერატივ „მი იუეს“ ჩაის მკრეფავი ღი შუნ ციუანი უკვე ორივე ხელით ჰკრეფს ჩაის ქართველ კოლმეურნე ქალთა მაგალითისამებრ“ [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 58]. აღიომ მირცხულავა აღნიშნავს, რომ უხანის მუშათა ჯგუფი ამჟამად პრაქტიკას გადის თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანაში (ჩინელების მეტალურგიულ კომბინატში რამდენიმე თბილისური დაზგაც მდგარა ამ დროს) ამ ორ ქვეყანას შორის დამყარებულია მტკიცე მეგობრული საწარმოო კავშირი [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 73].

ქართველი პოეტების ჩანაწერებში მოყვანილი ეს ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ ქართველებსა და ჩინელებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ფარგლებში საკმაოდ აქტიური თანამშრომლობა ჰქონიათ გაჩაღებული. აღიომ მირცხულავა ხანჭოუს ახასიათებს, როგორც პატარა სამრეწველო ქალაქს: აქ არის ბამბეული, აბრეშუმსახვევი და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები, ტყავის ქარხნები, ელექტროსადგურები და სხვა. შენობები ძველ ჩინური

სტილითაა აგებული, სავაჭროები გაჭედლია ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი საქონლით. აქ უხვადაა ტყავის ნაწარმიც, საერთოდ ჩინეთში სამი ტიპის ვაჭრობაა: სახელმწიფო, კერძო-სახელმწიფო და კერძო, მონოპოლიურია პირველი, კოოპერატიული ვაჭრობა ჩასახვის პერიოდშია. კეთილმოწყობილი სუფთა ქუჩებისა და სასტუმროების მხრივ ჩინეთი სანიმუშოაო, ამბობს ალიო მირცხულავა [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 56].

რაც შეეხება ჩინელების გარეგნობას, აი რას წერს ალიო მირცხულავა ჩინელი ქალების შესახებ: „ჩინელი ქალები უმეტესად ტანმორჩილნი და სუსტნი არიან, სახე აქვთ ფართო წინწამოწეული ყვრიმალებით, თვალები კი ვიწრო, ირიბად გაჭრილი და მუქი. ბევრი ახალგაზრდობის ასაკიდანვე სათვალეს ატარებს. სახის კანი აქვთ მკვრივი და ხორბლისფერი. აცვიათ ფართო ჩაშვებული მარვლები, იშვიათად თუ აცვიათ კაბა, ისიც ცალი მხრით გახსნილი, აქა-იქ შეგხვდებათ პატარა ფეხებიანი ქალებიც, უფრო მეტად მოხუცები, მუშტისოდენა ფეხებზე, ისე როგორც ცერებზე, მათ ძალიან უჭირთ სიარული. ძველად არისტოკრატ ქალებს ბავშვობიდანვე ფეხებს კალაპოტში უდებდნენ. პატარა ფეხები ქალებისათვის მაშინ დიდ მშვენებად ითვლებოდა. ეს წესი ახლა არ არსებობს, არც მამაკაცები ატარებენ ქალებივით გრძელ ნაწნავებს“ [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 56]. ხუტა ბერულავა კი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში თითქმის ყველას ერთნაირად აცვია ლურჯი კიტელები და მარვლები [ბერულავა, 1958: 42].

შემდეგ მოგზაურები ეწვივნენ ქალაქ თიენძინში „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს ლი ციუს. ალიო მირცხულავას ჩანაწერებიდან ვიგებთ თუ როგორ მუშაობდა ლი ციუ პოემის თარგმანზე, რომელიც უკვე ორჯერ გამოიცა: „ანტიიაპონური ომის დღეებში ხალხს სჭირდებოდა სწორედ ასეთი გმირული სულით ანთებული ნაწარმოები. ამან შთამაგონა მეთარგმნა გენიალური პოეტი. მადლობა ეკუთვნის ქართველ ხალხს, შოთა რუსთაველის მშობელ ხალხს, რომლის წიაღშიც დაიბადა პოეტიც და მისი ბრძნული წიგნიც!“ [ბერულავა, 1958: 46]. ალიო მირცხულავას კი თავს ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ ლი ციუ (იგივე ხუტა ბერულავასთან აღნიშნული „ლი ტიუ“) რუსთაველის გენიალურ პოემას 1943 წელს გაეცნო: „ქართულ და ჩინურ პოეზიას, – განაგრძობს მთარგმნელი, – ერთი საერთო რამ აქვთ: ეს არის ხალხურობა, თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივი. ჩინელებს აქვთ ერთი ანდაზაც: „როცა წყალს სვამ, წყარო გახსოვდეს“. ასე ვაფასებთ ჩვენ წინაპრებს, ვიცით რომ ასე აფასებს ქართველი ერიც თავის კლასიკოსებს, პირველ რიგში შოთა რუსთაველს. ჩინური კლასიკური პოეზიის მამამთავარია ციუ იუანი, მხოლოდ ის შეიძლება რუსთაველს შევადაროთ მაგრამ ქართველი პოეტი მაინც მიუწვდომელი მწვერვალია“ – ამბობს ლი ციუ [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 73].

თიენძინის ნახვამ კიდევ უფრო დაარწმუნა მოგზაური პოეტები იმაში, რომ დიდი ჩინური კედელი იცავდა არამარტო ქვეყნის გეოგრაფიულ დამოუკიდებლობას და მთლიანობას, არამედ ეკონომიკურ და კულტურულ თვითარსებობასაც. ტრადიციად ქვეული ეს ნაციონალური თავისებურება ეტყობა არქიტექტურას, მხატვრობას, ოპერას, ლიტერატურას, იეროგლიფურ მართლწერას, ენასა და სხვა. ჩინურ ენაში თითქმის არაა უცხოურ-ევროპული სიტყვები. მაღაზიებშიც უმეტესად ადგილობრივი წარმოების საქონელია, ჩინური კედელი აკავებდა ყოველგვარ იმპორტს და ექსპორტსაც.

ჩანაწერებში ვაწყდებით პატარა ცნობას ჩინური მედიცინის შესახებაც: ჩინელებმა კბილის ტკივილს ხალხური მედიცინის საშუალებით უმკურნალეს კერძოდ კი პაციენტი პოეტს იოდი წაუსვეს და შემდგომ უწამლო უბრალო ნემსი გაუყარეს თითებს შუა, რაც სავსებით არ იყო მტკივნეული, და კბილიც სულ მალე დაუამა [მირცხულავა /მამაშვილი/, 1956: 56], ავტორი, სავარაუდოდ ჩინელების ტრადიციულ მედიცინაზე აკუპუნქტურაზე უნდა მიუთითებდეს.

და ბოლოს ქართველი მოგზაურები ისევ პეკინში დაბრუნდნენ: „მოედნის თავზე, ისე როგორც მთელი ჩინეთის თავზე, ამაყად ფრიალებდნენ ხუთვარსკვლავიანი წითელი დროშები, მთავარ ტრიბუნაზე იდგა ამხანაგი მათ ძე-დუნი თავის მებრძოლ მეგობრებთან ერთად. მე ახლოს, სულ ახლოს ვხედავდი მის ნათელ, დიად ადამიანური სინათლით გაშუქებულ სახეს. იგი იღიმებოდა თბილი, გულითადი ღიმილით და ხელაწეული მიესალმებოდა თავის მშობელ ხალხს, რომელიც ერთხმად შეუწყვეტლად, მღელვარედ გუგუნებდა: მათ ჯუსი ვანსუი – თავმჯდომარე მათს დიდება!“ [ბერულავა, 1958: 46].

ქართველი პოეტების ჩანაწერებში დაცული ეს ცნობები, მიუხედავად პოლიტიკური-იდეოლოგიური კონიუნქტურული „გადახრებისა“, მაინც მნიშვნელოვანია ამ კონკრეტულ ეპოქაში ჩინელი ხალხის და ჩინური სახელმწიფოს პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური ვითარების და, რაც მთავარია, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობის კონტექსტში.

**თავი IV. საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი დონის
წარმომადგენელთა ოფიციალური და სამუშაო ვიზიტები
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში
ჩინური პრესის მასალების მიხედვით**

თვისობრივად ახალი ეტაპი საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებში იწყება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების (1991 წ. 9 აპრილი) შემდეგ. ჯერ კიდევ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, 1991 წ. 27 აგვისტოს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა, გააკეთა განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. იმავე წლის 27 დეკემბერს კი უკვე ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს წევრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ციენ ციჩენმა (钱其琛) დეპუტა გამოუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მურმან ომანიძეს, რომელშიც ატყობინებდა თავის ქართველ ვიზავის, რომ ჩინეთის მთავრობა ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას [中国政府, 1993; 中国与格鲁吉亚, 2012]. 1992 წ. 9 ივნისს ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელმა ვანგ ძინცინგმა (ჩინეთის ელჩი რუსეთის ფედრაციაში) და საქართველოს რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ თბილისში ხელი მოაწერეს „ჩინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ერთობლივ კომუნიკეს“ [中华人民共和国, 1992; 胡锦涛与格总统, 2006; ჩინეთის ელჩი, 2020; გელაშვილი, 2020]. იმავე წელს ოქტომბერში ჩინეთმა საქართველოში საელჩო დააფუძნა.

ამ დროიდან საქართველოს ხელისუფლება და უშუალოდ ედუარდ შევარდნაძე (რომელმაც, როგორც ქვეყნის პირველმა პირმა 1992 წ. 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ლეგიტიმაცია შეიძინა და ოფიციალურად გამოცხადდა სახელმწიფოს მეთაურად) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობებს. ამაში საქართველოს ლიდერს ხელს უწყობდა მისი ადრინდელი – სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის (არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ოფიციალური პეკინისთვის ედუარდ შევარდნაძის ეს სტატუსი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საქართველოს ლიდერის) პოსტზე ყოფნის პერიოდის დიპლომატიური გამოცდილება და პიროვნული ავტორიტეტი, რომლითაც ის სარგებლობდა ჩინეთის პოლიტიკურ ელიტაში. მართალია, ე. შევარდნაძის, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელის დიპლომატიური მოღვაწეობის ჩინეთის მიმართულების ანა-

ლიზი გადის წარმოდგენილი ნაშრომის თემატიკიდან, მაგრამ ზოგიერთი ეპიზოდის გახსენება მაინც ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, რადგან ე. შევარდნაძის ეს მოღვაწეობა პოზიტიურად აისახა მისი, ამჯერად უკვე საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირის რეპუტაციაზე.

პირველად ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით ე. შევარდნაძე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, 1989 წლის თებერვალში (2-4 თებერვალს) ეწვია [ამ ვიზიტის შესახებ იხ. ოფიციალური ინფორმაცია გაზეთში „*ენმინ ჟიბაო*“ – 李景贤, 2008]. ჩინელი ავტორები განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებენ ე. შევარდნაძის შეხვედრაზე ჩინეთის მაშინდელ ლიდერთან ტენგ სიაოფინგთან (დენ სიაოპინი). ამ მხრივ აღსანიშნავია ჩინეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ციენ ციჩენის მოგონებები შევარდნაძეზე, რომელშიც ხაზგასმულია ე. შევარდნაძის პიროვნული როლი ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების ნორმალიზებაში [谢瓦尔德纳泽, 2014]. იმ პერიოდში (1988-1998 წწ.), როგორც უკვე აღინიშნა, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა ციენ ციჩენს. მათი შეხვედრების დროს წყდებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ავღანეთიდან ჯარების გაყვანა, კამბოჯისა და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ტერიტორიაზე სამხედრო დასახლებების საკითხები. ციენ ციჩენი საგანგებოდ ჩერდება შევარდნაძის მცდელობაზე, აეძულებინა ჩინური მხარე, ჯერ ოფიციალურად დაედასტურებინათ ტენგ სიაოფინგის და საბჭოთა ლიდერის მიხაილ გორბაჩოვის შეხვედრის თარიღი და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინათ ერთობლივი განცხადება კამბოჯის საკითხზე, რაც, მისი თქმით, მარცხით დასრულდა. ტენგ სიაოფინგი მიუხედავად შევარდნაძის ამ ჩანაფიქრს და დიპლომატიურად აიძულა ხელი აეღო ამ ინიციატივაზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ შეხვედრის დროს განაცხადა ტენგ სიაოფინგმა აწ უკვე „მსოფლიო კლასიკად“ ქცეული სიტყვები: „*დავასრულოთ წარსული, გზა გაუუხსნათ მომავალს*“. ამის შემდეგ მოლაპარაკებები გაგრძელდა მინისტრების დონეზე.

აქვე, ციენ ციჩენი იხსენებს: „*ხუთი წლის შემდეგ მე მიმიწვიეს საქართველოში, იქ კვლავ შევხვდი შევარდნაძეს, ის იმ დროს უკვე საქართველოს პრეზიდენტი იყო, უმაღლეს დონეზე და დიდი პატივით (ეტიკეტის ყველა წესის დაცვით) მიმიღეს, მან თავად გამიმართა საზეიმო მიღება, აეროპორტშიც კი გამაცილა, გაცილებით გულთბილად, ვიდრე მაშინ მოსკოვში*“ [谢瓦尔德纳泽, 2014]. თავის მხრივ, ე. შევარდნაძე ჩინელ ჟურნალისტთან ინტერვიუში (გამოქვეყნდა /08.01.2004/ ჩინეთის ყველაზე მსხვილი საინფორმაციო ვებპორტალის „ახალი ტალღის“ (新浪) გვერდზე), 1989 წლის 2-4 თებერვალს ჩინეთში განხორციელებული ზემოაღნიშნული ვიზიტისა და ზოგადად მისი საბჭოთა კავშირის საგა-

რეო საქმეთა მინისტრობის პერიოდის შესახებ, აღნიშნავს, რომ ეს იყო უმნიშვნელოვანესი და ყველაზე წარმატებული პერიოდი მის ცხოვრებაში, „*მე ნამდვილად დიდი წვლილი მიმიძღვის ჩსრ-ს და სსრკ-ს ურთიერთობების ნორმალიზებაში... მახსოვს, ჩინეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მუდამ პრობლემური იყო, საზღვარზე ცუდი ამბებიც ხდებოდა, მაგრამ ბოლოს ჩსრ-ს და სსრკ-ს ლიდერებმა გადაწყვიტეს, დაერეგულირებინათ ორმხრივი ურთიერთობები და გადაეწყვიტათ სახელმწიფოთა სასაზღვრო ზოლის საკითხები*“ [关键斌, 2004].¹

1993 წლის 23 აპრილს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველმა ელჩმა საქართველოში ვანგ ფენგსიანგმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს გადასცა რწმუნებათა სიგელები, ხოლო 1993 წ. 2-4 ივნისს ჩსრ-ის თავმჯდომარის ძიანგ ძემინის მოწვევით საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში განახორციელა პირველი ოფიციალური ვიზიტი. მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს [中华人民共和国, 1993], ორი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ პროტოკოლს, ორი სახელმწიფოს მთავრობათა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ შეთანხმებას და შეთანხმებას სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, საბაჟო, სპორტის, კავშირგაბმულობის და ტელეკომუნიკაციების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. სულ შევარდნაძის პირველი ვიზიტისას ხელი მოეწერა 17 დოკუმენტს, რომლითაც დასაბამი მიეცა თვისობრივად ახალ ეტაპს ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

„*ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკეს*“ ჩინურ ვერსიაში, რომელსაც 1993 წლის 2 ივნისს პეკინში ხელი მოაწერეს ჩინეთისა და საქართველოს ლიდერებმა ძიანგ ძემინმა და ედუარდ შევარდნაძემ, ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ძიანგ ძემინის მოწვევით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ 1993 წლის 2-4 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტი განახორციელა. ვიზიტისას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ძიანგ

¹ ამავე ინტერვიუში ე. შევარდნაძე საუბრობს თავის როლზე საქართველოს ისტორიაში; ამბობს, რომ სახელმწიფოს სათავეში მისი მოსვლის დროს ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში იყო და ამის ფონზე ძნელი იყო ქვეყნის შენება; ბევრი რამის გაკეთება შეძლო, მაგრამ გეგმების, მათ შორის ახალი აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული და სხვ. განხორციელება ვერ მოახერხა. მთავარი მაინც ის არის – თვლის შევარდნაძე, რომ მან ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო და თუ მათ ნამდვილად აქვთ ნიჭი, ისინი შეძლებენ ორ-სამ წელიწადში არსებულ ბაზაზე აადორდინონ საქართველო [关键斌, 2004].

ქმინმა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურთან მეგობრულ, გულახდილ და საქმიან ატმოსფეროში გამართა შეხვედრა. მათ ისაუბრეს ორმხრივი ურთიერთობების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე, ასევე საერთო საზრუნავ საერთაშორისო საკითხებზე. სახელმწიფოთა ლიდერებმა განცხადეს, რომ მეგობრობის კვანძმა ჩინელი და ქართველი ხალხები ერთმანეთს დააკავშირა და როგორც მეგობარი სახელმწიფოები. მხარეებმა დაადასტურეს სახელმწიფოთა (ჩინეთს და საქართველოს) სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა, ურთიერთთავდასხმაზე და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევაზე უარის თქმა, ურთიერთთანაწილობის და ურთიერთსარგებლიანობის, მშვიდობიანი თანაარსებობის და სხვა პრინციპების საფუძველზე ურთიერთობის დამყარების სურვილი. აღინიშნა, რომ საქართველო და ჩინეთი მხარს უჭერენ სადაო საკითხების მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას. რომ ეს ორივე სახელმწიფო ითანამშრომლებს მსოფლიო და რეგიონული მშვიდობის და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში, მხარს დაუჭერს საერთაშორისო პოლიტიკის და ეკონომიკის ახალ, სამართლიან და გონივრულ წესრიგს [中华人民共和国, 1993].

კომუნიკე ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობასაც. დოკუმენტში წერია, რომ მხარეები გაეროში და ყველა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში (სადაც ისინი მონაწილეობენ), ასევე ნებისმიერი მრავალმხრივი სხდომების (კონფერენციების) ფარგლებში გააფართოებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას; დაიცავენ და ეფექტურად განახორციელებენ გაეროს დადგენილებების მთავარ მიზნებს, პრინციპებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს; გააძლიერებენ საკუთარ როლს გაეროს მიერ საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის, სახელმწიფოებზე თავდასხმების თავიდან არიდების, შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეებში [中华人民共和国, 1993].

კომუნიკეში აღინიშნა, რომ ჩინეთის და საქართველოს ლიდერები, პარლამენტები და მთავრობები გააძლიერებენ და განავითარებენ ორმხრივ თანამშრომლობას და რომ საერთო ინტერესის ფარგლებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით რეგულარულად გამართავენ პოლიტიკურ კონსულტაციებს; ასევე სახელმწიფოთა სამინისტროებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუდმივად ექნებათ უშუალო კონტაქტი ერთმანეთთან; ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში გრძელვადიანი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად სახელმწიფოები კეთილსინდისიერად ითანამშრომლებენ და შეასრულებენ დაკის-

რებულ მოვალეობებს. კომუნიკეში ხაზი გაესვა აგრეთვე იმასაც, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ორი სახელმწიფოს ურთიერთობის უმთავრესი ნაწილია და რომ მხარეები გაატარებენ ყველა აუცილებელ ღონისძიებას აქამდე ხელმოწერილი შეთანხმებების შესრულებისა და ურთიერთმომგებიანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების უზრუნველსაყოფად; კულტურული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის და ურთიერთობების წასახალისებლად. საგანგებო ყურადღება მიექცა ასევე, ორგანიზებულ დანაშაულების, ნარკოტიკების გადაზიდვის, ტერორისტული საქმიანობის, საჰაერო და საზღვაო უსაფრთხოების, კონტრაბანდის, მათ შორის კულტურის ძეგლების საზღვარზე საიდუმლოდ გადატანის და სხვა საკითხებში სახელმწიფოთა თანამშრომლობის აუცილებლობას [中华人民共和国, 1993].

განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა კომუნიკეს ჩანაწერს იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღიარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მთელი ჩინეთის ერთადერთი კანონიერ ხელისუფლებად და მიიჩნევს ტაივანს მისი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად. ამასთან, საქართველოს მთავრობა ადასტურებს, რომ მომავალში მისი მხრიდან არანაირი ოფიციალური ურთიერთობის დამყარებას ტაივანთან არ ექნება ადგილი. თავის მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აღიარებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ასევე აღნიშნულია ის, რომ საქართველო-ჩინეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარება არ მოვა წინააღმდეგობაში მესამე ქვეყანასთან, და არ მოუტანს ზიანს ჩინეთის და საქართველოს სხვა სახელმწიფოსთან გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აქტუალური საკითხების მიმართ, მშვიდობის და განვითარების, ასევე ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების საკითხებში ჩინეთის და საქართველოს პოზიციები თანხვედრაშია და რომ სახელმწიფოები უწინდებურად უჭერენ მხარს რეგიონული და მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვას, თითოეულ მათგანს უფლება აქვს სპეციფიკიდან და, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, აირჩიოს სოციალური სისტემა, ეკონომიკური მოდელი და განვითარების გზები და ამ მხრივ წარმოშობილმა სხვაობამ არ უნდა შეუშალოს ხელი ორ სახელმწიფოს შორის ნორმალურ ურთიერთობებს და თანამშრომლობას [中华人民共和国, 1993].

სახელმწიფოთა ლიდერებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ჩინეთ-საქართველოს პირველი მაღალი დონის შეხვედრას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოხდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ძირითადი პრინციპების დადგენა, ამ ვიზიტით

მიღწეულმა შედეგებმა საქართველოს რესპუბლიკის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა სავსებით ახალ დონეზე აიყვანა. მხარეებს სჯერათ, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა მომავალში (მიუხედავად მათი ტერიტორიული სიდიდის და განვითარების დონისა) სახელმწიფოთა შორის თანასწორი თანამშრომლობის კლასიკურ მაგალითად იქცევა, რაც შეესაბამება ორი სახელმწიფოს ხალხების ძირითად ინტერესს და მისწრაფებებს და ხელს უწყობს მსოფლიოში მშვიდობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების დაცვის საქმეს [中华人民共和国, 1993].¹

ასეთია ეღუარდ შევარდნაძის მიერ ჩინეთში ოფიციალურად განხორციელებული ვიზიტების და ჩინელების თვალთ დაწახული საქართველოს ლიდერის შეფასების მოკლე მიმოხილვა ჩინური წყაროების მიხედვით. 2003 წ. მაისში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ძინთაო ესწრებოდა რუსეთში სანქტ-პეტერბურგის დაარსების 300 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიას, ჩინეთის ლიდერი და საქართველოს პრეზიდენტი ეღუარდ შევარდნაძე ბოლოს სწორედ ამ დონისძიების პერიოდში შეხვდნენ ერთმანეთს.

უმაღლეს დონეზე ოფიციალური შეხვედრის შემდეგ გააქტიურდა კონტაქტები ორ სახელმწიფოს შორის ხელისუფლების სხვადასხვა შტოების დონეზეც. 1994 წლის ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ განახორციელა ვიზიტი ჩინეთში. მას შეხვდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის მუდმივი კომიტეტის ხელმძღვანელი ციაო შში (乔石). 1998 წლის 14-18 აპრილს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი ჩავიდა ჩინეთში, სადაც შეხვდა პრემიერ მინისტრ ჟუ ჟუნგძის (朱镕基) და გამართა მოლაპარაკებები საგარეო საქმეთა მინისტრ თანგ ძიასსუნთან (唐家璇); გაიცვალა „საქართველო-ჩინეთის საკონსულო შეთანხმების“ [中华人民共和国, 1996] რატიფიკაციის სიგელები [外交部部长, 1998]. ი. მენაღარიშვილის ეს ვიზიტი საკმაოდ ფართოდ გაშუქდა ჩინურ მედიაში.

¹ ამ თემის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო დროს ჩინური ვებ პორტალის და ონლაინ მედია კომპანიის „სოხუს“ მიერ გამოქვეყნებული სტატია ეღუარდ შევარდნაძის შესახებ, სადაც მოკლედ არის აღწერილი მისი მოღვაწეობის გზა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობიდან საქართველოს პრეზიდენტობამდე. მასში აღნიშნულია, რომ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტობის პერიოდში თავიდან ბოლომდე ინარჩუნებდა ჩინეთთან მეგობრულ ურთიერთობებს. მას საქართველოს საკითხებზე მომუშავე ჩინელი დიპლომატებისთვის უთქვამს: „ჩვენს საქართველოს აფხაზეთის პრობლემა აქვს, ჩინეთს კი ტაივანის, ჩვენს ქვეყნებს ერთნაირი სუბსტანცია აქვთ, აუცილებელია, მტკიცე წინააღმდეგობა გავუწიოთ განხეთქილებებს... რა კარგი იქნებოდა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ჩინეთი რომ იყოს, მაგრამ „მეზობელს“ ვერ აირჩევ.“ მან ასევე განაცხადა: „ჩინეთი და საქართველო ნამდვილად კარგად უკებენ ერთმანეთს და ბუნებრივი მოკავშირეები არიან; ჩინეთიდან წამოსული მხარდაჭერა ყველაზე წონიანი და ყველაზე ღირებულია (ძვირფასია, მნიშვნელოვანია)“. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ის აგრეთვე აფრთხილებდა საქართველოს პოლიტიკურ წრეებს: „რაც შეეხება ჩინეთის სუვერენიტეტს, ის წარმოადგენს მაღალ და მტკიცე კედელს, არც იფიქროს ვინმემ მასთან შეჯახებაო“ [从大国外长, 2021].

კერძოდ, 1998 წ. 15 აპრილს გაზეთმა „კუანგმინგ ჟიბაომ“ (光明日报, Guangming Daily) გამოაქვეყნა სააგენტო სინხუას ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჟუ ჟუნგდი 15 აპრილს საღამოს ჟუნგნანხაის იისფერი სხივების სასახლეში შეხვდა ვიზიტით ჩამოსულ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს. შეხვედრისას ჟუ ჟუნგდომ აღნიშნა, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის თანასწორი ურთიერთობაა დამყარებული, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ფარგლებში არსებული მეგობრული ურთიერთობების პერსპექტივა ფართოა და ამ მხრივ არანაირ დაბრკოლებას არ აქვს ადგილი. ეს შეხვედრა გააშუქა აგრეთვე გაზეთმა „ჯენმინ ჟიბაომ“ – ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურმა ბუჭდურმა ორგანომ [朱镕基, 1998]. მასში აღინიშნა, რომ ჟუ ჟუნგდის შეფასებით, ჩინეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ სახეზეა ამ ურთიერთობების განვითარების კარგი ტენდენციები. პრემიერის განცხადებით, ჩინეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობებს, სურს ქართულ მხარესთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით კარგი პოლიტიკური ურთიერთობების საფუძველზე განუწყვეტლივ გააუმჯობესოს და განამტკიცოს სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა სფეროებში ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა და ჩინეთსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები ახალ დონეზე გადაიყვანოს [彭树杰, 1998; 朱镕基, 1998]. თავის მხრივ, ი. მენაღარიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მაღლობას უხდის ჩინეთს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ მუდმივი მხარდაჭერისთვის. ბოლო წლების განმავლობაში საქართველო-ჩინეთის მეგობრულ ურთიერთობები მუდმივად განიცდის გაღრმავებას, რითაც ქართული მხარე ფრიად კმაყოფილია [朱镕基, 1998].

ირაკლი მენაღარიშვილისა და თანგ ძიასსუნის შეხვედრის შესახებ ინფორმაციას იძლევა აგრეთვე „ჩინეთის რეფორმების და გახსნილობის ახალი ეპოქის წელიწდეული“.¹ მასში ასევე აღნიშნულია, რომ, შეხვედრის მსვლელობისას, თანგ ძიასსუნმა ყურადღება გაამახვილა, პოზიტიურ დინამიკაზე, რომელიც შეინიშნება ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებში დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან თითქმის 6 წლის განმავლობაში. ითქვა, რომ მიუხედავად სიშორისა, ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებისთვის ბევრი ხელსაყრელი პირობაა და რომ ჩინეთ-საქართველოს

¹ ეს არის დოკუმენტების დიდტანიანი კრებული, რომელსაც ინფორმაციები ადებული აქვს „ჯენმინ ჟიბაოსაგან“, „სინხუას ყოველთვიური გამოცემისგან, „სახელმწიფო საბჭოს ოფიციალური უწყებანისგან“ და სხვა ღია სახელმწიფო გამოცემებისგან. მისი გამოცემა დაიწყო 1978 წლიდან, იგი ასახავს ჩინეთის რეფორმების და გახსნილობის პოლიტიკის და სოციალიზმის მშენებლობის ახალ პერიოდში პარტიის და სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს).

მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს, ჩინელ და ქართველ ხალხს მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებთ. თანგ ძიასსუნმა ასევე აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია, ურთიერთობების განვითარების მხრივ არ არსებობს არანაირი დაბრკოლება. ორ ქვეყანას ბევრ საერთაშორისო საკითხთან მიმართებით ერთი და იგივე ან მიახლოებული პოზიცია აქვთ, ჩინურ მხარეს სურს, რომ ქართულ მხარესთან ერთად გააგრძელოს ძალისხმევა ორი ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის და ურთიერთობების განუწყვეტლივ გაღრმავებისთვის [外交部部长, 1998].

თანგ ძიასსუნმა მაღლობა გადაუხადა ქართულ მხარეს „ერთი ჩინეთის“ პოზიციის მხარდაჭერისთვის და ასევე იმ ფაქტის გამო, რომ საქართველომ დადო პირობა, ტაივანთან არანაირი ოფიციალური ურთიერთობის დამყარებას არ ექნებოდა ადგილი. თანგ ძიასსუნმა განმეორებით დაადასტურა, რომ ჩინეთი პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას [外交部部长, 1998].

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლების ვიზიტებიდან, თავისი მნიშვნელობით უთუოდ გამოსარჩევია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში, რომელიც შედგა 2000 წლის 10-17 აგვისტოს – სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის (ქვეყნის პარლამენტის პირველი პირი) ლი ფენგის მოწვევით. ვიზიტის ფარგლებში ზურაბ ჟვანიას შეხვედრა ჰქონდა ქვეყნის პრემიერ მინისტრ ჟუ ჟუნგძისთან, საგარეო საქმეთა მინისტრ თანგ ძიასსუნთან. ამის შესახებ იუწყება ჩინეთის ვიზების საკონსულტაციო სააგენტოს ვებგვერდი. მასში აღნიშნულია, რომ მხარეების შეხვედრა ემსახურებოდა ორ სახელმწიფოს და მათ მთავრობებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის და თანამშრომლობის გაღრმავებას; შეხვედრის ფარგლებში მიაღწიეს მასშტაბურ შეთანხმებებს [格鲁吉亚, 2007].

ვიზიტი გააშუქა (სააგენტო სინხუაჟუ დაყრდნობით) გაზეთმა „კუანგმინგ ჟიბაო“, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა, რომ 2000 წლის 16 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ-მინისტრმა ჟუ ჟუნგძმა ჟუნგნანხაის ტბასთან იისფერი სხივების სასახლეში მიიღო ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია [谭国器, 2000a]. ამ შეხვედრას აშუქებს აგრეთვე „სინხუას ყოველდღიური ტელეგრაფი“, რომელიც 16 აგვისტოს აქვეყნებს სტატიას სათაურით „ჟუ ჟუნგძი შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს“ [სტატიის ავტორი: თან გუოცი /谭国器/ – 谭国器, 2000b]. მასალის შეხვედრის მსვლელობისას ჟუ ჟუნგძიმ განაცხადა, რომ „ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებას და რომ ჩვენს ხალხებს ტრადიციული მეგობრობა აკავში-

რებთ. ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან უკვე რვა წელზე მეტია გასული, ამ ხნის მანძილზე ორმხრივი ურთიერთობები სტაბილური ნაბიჯებით ჯანსაღად ვითარდება, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში უკვე მიღწეულია პირველი წარმატებები, ვიმედოვნებთ, რომ ორმხრივი ერთობლივი ძალისხმევით ორი სახელმწიფოს ურთიერთობები ახალ საუკუნეში უფრო მეტად გაღრმავდება“ [谭国器, 2000b]. თავის მხრივ, ზურაბ ჟვანიამ ე. შვეარდნაძის სალამი გადასცა ჟუ ჟუნგდის. მან განაცხადა, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას. ბოლო წლების განმავლობაში ორი სახელმწიფოს მთავრობებმა, პარლამენტებმა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს ფართო თანამშრომლობა. საქართველოს სურს, ორი სახელმწიფოს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის მეშვეობით გააღრმავოს ჩვენი სახელმწიფოების ხალხთა ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა და სიკეთე მოუტანოს ჩვენს ხალხებს [谭国器, 2000b].

ჟუ ჟუნგდომ ასევე აღნიშნა, რომ ჩინეთი პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, მხარს უჭერს საქართველოს ქართველი ერის დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში. ჩინეთის მთავრობას სურს, საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად გააგრძელოს აფხაზეთის საკითხის საბოლოო მშვიდობიანი მოგვარებისთვის ერთობლივი ძალისხმევა. საქართველო კი მხარს უჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას და მკაცრად იცავს ტაივანის საკითხთან დაკავშირებულ პრინციპულ პოზიციას, რომ არ დაამყარებს ტაივანთან არანაირ ოფიციალურ ურთიერთობას, რასაც ჩინეთი დიდად აფასებს და გამოხატავს მადლიერებას [谭国器, 2000b]. თავის მხრივ, ზ. ჟვანიამ განაცხადა, რომ საქართველო ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებას. ამ ვიზიტის განმავლობაში მან პეკინში, კუანგჯოუში, ყველგან შეამჩნია ჩინეთის ეკონომიკური მშენებლობის უდიდესი მიღწევები, რამაც აღტაცებაში მოიყვანა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ჩინეთის მთავრობას საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის კუთხით მუდმივი მხარდაჭერისთვის და ხაზი გაუსვა იმას, რომ, თავის მხრივ საქართველოც გააგრძელებს „ერთი ჩინეთის“ პრინციპის მხარდაჭერას, ზ. ჟვანიამ იმედი გამოთქვა, რომ ჩინეთი საერთაშორისო საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლის თამაშს გააგრძელებს მსოფლიოს მულტიპოლარიზაციის პროცესის ხელშეწყობისთვის [谭国器, 2000b].

ჟუ ჟუნგდი და ზ. ჟვანია საუბრისას შეეხნენ ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებსაც, ამის თაობაზე ჟუ ჟუნგდომ გამოთქვა იმედი, რომ

მხარეები ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე გააძლიერებენ თანამშრომლობას, ბოლომდე გამოავლენენ სახელმწიფოების სავაჭრო-ეკონომიკური კომისიის როლს, აქტიურად შეისწავლიან და აითვისებენ ორმხრივი თანამშრომლობის ახალ პროექტებს და ახალ სფეროებს. ზ. ჟვანიამ განაცხადა, რომ „საქართველო მადლობას უხდის ჩინურ მხარეს საქართველოსთვის აღმოჩენილი უანგარო დახმარებისთვის, თვლის რომ ეს არის ჭეშმარიტი მეგობრობის გამოხატულება, ეს არის მხარდაჭერა საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს მხარდაჭერა, სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის მხრივ, საქართველოს სურს ტექსტილის, ჰიდროენერგეტიკის, ტრანსპორტირების და სხვა სფეროებში ჩინეთთან თანამშრომლობის დაწყება [谭国器, 2000b].

ვიზიტის ფარგლებში, ზურაბ ჟვანია მიიღო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ლი ფენგმა [钱彤, 2000]. საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ, სააგენტო სინხუაზე დაყრდნობით, 11 აგვისტოს გამოქვეყნა გაზეთმა „ქენძინ ჟიბაომ“. მასში აღნიშნულია, რომ ჩინეთის პარლამენტის ხელმძღვანელი მეუღლესთან – ჟუ ლინთან ერთად თავის ქართველ კოლეგას – ვიზიტით ჩამოსულ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა [钱彤, 2000]. ლი ფენგმა აღნიშნა, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის 1992 წელს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ მხარეებს შორის ურთიერთობა წარმატებით და სტაბილურად ვითარდება, ორი სახელმწიფოს და მათი პარლამენტის ლიდერებს შორის უწყვეტმა ურთიერთობამ განამტკიცა ურთიერთგაგება და მეგობრობა მათ შორის, ხელი შეუწყო ორმხრივი მეგობრობრული თანამშრომლობის განვითარებას. ბოლო წლების განმავლობაში თანასწორი ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ეკონომიკურმა თანამშრომლობამ თვალსაჩინო წინსვლებს მიაღწია. მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის და განათლების სფეროებში ურთიერთობა და თანამშრომლობა ასევე უწყვეტად ვითარდება. მან გამოთქვა იმედი, რომ ორივე მხარის ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი იქნება, კიდევ ერთი ნაბიჯით განვითარდეს ჩინეთის და საქართველოს თითოეულ სფეროში თანამშრომლობა. მან ასევე განაცხადა, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს პარლამენტთან მეგობრული ურთიერთობების განვითარებას, სურს, რომ აქტიურად განაგრძოს საქართველოს პარლამენტის თითოეულ სეგმენტთან ურთიერთობის და თანამშრომლობის განვითარება, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მეტად წახალისებისთვის [钱彤, 2000].

საპასუხო სიტყვაში, ზ. ჟვანიამ აღნიშნა, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა არის საქართველოს საგარეო ურთიერთობების მნიშვნელოვანი მხარე, ორი სახელმწიფოს

პარლამენტაშორისი ურთიერთობა ასევე მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისითაც. მან მაღალი შეფასება მისცა ჩინეთის რეფორმების და გახსნილობის შემდეგ ეკონომიკური მშენებლობის მხრივ დიად მიღწევებს და აღნიშნა, რომ საქართველოს შეუძლია მაგალითად აიღოს წარმატების მიღწევის საკითხში ჩინეთის გამოცდილება [钱彤, 2000].

შეხვედრის ბოლოს ლი ფენგმა მოკლედ გააცნო ჟვანიას ჩინეთის რეფორმების და გახსნილობის პოლიტიკის, სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის მხრივ არსებული ვითარება და ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის სისტემა. ზურაბ ჟვანიამ ლი ფენგი მოიწვია საქართველოში, მანაც სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. შეხვედრას ესწრებოდნენ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე წოუ ძიანუა და სხვ. [钱彤, 2000]

არანაკლებ მნიშვნელოვანი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი არსენიშვილის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (2001 წ. 19-24 სექტემბერი), სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერის ლი ლანცინგის (李岚清) მოწვევით. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა მოლაპარაკებები სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ჟუ უენგძისთან და ვიცე-პრემიერ ლი ლანცინგთან (ცალცალკე) [格鲁吉亚, 2007]. ეს შეხვედრა გააშუქა გაზეთმა: „უენმინ კიბაოშ“. მასალაში აღინიშნა, რომ სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერმა ლი ლანცინგმა 19 სექტემბერს პეკინში სახელმწიფო სასტუმრო (რეზიდენცია) „ტიაოუიტაიში“ ჩინეთში ვიზიტით ჩამოსულ საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან გამართა მოლაპარაკება. ლი ლანცინგმა შეხვედრის მსვლელობისას აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ 9 წელია გასული, ამ პერიოდში ორმხრივი ურთიერთობები წარმატებით ვითარდება და უფრო და უფრო აქტიურდება, თანამშრომლობის სფეროც თანდათანობით ფართოვდება. ჩინეთის მთავრობა ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოსთან ურთიერთობის განვითარებას, პატივს სცემდა ქართველი ხალხის მიერ სახელმწიფოში არსებულ ვითარებიდან გამომდინარე არჩეულ სოციალურ რეჟიმს და განვითარების მოდელს, პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. მან გამოთქვა იმედი, რომ სახელმწიფოების მეთაურების ერთობლივი მზრუნველობის და ხელშეწყობის შედეგად ურთიერთპატივისცემის, თანაწილობის და ურთიერთდობის საფუძველზე აშენებული ჩინურ-ქართული მეგობრული ურთიერთთანამშრომლობა მომავალშიც განაგრძობს უწყვეტ გაღრმავებას და განვითარებას [钱彤, 2001a].

გ. არსენიშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა ჩინეთის მთავრობას მიწვევის-თვის და ასევე აღნიშნა, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები პოზიტიურად ვითარდება. მან აღნიშნა, რომ ჩინეთში მისი პირველი ვიზიტის მთავარი მიზანია ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგორესურსების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების საკითხების განხილვა; გამოთქვა იმედი, რომ მხარეები შეძლებდნენ კონკრეტულ პუნქტებზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებას. თავის მხრივ, ლი ლანცინგმა დაადასტურა, რომ მხარეებს სავაჭრო-ეკონომიკური, ენერგორესურსების, კომუნიკაციის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ, ჩინეთისა და საქართველოს შესაბამის სამინისტროებს შეუძლიათ სწორედ ამ მომენტიდანვე დაამყარონ პირდაპირი კონტაქტები, ასევე მომავალ წელს საქართველო-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად ჩვენი სახელმწიფოების კულტურის სამინისტროებს შეუძლიათ მოილაპარაკონ მრავალფეროვანი საზეიმო ღონისძიებების ჩატარების თაობაზე [钱彤, 2001a].

გიორგი არსენიშვილთან შეხვედრისას ლი ლანცინგმა აღნიშნა, რომ 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა მთელი მსოფლიო მიახვედრა, რომ ტერორიზმი უკვე იქცა მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილურობის სერიოზულ საფრთხედ. ჩინეთის მთავრობა მტკიცედ ეწინააღმდეგება ნებისმიერი სახის ტერორისტულ მოქმედებებს და სურს რომ მსოფლიოს თითოეულ სახელმწიფოსთან ერთად, გააძლიეროს საერთაშორისო ანტიტერორისტული თანამშრომლობა, გაეროს წესდების საფუძველზე ერთობლივი ძალისხმევით დათრგუნოს ტერორისტული ძალადობის აქტები. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის დროს აუცილებელია არსებობდეს უტყუარი ფაქტები, დაუშვებელია უდანაშაულოთა დაღუპვა. ეს მიდგომა მთლიანად გაიზიარა გ. არსენიშვილმა [钱彤, 2001a]. შეხვედრას ესწრებოდნენ მეცნიერების და ტექნიკის მინისტრი სსუი კუანხუა, სხვა ოფიციალური პირები [钱彤, 2001a].

გაზეთი „ენძინ კიბაო“ გიორგი არსენიშვილის ჟუ ჟუნგდისთან შეხვედრის შესახებაც აქვეყნებს (საინფორმაციო სააგენტო სინხუაზე დაყრდნობით) სტატიას [钱彤, 2001b]. მასში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო საბჭოს პრემიერ მინისტრი ჟუ ჟუნგდი 2001 წლის 20 სექტემბერს ჩინეთის პარლამენტის შენობაში შეხვდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს. ჟუ ჟუნგდიმ აღნიშნა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების დღიდან ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები სტაბილური ნაბიჯებით ვითარდება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ძიანგ ძემინის და პრეზი-

დენტ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილმა „ჩინეთ-საქართველოს ერთობლივმა კომუნიკემ“ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების განვითარებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. მან აღნიშნა, რომ ჩინეთი პატივს სცემს საქართველოს მთავრობას და ხალხს, მათ მიერ ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე არჩეულ სოციალურ რეჟიმს და განვითარების გზას; გამოხატა მადლიერება საქართველოს მხრიდან ჩინეთის მრავალწლიანი მხარდაჭერისთვის და გამოთქვა გულწრფელი იმედი იმის თაობაზე, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე ჩინეთი შეძლებდა საქართველოსთან თანასწორი და ურთიერთსარგებლობის მომტანი მეგობრული თანამშრომლობის და ურთიერთობის დამყარებას და რომ ერთობლივი ძალისხმევით ორი სახელმწიფოს ურთიერთობა ახალ საუკუნეშიც განუხრელად წაიწევდა წინ [钱彤, 2001b].

გ. არსენიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ჩინეთთან ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად თვლის; მხარს უჭერს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ყველა სხვა სფეროში ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის გაძლიერებას, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას და გაფართოებას. გ. არსენიშვილმა მადლიერება გამოხატა ჩინეთის მთავრობის მიმართ, მის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობიდან მოყოლებული ათი წლის განმავლობაში მუდმივი პოლიტიკური მხარდაჭერისთვის და გაწეული ეკონომიკური დახმარებისთვის. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ მისი ამ ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის გაფართოვების საკითხებთან დაკავშირებით ჩინურ მხარესთან იდეების გაცვლა-გამოცვლა [钱彤, 2001b]. ჟუ ჟუნგიმაც აღნიშნა, რომ საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგორესურსების, ხე-ტყის ათვისების, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურის და სხვა სფეროებში თანამშრომლობამ უკვე გამოიღო სასიკეთო შედეგები, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არის ძალიან დიდი შესაძლებლობები. ჟუ ჟუნგიმ გამოთქვა იმედი, რომ ორი სახელმწიფო მთლიანად ისარგებლებს სახელმწიფოების სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური შერეული კომისიების მექანიზმებით და აქტიურად მოიკვლევს თანამშრომლობის ახალ სფეროებს და ფორმებს, განუწყვეტლივ გააუმჯობესებს და შეავსებს ორმხრივ თანამშრომლობას და ჩინურ-ქართულ თანამშრომლურ ურთიერთობებს მტკიცე სუბსტანციურ (მატერიალურ) საფუძველს ჩაუყარის [钱彤, 2001b].

ამ პერიოდის სხვა სამთავრობო ვიზიტებიდან, აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ვიზიტი ჩინეთში (1999 წ. 24-31 აგვისტო) და მისი

მოლაპარაკებები ცენტრალური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, აგრეთვე, სახელმწიფო საბჭოს წევრთან და თავდაცვის მინისტრთან, ადმირალ ჩიი ხაოთი-ენტან /迟浩田/ [中国与格鲁吉亚, 2012; 友好往来, 1999. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: თევზაძე, 1999; აქვს თუ არა პერსპექტივა, 2021].

საქართველო-ჩინეთის პოლიტიკურ-დიპლომატიური კონტაქტები არანაკლები ინტენსივობით გაგრძელდა ვარდების რევოლუციის შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოსული მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში. ამ მხრივ საეტაპო მოვლენა იყო პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში (2006 წ. 10-15 აპრილი) – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ხუ ძინთაოს მოწვევით [格鲁吉亚总统, 2006a; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: გრძელდება ჩინეთში, 2006]. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ლიდერმა მოლაპარაკებები გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურთან ხუ ძინთაოსთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლების კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე უ ჰანგოსთან (吴邦国) და სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ვენ ძიაბაოსთან (温家宝). ვიზიტის მსვლელობა, სხვა მედიასაშუალებებთან ერთად, ვრცლად გააშუქა გაზეთმა ჟენშინ ჟიბაომ [胡锦涛, 2006a; 格鲁吉亚总统, 2006b].

პეკინის გარდა ქართული დელეგაცია ესტუმრა შანხაის, სადაც ჟურნალისტებთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს იყო მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში და ხაზი გაუსვა ჩინეთის ლიდერებთან პოლიტიკური დიალოგის მნიშვნელობას. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო ჩინეთის ევროპასთან დამაკავშირებელი კვანძი და ევროპამდე მისასვლელი ხიდი. ამას ემატება ის, რომ ჩინეთის ეკონომიკა 20 წელზე მეტია, რაც სწრაფი ტემპებით ვითარდება, ამდენად ჩინეთთან ეკონომიკური თანამშრომლობა საქართველოსათვის უადრესად მნიშვნელოვანია [李忠发, 2006; 格鲁吉亚总统, 2006b].

უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების დაწყებამდე ჩინეთის პარლამენტის ჩრდილოეთ დიდ დარბაზში პრეზიდენტ სააკაშვილისთვის დახვედრის ცერემონიალი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ უუინციბუკე (乌云其木格), სახელმწიფო საბჭოს წევრმა თანგ ძიასსუნმა, ჩინეთის სახალხო-პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჟანგ მუიინგმა (张梅颖), დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის ასოციაციის ცენტრალური ორგანოს თავმჯდომარის მოადგილემ ჩენ ნანსიენმა (陈难先), საგარეო საქმეთა მინისტრმა ლი ჟაო-

სინგმა (李肇星), ტრანსპორტის მინისტრმა ლი შენგლინმა (李盛霖), განვითარების და რეფორმების სახელმწიფო კომიტეტის დირექტორის მოადგილემ ჭანგ გოპაომ (张国宝), საქართველოში ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვანგ ჯაივენმა (王开文) და სხვ. [刘超, 2006a; 胡锦涛, 2006b; 胡锦涛, 2006c; 胡锦涛, 2006d]

პრეზიდენტი მ. სააკაშვილისა და ხუ ძინთაოს შეხვედრის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია გაზეთ „ჟენძინ ჟიბაოში“, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე და ასევე შვეიცარიაში არსებული ჩინეთის საელჩოს ვებგვერდზე [胡锦涛, 2006b]. 2006 წ. 11 აპრილს – აღნიშნულია საინფორმაციო მასალაში – ჩინეთის სახალხო ყრილობის (ჩინეთის პარლამენტი) სახლში ჩინეთის და საქართველოს ლიდერებმა ისაუბრეს ორმხრივ ურთიერთობებზე და ზოგად პოლიტიკურ თემებზე, მათ შორის, საერთაშორისო და რეგიონალური საკითხებზე და მიაღწიეს ურთიერთგაგებას [胡锦涛, 2006b; 胡锦涛, 2006c; 胡锦涛, 2006d; 胡锦涛, 2006e]. ხუ ძინთაომ განაცხადა, რომ ჩინეთისა და საქართველოს ტრადიციულ მეგობრობას გრძელი ისტორია აქვს, ჯერ კიდევ ძველმა აბრეშუმის გზამ მჭიდროდ დააკავშირა ჩვენი ქვეყნები. მას შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყნებს შორის 1992 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება. ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობა განუხრელად მტკიცდება, წარმატებით ვითარდება ეკონომიკური თანამშრომლობა, ფართოვდება თანამშრომლობა სხვა სფეროებშიც. არანაკლებ წარმატებულია თანამშრომლობა საერთაშორისო არენაზე. ყოველივე ეს – განაცხადა ჩინეთის ლიდერმა, – განაპირობა იმან, რომ ორივე ქვეყანა ხელმძღვანელობს დიდი და პატარა ქვეყნების სამართლებრივი თანასწორობის პრინციპებით, გააჩნია ურთიერთპატივისცემა და უანგარო ურთიერთდამოკიდებულება, კარგად უგებს და მხარს უჭერს ერთმანეთს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. მხარეები პატივს სცემენ ქვეყნის მიერ არჩეულ სოციალურ წყობას და განვითარების გზას, არ ერევან ერთმანეთის საშინაო პოლიტიკაში, და ორიენტირებულები არიან ჯანსაღ, სტაბილურ და მეგობრულ ურთიერთთანამშრომლობაზე [刘超, 2006a; 胡锦涛, 2006d].

თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ჩინეთი ქართველი ხალხისთვის წარმოადგენს პატივისცემ დიად ქვეყანას, რომელიც დღემდე ურთიერთთანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ავითარებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ორი ქვეყანა წარმატებით ავითარებს თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროებში; ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა არამარტო გაფართოვდა, არამედ დადებითი შედეგებიც გამოი-

დო. საქართველო მადლობას უხდის ჩინეთს მრავალმხრივ გაწეული მხარდაჭერისთვის, მაგალითად აქვს აღებული ჩინური პოლიტიკა და მხარს უჭერს ჩინეთს მშვიდობიანი გაერთიანების დიდ საქმეში (祖国和平统一大业/China's peaceful reunification) [刘超, 2006a; 胡锦涛, 2006d].

ხუ ძინთაომ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ XXI საუკუნის რეალობაში, ჩინურ მხარეს სურს საქართველოსთან კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს კონტაქტები უმაღლეს დონზე, მთავრობებს, საკანონმდებლო ორგანოებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, წაახალისოს მრავალმხრივი ურთიერთობები და სრულყოს ორმხრივი დიალოგის და საკონსულტაციო მექანიზმები; ურთიერთსამედავათო და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების საფუძველზე გააღრმავოს ეკონომიკური თანამშრომლობა. ჩინეთის სახელმწიფოს მეთაურმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოებაზე აგრარულ, მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო გადაზიდვების, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის და სხვა დარგებში. მან ასევე აღნიშნა ჩინეთის ხელი-სუფლების მზაობა ხელი შეუწყონ ჩინურ საწარმოებს, განახორციელონ ინვესტიციები საქართველოში. მისი სიტყვებით, ჩინეთმა და საქართველომ მაქსიმალურად უნდა მოახდინონ ეკონომიკური ინტეგრაცია, უკეთ დაგეგმონ და წარმართონ ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობა; განავითარონ ჰუმანიტარული გაცვლა და მეგობრული მიმოსვლა, რაც მთავარია გააღრმავონ თანამშრომლობა და კონტაქტები განათლების, მეცნიერების, მედიცინის, სპორტის და სხვა სფეროებში; გააფართოვონ ახალგაზრდული კონტაქტები (კომუნიკაცია) და ერებს შორის კავშირი; უფრო ინტენსიური გახადონ მრავალმხრივი კონსულტაციები და მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა [刘超, 2006a; 胡锦涛, 2006a; 胡锦涛, 2006d]. საგანგებოდ გაესვა ხაზი თანამშრომლობას გაეროს სტრუქტურებში „ბოროტების სამ ძალასთან“ (ტერორიზმი, ექსტრემიზმი, სეპარატიზმი) ბრძოლის, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის და სხვა უადრესად მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე; ხუ ძინთაომ აღნიშნა, რომ ჩინეთმა და საქართველომ უნდა დაიცვან მშვიდობა და სტაბილურობა რეგიონალური და მსოფლიო მასშტაბით. ჩინეთის ლიდერმა გამოთქვა რწმენა, რომ სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების კვალდაკვალ, ჩინურ-ქართული თანამშრომლობა და ურთიერთობები უფრო და უფრო ნაყოფიერი და ორივე ქვეყნისთვის და ორივე ქვეყნის ხალხისთვის ურთიერთსარგებლიანი იქნება [刘超, 2006a; 胡锦涛, 2006a; 胡锦涛, 2006d].

მიხეილ სააკაშვილი დაეთანხმა ჩინელ კოლეგას და აღნიშნა, რომ ჩინეთის რეფორმების და ღიაობის პოლიტიკამ და თანამედროვეობის მშენებლობამ ყველა ადფრთოვა-

ნებაში მოიყვანა. მან მიუთითა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სულ უფრო მზარდ როლზე საერთაშორისო არენაზე. „საქართველო დღეს მთელი ძალებით ცდილობს ქვეყნის აღმშენებლობას და განვითარებას, – განაგრძო საქართველოს პრეზიდენტმა, – სურს ისწავლოს და გამოიყენოს ჩინური რეფორმების გამოცდილება. ჩვენ გვსურს ჩინეთის მემკვიდრენი გავხდეთ და განვავითაროთ ქართულ-ჩინური ტრადიციული მეგობრობა, უფრო მჭიდრო გავხადოთ მიმოსვლები (ურთიერთობები) მაღალ დონეზე, გავაძლიეროთ პოლიტიკური დიალოგები და სავაჭრო-ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურული მშენებლობის, კულტურულ, საგანმანათლებლო, ტურისტულ სფეროებში თანამშრომლობა, რომ ორი ქვეყანა იქცეს ურთიერთნდობით აღჭურვილ პარტნიორებად“ [刘超, 2006a; 胡锦涛, 2006a; 胡锦涛, 2006d].

მოლაპარაკების შემდეგ, სახელმწიფოთა მეთაურებმა ხელი მოაწერეს „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს მეგობრობის და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ ერთობლივ კომუნიკეს“ [中国和格鲁吉亚, 2006], რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველო ეწინააღმდეგება ტაივანის დამოუკიდებლობის ნებისმიერ ფორმას, რომელშიც მოიაზრება ტაივანის დე-იურე დამოუკიდებლობა („*法理台独*“); საქართველო ადასტურებს, რომ მხარს უჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას, აღიარებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა წარმოადგენს ჩინეთის ერთადერთ კანონიერ მთავრობას და რომ ტაივანი არის ჩინეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, საქართველო ეწინააღმდეგება ტაივანის შესვლას ნებისმიერ (სუვერენული სახელმწიფოების მონაწილეობით შემდგარ) საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში; არ დაამყარებს ტაივანთან ოფიციალურ ურთიერთობას. თავის მხრივ, ჩინეთი მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას; დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიესალმება საქართველოს მხრიდან ქვეყნის შიდა სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ნაციონალური ეკონომიკის განვითარებისთვის გაწეულ ძალისხმევას; აღიარებს რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა არის საქართველოს საშინაო საქმე, რომელიც უნდა გადაწყდეს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ჩინეთი მხარს დაუჭერს საქართველოს მთავრობის მიერ ამ მხრივ განხორციელებულ თითოეულ მცდელობას [中国和格鲁吉亚, 2006].

კომუნიკეში ნათქვამია, რომ მხარეებმა დადებითად შეაფასეს 2005 წლის 19-21 დეკემბერს ჩინეთის და საქართველოს მთავრობებს შორის პეკინში გამართული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტის რიგით მეორე შეხვედრის შედეგები და აღ-

ნიშნებს, რომ ამერიიდან მიმართავენ ეფექტურ ღონისძიებებს ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში არსებული პოტენციალის უფრო სრულყოფილად ასამოქმედებლად; მხარეებმა განაცხადეს, რომ მომავალში კიდევ უფრო სრულყოფენ საინვესტიციო გარემოს, წახალისებენ და მხარს დაუჭირენ ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით სოფლის მეურნეობის, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, მანქანათმშენებლობის, ენერგორესურსების, ინფრასტრუქტურის და სხვა სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას. ჩინეთი მიესალმება საქართველოს მონაწილეობას დასავლეთ ჩინეთის დიდი განვითარების (ათვისების) საქმეში და ჩრდილო-აღმოსავლეთის ძველი სამრეწველო ბაზის აღორძინება-გამოცოცხლების საქმეში. ჩინეთი და საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკური ორგანიზაციის წევრები, კიდევ უფრო გააღრმავებენ ურთიერთთანამშრომლობას ამ ორგანიზაციის ფარგლებში და დაიცავენ ორივე მხარის ეროვნულ ინტერესებს.

მხარეები დიდ ყურადღებას დაუთმობენ ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობას, და წახალისებენ ამ სფეროში ორი ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებს შორის ურთიერთთანამშრომლობას, ასევე გააფართოებენ თანამშრომლობას სამოქალაქო ავიაციის სფეროში, 2006 წლის მეორე ნახევარში მოილაპარაკებენ და გააფორმებენ ჩინეთ-საქართველოს საავიაციო გადაზიდვების (ტრანსპორტირების) შეთანხმებას; მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებას, გამოთქვამენ სურვილს წახალისონ კონტაქტები სხვადასხვა დონეზე, როგორც პარლამენტის ხელმძღვანელ პირებს შორის, ასევე თითოეულ სპეციალურ კომიტეტსა და მეგობრულ ბლოკებში; განამტკიცონ ურთიერთგაგება და მაქსიმალურად გაამყარონ და გააფართოვონ ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობის მასშტაბები. აღინიშნა, რომ საკანონმდებლო საქმიანობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს მხარეთა შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაფართოებას. ორ ქვეყანას გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკურ, მედიის, სპორტის, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობისთვის. აღსანიშნავია, რომ ხუ ძინთაომ და მიხეილ სააკაშვილმა მონაწილეობა მიიღეს ჩინეთ-საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე და თანამშრომლობის შესახებ სხვა დოკუმენტებზე ხელმოწერის ცერემონიაში [胡锦涛, 2006b; 胡锦涛, 2006c; 胡锦涛, 2006d; 中国和格鲁吉亚, 2006].

გაზეთი „ენმინ ჟიბაო“ ასევე მოგვითხრობს პეკინში 2006 წ. 12 აპრილს პრეზიდენტ სააკაშვილის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომად-

გენლების კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე უ პანგოსთან და სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ვენ ძიაჰოსთან შეხვედრის შესახებ. უ პანგომ პრეზიდენტთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ჩინელი ხალხი ქართველი ხალხის მიმართ ყოველთვის მეგობრულად იყო განწყობილი, ჩინეთი აფასებს საქართველოს მხრიდან ტაივანის პრობლემასთან დაკავშირებით ჩინეთის ძლიერ მხარდაჭერას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებს და საქართველოს, როგორც კარგ მეგობარს და პარტნიორს, ისე აღიქვამს, სურს, განამტკიცოს ქართულ მხარესთან მაღალ დონეზე კონტაქტები, გააფართოვოს მასთან სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა სფეროებში საქმიანი თანამშრომლობა, კიდევ უფრო აამაღლოს ორი სახელმწიფოს ურთიერთობების და ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის დონე. უ პანგომ დადებითად შეაფასა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებაში ჩვენი სახელმწიფოების პარლამენტთაშორისი ურთიერთობების მნიშვნელოვანი როლი, მან აღნიშნა, რომ სრულიად ჩინეთის წარმომადგენლების კრებას სურს საქართველოს პარლამენტთან გააძლიეროს კონტაქტები და თანამშრომლობა, რომ დემოკრატიული კანონმდებლობის შემუშავებაში, სახელმწიფოს მართვის და სხვა საკითხებში მოახდინონ გამოცდილების ურთიერთგაზიარება, საპარლამენტთაშორისო გაერთიანებებში და სხვა ვითარებებში გააძლიერონ თანამშრომლობა, ორი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობის გაძლიერების, ორი ქვეყნის მეგობრული სოციალური ბაზის განმტკიცების და გაფართოების და ასევე ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობების ყოველმხრივი გაღრმავების და განვითარების წახალისების საქმეში შეიტანონ ახალი წვლილი [刘超, 2006b].

მიხეილ სააკაშვილმა უ პანგოსთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ამ ვიზიტის ფარგლებში მან და თავმჯდომარე ხუ ძინთაომ მიაღწიეს მრავალმხრივ მნიშვნელოვან შეთანხმებებს, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების გაღრმავების და განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს ორ ქვეყანას შორის პარლამენტთაშორისი კონტაქტების და თანამშრომლობის გაძლიერებას და მომავალშიც მხარს დაუჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას [刘超, 2006b].

სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ვენ ძიაჰომ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 14 წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის თითოეულ სფეროში თანამშრომლობა სტაბილური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ჩინური მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებს, პატივს სცემს ქართული მხარის მიერ ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე განსაზღვრულ შიდა და გარე პოლიტიკას და

სურს ქართულ მხარესთან ერთად ურთიერთპატივისცემის, თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ხელი შეუწყოს ორი სახელმწიფოს ურთიერთობების გრძელვადიან და სტაბილურ განვითარებას. ვენ ძიაპაომ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩინეთმა და საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოავლინონ საკუთარი განსაკუთრებული მხარეები და თავიანთი უპირატესობებით მოახდინონ ურთიერთშევესება. მან გამოთქვა იმედი, რომ მხარეები აქცენტს გააკეთებენ სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სატრანსპორტო და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერებაზე, და ყოველმხრივ შექმნიან პირობებს ურთიერთინვესტირებისთვის და რომ ორმხრივი ერთობლივი ძალისხმევით შედეგად ჩინეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად განვითარდება [刘超, 2006b].

მიხეილ სააკაშვილმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს ჩინეთის განვითარებასთან მიმართებით პოზიტიურადაა განწყობილი და სურს, რომ მაგალითი აიღოს ჩინეთის რეფორმების და გახსნილობის გამოცდილებიდან; სავაჭრო-ეკონომიკურ, ადამიანური რესურსების ათვისების, სატელეკომუნიკაციო, ენერგეტიკის, სატრანსპორტო გადაზიდვების, ტურიზმის და სხვა სფეროებში გააძლიეროს ჩინეთთან თანამშრომლობა და ბიძგი მისცეს საქართველო-ჩინეთის ურთიერთსარგებლიან თანამშრომლობას ახალი წინსვლისკენ [刘超, 2006b].

2006 წლის 14 აპრილს ჩინეთის კომუნისტური პარტიის შანხაის საქალაქო კომიტეტის ოფიციალური – გაზეთმა „დიუფვანგ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 13 აპრილს ქალაქ შანხაის მერი ხან ჭენგი (韩正) სასტუმრო „სინგგოში“ შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. ხან ჭენგმა აღნიშნა, რომ შანხაის მთავრობა და შანხაის მოსახლეობა მიესალმება საქართველოს პრეზიდენტის ამ სტუმრობას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მიღწევები, რაც შანხაიში შეინიშნება, არის ჩინეთის მთავრობის მიერ რეფორმების და გახსნილობის პოლიტიკის გატარების შედეგი. შანხაის განვითარების მოდელი არ არის ტრადიციული გეგმიური ეკონომიკა, არც კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, არამედ ჩინეთის რეალობას მორგებული სოციალური საბაზრო ეკონომიკაა. სწორედ ამიტომ, შანხაის ეკონომიკა უკვე ზედიზედ 14 წელიწადია, რაც ორმნიშვნელოვანი მაჩვენებლით განიცდის ზრდას. ხან ჭენგმა პრეზიდენტთან საუბრისას გამოთქვა იმედი, რომ მ. სააკაშვილის ეს ვიზიტი შანხაის და საქართველოს უფრო ფართო სფეროებში თანამშრომლობის და ურთიერთობის დაწყებას შეუწყობს ხელს [方敏, 2006]. მიხეილ სააკაშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ შანხაის განვითარება ნამდვილი სასწაუ-

ლია და ამ ქალაქის გამოცდილებიდან საქართველომაც უნდა აიღოს მაგალითი, მან ასევე გამოთქვა შანხაის და საქართველოს დედაქალაქ თბილისს შორის მეგობრულ ურთიერთობების განმტკიცების და კოტაქტების გაძლიერების იმედი [方敏, 2006].

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის 2006 წლის ვიზიტს წინ უსწრებდა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა ნინო ბურჯანაძისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის ვიზიტები. თავდაპირველად (2004 წლის აპრილი) ჩინეთს ეწვია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. მან მონაწილეობა მიიღო შანხაიში გამართულ აზიისა და წყნარი ოკეანეთის გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისიის რიგით მე-60 სხდომაში, ჩსრ-ს თავმჯდომარის მოადგილე წენგ ცინგხონგი და საგარეო საქმეთა მინისტრი ლი ჭაოსინი ცალცალკე შეხვედნენ ს. ზურაბიშვილს და გამართეს მოლაპარაკებები. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი კიდევ უფრო მეტად განევიტარებინათ ჩინეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობები და უწყვეტად გაეძლიერებინათ თითოეულ სფეროში თანამშრომლობა [格鲁吉亚外长, 2012].

2005 წლის ზაფხულში კი უკვე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განხორციელა ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში [საინფორმაციო მასალა იხ.: ბურჯანაძე, 2005]. ვიზიტი გააშუქა გაზეთმა „ქენძინ ჟიბაო“, რომელმაც 2005 წ. 26 ივნისს საერთაშორისო ურთიერთობების რუბრიკაში გამოაქვეყნა მასალა სათაურით: „მივესალმებით ინვესტიციებს, მაღალი ხარისხის ღვინის გასაღებას“ [辛本健, 于宏建, 2005]. ეს იყო ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან. ჩინელი ჟურნალისტების სინ პენძიენისა და უი ხუნგძიენის განმარტებით, ნინო ბურჯანაძე არის პირველი ქალი პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს ისტორიაში. „საქმიანი, ბუნებრივი და თავაზიანი“ – ეს იყო ის შთაბეჭდილება რომელიც ბურჯანაძემ ჟურნალისტებზე დატოვა. ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ ბედნიერია ჩინეთში ვიზიტით ჩამოსვლით და გამოთქვა იმედი, რომ გაზეთ „ქენძინ ჟიბაოს“ მეშვეობით ჩინეთის და ჩინელი ხალხისადმი ღრმა პატივისცემის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცემოდა [辛本健, 于宏建, 2005]. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში ჩინეთის უძველესმა ისტორიამ და კულტურამ მასზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. შანხაიში და პეკინში მრავალსართულიანი შენობების და ინფრასტრუქტურის მშენებლობები ცხადყოფენ, რომ ჩინეთი რეფორმების და ეკონომიკური მშენებლობის გაცხოველებულ რეჟიმშია და რომ საქართველოს ძალიან დიდი იმედი აქვს, რომ ბევრ რამეს ისწავლის ჩინეთის ეკონომიკური რეფორმების გამოცდილებიდან [辛本健, 于宏建, 2005].

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ დასმულ შეკითხვებს ნინო ბურჯანაძე მტკიცედ და გონივრულად პასუხობდა, როდესაც საუბარი შეეხო საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებს, ნ. ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ საქართველო ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ-ჩინურ ურთიერთობებს, იმედი აქვს, რომ ჩინეთთან დაამყარებს ძალიან ახლო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეგობრულ ურთიერთობებს. ვიზიტის განმავლობაში მან არა მხოლოდ ჩინეთის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებთან გამართა ნაყოფიერი შეხვედრები, არამედ ჩინეთის დიდი საწარმოების წარმომადგენლებსაც შეხვდა. შეხვედრის დროს მათ განიხილეს ენერგეტიკის და სოფლის მეურნეობის სფეროებში საქართველო-ჩინეთს შორის თანამშრომლობის დაწყების საკითხები. როდესაც საუბარი შეეხო ჩინეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ ყველაზე დიდ საინვესტიციო პროექტს – ხადორჰესს, რომელიც უკვე წინა წლის ბოლოს ჩაეშვა ექსპლუატაციაში და დაიწყო დენის გამომუშავება, ნ. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საქართველო სწორედ ახლა ატარებს ეკონომიკურ რეფორმებს და მიესალმება ჩინური საწარმოების და ჩინელი ბიზნესმენების საქართველოში ჩამოსვლას და მათ მიერ ინვესტიციების და ბიზნესსაქმიანობის განხორციელებას [卡杜里, 2004; 李铭, 2018].

ნინო ბურჯანაძემ „ენმინ ჟიბაოს“ ჟურნალისტებთან ისაუბრა საქართველოს იმჟამინდელ საგარეო პოლიტიკაზეც, მან მკაფიო დასკვნების სახით რამდენიმე თავისებურებაზე მიუთითა: პირველი, საქართველოს უპირველესი მიზანია ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება, რადგან ამას საქართველოში დემოკრატიის განმტკიცებისთვის, შესაბამისი სისტემების გაუმჯობესებისთვის და განსაკუთრებით საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, საქართველო ყოველთვის თვლიდა, რომ ის იყო ევროპული სახელმწიფო და იმედია, რომ მალე გახდება დიდი ევროპული ოჯახის წევრი. მეორე, საქართველოს იმედი აქვს, რომ რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობებს დაამყარებს, „მაგრამ სამწუხაროდ, ამ ორ ქვეყანას შორის ძალიან ბევრი სირთულეა, მათ შორისაა საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობის პრობლემა“. ნ. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ორმხრივი შეთანხმების თანახმად რუსეთმა 2008 წლამდე უნდა მოახდინოს მათი დემონტაჟი [辛本健, 于宏建, 2005]. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს რთული თემაა და რომ საქართველო არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას, რადგან ასეთ შემთხვევაში, აფხაზეთში გაჩნდება 300000 და სამხრეთ ოსეთში კი 100000 ლტოლვილი. 4 მილიონზე ნაკლები მთლიანი მოსახლეობის მქონე საქართველოსთვის, ეს კატეგორიუ-

ლად მიუღებელია. მას შემდეგ რაც საქართველომ 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, საქართველო სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ძალისხმევას არ იშურებს და ამასთანავე იმედოვნებს, რომ გამოძენის აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან გზას. ნ. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საქართველომ უკვე წარადგინა „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემის მოგვარების სამშვიდობო გეგმა და მომავალში წარადგენს აფხაზეთის პრობლემის მნიშვნელოვან და ღირებულ სამშვიდობო გეგმასაც [辛本健, 于宏建, 2005].

ნინო ბურჯანაძემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ საქართველო პატივს სცემს თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, მათ შორის მხარს უჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას, პატივს სცემს ჩინეთის „ერთი სახელმწიფო – ორი წყობილების“ იდეას. საქართველოში მიმდინარე ცვლილებების შესახებ კი, ნ. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საქართველო ატარებს მრავალმხრივ რეფორმებს. იმის გამო, რომ კორუფციამ უკვე სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქვეყნის უსაფრთხოებას, ახლანდელი მთავრობა აძლიერებს სახელმწიფო სტრუქტურების უფლებებს და ატარებს ეფექტურ ღონისძიებებს კორუფციის აღმოსაფხვრელად. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა მოსახლეობას და მეწარმეებს დამოუკიდებლად ბიზნესის დაწყებისთვის (სტარტაპებისთვის) მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს, ზრდის სახელმწიფოს ბიუჯეტს და მნიშვნელოვნად აახლებს დაბეგვრის და პოლიციის სისტემას. ინტერვიუს დასასრულს ბურჯანაძე კიდევ ერთხელ შეეხო ორი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას. მან გამოიყენა შესაძლებლობა და უნიკალურ ქართულ ღვინოს გაუწია რეკომენდაცია: „მე ვიცი, რომ ჩინელებს უყვართ ღვინო, თუ თითოეული ჩინელი დალევს საქართველოში წარმოებულ ერთ ბოთლ ღვინოს, საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო ბრუნვა საკმაოდ სოლიდურ ციფრებს მიაღწევს!“ [辛本健, 于宏建, 2005].

2010 წელს (25-30 ოქტომბერი) შედგა კიდევ ერთი მაღალი დონის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ამჯერად პეკინს სამუშაო ვიზიტით ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაური [პრემიერ-მინისტრის ვიზიტი, 2010]. 26 ოქტომბერს ჟენგნანხაის იისფერი სხივების სასახლეში ის მიიღო სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერმა ჟანგ დეძიანგმა. ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ გაავრცელა საინფორმაციო სააგენტო – „სინხუაში“. ჟანგ დეძიანგი მიესალმა გილაურის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტს და კმაყოფილება გამოთქვა მისი მანხაი ექსპოში ქართული პროდუქციის გამოფენის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობის გამო. ჟანგ დეძიანგმა აღნიშნა, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ

ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, მათ შორის პოლიტიკური ნდობა, ჯანსაღად და სტაბილურად ვითარდება; ფართოვდება თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. „ბოლო წლების განმავლობაში... სახელმწიფოების სავაჭრო-ეკონომიკური სტრუქტურები რამდენადმე გაუმჯობესდა და თანამშრომლობის ხარისხიც სტაბილური ნაბიჯებით წინ მიიწევს, ჩინეთი უკვე გახდა საქართველოს მეხუთე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, იმედია, რომ ჩვენი სახელმწიფოების სავაჭრო ბრუნვა... ახალ სიმაღლეებს მიაღწევს“. ჭანგ დეძიანგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სურს, რომ ქართულ მხარესთან ერთად არ დაიშუროს ძალისხმევა და კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაწიოს ჩვენს სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ-კულტურულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობამ, ხელი შეუწყოს ორმხრივი ურთიერთობების უწყვეტ პროგრესირებას [廖雷, 2010; 张德江, 2010a; 张德江, 2010b].

თავის მხრივ, ნიკოლოზ გილაურმაც მიულოცა ჩინეთს *შანხაი ექსპოს* წარმატებით ორგანიზება და აღნიშნა, რომ დიდი იმედებით ელოდება გამოფენაში საქართველოს მონაწილეობას; გამოთქვა კმაყოფილება ჩინეთისა და საქართველოს ურთიერთობების განვითარების დონესთან დაკავშირებით, და მაღლობა გადაუხადა ჩინურ მხარეს ქართული მხარისთვის აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის. ნ. გილაურმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე ძალებს არ დაიშურებს ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების მიმართულებით [廖雷, 2010; 张德江, 2010a; 张德江, 2010b] და, რომ ის მიესალმება ბევრი ჩინური საწარმოს ჩამოსვლას და ინვესტიციების განხორციელებას საქართველოში; ორივე სახელმწიფო უფრო ინტენსიურს გახდის თანამშრომლობას ლოჯისტიკის, რკინიგზის და სხვა სფეროებში, დანიშნავს პირდაპირ ავიარებისებს და საქართველო ჩინეთის მოქალაქეებისთვის გახდება ტურისტული დანიშნულების ქვეყანა [张德江, 2010a; 张德江, 2010b].

საინტერესოა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელიც გაავრცელა „სოხუს“ საინფორმაციო ვებგვერდმა (27.10.2010). მასში აღნიშნულია, რომ პრემიერმა ნ. გილაურმა ჩინეთში მისი ვიზიტის ფარგლებში მთავარი აქცენტი გააკეთა ორი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკურ და საინვესტიციო თანამშრომლობაზე; გამოთქვა იმედი, რომ საქართველო გახდებოდა ჩინეთის და ევროპის თითოეული სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჰაბი. მან ისარგებლა რა *შანხაი ექსპოზე* საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობით და პეკინში ჩინეთის ოფიციალურ პირებთან და ჩინეთის საწარმოების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა, რომელზეც განიხილეს ორი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო თანამშრომლობის საკითხები [专访, 2010]. „ამჟამად, საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური

ურთიერთობები სულ უფრო ინტენსიური ხდება, ჩვენ ვიმედოვნებთ რომ მხარეებს შეეძლება ამ მხრივ მეტი ახალი ღონისძიებების გატარება და წარმოადგენენ უფრო მეტ ახალ პროექტს“ – განაცხადა ნ. გილაურმა.

ინტერვიუში ჟურნალისტი საუბრობს ნიკოლოზ გილაურის კარიერულ გზაზე და აღნიშნავს რომ მან „დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი. სტაჟირებას გადიოდა ინგლისში, ირლანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში; წარსულში საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, ფინანსთა მინისტრის და პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობა ეკავა; 2009 წლის თებერვალში დაიკავა საქართველოს პრემიერ მინისტრის პოსტი. 35 წლის პრემიერ მინისტრს, რომელიც კარგად ერკვევა ეკონომიკაში, შემუშავებული აქვს საქართველო-ჩინეთის სამომავლო თანამშრომლობის გეგმა“ [专访, 2010]. გილაური თვლის, რომ საქართველოს ჩინეთისა და ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაში შეუძლია მათი შემაკავშირებელი „ჰაბის“ როლი ითამაშოს. მისი აზრით, „ჩინეთის და ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობასთან მიმართებით, საქართველოს ლოჯისტიკის სფეროში შეუძლია ითამაშოს დიდი როლი. როდესაც ეს მოხდება საქართველოს საზღვაო პორტი, აეროპორტი, რკინიგზა და ჩქაროსნული მაგისტრალები შეიძენენ ეფექტურ ფუნქციას... გარდა ამისა, ამჟამად საქართველო თურქეთთან აშენებს რკინიგზას, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მომავალში ჩინური პროდუქცია გადაიზიდება ევროპისკენ, მათთვის ეს გზა იქნება ყველაზე სწრაფი და მოსახერხებელი“ [专访, 2010].

ნ. გილაურის შეფასებით, ახლა საქართველო და ჩინეთი „შესანიშნავად“ თანამშრომლობენ. მან აღნიშნა, რომ ჩინეთის ბევრი საწარმო საქართველოში ძალიან კარგი რეპუტაციით სარგებლობს, ორი სახელმწიფო განიხილავს მეტი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტებს, როგორცაა საქართველოს „სავაჭრო ქალაქის“ პროექტი, რაც ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი ნათელი წერტილია [专访, 2010]. აღნიშნულია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება. მას შემდეგ რაც 1999 წელს სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 3730000 აშშ დოლარს 2008 წლისთვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 80-ჯერ გაიზარდა და მიაღწია 288000000 აშშ დოლარს. 2009 წელს ფინანსური კრიზისის გავლენით ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა რამდენადმე შემცირდა, მაგრამ ჩინეთის მიერ საქართველოში განხორციელებული იმპორტი 4,1-ჯერ გაიზარდა, და გამოავლინა განვითარების დიდი პერსპექტივა [专访, 2010]. თანამშრომლობის პროექტების თვალსაზრისით, ნ. გილაური ახსენებს 2009 წელს კომპანია “China Railway” და “Sinohydro” შემოსვლას საქართ-

ველოში და შეთანხმების გაფორმებას საქართველოსა და ჩინეთის მთავრობებს შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობისა, ნ. გილაურმა წამოაყენა წინადადება პირდაპირი ფრენების დანიშვნის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოების, ხალხთა დაახლოებას. ინტერვიუში ნ. გილაური საგანგებოდ შეჩერდა *მანხაი ექსპოზე* საქართველოს პორდუქციის გამოფენის დღეზე და აღნიშნა, რომ ვაზის კლერტებმა და ქართულმა ღვინომ დამთვალიერებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პრემიერმა განაცხადა: „*ჩინეთის მიერ ორგანიზებული გამოფენა უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს. ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღებით, გვსურს მსოფლიომ მეტი გაიგოს საქართველოს შესახებ*“ [专访, 2010].

2004-2012 წლებში ჩინეთში მინისტრების დონეზე განხორციელებული ვიზიტებიდან საყურადღებოა 2012 წ. 17-20 სექტემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ჩინეთის კულტურის სამინისტროს შორის კულტურის სფეროში 2012-2015 წლებში თანამშრომლობის შესახებ [蔡武, 2012; ორმხრივი ვიზიტები].

2012 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლების სათავეში არჩევნების გზით მოვიდა კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, გაგრძელდა დიპლომატიური კონტაქტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სამთავრობო დონეზე. ძირითადად ეს იყო მინისტრებისა და ვიცე-პრემიერების საქმიანი ვიზიტები, რაც შეეხება სახელმწიფოს უმაღლეს პირებს (პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს), მათი აქტივობა ამ მიმართულებით წინა პერიოდთან შედარებით უფრო მოკრძალებული იყო. მართალია, 2013-2020 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრები – ირაკლი ღარიბაშვილი, მამუკა ბახტაძე (როგორც ცნობილია, 2013 წლის მიწურულიდან საქართველოში სწორედ პრემიერ მინისტრია ხელისუფლების პირველი პირი) სტუმრობდნენ ჩინეთს, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არცერთ ამ ვიზიტს არ ჰქონია ოფიციალური ვიზიტის სტატუსი, შესაბამისი ცერემონიალით.

მაგალითად, 2015 წლის სექტემბერში ჩინეთში სამუშაო ვიზიტით (ქალაქ ტალიენში¹ (დალიანში) მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად)

¹ „ტალიენი“ იქნება ქართულად სწორი ფორმა. ზოგადად გვაქვს ხშირად ხმარებული ჩინური საკუთარი სახელები და სიტყვები, რომელთა ქართული დაწერილობა დიდი ხანია ტრადიციულად დამკვიდრდა ქართულში (მაგ. 毛泽东 – მაო ძედუნი, 黄河 – ხუანხე, 南京 – ნანკინი, 红卫兵 - ხუნვეიბინი), რის გამოც მათი შეცვლა მიზამეწონილად არ მიგვაჩნია, მაგრამ ამ სიტყვების გვერდით ფრჩილებში მაინც ვუთითებთ ჩინურ გამოთქმასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ქართული ტრანსკრიფციის ვარიანტს, რომელიც შეიშავა „დიდი ჩინურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ (WWW.CHINESE.GE) რედაქტორთა ჯგუფმა.

იმყოფებოდა საქართველოს მაშინდელი პრემიერ მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი* [პრემიერ-მინისტრის სამუშაო, 2015]. ეს ვიზიტი გააშუქა გაზეთმა „ქენძინ ჟიბაო“. მასში გამოქვეყნებულ მასალაში აღნიშნულია, რომ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი (2015 წ. 10 სექტემბერს) ტალიენის (დალიანის) სამთავრობო რეზიდენციაში მიიღო სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ლი ქეციანგმა (李克强). მეხვედრის მსვლელობისას ლი ქეციანგმა აღნიშნა, რომ ჩინეთის და საქართველოს შორის არსებული ურთიერთპატივისცემის და თანასწორი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დაჩქარებული ტემპებით ვითარდება, რომ ჩინური მხარე პატივს სცემს საქართველოს მოსახლეობის მიერ ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად არჩეულ განვითარების გზას, მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარებისთვის გაწეულ ძალისხმევას და სურს, იხილოს საქართველოს უფრო მეტად აქტიური როლი საერთაშორისო და რეგიონალურ საქმიანობაში. ლი ქეციანგმა აღნიშნა, რომ ჩინურ მხარეს სურს გააძლიეროს განვითარების სტრატეგიული კონტაქტები ქართულ მხარესთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პორტის, ავტომაგისტრალების, რკინიგზის და სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, სურს, რომ მაქსიმალურად სწრაფად დაიწყოს არსებითი მოლაპარაკებები ორი სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ და ხელი შეუწყონ ორმხრივი ვაჭრობის განხორციელებას. ლი ქეციანგმა გამოთქვა იმედი, რომ ქვეყნები გააღრმავებენ ჰუმანიტარულ თანამშრომლობას და ხელს შეუწყობენ მეგობრული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას [王金海、赵成、王莉, 2015].

ირაკლი ღარიბაშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ საქართველოს და ჩინეთს შორის არსებობს ტრადიციული მეგობრული თანამშრომლობა, ჩინეთთან ურთიერთობების განვითარება კი საქართველოსთვის საგარეო ურთიერთობებში პრიორიტეტული მიმართულებაა. ქართულ მხარეს სურს ჩინურ მხარესთან გააძლიეროს ურთიერთობები (კონტაქტები) მაღალ დონეზე, გააფართოვოს ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, ხელი შეუწყოს საქართველოს მიმართულებით ინვესტირების ზრდას; გახდეს ამ რეგიონში ჩინეთის საიმედო თანამშრომლობის პარტნიორი, საგარეო ინვესტირების დანიშნულების ქვეყანა და ევროპის ბაზარზე შესასვლელი ხიდი (杨晶) [王金海、赵成、王莉, 2015].

აღნიშნული ვიზიტი გააშუქა აგრეთვე ადგილობრივმა მედიამ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მეხვედრებზე ქალაქისა და პროვინციის ხელმძღვანელობის დონეზე.

მასალის მიხედვით, 10 სექტემბერს პროვინციის პარტკომის მუდმივი კომიტეტის წევრი და საქალაქო კომიტეტის მდივანი თანგ ძჰუინი (唐军) და ქალაქის მერი სიაო შენგფენგი (肖盛峰) პანგჩუიტაოს სასტუმროში შეხვდნენ ტალიენში დავოსის საზაფხულო ფორუმზე დასასწრებად ჩამოსულ საქართველოს პრემიერ მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს. მათ ერთობლივად მიიღეს მონაწილეობა ქალაქ ტალიენსა და საქართველოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონიაში. შეთანხმებას ხელი მოაწერეს სიაო შენგფენგმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძე, ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი და სხვები [刘星, 2015a]. თანგ ძჰუინმა და სიაო შენგფენგმა მაღლობა გადაუხადეს ი. ღარიბაშვილს ქალაქ ტალიენისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამეგობრების კუთხით გაწეული მხარდაჭერისა და მზურვნელობისთვის და მოკლედ გააცნეს პრემიერს ტალიენის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სურათი, მათ აღნიშნეს, რომ 2015 წლის ივნისში საქართველოს ვიცე-პრემიერის კალაძის ტალიენში ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა მრავალმხრივი თანამშრომლების მიზნები დასახეს და ახლა წარმატებით მიმდინარეობს მათი განხორციელება. ახლა კი, როცა მხარეების მიერ მეგობრული თანამშრომლობის დამყარება არის გასაღები იმისა, რომ სათანადოდ გამოვიყენოთ „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ სტრატეგიული შესაძლებლობები, კიდევ უფრო გავაღრმავოთ სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურის, განათლების, ტურიზმის, ასევე პორტის და ქალაქის დაგეგმარების და სხვა სფეროებში ორმხრივი ფართო თანამშრომლობა და ორი სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობების უწყვეტად განვითარების საქმეში შევიტანოთ სათანადო წვლილი [刘星, 2015a].

ი. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ტალიენი ულამაზესი ქალაქია და ის მოხარულია, რომ ჩამოვიდა ამ ქალაქში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ტალიენს შორის მეგობრული თანამშრომლობის დამყარების მოწმე გახდა. პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს და ჩინეთის ურთიერთობები დღითიდღე უფრო და უფრო მჭიდრო ხდება, საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მხარს უჭერს ჩინეთის მიერ ინიცირებული „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ სტრატეგიას და აქტიურად მონაწილეობს აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკის დაარსებაში, მან გამოთქვა იმედი, რომ ამიერიდან პორტის მშენებლობაში და სხვა სფეროებში გავაძლიერებთ ჩინურ საწარმოებთან, მათ შორის ტალიენის საწარმოებთან თანამშრომლობას და შევქმნით ჩინური პროდუქციის ევროპის ბაზარზე გასატან ყველაზე მოსახერხებელ კარიბჭეს. პრემიერმა ასევე გა-

მოთქვა იმედი, რომ მას შემდეგ, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ქ. ტალიენი მეგობრულ თანამშრომლობას დაამყარებენ, მხარეების თანამშრომლობა თითოეულ სფეროში კიდევ უფრო გაფართოვდება [文]星, 2015a].

„თანამედროვე აბრეშუმის გზის“ თემატიკისთვის მიძღვნილ ფორუმზე საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა აქვს, ამასთანავე ჩვენს ქვეყანას ევროკავშირთან, რუსეთთან და თურქეთთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებს, პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოში სწორედ ახლა იგეგმება ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რამაც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩინური საწარმოები. „ჩინეთი ჩვენი მეოთხე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია, ჩინეთთან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ დიდ მხარდაჭერას ვუცხადებთ თავმჯდომარე სი ძინფინგის მიერ წამოყენებულ აბრეშუმის გზის შორსმჭვრეტელურ გეგმას და „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ კონცეფციას.“ – აღნიშნა ი. ღარიბაშვილმა [夏季达沃斯, 2015].

ფორუმზე, რომელიც ეძღვნებოდა ორ თემას: „გზაჯვარედინზე მდებარე განვითარებადი ბაზრები“ და „თანამედროვე აბრეშუმის გზა“, განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნის პოლიტიკოსებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საჭიროა ჩინეთის ხელსაყრელი შესაძლებლობების გამოყენება. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, „საქართველოს შეუძლია მეტად კონსტრუქციული და საიმედო როლის თამაში, საქართველოს შეუძლია ააშენოს ჩინეთის ევროპასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა“. მან ასევე ხაზი გაუსვა ღრმაწყლოვანი პორტის როლს ახალ აბრეშუმის გზაზე, რომელიც შეამცირებდა 7000 კილომეტრიან სატრანზიტო მანძილს [李想, 2015].

„China Times“-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ი. ღარიბაშვილისთვის აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი „ახლებური ხედვით ჩამოყალიბებული უდიდესი ჩანაფიქრია“, მან აღნიშნა, რომ ჩინეთს საქართველოსთან, არამარტო ინვესტიციები, არამედ უძველესი სავაჭრო ურთიერთობებიც აკავშირებს, საქართველო აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკის ერთ-ერთი ქვეყანა-დამფუძნებელია და რეგიონისთვის საკმაოდ მომგებიანია. როგორც სტატიის ავტორები ფვუ მენგმენგი და ვენ იენცინგი ასკვნიან, საქართველოს პრემიერ მინისტრს მიაჩნია, რომ საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს და ჩინეთისთვის ის ევროპაში გასასვლელი უმოკლესი გზაა, ვინაიდან საქართველო-ჩინეთს შორის ამოქმედებული სარკინიგზო ხაზი მართლაც ყველაზე მოკლე გზაა, რომელსაც გააჩნია უპირატესობა პროდუქციის დაბალი თვითღირებულების და ძლიერი საბაზარო კონკურენტუნარიანობის კუთ-

ხით. ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ ინიციატივაში მონაწილე ქვეყნები დაინტერესებულნი არიან იმ მოგებით, რომელიც შეიძლება მოუტანონ მათ სხვა დანარჩენმა ქვეყნებმა და ამის დასტურად მოჰყავთ ი. ღარიბაშვილის სიტყვები: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ, ჩვენი ქვეყანა ცენტრალ ვაქციოთ, არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება ჩინეთი, ამერიკათუ სხვა ქვეყანა ან მისი საწარმო, ყველას შეეძლება ისარგებლოს ჩვენი მდებარეობით, რისგანაც ჩვენც მივიღებთ სარგებელს“ [福蒙蒙、温彦卿, 2015].

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პრემიერ მინისტრის რანგში ორჯერ იმყოფებოდა მამუკა ბახტაძე. პირველად ეს იყო 2018 წლის ნოემბერში, როდესაც საქართველოს პრემიერი შანხაიში, ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის პირველ ექსპოს დაესწრო. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერის განცხადებით, ის იქ იმყოფებოდა პირადად პრეზიდენტ სი ძინფინგის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე – სახელმწიფოს პირველი პირი) მიწვევით და უშუალოდ შეხვდა კიდევ ჩინეთის ლიდერს [ბახტაძე, 2018], თავისი შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, ეს ვიზიტიც სამუშაო ფორმატს არ გაცდენია და ის არ ყოფილა ოფიციალური.

გამოფენის ფარგლებში საქართველოს პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჩსრ-ს თავმჯდომარეს სი ძინფინგს წარუდგინა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ტურისტული პროექტები [姜微、陈二厚、李忠发、刘华、赵超, 2018]. „ჩინეთის ახალგაზრდობის ვებგვერდის“ ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს გამოფენა ხელს შეუწყობს საქართველოს ექსპორტის გაფართოებას და მით უმეტეს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, ასევე შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს [匈牙利, 2018]. ამ ვიზიტის ფარგლებში პრემიერი ასევე შეხვდა ჩინეთის ბანკის (რომელიც იყო ჩინეთის პირველი საერთაშორისო იმპორტის ექსპოს მონაწილეთა და სტუმართა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხების შესახებ გამართული ორმხრივი კონსულტაციების ორგანიზატორი) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ჩენ სსიცინგს. მათი თანდასწრებით ჩინეთის ბანკის კატარის ფინანსური ცენტრის ფილიალსა და საქართველოს საწარმოთა სამმართველოს შორის გაფორმდა სტრატეგიული შეთანხმება ორი ქვეყნის საშუალო და მცირე საწარმოების თანამშრომლობის წახალისების თაობაზე.

მ. ბახტაძემ აღნიშნა, რომ საქართველო „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტია, მან გამოთქვა იმედი, რომ საქართველო და ჩინეთი კიდევ უფრო გააძლიერებენ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს და ფინანსურ თანამშრომლობას, რომ ჩინეთის ბანკი გამოავლენს თავის გლობალურ უპირატესობებს და საქართველოში კიდევ უფრო გააფართოვებს საქმიანობას. ჩენ სსიცინგმა კი აღნიშნა, რომ საქართველო-

ში საწარმოო საქმიანობის განხორციელებისთვის არაჩვეულებრივი გარემოა, ძალიან ბევრი ჩინური კაპიტალით დაფუძნებული საწარმო ჩამოვიდა და დამკვიდრდა საქართველოში. ჩინეთის ბანკი გააფართოვებს საქართველოსთან თანამშრომლობას და წაახალისებს საშუალო და მცირე საწარმოებს თანამშრომლობისკენ [陈四清, 2018].

ახალი ამბების ვებსაიტი „ხუანციუ“ ასევე ავრცელებს ინფორმაციას 2018 წელს მ. ბახტაძის მიერ განხორციელებული ვიზიტის შესახებ. წყარო იუწყება, რომ გამოფენის საზეიმო გახსნის დღეს საქართველოს პრემიერ მინისტრმა მ. ბახტაძემ, ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკანიანმა, საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარემ დავით საგანელიძემ შანხაის სასტუმრო „ოთხ სეზონში“ შეხვედრა გამართეს კუანტუნგის ინჟუის ინვესტიციების მართვის ჯგუფის და ჩინეთის ანხუის პროვინციის (ჩაოხუს) იმპორტირებული სურსათის ინდუსტრიული ზონის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელთან სია იანგთან, სხვა ადგილობრივი რანგის მოხელეებთან.

მხარეებმა ოფიციალურად გააფორმეს შეთანხმება ქართული სპეციფიკური სურსათის ჩინეთის ანხუის პროვინციის ჩაოხუს იმპორტირებული სურსათის ინდუსტრიულ ზონაში შეტანის შესახებ. მ. ბახტაძემ აღნიშნა, რომ შანხაი ექსპო საუკეთესო პლატფორმაა ქართული პროდუქციის ჩინეთში პოპულარიზაციისთვის, ასევე საუკეთესო შესაძლებლობაა ქართული საწარმოებისთვის პროდუქციის ჩინეთში ექსპორტის კუთხით, ხოლო ანხუის სურსათის ინდუსტრიის ზონაში შესვლა კი ასეთ მუდმივ გამოფენაში მონაწილეობას ჰგავს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ჩინეთის ბაზარზე უფრო სწრაფად, ღრმად და სტაბილურად დამკვიდრებას [陈超、苏建军, 2018]. მამუკა ბახტაძე ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ცნობილი ჩინური არაყის (ულიანგიეს) მწარმოებელი კომპანიის „ულიანგიე ჯგუფის“ დირექტორს და სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ლიუ ჟუნგოს, პრემიერმა გამოთქვა იმედი, რომ ჩინური ულიანგიე ქართულ ღვინოსთან ერთად ხელს შეუწყობდა ალკოჰოლური სასმელების კულტურათაშორის ურთიერთობას და მის განვითარებას, რის შემდეგაც 5 ნოემბერს „ულიანგიემ“ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ასოციაციასთან სტრატეგიული შეთანხმება გააფორმა [2018 国际, 2018].

ასეთივე ხასიათის იყო პრემიერ მ. ბახტაძის მეორე ვიზიტიც – 2019 წლის ივლისში, საქართველოს მთავრობის მეთაური ჩინეთში ჩავიდა ტალიენის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად [ამის შესახებ იხ.: ბახტაძე, 2019]. ვიზიტის ფარგლებში მას ქ. ტალიენში შეხვდა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ მინისტრი ლი ქეციანგი. ამ შეხვედრის შესახებ იუწყება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური

სახალხო მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი [李 克 强, 2019a; 李 克 强, 2019b; 李 克 强, 2019c]. შეხვედრის მსვლელობისას ლი ქეციანგმა აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები ურთიერთპატივისცემის და თანასწორი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე აგრძელებს ჯანსაღ და სტაბილურ განვითარებას, ჩინეთის პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო ევრაზიის რეგიონში პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დაამყარა. ჩინურ მხარეს სურს, რომ უკეთესად დააკავშიროს ერთმანეთთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარების სტრატეგიები, ბოლომდე გამოავლინოს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა, ერთობლივად იმსჯელონ და განახორციელონ „ერთი სარტყელი, ერთი გზის პროექტი“ და შემდგომ მიიღონ ერთობლივი სარგებელი ამ პროექტიდან. „ჩვენ გვსურს, ურთიერთთანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე გავაფართოვოთ ურთიერთინვესტირება, ღია და გამჭვირვალე, თანასწორი კონკურენციის და სხვა კომერციული პრინციპების საფუძველზე გავაძლიეროთ ურთიერთკავშირი და ინფრასტრუქტურის მშენებლობა, გავაღრმავოთ ჰუმანიტარულ სფეროში კონტაქტები და მოვახდინოთ გამოცდილების ურთიერთგაზიარება, განუხრელად შევუწყოთ ხელი ორი სახელმწიფოს ხალხთა ურთიერთგაგებას და მეგობრობას“ [李 克 强, 2019a; 李 克 强, 2019b; 李 克 强, 2019c]. – განაცხადა ლი ქეციანგმა.

მამუკა ბახტაძემ მიულოცა შეხვედრის მონაწილეებს ახალი ჩინეთის მშენებლობის 70 წლის იუბილე და აღნიშნა, რომ საქართველო-ჩინეთს შორის მაღალი დონის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები მჭიდროა და რომ ორ სახელმწიფოს მტკიცე პოლიტიკური ურთიერთდობა აკავშირებს; საქართველო აქტიურად უჭერს მხარს „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ პროექტის ერთობლივი მშენებლობის იდეას და მიესალმება ჩინური საწარმოების მიერ საქართველოში ინვესტიციების გაფართოებას. მან საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს სურს, გააფართოვოს ჩინეთთან ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბები და განახორციელოს ურთიერთსარგებლიანობის კონცეფცია. შეხვედრას ესწრებოდნენ ჩსრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ვანგ ი (王毅) და სხვა ოფიციალური პირები [李 克 强, 2019a; 李 克 强, 2019b; 李 克 强, 2019c].

ასევე სამუშაო ვიზიტით – აზიური პოლიტიკური პარტიების „აბრეშუმის გზის“ თემატურ კონფერენციაზე დასასწრებად – 2015 წ. 14-17 ოქტომბერს ჩინეთს სტუმრობდა საქართველოს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი [ამის შესახებ იხ.: უსუფაშვილი, 2015]. ვიზიტის ფარგლებში ის მიიღო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჯანგ დეძიანგმა /张德江/

[张德江, 2015]. ორი ქვეყნის პარლამენტის ხელმძღვანელების შეხვედრა გააშუქა გაზეთ-მა „ქენმინ ჟიბაო“. საგაზეთო პუბლიკაციის ცნობით, ჭანგ დეძიანგი 2015 წ. 14 ოქტომბერს ჩინეთის პარლამენტის შენობაში შეხვდა წინა დღეებში აზიის პოლიტიკური პარტიების აბრეშუმის გზის თემატურ კონფერენციაზე დასასწრებად ჩამოსულ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს [谭晶晶, 2015]. შეხვედრის მსვლელობისას ჭანგ დეძიანგმა აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თავმჯდომარე სი ძინფინგის მიერ წამოყენებულ „ერთი სარტყელი ერთი გზის“ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას აქტიურად გამოეხმაურნენ სახელმწიფოები და მათ შორის საქართველო; ჩინეთმა და საქართველომ უკვე გააფორმეს აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ერთობლივი მშენებლობის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; ჩინურ მხარეს სურს ქართულ მხარესთან ერთად გააძლიეროს აბრეშუმის გზის სულისკვეთება, გააძლიეროს სტრატეგიული კონტაქტები და გააღრმავოს ორ სახელმწიფოს შორის თითოეულ სფეროში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა; სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას სურს საქართველოს პარლამენტთან გააძლიეროს კონტაქტები, რომ ორი სახელმწიფო უზიარებდეს ერთმანეთს გამოცდილებას, გააუმჯობესოს ურთიერთობის სამართლებრივი პირობები, განამტკიცოს საზოგადოების და ერის ნების საფუძველი, უბიძგოს ჩინეთ-საქართველოს მეგობრობას უწყვეტი განვითარებისა და წინსვლისკენ [谭晶晶, 2015].

დავით უსუფაშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის, ჰუმანიტარული გაცვლების და სხვა სფეროებში ურთიერთობას კარგი შედეგები აქვს. საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა ჩინეთთან მეგობრული ურთიერთობების განვითარების საკითხებში მიაღწიეს ფართო ურთიერთგაგებას, მათ გამოთქვეს სურვილი, ერთობლივი ძალისხმევით შეუწყონ ხელი ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის უწყვეტ განვითარებას [谭晶晶, 2015].

სხვა ვიზიტებიდან გამოსაყოფია საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 2014 წლის სექტემბერში [კვირიკაშვილი, 2014]. ამ ვიზიტის შესახებ საინტერესოა გაზეთ „სინძიანგ ჟიბაოს“ საინფორმაციო მასალა [李行, 2014], რომელშიც აღნიშნულია, რომ 2014 წლის 12 სექტემბერს სადამოს ავტონომიური რაიონის მუდმივი კომიტეტის ვიცე-მდივანი და ავტონომიური რაიონის თავმჯდომარე ნურ ბაქრი (努尔·白克力) შეხვდა საქართველოს ვიცე-პრემიერს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მი-

ნისტრს გიორგი კვირიკაშვილს. ნურ ბექრიმ სტუმარს გააცნო სინძიანგის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული სიტუაცია და აღნიშნა, რომ ჩინეთის სინძიანგს, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის დასავლეთის მიმდმართულებით ღიაობის (გახსნილობის, განვითარების) საყრდენ პუნქტს, გააჩნია აშკარა რეგიონალური უპირატესობა. ჩინეთის ცენტრალურმა მთავრობამ სინძიანგის განვითარებისთვის ხელშეწყობის მიზნით გაატარა განსაკუთრებული (სპეციალური, საგანგებო) პოლიტიკა, რომელსაც დღეს უკვე აქვს პირველადი შედეგები. ეს კი ნურ ბექრის ღრმა რწმენით, უაღრესად შეუწყობს ხელს სინძიანგის განვითარებას [李行, 2014]. სი ძინფინგმა (习近平) წამოაყენა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის სტრატეგიული კონცეფცია და განსაზღვრა სინძიანგი, როგორც აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ცენტრალური ზონა, სინძიანის გეოგრაფიული და რეგიონალური მდებარეობის უპირატესობა ითამაშებს შეუცვლელ როლს. „ბოლო წლების განმავლობაში, – განაცხადა ნურ ბექრიმ, – ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების კვალდაკვალ, ჩინეთის სინძიანგის პროვინცია და საქართველოს შორის კავშირებიც პროგრესირებს; ჩინეთმა უკვე ოთხი აზიური გამოფენა ჩაატარა, რასაც საქართველო მაღალ დონეზე აფასებს და ყოველ ჯერზე გზავნის მაღალი დონის დელეგაციას მონაწილეობის მისაღებად, ამ პლატფორმამ ჩინეთის სინძიანგის პროვინციასა და საქართველოს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობა უფრო დაუფრო განამტკიცა“. ნურ ბექრიმ აღნიშნა, რომ ვიცე-პრემიერ კვირიკაშვილის ეს ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ორ რეგიონს შორის უკვე არსებულ კარგ ურთიერთობებს და აქტიურ როლს ითამაშებს სამომავლო თანამშრომლობის საკითხებში, მან გამოთქვა იმედი, რომ მხარეები ერთობლივი ძალისხმევით შეძლებდნენ ორ რეგიონს შორის უფრო მეტ სფეროში და უფრო ფართო მასშტაბებით თანამშრომლობის წახალისებას და კეთილდღეობას მოუტანს ორივე რეგიონის მოსახლეობას [李行, 2014].

თავის მხრივ, გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ სინძიანგის პროვინცია საქართველოსთან ყველაზე ახლოს მდებარე ჩინური რეგიონია და რომ საქართველოსაც სინძიანგის მსგავსად გააჩნია რეგიონალური უპირატესობანი, რამდენადაც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს, ორ რეგიონს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს და სრულად გამოვლინდეს მათი რეგიონალური უპირატესობები. ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, რომ ორ რეგიონს შორის თანამშრომლობას უკვე კარგი დასაწყისი აქვს, საქართველო მოუთმენლად ელის ჩინეთის სინძიანგის პროვინციასთან მრავალვექტორული თანამშრომლობის განხორციელებას, გულდია და მეგობრული ქართველი ხალხი მიესალმება ჩინეთის და მათ შორის სინძიანგის მაცხოვრებლების საქართველოში ჩა-

მოსვლას და სავაჭრო-ეკონომიკურ, ტურისტულ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სფეროებში მათთან თანამშრომლობის დაწყებას [李行, 2014].

2015 წლის მარტში შედგა საქართველოს ვიცე-პრემიერის და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვიციანიშვილის კიდევ ერთი სამუშაო ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. იგი შეხვდა ჩინეთის კომერციის მინისტრს კაო ლუიჩენგს (高虎城). ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ჩინური ფინანსურ-ეკონომიკური საინფორმაციო ვებპორტალი „ხესუსინი“ (和讯), რომელიც იუწყება, რომ 2015 წ. 9 მარტს კომერციის სამინისტრომ და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ პეკინში ხელი მოაწერეს „ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების განხორციელების შესაძლებლობების შესწავლის დაწყების შესახებ ერთობლივ კომუნიკეს“ და შეთანხმდნენ, რომ სასწრაფოდ უნდა შეექმნათ ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფი და დაეწყოთ ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების განხორციელების შესაძლებლობების შესწავლა. ჩინურმა და ქართულმა მხარეებმა, ამასთანავე გააფორმეს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ ერთობლივი მშენებლობის საქმეში თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ მემორანდუმი. საინფორმაციო მასალაში აღნიშნულია, რომ მომავალში ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის ჩარჩოებში, ჩინეთი და საქართველო ერთობლივად წაწვევენ წინ „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ საშუალებით დამყარებულ სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას, ყოველმხრივ ამაღლებს სავაჭრო, საინვესტიციო, ეკონომიკურ-ტექნიკურ თანამშრომლობას და ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის დონეს. კაო ლუიჩენგმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ როდესაც 2013 წ. სექტემბერში თავმჯდომარე სი ძინფინგმა ყაზახეთში ვიზიტის დროს წამოაყენა „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ შექმნის სტრატეგიული კონცეფცია, მას აქტიურად გამოეხმაურა (აბრეშუმის გზის) მიმდებარე თითოეული ქვეყანა და მათ შორის იყო საქართველოც, ჩინეთმა და საქართველომ დაიწყეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების განხორციელების შესაძლებლობების შესწავლა, რაც „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ ერთობლივი მშენებლობის საქმეში უმნიშვნელოვანესი მოქმედებაა და მან არამარტო ორი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს შესძინა ახალი სასიცოცხლო ძალა, არამედ ჩინეთის ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების კუთხითაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს [中国与格鲁吉亚, 2015a; 中国与格鲁吉亚, 2015b; 中国与格鲁吉亚, 2015c].

2015 წლის 9 მარტს ვიცე-პრემიერი კვირიკაშვილი შეხვდა ჩინეთის სახელმწიფო ტურიზმის სამმართველოს უფროსს ლი ძინწაოს (李金早), შეხვედრაზე მხარეებმა გაცვალეს იდეები აბრეშუმის გზის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის სწრაფი ტემპებით განვითარებისთვის ბიძგის მიცემასთან, ჩინეთ-საქართველოს ტურისტულ ურთიერთობებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ლი ძინწაომ აღნიშნა, რომ ჩინეთს და საქართველოს მჭიდრო მეგობრობა აკავშირებთ, ახალ ეპოქაში, მხარეებმა ურთიერთსარგებლიანობის და ურთიერთმომგებიანობის საფუძველზე კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ კონტაქტები და თანამშრომლობა, გააფართოვონ კონტაქტები ტურიზმის სფეროში. ჩინეთი და საქართველო აბრეშუმის გზის მიმდებარე ქვეყნებია და მათ გააჩნიათ მდიდარი ტურისტული რესურსი და ურთიერთშემავსებელი ძლიერი მხარეები, ასევე გააჩნიათ ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის ფართო პერსპექტივა [郭探微, 2015] ლი ძინწაომ აღნიშნა, რომ ჩინეთის სახელმწიფო ტურიზმის სამმართველოს სურს, ქართულ მხარესთან ერთად გაატაროს ღონისძიებები, აბრეშუმის გზის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის წახალისების მიზნით ჩინური მხარე იწვევს საქართველოს ტურიზმის სამინისტროს წარმომადგენლებს აბრეშუმის გზის მოსაზღვრე ქვეყნების ტურიზმის მინისტრების შეხვედრაზე დასასწრებად, რომელიც გაიმართება წელს ჩინეთში, იმისათვის რომ ერთად განიხილონ აბრეშუმის გზის ტურიზმის განვითარების ძირითადი გეგმები. გარდა ამისა ლი ძინწაომ ასევე გამოთქვა რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყნების საწარმოები მეორე მხარის ქვეყანაში ჩავიდნენ და მონაწილეობა მიიღონ გამოფენებში, ასევე მოაწყონ სხვადასხვა სახის ტურიზმის სარეკლამო კამპანიები, ტურიზმის სასწავლებლებმა და გადამზადების სტრუქტურებმა კი გადაამზადონ თარჯიმნები და გიდები, კიდევ უფრო გააუმჯობესონ ტურისტული ვიზების რეჟიმი, და ტურისტებს შესთავაზონ უფრო კომფორტული და მოსახერხებელი მომსახურება, სტიმული მისცენ ორი ქვეყნის მოსახლეობის ტურისტული მიმოსვლის მასშტაბურობის მდგრად გაფართოებას [郭探微, 2015].

საპასუხო გამოსვლაში გ. კვირიკაშვილმა მათალი შეფასება მისცა ჩინეთის მთავრობის მიერ წამოყენებულ ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მშენებლობის სტრატეგიულ კონცეფციის. ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს შორის ტურისტულ სფეროში გაძლიერებული თანამშრომლობა უნიკალურ ისტორიულ შესაძლებლობებს იძლევა, რომ ქართული მეღვინეობა, საქართველოს ბალნეოლოგიური კურორტები, სტალინის თემატიკის (წითელი) ტურისტული პროდუქტები, რომლებიც დღემდე პოპულარობით სარგებლობს, ნამდვილად გამოიწვევს ჩინელი ტურისტების ინტე-

რესს. საქართველო კიდევ უფრო გააძლიერებს ჩინეთის მიმართულებით ტურიზმის პოპულარიზაციას, აგიტაციასა და პროპაგანდას, მიიღებს ზომებს სავიზო პროცედურების გამარტივებასთან, მეტი პირდაპირი რეისის დანიშვნასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა ხელს შეუწყობს ტურიზმის სფეროში საქმიანი თანამშრომლობის განვითარებას, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებაში წვლილს შეიტანს [郭探微, 2015].

იმავე 2015 წ. სექტემბერში გიორგი კვირიკაშვილი ვიცე-პრემიერისა და ამჯერად უკვე საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში კიდევ ერთხელ ესტუმრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ის ტალიენში დაესწრო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015 წლის ახალ ლიდერთა წლიურ სხდომას და შეხვდა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ვანგ ის [郝亚琳, 2015; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: საქართველოს ვიცე-პრემიერი, 2015]. ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე. შეხვედრის მსვლელობისას ვანგ იმ აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთ-საქართველოს მეგობრული თანამშრომლობა სტაბილურად ვითარდება, სავაჭრო-ეკონომიკურ და საინვესტიციო სფეროებში, ასევე ინფრასტრუქტურის მშენებლობის და სხვა სფეროებში ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა განუწყვეტლივ ღრმავდება, ჩინურ მხარეს სურს აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ერთობლივი მშენებლობის საშუალებით და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით დააჩქაროს ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების პროცესი, ხელი შეუწყოს ორი სახელმწიფოს თითოეულ სფეროში თანამშრომლობის უწყვეტ წინსვლას. გ. კვირიკაშვილმა საუბრისას აღნიშნა, რომ ჩინეთი საქართველოსთვის საგარეო ურთიერთობების მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ქართულ მხარეს სურს მთელი ძალებით მხარი დაუჭიროს აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მშენებლობას და მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ პროექტის განხორციელების პროცესში, ხელი შეუწყოს ორმხრივ თანამშრომლობას, რაც ჩვენი ქვეყნების განვითარებას ემსახურება. საგარეო საქმეთა მინისტრებმა საერთო საზრუნავ საერთაშორისო საკითხებზე ისაუბრეს და გაცვალეს აზრები [王毅, 2015]. ვიზიტის ფარგლებში მან მისცა ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო სინხუას [გავლენიანი ჩინური, 2015].

2015 წლის ივნისში ჩინეთში იმყოფებოდა საქართველოს მთავრობის კიდევ ერთი ვიცე-პრემიერი (ამავე დროს – ენერგეტიკის მინისტრი) – კახაბერ (კახა) კალაძე, რომელიც (პარტიის გენერალური მდივნის რანგში) ხელმძღვანელობდა პარტია „ქართული ოცნება

– დემოკრატიული საქართველოს“ დელეგაციას [ამის შესახებ იხ.: ხაბაძე, 2015]. ამ ვიზიტის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა გაზეთმა „ტალიენ ჟიბაომ“. გაზეთის ცნობით, ქართული დელეგაცია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო კავშირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ჟოუ ლის (周力) თანხლებით ჩავიდა ქალაქ ტალიენში. 2015 წ. 27 ივნისს პროვინციის პარტკომის მუდმივი კომიტეტის წევრებმა, საქალაქო კომიტეტის (მუნიციპალიტეტის) მდივანმა თანგ ძუინმა (唐军) სასტუმრო ჰანგჩუიში გამართა შეხვედრა კ. კალაძესთან, შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ქალაქის ვიცე-მერი ლუ ლინი (卢林) და საქართველოს ელჩი ჩინეთში დავით აფციაური [文]星, 2015b]. თანგ ძუინმა კალაძეს გააცნო ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ არსებული სიტუაცია და განაცხადა, რომ ჩინეთის მიერ წამოყენებული „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ განვითარების სტრატეგია შეესაბამება მიმდებარე ტერიტორიების საჭიროებებს, ამ ინიციატივამ ახალი შესაძლებლობები შექმნა მიმდებარე ქვეყნების ურთიერთშემავსებელი უპირატესობების გამოყენებისთვის და ღია განვითარებისთვის. ტალიენი (დალიანი) არის ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონის მთავარი საპორტო ქალაქი და საგარეო ღიაობის (გახსნილობის) ცენტრი, ასევე არის „ერთი სარტყელი ერთი გზის“ სტრატეგიაში მთავარი საკვანძო ქალაქი. „ამიერიდან მთელი სერიოზულობით გამოვიყენებთ ამ უდიდეს სტრატეგიულ შესაძლებლობებს, კიდევ უფრო განვამტკიცებთ „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მიმდებარე ქვეყნებთან და მათ შორის საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს, წავახლისებთ ტალიენის უფრო მეტ საწარმოს, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში, განახორციელონ ინვესტიციები და განვითარდნენ“ – განაცხადა თანგ ძუინმა [文]星, 2015b].

კახი კალაძემ მადლობა გადაუხადა ტალიენის (დალიანის) მოსახლეობას თბილი და მეგობრული მიღებისთვის, მან აღნიშნა რომ ტალიენი ლამაზი და მზიანი ქალაქია და აქ ჩამოსვლის შემდეგ თითქოს საკუთარ სამშობლოში აღმოჩნდა. მისი შეფასებით, „ჩინეთის მიერ ინიცირებული „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ სტრატეგიულ კონცეფციაში ღრმა აზრი დევს, საქართველო ამ პროექტს აქტიურად დაუჭერს მხარს და მიიღებს მასში მონაწილეობას. მივესალმებით ტალიენის საწარმოების საქართველოში ჰორტის მშენებლობაში, ინფრასტრუქტურის მშენებლობაში და ენერგორესურსების გამოუმუშავებაში აქტიურ მონაწილეობას, იმედი მაქვს ტალიენტან ქალაქების დამეგობრების კუთხით და ასევე სხვა საკითხებში გვექნება სწრაფი პროგრესი და წავახლისებთ ორმხრივი მეგობრული თანამშრომლობის და ურთიერთობების განვითარებას“ [文]星, 2015b].

კ. კალაძის ვიზიტს გამოეხმაურა გაზეთი „თიენძინ ჟიბაო“, რომელმაც განათავსა ინფორმაცია 2015 წ. 29 ივლისს ქალაქ თიენძინის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის და ქალაქის მერის ხუანგ სინგგოს (黄兴国) და საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერის კახი კალაძის ხელმძღვანელობით ჩამოსული „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დელეგაციის (საპატიო სტუმრების რეზიდენციაში) შეხვედრის შესახებ. ხუანგ სინგგომ ვიცე-პრემიერს მოკლედ გააცნო თიენძინის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სიტუაცია და აღნიშნა, რომ ვიცე-პრემიერის ვიზიტის ფარგლებში საგანგებოდ თიენძინში სტუმრობა მოწმობს მისი ამ ქალაქის განვითარებისადმი მაღალ ინტერესს. ქალაქი თიენძინი დედაქალაქის რეგიონის (თიენძინი, პეკინი, ხეპეის პროვინცია) ერთობლივი განვითარების, თავისუფალი ვაჭრობის ექსპერიმენტალური ზონის მშენებლობის, „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მშენებლობის, სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად შექმნილი ინოვაციების საჩვენებელი ზონის მშენებლობის, პინხაის ახალი რაიონის განვითარების და სხვა მრავალი სტრატეგიული შესაძლებლობის წინაშე დგას. საქართველო აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მიმდებარე მნიშვნელოვანი ქვეყანაა, თიენძინი კი „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მნიშვნელოვანი საკვანძო ქალაქი, რომელსაც გააჩნია ადგილმდებარეობის, პორტის, მოწინავე მრეწველობის, მედიცინის და ჯანდაცვის, ასევე უმაღლესი განათლების და სხვა უპირატესობები. ქალაქის მერმა გამოთქვა იმედი, რომ კალაძის ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას და შეიტანს წვლილს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების ყოველმხრივი განვითარების საქმეში [米哲、魏斌, 2015].

კ. კალაძემ გამოხატა მადლიერება გულთბილი დახვედრისთვის და აღნიშნა, რომ ამ ვიზიტის განმავლობაში დელეგაციის თითოეულმა წევრმა შეიგრძნო ჩინელი ხალხის გულთბილი მასპინძლობა და საქართველო ამაყია, რომ ჰყავს ისეთი კარგი მეგობარი და პარტნიორი, როგორცაა ჩინეთი. საქართველო უადრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან ურთიერთობების განვითარებას. კ. კალაძის განცხადებით, „ჩინური მხარის მიერ ინიცირებული „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ სტრატეგიის მშენებლობას ჩვენთვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს; იმედი მაქვს, მეტი ჩინური საწარმო ჩამოვა საქართველოში, განახორციელებს ინვესტიციებს და განავითარებს ბიზნესსაქმიანობას, აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ინფრასტრუქტურის/ საპორტო ლიჯისტიკის, განათლების, კულტურის და სხვა სფეროების მშენებლობაში, დაახლოვებს ორი ქვეყნის მომუშავე კადრებს, და ხელს შეუწყობს მეგობრული თანამშრომლობის გაღრმავებას“.

თიენძინში ვიზიტის პერიოდში დელეგაციამ მოინახულა თიენძინის ტექნიკური უნივერსიტეტი და თიენძინის ეკონომიკური განვითარების ზონა (*TEDA – Tianjin Economic Development Area*), თიენძინის თავისუფალი ვაჭრობის ექსპერიმენტალური ზონის ტუნგძიანგის საპორტო ზონის მომსახურების დარბაზი, წყნარი ოკეანის კონტეინერების მისაღვომი, დელეგატები გაასეირნეს მდინარე ხაიხეზე (海河) [米哲、魏彧, 2015].

2016 წლის ივლისში ჩინეთს – შანხაის და ძიანგსის პროვინციებს ეწვია საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი [ქუმსიშვილი, 2016; 中国同格鲁吉亚, 2020]. ამის შესახებ გვაუწყებს ძიანგსის პროვინციის სახალხო მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, მასში ვკითხულობთ: 2016 წლის 28 ივლისს ძიანგსის პროვინციის პარტიული კომიტეტის ვიცე-მდივანი და პროვინციის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ლიუ ძი (刘寄) ქალაქ ნანჩანგში (南昌) შეხვდა საქართველოს სამთავრობო დელეგაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს ვიცე-პრემიერი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ასევე პროვინციის ვიცე-გუბერნატორი ლიუ ჩანგლინი (刘昌林) და საქართველოს ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დავით აფციაური. შეხვედრის მსვლელობისას ლიუ ძიმ აღნიშნა, რომ მიესალმა საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ძიანგსში ვიზიტს და გააცნო ძიანგსის პროვინციაში სოციალურ ეკონომიკური განვითარების მხრივ არსებული სიტუაცია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის ხელმძღვანელობით სამთავრობო დელეგაციის ძიანგსის პროვინციაში სტუმრობა და მათ მიერ სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ღონისძიებების ჩატარება სამომავლო ორმხრივი თანამშრომლობას დიდ წარმატებას მოუტანს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ძიანგსის პროვინცია აქტიურადაა ჩაბმული „ერთი სარტყელი ერთი გზის პროექტის“ განხორციელებაში, მთელი პროვინციის მასშტაბით შეინიშნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კარგი ტენდენციები. ლიუ ძიმ გამოთქვა იმედი, რომ ძიანგსის პროვინცია საქართველოსთან კიდევ უფრო განამტკიცებს ურთიერთობებს და გააღრმავებს თანამშრომლობას სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, საგანმანათლებლო, კულტურის, ტურიზმის და სხვა სფეროებში და ურთიერთობა იქნება ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანი.

თავის მხრივ, დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში კარგი საინვესტიციო გარემოა, საქართველო მიესალმება ძიანგსის საწარმოების ქვეყანაში შემოსვლას და ინვესტიციების ზრდას. საქართველოს სურს, რომ ძიანგსის პროვინციასთან ითანამშრომლოს უფრო მეტ სფეროში, საქართველო ძიანგსის შეუქმნის ხელსაყრელ პირო-

ბებს ევროკავშირის ქვეყნებთან, თურქეთთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან და რეგიონებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისთვის [刘奇, 2016].¹

ყველა ეს შეხვედრა-მოლაპარაკება ფოკუსირებული იყო საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე და ემსახურებოდა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ პროექტის ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადებას. 2016 წლის ოქტომბერში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები არსებითად უკვე დასრულებული იყო.² საბოლოოდ ეს შეთანხმება დაიდო 2017 წლის 13 მაისს პეკინში – ჩინეთში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის (საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია და სხვ.) ვიზიტის ფარგლებში. დელეგაცია ჩინეთში ჩავიდა „ერთი სარტყელი ერთი გზის“ საერთაშორისო თანამშრომლობის სამიტზე (უმაღლესი დონის ფორუმზე) მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს სამთავრობო დელეგაცია მიიღო ქვეყნის ვიცე-პრემიერმა ვანგ იანგმა (汪洋). 13 მაისს დელეგაციას შეხვდა ჩსრ კომერციის მინისტრი ჟუნგ შანი (钟山). სწორედ ამ შეხვედრაზე მოხდა „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს მთავრობებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე“ ხელმოწერა. საქართველოს მთავრობის სახელით დოკუმენტს ხელი მოაწერა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით კი ჩინეთის კომერციის მინისტრმა ჟუნგ შანმა (ზოგიერთ წყაროში „ჯონგ შანმა“) [中国与格鲁吉亚, 2017; საქართველოსა და ჩინეთს შორის, 2017b].

ჩინეთის კომერციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში აღნიშნულია, რომ შეთანხმება ეხება საქონლით და მომსახურებით ვაჭრობას, წარ-

¹ აღსანიშნავია, რომ 2016 წ. 5 აპრილს საქართველოს ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმების ცერემონიალს. ამასთანავე, აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალურმა სავაჭრო პალატამ საქართველოს დელეგატივს თბილისში გამართა „აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატის მსოფლიო „ქუჩის შოუ“, რომელზეც მოხდა სწორედ გენერალური სავაჭრო პალატის მიერ ინიცირებული „ინტერნეტ აბრეშუმის გზის“, „აბრეშუმის გზის საერთაშორისო განვითარების ფონდის“, „აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატის ანალიტიკური ცენტრის ბლოკის“ და სხვა საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების საქართველოს სხვადასხვა სფეროს წრეებისთვის წარდგენა. დიმიტრი ქუმსიშვილი ასევე დაესწრო „ქუჩის შოუს“ ღონისძიებას და გამოვიდა სიტყვით [格鲁吉亚第一, 2018a].

² აღსანიშნავია, რომ ამ შეთანხმების თაობაზე უკვე 2015 წლის მარტში დაიწყო მოლაპარაკებები, ხოლო დეკემბერში ოფიციალურად მოეწერა ხელი „ჩსრ-ს კომერციის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის ურთიერთგაგების შემორანდუმს ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე.“ დოკუმენტს ხელი მოაწერეს კომერციის სამინისტროს საერთაშორისო ვაჭრობის გარიგებების წარმომადგენელმა და მინისტრის მოადგილემ ჟუნგ შანმა და დიმიტრი ქუმსიშვილმა [ჩინეთსა და საქართველოს შორის, 2017b].

მომავლობის ქვეყნის წესებს, საბაჟო პროცედურებს და ვაჭრობის გამარტივებას, ჯანდაცვას და მცენარეთა დაცვის (სანიტარიის) ღონისძიებებს, ვაჭრობის ტექნიკურ ბარიერებს, ვაჭრობის დაცვას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, თანამშრომლობის სფეროს და სხვა 17 პარაგრაფს.¹ „შეთანხმების“ ხელმოწერა, – აღნიშნულია პუბლიკაციაში, – გადაშლის ახალ გვერდს ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და სასარგებლო იქნება ორი სახელმწიფოს საქმიანი თანამშრომლობის ღონის ყოველმხრივი ამადლების, ჩინელი და ქართველი ხალხის კეთილდღეობის თვალსაზრისით, მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის „ერთი სარტყელი ერთი გზის“ ინიციატივის განხორციელების და თავისუფალი ვაჭრობის ზონისთვის სტიმულის მიცემის საკითხში. „შეთანხმების“ ოფიციალურად ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ოპერატიულად სერიოზულად მოკიდებენ ხელს შიდასახელმწიფოებრივ პროცედურების განხორციელების საქმეს, რაც შესაძლებელს გახდის, რომ 2017 წლის ბოლოს ან 2018 წლის დასაწყისში „შეთანხმება“ შევიდეს ძალაში და დაიწყოს მისი განხორციელება“ [中国与格鲁吉亚, 2017].

2018 წლის აპრილში შედგა საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის კიდევ ერთი ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომლის დროსაც ის გამოვიდა მოხსენებით ჩინეთის სახალხო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივ კონფერენციაზე (მიეძღვნა „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ინიციატივას) [ქუმსიშვილი, 2018]. ამ ვიზიტს გამოეხმაურა (2018 წ. 16 აპრილს) გაზეთი „ქენმინ ჟიბაო“, კერძოდ, ყურადღება გამახვილდა დ. ქუმსიშვილის სტუმრობაზე აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო კალატის პეკინის წარმომადგენლობაში [格鲁吉亚第一, 2018b].

¹ აღსანიშნავია, შეზღუდვების მოხსნის მხრივ გატარდა შემდეგი ღონისძიებები: საქართველომ ჩინეთის პროდუქციის 96,5%-ზე სასწრაფოდ დააწესა ნულოვანი საბაჟო გადასახადი, რაც მოიცავდა საქართველოში ჩინეთიდან იმპორტირებული საქონლის მთლიანი ოდენობის 99,6 პროცენტს, ჩინეთი კი საქართველოს პროდუქციის 93,9%-ზე დააწესებს ნულოვან საბაჟო გადასახადს, რაც ფარავს ჩინეთში საქართველოდან იმპორტირებული პროდუქციის 93,8 პროცენტს, მათ შორის პროდუქციის 90,9 პროცენტზე (იმპორტის საერთო ოდენობის 42,7%) სასწრაფოდ დაწესდა ნულოვანი საბაჟო გადასახადი, დარჩენილ 3% პროდუქციაზე კი (რაც იმპორტის 51,1%-ს შეადგენს) საბაჟო გადასახადის დაწესის გარდამავალ პერიოდად განისაზღვრა 5 წელი. რაც შეეხება მომსახურებით ვაჭრობის სფეროს, მხარეებმა მომსახურების მრავალ სექტორთან დადეს შეზღუდვების მოხსნის (გამარტივების) მაღალხარისხის პირობა, ეს მათ შორის გულისხმობდა იმასაც, რომ საქართველომ ფინანსურ, სატრანსპორტო, ფიზიკური პირების მიგრაციის, ჩინური ხალხური მედიცინის მომსახურების და სხვა სფეროებში დააკმაყოფილა ჩინეთის ინტერესი, ხოლო ჩინეთმა ტურიზმის, საზღვაო გადაზიდვების, სამართლის და სხვა სფეროებში დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი ინტერესი. გარდა ამისა „შეთანხმებამ“ კიდევ ერთი ნაბიჯით სრულყო სავაჭრო პრინციპები და დაუწესა მხარეებს, რომ მათ მიერ ანტიდემპინგური კვლევების ჩატარების დროს არ გამოეყენებინათ მესამე მხარის ჩანაცვლებული ფასი, ამასთანავე განსაზღვრეს ის ძირითადი სფეროები რაშიც სამომავლოდ გააძლიერებდნენ თანამშრომლობას [中国与格鲁吉亚, 2017].

პუბლიკაციაში მოტანილი დ. ქუმსიშვილის შეფასებით, საქართველო მაღალ შეფასებას აძლევს ჩინეთის „მშვიდობიანი თანაცხოვრების ხუთი პრინციპის“ პოზიციას. ქართული მხარე მთელი ძალებით უჭერს მხარს და აქტიურად ეხმაურება ჩინეთის „ერთი სარტყელი ერთი გზის“ ინიციატივას. აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატა¹ იქცა საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორად, რომელმაც უბიძგა საქართველოს ჩართულობით „ერთი სარტყელი ერთი გზის“ საქმიან თანამშრომლობაში. მისი აზრით, „ჩინეთის მიერ ბოაოს აზიურ ფორუმზე გაქდრებული წინადადება – „ჩინეთი გააფართოებს ბაზარზე წვდომას და დიაობას“ – მსოფლიო ვაჭრობის აყვავების ხელშეწყობისთვის, მსოფლიოს ვაჭრობის სისტემის წონასწორობის წახალისებისთვის, აზიის და მთელი მსოფლიოს განვითარებისთვის ახალ მამოძრავებელ ძალად იქცა; საქართველო მიესალმება ამ ფაქტს და მაღალ დონეზე აფასებს თავმჯდომარე სი ძინფინგის დაუდლავ ძალისხმევას ახალი მოდელის საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების და კაცობრიობის ერთიანი ბედის შექმნის ხელშეწყობის საქმეში“ [格魯吉亞第一, 2018b].

დ. ქუმსიშვილმა გამოთქვა იმედი, რომ საქართველო ჩინეთის მთავრობასთან ერთად ერთობლივი ძალებით განაგრძობს ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე „ერთი სარტყელი ერთი გზის“ მშენებლობისთვის ხელშეწყობას, რაც სტიმულს მისცემს საქართველოს და ჩინეთის ყოველმხრივ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. „საქართველო აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატასთან გააგრძელებს და გააძლიერებს თანამშრომლობას და ერთობლივი ძალებით მოახდენდნენ თბილისის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ფორუმის ორგანიზებას, „რითაც დავეხმარებით „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივას კავკასიის და შუა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში...“ – განაცხადა ვიცე-პრემიერმა. მან ასევე აღნიშნა, რომ 2017 წელს გენერალურ სავაჭრო პალატასთან ერთად ორგანიზებულ თბილისის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ რი-

¹ აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატა არის საერთაშორისო კომერციული ასოციაციის კოალიციური ორგანიზაცია, რომლის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ აბრეშუმის გზის თითოეული ქვეყნის სახელმწიფო დონის კომერციული ასოციაციები. დღეს ის უკვე აერთიანებს 82 ქვეყნის ორასზე მეტი სახელმწიფო დონის კომერციული ასოციაციის წევრს და საერთო ჯამში მოიცავს დაახლოებით ათ მილიონ წევრს. აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალურმა სავაჭრო პალატამ 2015 წელს დაარსების შემდეგ ჩაატარა 10 უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფორუმი, ორგანიზება გაუკეთა 30-ზე მეტ საგარეო ვიზიტს, „ქუჩის შოუს“ და სხვა ღონისძიებებს; 60-ზე მეტ სახელმწიფო დონის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან და საერთაშორისო ორგანიზაციასთან გააფორმა „შეთანხმება აბრეშუმის გზის სავაჭრო-სამრეწველო თანამშრომლობის მექანიზმების და პლატფორმის ერთობლივი შენების თაობაზე“; 80-ზე მეტ სახელმწიფო დონის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან გააფორმა შეთანხმება „წერილობითი ინიციატივა საერთაშორისო კულტურული და ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობის წესების და ჯგუფური სტანდარტების ერთობლივი შემუშავების თაობაზე“; გამოაქვეყნა „სიანის კონსუსუსი კაცობრიობის ერთიანი ბედის საზოგადოების დაარსებაში წვლილის შეტანის შესახებ“ [ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: 商会简介 – 商会简介; 格魯吉亞第一, 2018a].

გით მეორე საერთაშორისო ფორუმს საქართველოში და სხვა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ქვეყნებში და რეგიონებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, გენერალური სავაჭრო პალატის მიერ შექმნილი „ინტერნეტ ერთი სარტყელი ერთი გზის“ პლატფორმის მეშვეობით კი საქართველოს წითელმა ღვინომ და სხვა პროდუქციამ ჩინეთშიც მოიძია კარგი ბაზარი [格魯吉亞第一, 2018b].

აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ლუ ძიენჭონგმა (吕建中) განაცხადა, რომ „აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალურ სავაჭრო პალატას საქართველოსთან მტკიცე ჯაჭვი აკავშირებს. საქართველოც აგრეთვე არის გენერალური სავაჭრო პალატის უმთავრესი თანამშრომლობის პარტნიორი, გენერალური სავაჭრო პალატის მსოფლიოში პირველი „ქუჩის მოუც“ საქართველოში გაიმართა, გენერალური სავაჭრო პალატის მიერ ორგანიზებული „აბრეშუმის გზის საწარმოების ლიდერთა პირველი სამიტის“ მთავარი სტუმარი-სახელმწიფო არის საქართველო, თბილისის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ საერთაშორისო ფორუმი არის გენერალური სავაჭრო პალატის და სახელმწიფოს მთავრობის მიერ ერთობლივად ორგანიზებული პირველი საერთაშორისო ფორუმი, რომლის მთავარი თემაა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“. გენერალურ სავაჭრო პალატას სურს განაგრძოს შუამავლის, შემაკავშირებელი რგოლის და პლატფორმის როლის თამაში, რათა სტიმული მისცეს სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით კი ჩინეთსა და საქართველოს შორის პროექტებში თანამშრომლობას, ჰუმანიტარულ და კულტურულ ურთიერთობებს და საქმიან თანამშრომლობას“ [格魯吉亞第一, 2018b]. ეს ღონისძიება გააშუქა აგრეთვე ჩინურმა ჟურნალმა – „ჩინეთის კულტურული ფიგურები“ [格魯吉亞第一, 2018a].

ამ პერიოდში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში განხორციელებული სხვა ვიზიტებიდან აღსანიშნავია 2018 წ. აგვისტოში საქართველოს ვიცე-პრემიერის და ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების მინისტრის მაია ცქიტიშვილის მონაწილეობა სინძიანის ევროპისა და აზიის გამოფენაში, რომლის დროსაც ის ჩინეთ-ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმზე გამოვიდა მოხსენებით „სარტყელი და გზა – მშენებლობა, მონაწილეობა და საერთო სარგებელი“ [ცქიტიშვილი, 2018a; ცქიტიშვილი, 2018b; ცქიტიშვილი, 2018c]. მაია ცქიტიშვილი კიდევ ერთხელ (2019 წლის აპრილში) იმყოფებოდა ვიზიტით ჩინეთში. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ვიცე-პრემიერმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრმა ლი სიაოპენგმა ხელი მოაწერეს მხარეების მიერ პარაფირებულ შეთანხმებას „საქართველოსა და ჩინეთის მთავრობებს შორის საერთაშორისო სახმელეთო ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა ტრანსპორტირების

შესახებ“ [სახმელეთო ტვირთების, 2019]. მ. ცქიტიშვილმა ასევე მონაწილეობა მიიღო აგრეთვე „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ საერთაშორისო თანამშრომლობის მეორე მაღალი დონის ფორუმზე) [中国同格鲁吉亚, 2020].

სხვა ვიზიტებიდან მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე (2017 წლის სექტემბერში) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის ვიზიტი (86-ე ინტერპოლის გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად) ჩინეთში, რომლის დროსაც ის მიიღო სახელმწიფო საბჭოს წევრმა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრმა გუო შენგუენმა [საქართველოს შინაგან საქმეთა, 2017; მღებრიშვილი, 2017].

ამით ვასრულებთ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირებისა და სხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჩინეთში 1993 წლიდან განხორციელებული ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების მიმოხილვას.

თავი V. ჩინური მხარის მნიშვნელოვანი ვიზიტები საქართველოში

როგორც უკვე აღინიშნა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩინეთთან აქტიური პოლიტიკურ-დიპლომატიური კონტაქტები დაიწყო 1993 წელს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტით. ამას მოჰყვა საპასუხო ვიზიტები და საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ორ ქვეყანას შორის მრავალი მნიშვნელოვანი ვიზიტი განხორციელდა. შევეცდებით მეტ-ნაკლები სისრულით განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ჩინეთიდან პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში 1996 წ. 16-17 აპრილს ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ციენ ციჩენმა განახორციელა [ამის შესახებ იხ.: **საქართველო-ჩინეთის, 1996**]. ციენ ციჩენი ვიზიტის ფარგლებში მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ; შედგა შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთანაც. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან. ციენ ციჩენმა ჩინეთის მთავრობის სახელით განაცხადა თანხმობა საქართველოსთვის 1994 წელს ჩინეთის მიერ მასზე გაცემულის სესხის (30000000 იუანი) დაბრუნების ვადის გაგრძელებაზე და საქართველოს უსასყიდლოდ გადასცა მატერიალური თანხა (სუბსიდია) 1000000 იუანის ოდენობით [中格交流, 2007].

ამ ვიზიტს (საინფორმაციო სააგენტო სინხუაზე დაყრდნობით) გამოეხმაურა გაზეთი „ჯენძინ ჟიბაო“. გამოქვეყნებული მასალის თანახმად, საქართველოში ციენ ციჩენის ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ, ჩინურმა და ქართულმა მხარეებმა გამოაქვეყნეს საინფორმაციო კომუნიკე, სადაც აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრემიერთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ციენ ციჩენთან საქართველოს პრეზიდენტმა შევარდნაძემ და პარლამენტის თავმჯდომარემ ჟვანიამ გამართეს შეხვედრები, ასევე ჩინელ პოლიტიკოსთან მოლაპარაკება გამართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა. გულთბილ, მეგობრულ და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში მხარეებმა ერთი ნაბიჯით წინ წაწიეს ორმხრივი ურთიერთობები, საერთო საზრუნავ საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით გაცვალეს აზრები და მიაღწიეს ფართო ურთიერთგაგებას. ვიზიტმა სრული წარმატებით ჩაიარა [中格双方, 1996]. საგაზეთო ინფორმაციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში ორ

ქვეყანას შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, საინფორმაციო, ტურისტულ და სხვა სფეროებში მეგობრული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ჯანსაღად ვითარდება, რასთან დაკავშირებითაც მხარეები გამოთქვამენ კმაყოფილებას და სურვილს, ორი სახელმწიფოს მეთაურის მიერ 1993 წელს ხელმოწერილი „ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი კომუნიკეს“ საფუძველზე, საერთო ძალისხმევით ორმხრივი მეგობრული თანამშრომლობა ახალ დონეზე გადაიყვანონ. მხარეებმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გააჟღერეს, რომ აპირებენ მომავალში აქტიურად შეუწყონ ხელი ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას; ორი სახელმწიფოს მთავრობები ძალ-დონეს არ დაიშურებენ და შექმნიან პირობებს ჩვენი ქვეყნების საწარმოებსა და კომპანიებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარებისთვის, თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სტანდარტების შესაბამისად განავითარებენ მრავალი სხვადასხვა ფორმის თანამშრომლობას, ორი ქვეყნის ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციულ ურთიერთობებს [中格双方, 1996].

შეხვედრაზე ქართულმა მხარემ დაუდასტურა ჩინელ პოლიტიკოსებს საკუთარი პოზიცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქართველო აღიარებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა არის ჩინეთის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება და ტაივანი ჩინეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია, საქართველოს მთავრობა არ დაამყარებს ტაივანთან არანაირ ოფიციალურ ურთიერთობებს, ჩინურმა მხარემ საქართველოს ამ პოზიციასთან დაკავშირებით მადლიერება გამოხატა და განაცხადა, რომ თავის მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აღიარებს და პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს, მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის ერთიანობისთვის და ტერიტორიული მთლიანობისთვის გაწეულ ძალისხმევას. მხარეებმა აღნიშნეს, რომ მსოფლიოს მულტიპოლარიზაციის ტენდენციები აგრძელებენ განვითარებას, მშვიდობიანი და სტაბილური საერთაშორისო ვითარებისკენ სწრაფვა, საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა უკვე დღევანდელი მსოფლიოს მთავარი მიმართულებაა. მხარეებმა თანხმობა გამოთქვეს იმის შესახებ, რომ მომავალში გააძლიერონ ორი ქვეყანას შორის საერთაშორისო საქმიანობასთან დაკავშირებული კონსულტაციები და თანამშრომლობა. ჩინურმა მხარემ მაღალ დონეზე შეაფასა საქართველოს მიერ გაწეული შრომა კავკასიაში მშვიდობის და სტაბილურობის დასამყარებლად. ქართულმა მხარემ ჩინელ დელეგატებს გააცნო შევარდნაძის მიერ წამოყენებული „მშვიდობიანი კავკასიის“ იდეა, რაზეც ჩინურმა მხარემ სრული მხარდაჭერა დააფიქსირა. მხარეებმა გამოთქვეს ინტერესი ევრაზიის კონტინენტთა შემაკავშირებელი „აბრეშუმის

გზის“ განვითარების მიმართ და დაადასტურეს რომ ეს სასარგებლო იქნებოდა ჩინური და ქართული მხარეებისთვის [中格双方, 1996].

გაზეთი „ქენმინ ჟიბაო“ ყურადღებას ამახვილებს ციენ ციჩენის აუდიენციაზე საქართველოს პრეზიდენტთან. საგაზეთო პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ მხარეებმა აზრები გაცვალეს ჩინურ-ქართულ ურთიერთობებთან, რეგიონულ და საერთაშორისო ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით და მიაღწიეს ფართო ურთიერთგაგებას. ე. შევარდნაძემ მაღალ დონეზე შეაფასა ჩინეთის მხარდაჭერა საქართველოს და ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს დამოუკიდებლობასთან და სუვერენიტეტთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ ჩინეთის მხარდაჭერა მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოსთანა პატარა ქვეყნისთვის კი – განსაკუთრებით მნიშვნელოვანი; საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა დიდი და პატარა ქვეყნის თანასწორი ურთიერთობის კლასიკური მაგალითია.

ციენ ციჩენმა შევარდნაძეს თავმჯდომარე ძიანგ ძემინის და პრემიერ მინისტრ ლი ფენგის გულითადი მოკითხვა და კეთილი სურვილები გადასცა, მან აღნიშნა, რომ ჩინეთი საქართველოსთან ურთიერთობებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და გამოხატავს კმაყოფილებას დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით; ასევე ითქვა, რომ 1993 წელს პრეზიდენტ შევარდნაძის ჩინეთში ვიზიტმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გრძელვადიან და სტაბილურ განვითარებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. თავის მხრივ, ე. შევარდნაძემაც სთხოვა ციენ ციჩენს გადაეცა მისი გულითადი მოკითხვა და კეთილი სურვილები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებისადმი – ძიანგ ძემინისა და ლი ფენგისადმი [黄慧珠, 1996]. იმავე პუბლიკაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ჩინეთის ვიცე-პრემიერს და ჩინური დელეგაციის წევრებს პრეზიდენტმა შევარდნაძემ 16 აპრილს საზეიმო მიღება გაუმართა.

ციენ ციჩენის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკებებისას, ი. მენაღარიშვილმა მაღალი შეფასება მისცა საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების დინამიკას და გამოთქვა იმედი, რომ მხარეები თითოეულ სფეროში გააგრძელებენ და კიდევ უფრო ინტენსიურს გახდიან მეგობრულ თანამშრომლობას. ციენ ციჩენმა აღნიშნა, რომ ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობას, პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის გაწეულ ძალისხმევას. ციენ ციჩენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს ორ

ქვეყანას შორის ურთიერთობების მნიშვნელოვან საფუძველს, ჩინეთს სურს კიდევ უფრო მრავალმხრივი გახადოს კონტაქტები და თანამშრომლობა [黄慧珠, 1996].

ირაკლი მენაღარიშვილმა ციენ ციჩენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი მოხარულია და ამაყია იმით, რომ ჰყავს ისეთი ერთგული მეგობარი, როგორც ჩინეთია, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთის როლს საერთაშორისო არენაზე და დიდად აფასებს ჩინეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას დიდი და პატარა სახელმწიფოების კანონის წინაშე თანასწორობის და სხვა ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩაურევლობის შესახებ. ი. მენაღარიშვილის შეფასებით, ციენ ციჩენის ვიზიტი არის საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისი. მან გამოთქვა იმედი, რომ საქართველო და ჩინეთი გააძლიერებენ ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს და ეკონომიკურ თანამშრომლობას. ი. მენაღარიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას, რითაც ჩინეთის ვიცე-პრემიერი ფრიად კმაყოფილი დარჩა [黄慧珠, 1996].

ვიზიტის ფარგლებში ციენ ციჩენმა საქართველოს დასავლეთის და აღმოსავლეთის ურთიერთობების საერთაშორისო კვლევით ცენტრში საერთაშორისო მდგომარეობის და ჩინეთსა და ამიერკავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების განვითარების ოთხი პრინციპის შესახებ მოხსენება გააკეთა. ციენ ციჩენმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ მსოფლიო ისევ რთული და დრამა ცვლილებების პროცესშია, საერთაშორისო ვითარება საერთო ჯამში დათბობისკენ მიდის, მსოფლიოს განვითარება აჩქარებული ტემპებით მიდის მულტიპოლარიზაციისკენ, ახალი სტრუქტურა და ფორმატი დღითიდღე მკაფიოდ იკვეთება, „მსოფლიოში უნდა იყოს მშვიდობა, სახელმწიფოში სტაბილურობა, ეკონომიკა უნდა განვითარდეს და ხალხი წინ უნდა წავიდეს, ეს ყველაფერი უკვე დღევანდელი მსოფლიოს მთავარ იდეად იქცა, მაგრამ მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრი კონფლიქტია. ჰეგემონიზმი და ძალისმიერი პოლიტიკა სწორედ, რომ მსოფლიოს მღელვარების სათავეა. ხანდახან ტერიტორიული დავების, ნაციონალური და რელიგიური კონფლიქტების შედეგად გამოწვეული შეიარაღებული კონფლიქტები და ლოკალური ომებიც კი ხდება, უსამართლო და არაგონივრული საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობა ისევდაისევ მსოფლიო ეკონომიკის თანაბარზომიერ განვითარებას უქმნის დაბრკოლებას, მსოფლიოს მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოებს შორის სხვაობა კიდევ უფრო იზრდება. თითოეული სახელმწიფოს მთავრობისთვის და ხალხისთვის მშვიდობა და განვითარება ისევ ორ მთავარ ამოცანად რჩება“ – აღნიშნა ციენ ციჩენმა [国务院副总理, 1996].

ჩინეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ხაზგასმით მიუთითა ჩინეთსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარების ოთხ პრინციპზე, პირველი მათ შორის ის არის, რომ ჩინეთი პატივს სცემს თითოეული სახელმწიფოს ხალხის არჩევანს და მხარს უჭერს თითოეული სახელმწიფოს მთავრობის მცდელობას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დაცვისთვის, ასევე ეკონომიკის განვითარებისთვის. მეორე – ჩინეთს სურს იხილოს სახელმწიფოთაშორისი მეგობრობა, რომ სახელმწიფოებმა ერთმანეთთან დაამყარონ კეთილმეზობლური ურთიერთობები და მოლაპარაკების გზით მშვიდობიანად გადაწყვიტონ სადავო საკითხები; მესამე – უნდა გამდიდრდეს და შეივსოს ჩინეთის თითოეულ სახელმწიფოსთან ურთიერთობის შინაარსი, გაფართოვდეს სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურის და სხვა სფეროებში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა; მეოთხე – ჩინეთს სურს საერთაშორისო საქმიანობაში, მათ შორის გაეროში ამ რეგიონის თითოეულ სახელმწიფოსთან გააძლიეროს ურთიერთკოორდინაცია და ურთიერთთანამშრომლობა [国务院副总理, 1996].

საკუთრივ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ ციენ ციჩენმა აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის არ აქვს ადგილი არანაირ ინტერესთა კონფლიქტს, „ჩვენ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში მხარს უჭერთ ერთმანეთს... ჩინეთი აღიარებს და პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას ამ საქმისთვის გაწეულ ძალისხმევაში. უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში ორივე მხარის პოზიცია არის იდენტური ან ერთმანეთთან ძალიან მიახლოებული, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობას ძალიან კარგი საძირკველი აქვს, მჯერა, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებს მომავალში უფრო ფართო პერპექტივა ექნება.“ – დასძინა ციენ ციჩენმა [国务院副总理, 1996].

1997 წლის 18-30 აგვისტოს სომხეთს, საქართველოს და აზერბაიჯანს ეწვია მაღალი დონის ჩინეთის საპარლამენტო დელეგაცია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის მუდმივი კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარის ვანგ ჰინგციენის (王丙乾) ხელმძღვანელობით. ამ ვიზიტების შესახებ ოფიციალური ანგარიში გამოქვეყნდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის მუდმივი კომიტეტის „უწყებებში“. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეს იყო ჩინეთის სახელისუფლებო დელეგაციის საპასუხო უმნიშვნელოვანესი ოფიციალური მეგობრული ვიზიტები ამ ქვეყნებში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩინური მხარის ამ ვიზიტს [全国人大, 1997].

ჩინური გამოცემის შეფასებით, ამ ვიზიტებმა მიაღწიეს მოსალოდნელ შედეგებს, რომელიც „ურთიერთგაგების გაღრმავებას, აზრთა ერთიანობის გაძლიერებას და მეტი საქმის კეთებას“ გულისხმობდა და რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩინეთსა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის მაღალი დონის სამთავრობო ურთიერთობების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის, ასევე პარლამენტთაშორისი მეგობრული ურთიერთობების გაძლიერებისა და ზოგადად ჩინეთსა და საქართველოს შორის მეგობრული თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. მასალაში ხაზგასმულია, რომ რომ საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვთ, რამდენადაც ეს არის რეგიონი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდა ძველი აბრეშუმის გზა; ამ ვიზიტმა გააღრმავა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა და ხელი შეუწყო მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას. ვანგ პინგციენმა დააფიქსირა ჩინეთის პოზიცია საქართველოსთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან მიმართებით, კონფლიქტების მოგვარების და მათ მიერ განვითარების გზების არჩევანის და სხვა საკითხების ირგვლივ; აღნიშნა, რომ სახელმწიფო, საკუთარი ტერიტორიის სიდიდის თუ სიმცირის, ძლიერების თუ სისუსტის, სიმდიდრის თუ სიღარიბის მიუხედავად, წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს; ჩინეთი მხარს უჭერს სახელმწიფოს მიერ საკუთარი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას და სურს, რომ მშვიდობიანი თანაცხოვრების ხუთი პრინციპის საფუძველზე განავითაროს მეგობრული თანამშრომლობა ამიერკავკასიის ამ სახელმწიფოებთან [全国人大, 1997].

ვიზიტის ფარგლებში ვანგ პინგციენმა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პარლამენტის ხელმძღვანელებს გააცნო ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის სისტემა და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის მიერ სოციალისტური დემოკრატიის და საკანონმდებლო სისტემის მშენებლობაში სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი სისტემის ჩარჩოების პირველადი ფორმირების კუთხით გაწეული საქმიანობა და მოისმინა თუ როგორი იყო საქართველოს და დანარჩენი ორი ქვეყნის პარლამენტის როლი ქვეყნის პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში. მან საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს საჩუქრად გადასცა 500000 იუანის (ქენმინბის) ღირებულების საკანცელარიო საქონელი და გამართა ნოტების გაცვლის ცერემონიალი, ეს ფაქტი ფართოდ გააშუქეს მედიასაშუალებებმა [全国人大, 1997].

გამართულ მოლაპარაკებებზე ვანგ პინგციენი შეეხო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს და აღნიშნა, რომ სურს, მხარეებმა ერთობლივი ძალებით მოიძიონ თანამშრომლობის ახალი ფორმები და აითვისონ სფეროები, სამივე სახელმწიფოს ლიდერებმა ეკო-

ნომიკური თანამშრომლობის განვითარების საწინდრად კი კარგი ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობები დაასახელეს და გამოთქვეს ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების იმედი. ვანგ პინგციენმა აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყნებს თანამშრომლობის დიდი პერსპექტივა აქვთ, ასევე კასპიის ზღვის ნავთობის ათვისების და ევრაზიის დერეფნის პროექტებთან მიმართებით საკუთარი მხარდაჭერა დააფიქსირა, მან აღნიშნა, რომ ჩინეთმა უკვე ჩადო დიდი ინვესტიციები ამ საქმეში, მოახდინა ევრაზიის დიდი სახმელეთო ხიდის ჩინეთის ნაწილის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეკონსტრუქცია, მან მოუწოდა ამ მსხვილი პროექტების გარდა მცირეკაპიტალიანი, მაგრამ სწრაფი ეფექტის მომცემი საშუალო და მცირემასშტაბიანი თანამშრომლობის პროექტების განხორციელებისკენ [全国人大, 1997].

საქართველოში ვანგ პინგციენი მიიღო პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. დელეგაციას ასევე შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლუკიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. დელეგაციის წევრებმა საქართველოში მოინახულეს სტალინის სამშობლო, ქალაქი გორი და ჩვეულებრივი ადამიანის ოჯახშიც კი იყვნენ სტუმრად [全国人大, 1997]. ჩინეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერთან შეხვედრისას, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჩინეთი გავლენიანი და დიდი ქვეყანაა, მისი პოლიტიკა, რომელიც ეხება საშუალო და მცირე ზომის სახელმწიფოებთან თანასწორი და მეგობრული ურთიერთობების განვითარებას, აბსოლუტურად სწორია და ეს ქვეყნები საერთაშორისო ასპარეზზე ჩინეთს საკუთარ მეგობრად მიიჩნევენ. „ოცდამეერთე საუკუნე ჩინელების საუკუნეა“ – აღნიშნა ე. შევარდნაძემ და გამოთქვა კმაყოფილება ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით და საქართველოში ვიზიტის განსახორციელებლად თავმჯდომარე ძიანგ ძემინი და ჩინეთის სხვა ოფიციალური წარმომადგენლები კიდევ ერთხელ მოიწვია [全国人大, 1997].

სწორედ ამ ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრის დროს გააჟღერა ვანგ პინგციენმა, რომ ჩინეთი თანახმა იყო საქართველოსთვის გაეგრძელებინა საქონლით უზრუნველყოფილი სესხის დაბრუნების ვადა. მან ასევე მაღლიერება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ საქართველო უწინდებურად მხარს უჭერს ჩინეთის პოზიციას ტაივანის საკითხში. თავის მხრივ, ე. შევარდნაძემ მაღლობა გადაუხადა ჩინეთს საქართველოსთვის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის [全国人大, 1997].

ვანგ პინგციენმა გაუზიარა ამიერკავკასიის ქვეყნებს ჩინეთის რეფორმების და გახსნილობის პოლიტიკის შედეგები. მან ასევე ისაუბრა 1997 წლის ჩინეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ორ დიდ მოვლენაზე, ჩინეთის მიერ ჰონგკონგის დაბრუნების და ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობის ორგანიზების თაობაზე (აღსანიშნავია, რომ ეს ვიზიტი განხორციელდა ჰონგკონგის დაბრუნებიდან ერთი თვის შემდეგ და კომპარტიის მეთხუთმეტე ყრილობის მოწვევამდე ცოტა ხნით ადრე). ჰონგკონგის დაბრუნების მხრივ ჩინეთის გამოცდილება საინტერესო იყო სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის და საქართველოსთვის, ვინაიდან მათთვის უცხო არ იყო შიდა ეთნიკური კონფლიქტები, სამივე ქვეყნის ლიდერებმა ჩინეთის მიერ შემუშავებული „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“ იდეის მიმართ დიდი ინტერესი გამოთქვეს. ხოლო მეორე დიდი მოვლენის – ჩინეთის კომპარტიის მეთხუთმეტე ყრილობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი საქმე.

ჩინელ სტუმრებთან შეხვედრისას ე. შევარდნაძემ გამოთქვა იმედი, რომ ჩინეთი მიიღებდა მონაწილეობას ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობაში და გამოიჩინდა ინიციატივას ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრების გასამართავად, რაც სარგებელს მოუტანდა ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობებს, ასევე ხელს შეუწყობდა ჩინეთს ამიერკავკასიის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში [全國人大, 1997].

შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენა მაღალი დონის ვიზიტების ურთიერთგაცვლის კუთხით იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერის ლი ლანცინგის ვიზიტი საქართველოში. ვიზიტი გააშუქა გაზეთმა – *Xinhua Daily Telegraph*-მა (新华每日电讯). საინფორმაციო მასალაში აღნიშნულია, რომ ლი ლანცინგი ჩამოფრინდა თბილისში 2001 წლის 12 აპრილს უზბეკეთის ქალაქ სამარყანდიდან. მან აეროპორტშივე გაავრცელა წერილობითი განცხადება, რომელშიც დააფიქსირა, რომ მოუთმენლად ელოდება პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძესთან, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიასთან და სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ორმხრივი ურთიერთობების საერთო საზრუნავების და სხვა საკითხების ფართოდ და ღრმად განხილვას და მათთან აზრების გაცვლას. ლი ლანცინგმა გამოთქვა რწმენა, რომ ორმხრივი საერთო ძალისხმევით ჩინეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობა აუცილებლად გადავა ახალ საფეხურზე და ორივე ქვეყანას კეთილდღეობას მოუტანს. ვიცე-პრემიერის თქმით, ჩინეთისა და საქართველოს ტრადიციულ მეგობრობას გრძელი ისტორია აქვს; მას შემდეგ რაც 1992 წელს ჩვენმა სახელმწიფოებმა დიპლომატიური ურთიერ-

თობები დაამყარეს, ორმხრივი კონტაქტების განვითარების კარგი ტენდენციით მიიწევს წინ. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურის და სხვა სფეროებში, ასევე საერთაშორისო საქმიანობის საკითხებში ჩინეთის და საქართველოს ურთიერთობა და თანამშრომლობა თანდათანობით ვითარდებოდა და უკვე დადგა დადებითი შედეგი. ჩინეთ-საქართველოს მზარდი მეგობრული თანამშრომლური ურთიერთობები დამყარებულია ერთმანეთის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე, ერთმანეთზე თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორი, ურთიერთსასარგებლო და მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპზე [吴志强, 2001a; 吴志强, 2001b].

ვიცე-პრემიერ ლი ლანცინგის განცხადებაში ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ მსოფლიოს მულტიპოლარიზაციის და ეკონომიკის გლობალიზაციის ტალღაში ჩინეთი და საქართველო ბევრი შესაძლებლობის და გამოწვევის პირისპირ დგანან. ორი ქვეყნის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცება და განვითარება და თითოეულ სფეროში თანამშრომლობის უფრო მეტად გაძლიერება არის ორივე სახელმწიფოს საერთო სურვილი. ლი ლანცინგს, რომელიც თანმხლებ პირებთან ერთად მოემგზავრებოდა საქართველოში აეროპორტში სხვებთან ერთად დახვდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი და ჩინეთის ელჩი საქართველოში ჭანგ იუნგცუენი (张咏荃). აღსანიშნავია, რომ ლი ლანცინგს დაგეგმილი ჰქონდა ევრაზიის სამ ქვეყანაში ვიზიტი, საქართველო იყო მისი მეორე გაჩერება, ამის შემდეგ ის საფრანგეთშიც უნდა ჩასულიყო ვიზიტის განსახორციელებლად [吴志强, 2001a; 吴志强, 2001b].

ლი ლანცინგი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. აღნიშნული შეხვედრა საკმაოდ ვრცლად გააშუქა გაზეთმა „ქენმინ ჟიბაომ“. მასში ვკითხულობთ: საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 2001 წლის 13 აპრილს სადამოს თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერთან ლი ლანცინგთან მოლაპარაკება გამართა. მხარეებმა ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობების, თითოეულ სფეროში თანამშრომლობის და საერთო საზრუნავი საერთაშორისო და რეგიონალური საკითხების ირგვლივ ფართო და ღრმა მსჯელობა გამართეს, გაცვალეს აზრები ამ საკითხებთან დაკავშირებით და მიაღწიეს კონსენსუსს. შეხვედრის დაწყებისას ლი ლანცინგმა შევარდნაძე ძიანგ ძემინის გულითადი მოკითხვა და კეთილი სურვილები გადასცა. საუბრისას ლი ლანცინგმა აღნიშნა, რომ ჩინეთი და საქართველო დიდი მანძილით არიან ერთმანეთს დამორებულები. მიუხედავად ამისა, ჩინურ-ქართულ ტრადიციულ მეგობრობას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, ძველმა აბ-

რეჰუმის გზამ ოდითგანვე დააკავშირა ერთმანეთს ორი ქვეყნის ხალხი. „თქვენო აღმატებულიებაჲ, პრეზიდენტო თქვენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და ასევე ჩინელი ხალხის ძველი მეგობარი ბრძანდებით, დიდი წვლილი მიგიძღვით ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაში, მას მერე, რაც თქვენი ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი, თქვენი აღმატებულიება აქტიურად ავითარებს ჩინეთთან ურთიერთობებს და ორი ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის წინსვლისა და ჩვენი სახელმწიფოების ხალხთა ტრადიციული მეგობრობის გადრმავების საქმეში შუაქვს ფასდაუდებელი წვლილი.“ – აღნიშნა ლი ლანცინგმა [吴志强, 2001c].

თავის მხრივ, ე. შევარდნაძემ სიამოვნებით გაიხსენა 1993 წელი, როდესაც საქართველოს სულ ახალი მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობა და ის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეტაური ჩავიდა ჩინეთში ვიზიტით, შეხვდა თავმჯდომარე ძიანგ ძემინს. ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჩინეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო რომელმაც ყველაზე ადრე სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველო-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან გასული ცხრა წლის განმავლობაში ორმხრივი ურთიერთობები ჯანსაღად და სტაბილურად ვითარდება. საქართველო ძალიან აფასებს ჩინეთის მიერ დიდი და პატარა სახელმწიფოს ურთიერთობაში კანონის წინაშე თანასწორობის განუხრელად დაცვის პოლიტიკას. ე. შევარდნაძემ გამოხატა მადლიერება ჩინეთის მთავრობის მიმართ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის ბრძოლაში ჩინეთის მიერ საქართველოსთვის აღმოჩენილი მტკიცე მხარდაჭერისთვის. ამასთან, მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველო უწინდებურად მხარს დაუჭერს ერთი ჩინეთის პოზიციას.

თავის მხრივ, ლი ლანცინგმა ამასთან დაკავშირებით მადლიერება გამოხატა, მან ჩინეთის მიერ სამშობლოს გაერთიანების მიზნით განხორციელებული შესაბამისი კურსების და პოლიტიკის თაობაზე ისაუბრა. მხარეებმა მიაღწიეს აზრთა ერთიანობას სეპარატიზმის, ექსტრემიზმის და ტერორიზმის ძალის აუცილებელი დათრგუნვის თაობაზე. მათი საუბარი შეეხო ნარკოტიკების პრობლემას, რომლის წინაშეც დგას ადამიანთა საზოგადოება, განსაკუთრებით კი „ფსიქოტროპული ნივთიერებების“ საშიშროებებზე და სხვა საკითხებზე. ლი ლანცინგმა ყურადღება გაამახვილა „ფვალვენგუნგის“ სექტის კაცობრიობის, საზოგადოების და მეცნიერების საწინააღმდეგო ხასიათზე და საზოგადოებისთვის შექმნილ საფრთხეებზე, შევარდნაძემ გამოხატა მტკიცე მხარდაჭერა ჩინეთის მთავრობის მიერ სექტანტური ორგანიზაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების თაობაზე და გამოთქვა სურვილი ჩინურ მხარესთან ერთად, ერთობლივი ძალისხმევით ებრძოლონ ამ სექტან-

ტურ დაჯგუფებას.¹ როდესაც საუბარი შეეხო სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას, ლი ლანცინგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთი არასოდეს არ იშურებდა ძალისხმევას ევრაზიის კონტინენტური ხიდის მშენებლობისთვის, ჩინური მხარე კონსტრუქციულად უდგება ევრაზიის კონტინენტური ხიდის მშენებლობის საკითხს და თვლის, რომ ევრაზიის დიდი კონტინენტური ხიდის აშენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ჩინეთის განვითარების სტრატეგიისთვის, რომელსაც სწორედ ახლა ახორციელებს ჩინეთი.

ე. შევარდნაძემ, აღნიშნა რომ დიდი კონტინენტური ხიდის მშენებლობა შეესაბამება საქართველო-ჩინეთის საერთო ინტერესებს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს სურს ჩინურ მხარესთან გააგრძელოს ამ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთობა და კონტაქტები. შევარდნაძემ და ლი ლანცინგმა ასევე გაცვალეს აზრები ენერგორესურსების, კომუნიკაციის და სხვა სფეროებში ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ვიცეპრემიერმა ლი ლანცინგმა და საქართველოს პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღეს ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებზე ხელმოწერის ცერემონიაში, ამ დღეს ხელი მოეწერა შეთანხმებას ორი ქვეყნის მთავრობათა ეკონომიკურ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ოქმს 2002-2004 წლებში კულტურული თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე შეთანხმებას განათლების სამინისტროებს შორის თანამშრომლობის შესახებ და სხვა დოკუმენტებს [吴志强, 2001c].

¹ „ფვალვენკუნგი“ – „დჰარმაჩაკრას ხელოვნება“ (დჰარმაჩაკრა – „მოძღვრების ბორბალი“ [უნივერსალური, 2006]. ეს არის ჩინეთში XX ს. 90-იან წლებში ჩამოყალიბებული სექტა, უფრო სწორად კი ერეტიკული ორგანიზაცია. მისი ლიდერია ლი ხუნგჯი (李洪志), რომელიც აცხადებს, რომ „ფვალვენკუნგი“ დიადი კოსმიური კანონი და ყველაზე „ჰიპერნორმალური“ (უჩვეულო) მეცნიერებაა, სინამდვილეში კი ის თვით ლი ხუნგჯის პირადი განდიდების ინტერესებს ემსახურება და მის მიერვე შეკონსტიტუირებული ორგანიზაციას წარმოადგენს. ლი ხუნგჯის „ფვალვენკუნგის“ საფუძვლად აღებული აქვს ჩინური ციგუნი (ჩინური ტრადიციული გამაჯანსაღებელი დანიშნულების მქონე სუნთქვითი და მოძრაობითი სავარჯიშოების სისტემა); ორგანიზაცია „ჯანმრთელობის გაკაუების“ მოტვით მასში გაწევრიანებულ მიმდევრებთან „სამყაროს აღსასრულის“, „ცად ამადლების“ და მსგავს საკითხებზე ფსიქოლოგიური საუბრებით ახდენს მიმდევრების ცნობიერების გაკონტროლებას, „ფვალვენკუნგის“ „ვარჯიშების“ შესრულების გამო დაიღუპა 1700-ზე მეტი ადამიანი. 1992 წელს „ფვალვენკუნგის“ რელიგიური მოძრაობის დაარსების შემდეგ, ლი ხუნგჯიმ პეკინში დააარსა „დჰარმაჩაკრას (ფვალვენის) დიადი კანონის კვლევითი ასოციაცია“ და თავად გახდა ასოციაციის ხელმძღვანელი, ამის შემდეგ ჩინეთის თითოეულ პროვინციაში, ავტონომიურ რაიონში, ცენტრალური დაქვემდებარების ქვეშ მყოფ ქალაქებში დააარსა „ფვალვენკუნგის“ 39 გენერალური საკონსულტაციო სადგური, რომელიც თავის მხრივ განავრცო კიდევ 1900-ზე მეტ საკონსულტაციო პუნქტად და 28000-ზე მეტ „სავარჯიშო“ ბაზად და საბოლოო ჯამში მოახდინა სრულყოფილი ორგანიზაციული სისტემის ფორმირება. აღსანიშნავია, რომ არცერთი მათგანი არ არის კანონიერად რეგისტრირებული ჩინეთის სამოქალაქო ადმინისტრაციულ ორგანოებში და ეწევრიან არალეგალურ საქმიანობას, მისი ბრმად მორწმუნეები ავრცელებენ მცდარ ინფორმაციებს, ატყუებენ მოსახლეობას, პროვოცირებას უწევენ ინციდენტებს და ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ სტაბილურობას. 1999 წელს ჩინეთის მთავრობამ „ფვალვენკუნგის“ მიერ სამართალდარღვევის ფაქტების და საზოგადოების მასობრივი მოთხოვნის საფუძველზე „ფვალვენკუნგი“ უკანონო ორგანიზაციად გამოაცხადა [ამის შესახებ იხ. 什么是法轮拱? 2008; Об истинной, 2004].

ამავე დღეს ლი ლანცინგი ცალ-ცალკე შეხვდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს და პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას. 13 აპრილს, საღამოს ე. შევარდნაძემ და მისმა მეუღლემ ლი ლანცინგისა და მისი მეუღლის *ჭანგ სუჭენის* (章素贞) პატივსაცემად გამართეს ვახშამი. ჩინელ წარმომადგენელთა შორის იყვნენ კულტურის მინისტრი *სვენ ძიაჭენგი* (孙家正) და ჩინური დელეგაციის სხვა წევრები; ქართულ მხარეს წარმომადგენლენ საგარეო საქმეთა მინისტრი *ირაკლი მენაღარიშვილი*, კულტურის მინისტრი *სესილი გოგიბერიძე*, განათლების მინისტრი *ალექსანდრე კარტოზია*, ფინანსთა მინისტრი *ზურაბ ნოღაიდელი*, ტრანსპორტის და კომუნიკაციების მინისტრი *მერაბ ადეიშვილი*, ეკონომიკის და ვაჭრობის მინისტრი *ივანე ჩხარტიშვილი*, ენერგეტიკის მინისტრი *დავით მირცხულავა* და სხვები [吴志强, 2001c]. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა დადეს შეთანხმებები ეკონომიკის, განათლების, კულტურის და სხვა დარგებში თანამშრომლობის შესახებ (ესენია: *შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ; 2002-2004 წლებში კულტურული თანამშრომლობის შესახებ და განათლების სამინისტროებს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება*).

2002 წ. 11-14 ივნისს საქართველოს პარლამენტის მოწვევით სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ *თომურ დავამათმა* განახორციელა ვიზიტი საქართველოში და ცალ-ცალკე გამართა შეხვედრები პრეზიდენტ *ედუარდ შევარდნაძესთან*, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან, სახელმწიფო მინისტრ *ავთანდილ ჯორბენაძესთან* და საგარეო საქმეთა მინისტრ *ირაკლი მენაღარიშვილთან* [格鲁吉亚, 2007]. 13 ივნისს ჩინეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ. მხარეებმა შეხვედრაზე მიმოიხილეს ჩინურ-ქართული მეგობრული ურთიერთობების ისტორია და გამოთქვეს ღრმა რწმენა ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებთან მიმართებით. ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჩინეთის და საქართველოს ურთიერთობა არის დიდი ქვეყნის და პატარა ქვეყნის ურთიერთობის კლასიკური მაგალითი და, რომ ქართული მხარე ჩინეთს მაღლობას უხდის საერთაშორისო საკითხებში და ორმხრივ ურთიერთობებში საქართველოსთვის აღმოჩენილი ყოველმხრივი მხარდაჭერის გამო [周良, 2002]. საქართველოს პრეზიდენტმა დაამატა, რომ ჩინეთში მას ბევრი ძველი მეგობარი ჰყავს, მათ შორის *ტუნგ სიაოფინგი*, რომელსაც ის ჩინეთში (კერძოდ შანხაიში) ვიზიტის დროს ორჯერ შეხვდა [全国人大, 2002]. მან ასევე გაიხსენა მოლაპარაკებები, შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ძიანგ ძემინთან 1993 წელს პეკინში ოფიციალური ვიზიტით ყოფნი-

სას. მისი თქმით, სწორედ ამ ვიზიტმა განსაზღვრა საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი ურთიერთობების მაგისტრალური ვექტორი. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩინეთის განვითარების გამოცდილება სხვა ქვეყნებმა მაგალითად უნდა აიღონ. ტაივანის საკითხთან დაკავშირებით კი, შვედრანაძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს სრული მხარდაჭერა ჩინეთის პოზიციისადმი ერთიანობის საკითხთან მიმართებით [周良, 2002].

„საქართველო დამოუკიდებლობის დღიდან მუდმივად გრძნობს ჩინეთიდან ყოველმხრივ მხარდაჭერას როგორც ორმხრივ ურთიერთობებში, ასევე საერთაშორისო სფეროებში. ჩინეთის მხრიდან მატერიალური რესურსების, შეღავათიანი სესხების თუ სხვა კუთხით საქართველოსთვის აღმოჩენილი მხარდაჭერა და დახმარება არის გულწრფელი და დამატებით არ ერთვის არანაირი პირობა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უადრესად მნიშვნელოვანია, საქართველო ამას არასოდეს დაივიწყებს.“ – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა [全国人大, 2002].

თომურ დავამათმა აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს მეგობრულ ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩინეთი დიდი მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობებს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან ათი წლის განმავლობაში ორი ქვეყნის თანამშრომლობა თითოეულ სფეროში წარმატებით ვითარდება. ჩინეთი და საქართველო გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მხარს უჭერენ და პატივს სცემენ ერთმანეთს და, რომ ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობა გულწრფელია, თომურ დავამათმა გამოხატა მადლიერება საქართველოს მიმართ, იმის გამო, რომ ის ტაივანის, ტიბეტის და ადამიანის უფლებების საკითხებში მხარს უჭერს ჩინეთის პრინციპულ პოზიციას [周良, 2002].

ვიზიტის ფარგლებში საქართველოში ჩინეთის საელჩომ დიდი მიღება გამართა, რომელიც ეძღვნებოდა ჩინეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 10 წლის იუბილეს. მიღებაზე და სიტყვით გამოვიდა თომურ დავამათი, რომელმაც აღნიშნა, რომ დიდი ძველი აბრეშუმის გზა და ცნობილი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ იმის უძველესი მტკიცებულებაა, რომ ჩინელი და ქართველი ხალხის მეგობრობა უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მას შემდეგ, რაც 1992 წელს ჩინეთმა და საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს, ორი ქვეყანა მუდმივად ავსებს მეგობრული თანამშრომლობის ახალი გვერდს, რომ ჩინეთი სამუდამოდ დარჩება საქართველოს კარგ მეგობრად და პარტნიორად, ჩინეთ-საქართველოს მეგობრობამ ღრმად შეაღწია ადამიანთა ცნობიერებაში და, რომ ორი ქვეყანას თანამშრომლობის ფართო პერსპექტივა აქვს. მიღებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საგარეო

საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, მიღებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის მინისტრები და სხვა მაღალი დონის ოფიციალური პირები, ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები [周良, 2002].

2003 წლის 9 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში ვიზიტით მყოფი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლიუ გუჩანგი. შეხვედრისას პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებში მიღწეულ პროგრესს და აღნიშნა, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებს დამსახურებულად შეიძლება ვუწოდოთ დღევანდელ მსოფლიოში დიდი და პატარა ქვეყნის ურთიერთობის კლასიკური მაგალითი [格总统, 2003; 关键斌, 2003].

შეხვედრაზე ე. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გააჟღერა საქართველოს მხარდაჭერა ტაივანის საკითხთან მიმართებით ჩინეთის პრინციპული პოზიციისადმი და აღნიშნა, რომ საქართველო უწინდებურად თვლის, რომ ტაივანი არის ჩინეთის განუყოფელი ნაწილი და გამოსხატა მადლიერება ჩინეთის მიერ საქართველოსთვის მრავალი წლის განმავლობაში გამუდმებით აღმოჩენილი უანგარო მხარდაჭერის გამო. თავის მხრივ, ლიუ გუჩანგმა აღნიშნა, რომ 1993 წელს ე. შევარდნაძის ჩინეთში ვიზიტის დროს ხელმოწერილმა „ჩინეთ-საქართველოს ურთობლივმა კომუნიკემ“ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების ჯანსაღი და სტაბილური განვითარებისთვის მტკიცე პოლიტიკური საფუძველი შექმნა, მან მადლიერება გამოხატა საქართველოს მიერ „ერთი ჩინეთის“ პრინციპული პოზიციის ურყევი მხარდაჭერისთვის და იმისთვის, რომ საქართველო არ ამყარებს ტაივანთან ოფიციალურ ურთიერთობას. ამასთან, ჩინელმა სტუმარმა ხაზი გაუისვა იმას, რომ ჩინური მხარე უწინდებურად პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, მხარს უჭერს საქართველოს მხრიდან ქვეყნის სტაბილურობის და ერთიანობისთვის გაწეულ ძალისხმევას; ჩინეთს სურს, რომ საქართველოსთვის მუდამ საიმედო მეგობარი იყოს. ვიზიტის ფარგლებში ლიუ გუჩანგი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს ვახტანგ ყოლბაიას [格总统, 2003].

2007 წლის 30 აგვისტოს საქართველოს მმართველი პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოწვევით თბილისს ვიზიტით ეწვია ჩინეთის კომპარტიის დელეგაცია ცენტრალური კომიტეტის საგარეო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელის ვანგ ძიაჟუის (ზოგიერთ წყაროში: ვანგ ძიარუი) ხელმძღვანელობით. 1 სექტემბერს ვანგ ძიაჟუისთან მოლაპარაკება გამართა საქართველოს პრეზიდენტმა, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. შეხვედრის მსვლელობისას პრეზიდენ-

ტმა აღნიშნა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების სტაბილურად განვითარების ნიშანია, საქართველო უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან ურთიერთობების განვითარებას, ჩინეთის განვითარებასთან მიმართებით გააჩნია დადებითი დამოკიდებულება; სურს რომ მაგალითად აიღოს ჩინეთის რეფორმებისა და გახსნილობის პოლიტიკის გამოცდილება და გააფართოვოს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ, ტურიზმის და სხვა სფეროებში საქმიანი თანამშრომლობა. მ. სააკაშვილმა ვანგ ძიაჟუსთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს ჩინეთს მშვიდობიანი გავრთიანების დიდ საქმეში, მან წინასწარ მიულოცა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას მე-17 ყრილობის წარმატებულად ჩატარება [格鲁吉亚总统, 2007].

თავის მხრივ, ვანგ ძიაჟუიმ აღნიშნა, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის თითქმის 15 წლიანი დიპლომატიური ურთიერთობის განმავლობაში, ორი ქვეყნის ურთიერთობა დაუბრკოლებლად ვითარდება, პოლიტიკური ურთიერთნდობაც სულ უფრო მყარდება. ჩინეთის კომუნისტურ პარტიას სურს პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ გააგრძელოს კონტაქტები და თანამშრომლობა, რომ მათ ერთად შეუწყონ ხელი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობების ყოველმხრივ განვითარებას. ვიზიტის ფარგლებში ვანგ ძიაჟუი ასევე შეხვდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს დავით კირკიტაძეს და გამართა მასთან საქმიანი მოლაპარაკებები [格鲁吉亚总统, 2007].

2012 წლის 15 სექტემბრიდან 27 სექტემბრამდე საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის პარლამენტთა საგარეო საქმეთა კომიტეტების მოწვევით სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაცია ამავე ორგანოს თავმჯდომარის ლი ჟაოსინგის (李肇星) ხელმძღვანელობით მეგობრული ვიზიტით ეწვია ზემოხსენებულ ქვეყნებს. საქართველოში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, პრემიერ მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ საქართველოს მთავრობის სხვა წარმომადგენლებმა ცალცალკე გამართეს შეხვედრები ჩინეთიდან ჩამოსულ დელეგაციასთან. ასევე მათთან მოლაპარაკება გამართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის საგარეო საქმეთა კომიტეტის ეს ვიზიტი საქართველოში გამიზნული იყო ჩინეთსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებისთვის, ურთიერთნდობის გაღრმავებისა და თანამშრომლობის წახალისებისთვის [外事委员会, 2012].

2016 წლის 2-5 მაისს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ჩინეთის სამთავრობო დელეგაცია სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერის ჭანგ კაოლის (ზოგიერთ წყაროში: ჭანგ გაოლი) ხელმძღვანელობით [ამის შესახებ ასევე იხ.: **ოფიციალური, 2016**], რომელიც იმავდროულად იყო ჩინეთის მიერ ინიცირებული აბრეშუმის გზის აღორძინების პროექტის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ კომიტეტის ხელმძღვანელიც. დელეგაციაში შედიოდნენ: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული განვითარების და რეფორმების კომისიის ვიცე-თავმჯდომარე ნინგ ძიჭუ, საერთაშორისო სავაჭრო წარმომადგენელი, კომერციის მინისტრის მოადგილე ჭუნგ შანი, სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე ღინგ სიანგიანი და სხვა ოფიციალური პირები. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა ხელი მოაწერეს „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის სამინისტროს შორის“ თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს. დელეგაცია მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. მხარეებმა განიხილეს არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი: აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო დერეფანი, ახალი აბრეშუმის გზის იდეა და საქართველოს როლი, საქართველოში ჩინური ინვესტიციების პერსპექტივები, სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა, ასევე სექტორული თანამშრომლობის საკითხები [**ჩინეთის სახალხო, 2016**].

აღნიშნული ვიზიტის ამსახველი ვრცელი ინფორმაცია განთავსებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და კომერციის სამინისტროების ვებსაიტებზე [**中国同格鲁吉亚, 2021; 中国与格鲁吉亚, 2017**]. ამ მასალაში ასევე აღნიშნულია, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრი და სახელმწიფო საბჭოს ვიცე-პრემიერი ჭანგ კაოლი (张高丽) ჩამოვიდა საქართველოში ვიზიტით და შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს და პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს. ორივე მხარის მაღალი რანგის ლიდერების მიერ გამოჩენილმა განსაკუთრებულმა ყურადღებამ ხელი შეუწყო მოლაპარაკების მსვლელობას [**中国同格鲁吉亚, 2021; 中国与格鲁吉亚, 2017**].

ჩინეთში სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებმა საკმაოდ დეტალურად გააშუქეს ვიცე-პრემიერის ვიზიტი საქართველოში და ყურადღება გაამახვილეს ჭანგ კაოლისა და საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის შეხვედრაზე. ჭანგ კაოლიმ საქართველოს პრეზიდენტს გადასცა ჩინეთის სახელმწიფოს მეთაურის სი ძინფინგის გულითადი

მოკითხვა და კეთილი სურვილები. მან აღნიშნა, რომ ჩინეთი და საქართველო ტრადიციულად დამეგობრებული ქვეყნები არიან, ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას გრძელი ისტორია აქვს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან გასული 24 წლის განმავლობაში საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთპატივისცემა და თანასწორი ურთიერთდამოკიდებულება იყო, პოლიტიკური ურთიერთდობა განუწყვეტლივ ღრმავდებოდა, ჩვენს ქვეყნებს შორის საქმიანმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. თანასწორი, მეგობრული, ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის განვითარების შედეგად მიღებული ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობა ორივე ქვეყნის ფუნდამენტურ ინტერესებს შეესაბამება, ჩინური მხარე უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობების განვითარებას, სურს რომ საქართველოსთან ერთად ერთობლივი ძალებით განამტკიცონ ტრადიციული მეგობრობა, ღრმად შეისწავლონ თანამშრომლობის პერპექტივები და ხელი შეუწყონ ჩინეთ-საქართველოს მეგობრულ თანამშრომლურ ურთიერთობებს უწყვეტი წინსვლიკენ [张高丽, 2016a; 白洁、李铭, 2016; 张高丽, 2016b].

ჭანგ კაოლიმ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა და კარგი საინვესტიციო გარემო აქვს, საქართველოს და ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობა ურთიერთშემავსებელ ხასიათს ატარებს. საქართველომ შექმნა სახელმწიფო განვითარების სტრატეგია, რომელიც ლოგისტიკური ცენტრის და სატრანსპორტო კვანძის განვითარებას გულისხმობს და რომელიც უაღრესად თანხვდება ჩინეთის მიერ ინიცირებულ აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს, მხარეებმა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ერთობლივი მშენებლობის მეშვეობით უნდა გააძლიერონ სტრატეგიული კავშირი და ორი ქვეყნის საქმიანი თანამშრომლობის გაფართოებისთვის შექმნან ფართო პლატფორმა; მაქსიმალურად ეცადონ, რომ რაც შეიძლება მალე შეიქმნას ჩინურ-ქართული თავისუფალი სავაჭრო სივრცე, კიდევ უფრო გააუმჯობესონ სავაჭრო-საინვესტიციო გარემო; აქცენტი უნდა გაკეთდეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, კომუნიკაციების, სოფლის მეურნეობის, ღვინით ვაჭრობის და სხვა საკითხებში ორმხრივ ურთიერთსარგებლიან თანამშრომლობაზე; მხარეებმა აქტიურად უნდა განიხილონ ჰიდროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის და ელექტროტექნიკური პროდუქციის დამზადების და სხვა სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის განვითარება; უნდა გაფართოვდეს ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობები; უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო და რეგიონულ საკითხებში მჭიდრო კონტაქტი და თანამშრომლობა [张高丽, 2016a; 白洁、李铭, 2016].

თავის მხრივ, გიორგი მარგველაშვილმაც აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობა ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება და თითოეულ სფეროში მხარეების თანამშრომლობა წარმატებით მიიწევს წინ; ჩინეთის მიერ წამოყენებული აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ერთობლივი მშენებლობის ინიციატივას საქართველოსთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართულ მხარეს, – ხაზი გაუსვა საქართველოს პრეზიდენტმა, – სურს მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობები, გააძლიეროს ჩინეთთან სარკინიგზო გადაზიდვების, პორტის და მაგისტრალების მშენებლობის კუთხით თანამშრომლობა. მან მოუწოდა ჩინურ საწარმოებს საქართველოში ინვესტიციების გაზრდისკენ და კიდევ ერთხელ დაადასტურა „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკის სრული მხარდაჭერა [张高丽, 2016a; 白洁、李铭, 2016].

საქართველოს პრემიერ მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრისას ჟანგაკოლიმ აღნიშნა, რომ ძველმა აბრეშუმის გზამ ორი ქვეყნის ხალხი ოდითგანვე მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთს, დღეს კი ჩინეთის და საქართველოს მიერ აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ერთობლივმა მშენებლობამ უკვე აჩვენა სერიოზული პროგრესი. ამ მხრივ ვიცე-პრემიერმა საგანგებოდ გამოჰყო მხარეების მიერ ერთობლივად ორგანიზებული თბილისის პირველი „აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმი“; ჩინეთის მთავრობა მოუწოდებს ქართულ მხარეს გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების უპირატესობების გამოყენებისკენ, აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მშენებლობაში უფრო აქტიური მონაწილეობისკენ და რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის გააქტიურებისკენ. ჟანგაკოლის ღრმა რწმენით, მხარეებს სურთ, რომ განვითარების სტრატეგიული თანამშრომლობის წახალისება იყოს მთავარი ხაზი, რითაც გააძლიერებენ თანამშრომლობის მაღალ დონეზე პროექტირებას. მისი აზრით, ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი სავაჭრო სივრცეების შენებით შესაძლებელი იქნება ორი ქვეყნის საქმიანი თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე გადაყვანა; დიდი პროექტებით და საინვესტიციო თანამშრომლობის მეშვეობით აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ერთობლივი მშენებლობისთვის მნიშვნელოვნობის გაზრდა; წარმოების შესაძლებლობებში თანამშრომლობის კუთხით ორმხრივი საქმიანი თანამშრომლობის ახალი სფეროების მოძიება, ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის მიმოსვლის გამარტივების საფუძველზე უკეთესი ჰუმანიტარული გარემოს შექმნა [张高丽, 2016a; 白洁、李铭, 2016].

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ჩინეთი არის მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყანა და რომ საქართველო უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანი-

ჭებს ჩინეთთან ურთიერთობების განვითარებას. მან მაღლობა გადაუხადა ჩინურ მხარეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის აღმოჩენილი დახმარებისა და მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ საქართველოს სურს, ჩინურ მხარესთან ერთად დააჩქაროს ორი ქვეყნის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროგრესი და უფრო მეტად გააღრმავოს ორმხრივი ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობა თითოეულ სფეროში. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ჟანგ კაოლის და გ. კვირიკაშვილის თანდასწრებით ხელი მოეწერა ჩინეთს და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის დოკუმენტებს [张高丽, 2016a; 白洁, 李铭, 2016].

2017 წლის 18-26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის, ბოსნია-ჰერცეგოვინას პარლამენტის სახალხო პალატის და მონტენეგროს პარლამენტის მოწვევით ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ეროვნული კომიტეტის დელეგაციამ ამავე ორგანოს ვიცე-თავმჯდომარის და ჩინეთის ეროვნულ-დემოკრატიული აღმშენებლობის ასოციაციის ცენტრალური კომიტეტის პირველი ვიცე-თავმჯდომარის *მა ფეიხუას* (马培华) ხელმძღვანელობით მეგობრული ვიზიტი განახორციელა ზემოხსენებულ სამ ქვეყანაში. საქართველოში ვიზიტისას *მა ფეიხუა* ცალ-ცალკე შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს *ირაკლი კობახიძეს* და მთავრობის პირველ ვიცე-პრემიერს და ფინანსთა მინისტრს *დიმიტრი ჟუმსიშვილს*. ამ ვიზიტის ამსახველ ჩინურ მასალაში აღნიშნულია, რომ ამ შეხვედრების დროს მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივი ურთიერთობების შესახებ, „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მშენებლობის, ჩინეთის შუა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის და სხვა საკითხების შესახებ; მხარეებმა გაცვალეს აზრები ამ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე ჩინურმა მხარემ გააცნო ქართველ პოლიტიკოსებს ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ არსებული ვითარება. სამივე ქვეყანის მთავრობის ხელმძღვანელმა პირებმა, მათ შორის საქართველომ მტკიცედ დაუჭირეს მხარი „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას, მაღალ დონეზე შეაფასეს ჩინეთის მიერ განვითარების კუთხით მიღწეული წარმატებული შედეგები და საერთაშრისო არენზე მისი უფროდაუფრო მზარდი მნიშვნელოვანი როლი. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი კიდევ უფრო განევიტარებინათ ორმხრივი ურთიერთობები და აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მშენებლობაში და „16+1“-ს თანამშრომლობის პროექტებში [马培华, 2017; 中国同格鲁吉亚, 2021; ამის შესახებ იხ.: *ქუმსიშვილი, 2017*].

ჩინური მხარის მორიგი მნიშვნელოვანი ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის მაისში, როდესაც საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ჩინეთის სახალხო რეს-

პუბლიკის სახელმწიფო მრჩეველი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვანგ ი (王毅) [საქართველოს ჩინეთის, 2019]. 2019 წ. 24 მაისს ჩინელი სტუმარი მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. მან სთხოვა ვანგ ის გადაეცა მისი გულითადი მოკითხვა თავმჯდომარე სი ძინფინგისთვის. ს. ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო და ჩინეთი წარმოადგენენ უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებს, რომელთაც მეგობრული ურთიერთობის გრძელი ისტორია აკავშირებთ და რომ ქართულ მხარეს სურს ჩინეთთან – მსოფლიოში გავლენიან და დიდ სახელმწიფოსთან გააძლიეროს კავშირები და ურთიერთობა; საქართველო მხარს უჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკის დაცვას და ორმხრივი და მრავალმხრივ ჩარჩოებში თანამშრომლობის გაღრმავებას. ბოლო წლების განმავლობაში, – ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, – საქართველო ძალებს არ იშურებს სახელმწიფოში სტაბილურობის და ეკონომიკის განვითარებისთვის; მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესების კუთხით შეინიშნება აქტიური წინსვლა; ქართულ მხარეს სურს აქტიურად გააგრძელოს მონაწილეობის მიღება „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ერთობლივი მშენებლობის საქმეში და გამოიყენოს ეს შესაძლებლობა ჩინეთთან თანამშრომლობის განსავითარებლად, რათა საქართველო განდეს ევროპისა და აზიის კონტინენტების შემაკავშირებელი გზა და დერეფანი [格鲁吉亚总统, 2019].

თავის მხრივ, ვანგ იმ პრეზიდენტ ს. ზურაბიშვილს გადასცა სი ძინფინგის სალაში და აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები წარმატებით ვითარდება. „ეს არის ჩემი მეგობრული ვიზიტი, მსურს გავაგრძელო ჩინეთსა და საქართველოს შორის ტრადიციული მეგობრობა და შევძინო მას თანამედროვე ეპოქის შესაფერისი მნიშვნელობა; ეს ვიზიტი გამიზნულია მოსმენისთვის, რამდენადაც მსურს მოვისმინო, როგორია ქართული მხარის დამოკიდებულება საშინაო და საგარეო საქმიანობასთან მიმართებით, გავაძლიერო ორმხრივი ურთიერთგაგება და მრავალმხრივი საქმიანი მოლაპარაკებები, ჩემი ვიზიტი ასევე გამიზნულია მოკვლევა-მოძიებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე არსებული ორმხრივი თანამშრომლობის შედეგების საფუძველზე, გზა გავიკვალეთ ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის ახალი სივრცეებისკენ. საქართველო ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ქვეყანაა, ვიმედოვნებ საქართველო ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან კარგ ურთიერთობებს განავითარებს და სახელმწიფო მშენებლობისთვის სარგებლის მომტან საგარეო ვითარებას შეიქმნის; ჩინური მხარე მიესალმება საქართველოს მიერ საკუთარი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მაქსიმალურად გამოყენებას და მის აქტიურ ჩართულობას „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ერთობლივი მშენებლობის საქმეში, ჩვენ გვსურს, რომ ჩვენ და საქართველო ყველა

მიმართულებით განვითარებული სავაჭრო პარტნიორები, თანასწორობაზე და ურთიერთ-სარგებლიანობაზე დაფუძნებული საინვესტიციო პარტნიორები და ტრანსპორტირების სფეროშიც ურთიერთდაკავშირებული პარტნიორები გავხდეთ, განუწყვეტლივ გავადრმავეთ ორ ქვეყანას შორის საქმიანი ურთიერთობები.“ – აღნიშნა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა [格魯吉亞總統, 2019]. იმავე დღეს ვანგ ისთან შეხვედრები გამართეს ასევე საქართველოს პრემიერ მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა.

ვანგ ისთან შეხვედრისას პრემიერ მინისტრმა მ. ბახტაძემ აღნიშნა, რომ ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ბოლო 23 წლის განმავლობაში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩინეთისთვის საქართველოსთან ურთიერთობა პრიორიტეტულია [პრემიერ მინისტრი, 2019]. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩინეთი და საქართველო ძველი ცივილიზაციის ქვეყნები არიან და მათ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს; საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან პარტნიორულ ურთიერთობებს. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ორმხრივი ურთიერთობები ინტენსიურად ვითარდება, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ჩინეთსა და საქართველოს შორის დაიდო შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. მისი თქმით, საქართველო, ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც მხარი დაუჭირა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივას. პრემიერმა ისაუბრა 2019 წლის ოქტომბერში თბილისის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ რიგით მესამე ფორუმის ჩატარების ორგანიზების შესახებ და მოუწოდა ჩინური მხარის მეტ წარმომადგენელს ამ საქმეში მონაწილეობისკენ. საქართველოს სურს „ერთი სარტყელი ერთი გზის“ ერთობლივი მშენებლობის მეშვეობით გააძლიეროს ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, მაღალი ტექნოლოგიების და სხვა სფეროებში თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველო ჩინეთის და რეგიონის თითოეული სახელმწიფოს ურთიერთკავშირს და ხალხთა შორის კავშირს. პრემიერის განცხადებით, ქართულ მხარე მიესალმება მეტი ჩინური საწარმოს ჩამოსვლას და მათ მიერ საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას და მრეწველობის განვითარებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მეტი ჩინელი ტურისტის მოზიდვას საქართველოში; ის ასევე მოწადინებულია, რომ საქართველოში აქტიური პოპულარიზება გაეწიოს ჩინურ ენას [格魯吉亞總理, 2019; პრემიერ-მინისტრი, 2019].

შეხვედრისას ვანგ იმ აღნიშნა, რომ საქართველო ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს და უნიკალური გეოპოლიტიკური უპირატესობა გააჩნია, ბოლო წლების განმავლო-

ბაში საქართველო წარმატებულად მიჰყვება ეკონომიკური გლობალიზაციის რეგიონალური ინტეგრაციის დინებას; საქართველომ საკუთარი ინიციატივით გახსნა ბაზარი და გააუმჯობესა საინვესტიციო გარემო, რასაც ჩინური მხარე მიესალმება, მას შემდეგ, რაც ჩინეთმა და საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმეს, ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება, საქართველო ძველი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტია, „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ერთობლივმა მშენებლობამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ახალი შესაძლებლობები წარმოშვა. ჩინურ მხარეს სურს, ერთობლივი მშენებლობის პროცესში ჩინეთი და საქართველო ყველა მიმართულებით განვითარებულ სავაჭრო პარტნიორებად, თანასწორ და ერთმანეთისთვის სარგებლის მომტან საინვესტიციო და ტრანსპორტის სფეროში ურთიერთდაკავშირებულ პარტნიორებად იქცნენ და ხელი შეუწყონ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე გადასვლას და მეტი შედეგის მიღებას [格魯吉亞總理, 2019; პრემიერ-მინისტრი, 2019].

2019 წ. 24 მაისს გაიმართა მოლაპარაკებები უშუალოდ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის [ამის შესახებ იხ.: ჩინეთის საგარეო, 2019], რომლის დროსაც ვანგ იმ აღნიშნა, რომ ჩინეთი თავიდან ბოლომდე ეყრდნობა „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს“ და ამის საფუძველზე ავითარებს მსოფლიოს თითოეულ სახელმწიფოსთან მეგობრულ თანამშრომლურ ურთიერთობებს, მხარს უჭერს თითოეული სახელმწიფოს ხალხის მიერ არჩეულ მისთვის შესაფერის განვითარების გზებს, პატივს სცემს თითოეულის და მათ შორის საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას; ჩინეთი უსურვებს საქართველოს უფრო სწრაფ განვითარებას და ხალხის კეთილდღეობას. ვანგ იმ გამოთქვა იმედი, რომ ქართული მხარე შეძლებს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და ამისთვის კარგ საგარეო ვითარებას შეიქმნის. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან დღემდე ორი ქვეყნის ურთიერთობები სტაბილურად ვითარდება, რომ მისი ვიზიტი ჩინეთ-საქართველოს ტრადიციული მეგობრობის შემდგომ განვითარებას ემსახურება.

სტუმარმა ასევე განაცხადა, რომ სურს მოისმინოს საქართველოს დამოკიდებულება სამინაო და საგარეო საქმიანობასთან მიმართებით და ხელი შეუწყოს ურთიერთგაგების გაღრმავებას და არსებული ორმხრივი ურთიერთობების შედეგების საფუძველზე ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის ახალი სივრცეები მოძიებას. ვანგ ის თქმით, ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივაში საქართველოს

მხრიდან აქტიურ მხარდაჭერა-მონაწილეობას და სურს, რომ გამოყენებულ იქნას „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ერთობლივი მშენებლობა, როგორც ორ ქვეყანას შორის ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობა. ჩინურ მხარეს ასევე სურს ქართულ მხარესთან ყველა მიმართულებით განვითარებული სავაჭრო პარტნიორობის დამყარება, ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერება, თანასწორი და ერთმანეთისთვის სარგებლისმომტანი საინვესტიციო პარტნიორობა, მეტი ჩინური საწარმოს მიერ საქართველოში ინვესტიციების განხორციელება და თანამშრომლობა სატრანსპორტო სფეროში. საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოავლინოს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობა და იქცეს ევროპისა და აზიის კონტინენტების შემაკავშირებელ ხიდად – აღნიშნა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა [王毅, 2019].

დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ საქართველო უადრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან ურთიერთობების განვითარებას და ჩინეთს ნამდვილ მეგობრად და საიმედო პარტნიორად თვლის. მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა ბოლო წლების განმავლობაში ორმხრივი თანამშრომლობის მხრივ მიღებულ პროგრესთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ საქართველო კვლავაც მხარს დაუჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკის განხორციელებას. სი ძინფინგის მიერ წამოყენებული „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ერთობლივი მშენებლობის ინიციატივა და საქართველოს მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური უპირატესობის გამოყენებით რეგიონული სატრანსპორტო ჰაბის შექმნა სტრატეგიული სიმაღლის თვალსაზრისით ურთიერთშესაბამისია. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო განუხრელად გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და მიესალმება მეტი ჩინური საწარმოს შემოსვლას საქართველოში, მათ მიერ ინვესტიციების განხორციელებას და მრეწველობის განვითარებას. „გვსურს „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ერთობლივი მშენებლობის პროცესში საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის პერპექტივები აღმოვაჩინოთ, ორ ქვეყანას შორის საქმიანი ურთიერთობები გავაღრმავოთ და ხალხთა შორის კომუნიკაცია გავაძლიეროთ, ვუბიძგოთ ორი სახელმწიფოს ურთიერთობებს ახალ საფეხურზე გადასვლისკენ.“ – განაცხადა დ. ზალკალიანმა [王毅, 2019].

საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირები ხვდებოდნენ ჩინეთიდან ჩამოსულ რეგიონალური ხელმძღვანელობის წარმომადგენლებსაც. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის შესახებ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას აქვეყნებს გაზეთი „სინძიანგ ჟიბაო“, რომელიც იუწყება 2015 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და სინძიანგის ავტონომიური რაიონის პარტკომის ვიცე-მდივნისა და ავტონომიური რაიონის თავმჯდომარის მოჰრათ ზაქირის (雪克来提·扎克尔) შეხვედრის შესახებ.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველო და ჩინეთი ერთობლივად უწევდნენ ორგანიზებას აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმის ჩატარებას. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს და ჩინეთს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ და საქართველოსთვის ჩინეთთან ურთიერთობების განვითარება საგარეო ურთიერთობების კუთხით ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა; ქართულ მხარეს სურს ჩინურ მხარესთან გააძლიეროს კონტაქტები მაღალ დონეზე და გააფართოვოს მასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. პრემიერმა მოუწოდა ჩინურ მხარეს საქართველოში ინვესტიციების გაზრდისკენ. მან განაცხადა, რომ საქართველოს სურს ამ რეგიონში ჩინეთის საიმედო პარტნიორად, მისი საგარეო ინვესტიციების დანიშნულების ქვეყნად და ჩინეთისთვის ევროპის ბაზარზე შესასვლელ ხიდად იქცეს, ამიტომაც საქართველო აქტიურად ეხმარება ჩინეთის მიერ ინიცირებული აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის კონცეფციას; ჩინეთის სინძიანგის პროვინციას, რომელიც აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მთავარი საკვანძო პუნქტია, საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს; ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა სწრაფი ტემპებით ვითარდება და დიდი პერსპექტივა აქვს მეტი განვითარებისთვის. ი. ღარიბაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ ორმხრივი ერთობლივი ძალისხმევის შედეგად საქართველო და ჩინეთი შეძლებენ, რომ გამოძებნონ თანამშრომლობის გაფართოების ახალი წყაროები [李行, 2015].

თავის მხრივ, მოჰრათ ზაქირმა აღნიშნა, რომ ეს ფორუმი არის პირველი საერთაშორისო ფორუმი, რომელიც ეწყობა ჩინეთის მიერ აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი თემაზე; სინძიანგი პირველად წარმოადგენს ჩინეთს ქვეყნის გარეთ გამართულ საერთაშორისო ხასიათის ფორუმზე და ეს არის სინძიანგის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოწყობილი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო ხასიათის ღონისძიება, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია; აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მშენებლობა დაგეგმარების პროექტიდან უკვე არსებითად ამოქმედების ეტაპზეა გადასული და დღითიდღე გარდაიქმნება ჩინეთის საგარეო კონტაქტების და თანამშრომლობის ახალ მამოძრავებელ ძალად. სინძიანგის ავტონომიური რაიონის ხელმძღვანელმა ასევე გაამახვილა ყურადღება სინძიანგის რეგიონის უპირატესობებზე და მისი, როგორც აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ცენტრალური რაიონის როლზე. მოჰრათ ზაქირმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო აბრეშუმის გზაზე მდებარე მნიშვნელოვანი ქვეყანაა, ჩინეთის სინძიანგის პროვინცია ქართულ მხარესთან უკვე თანამშრომლობს აქტიურად და სურს,

რომ საქართველო კვლავაც მის მნიშვნელოვან პარტნიორად და პრიორიტეტული კონტაქტების მიმართულებად დარჩეს; სურს, რომ საქართველოსთან კიდევ უფრო გააძლიეროს თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში, რაც ხელს შეუწყობს ჩინეთის სინძიანგის პროვინციისა და საქართველოს თანამშრომლობის მდგრად და სწრაფ განვითარებას. შოპრათ ზაქირმა შეხვედრის მსვლელობისას პრემიერს წარუდგინა კონკრეტული წინადადებები, რომელიც ეხებოდა სინძიანგსა და საქართველოს შორის ურთიერთობას [李行, 2015].

თავი VI. საქართველოს-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველი

როგორც წინა თავებში წარმოდგენილი ორი სახელმწიფოს პირველი პირებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის სხვა წამყვანი ფიგურების ვიზიტების მიმოხილვიდან გამომდინარე, ქართულ-ჩინური პოლიტიკურ-დიპლომატიური დიალოგის ცენტრალური საკითხი სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობა იყო. სავსებით მართებულადაა შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ „სწორედ ეკონომიკური სფერო წარმოადგენს საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ქვაკუთხედს“ [სირბილაძე, მღებრიშვილი, 2020: 17; აფციაური, 2020: 97]. ამითაა გამოწვეული, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობის ეს სეგმენტი შედარებით ყველაზე სრულადაა დამუშავებული მეცნიერულად ქართველი მკვლევრების (უპირატესად ეკონომისტების) მიერ. თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ქართველ მეცნიერთა და ექსპერტთა პუბლიკაციებიდან გამოვარჩევდით: კოლექტიურ განმაზოგადებელ კვლევას ჩინეთის ფაქტორზე საქართველოს ეკონომიკაში [ჭარაია, კურდღელია, ანგურიძე, ლაშხი, გულბანი, შატაკიშვილი, 2020], აგრეთვე ლარისა ყორღანაშვილის [ყორღანაშვილი, 2018: 445-450], პატაროშვილის [აროშიძე, 2017a: 37-42; აროშიძე, 2017b: 285-292], რამაზ ფუტყარაძის [ფუტყარაძე, 2016], მარიამ გრიგალაშვილის [გრიგალაშვილი, 2016], ირაკლი სირბილაძისა და მიხეილ მღებრიშვილის [სირბილაძე, მღებრიშვილი, 2020], დავით აფციაურის [აფციაური, 2020: 97-104] და სხვა მკვლევართა ნაშრომებს. საინტერესო დაკვირვებები აქვს საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობაზე აქვს USAID-ის სტრატეგიისა და პროგრამების ოფისის უფროსი მრჩეველს ჯოზეფ ლარსენს [Larsen, 2017; ლარსენი, 2017].

საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ცალკეული საკითხები საკმაოდ ვრცლადაა გაანალიზებული ჩინელი ანალიტიკოსების პუბლიკაციებში. ჩინურ მასალებში რიგ შემთხვევებში უფრო დეტალურადაც კია გაშუქებული საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები ეკონომიკურ სფეროში. არის ისეთი საკითხები, რომლებიც მხოლოდ ჩინურ პუბლიკაციებშია გაშუქებული და ქართველი მკითხველისთვის ეს ინფორმაციები აქამდე არ იყო ხელმისაწვდომი.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი არის ჩინეთ-საქართველოს მთავრობათაშორისი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშ-

რომლობის კომიტეტი, რომლის პირველი სხდომა 1999 წელს ჩატარდა. 2015 წელს ჩატარდა უკვე მეშვიდე სხდომა. 1992 წლიდან ქვეყნებს შორის ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით 2010 წლის შემდეგ, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ დაწყებული ეკონომიკური აღმავლობის პროცესთან. 2010 წელს საქართველოდან ჩინეთში შედიოდა მთლიანი ექსპორტის 8 პროცენტი, ჩინეთი თურქეთის და რუსეთის შემდეგ მესამე ადგილზე იყო საქართველოში იმპორტიორებს შორის [Larsen, 2017: 5; ლარსენი, 2017: 6].

მნიშვნელოვანი ეტაპი ამ გზაზე იყო 2000 წლის 12-13 ივნისს ჩინეთის მთავრობის სავაჭრო-ეკონომიკური დელეგაციის ვიზიტი საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ჟოუ ქეჟენის მეთაურობით. ვიზიტი საკმაოდ ფართოდ გააშუქა ჩინურმა გაზეთმა: „საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ამბები“. საგაზეთო პუბლიკაციის მიხედვით, ვიზიტის ფარგლებში 12 ივნისს ჟოუ ქეჟენი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს თამარ ბერუჩაშვილს. მათ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მხრივ არსებულ მდგომარეობაზე და ამ ურთიერთობების განვითარების გზებზე ისაუბრეს. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას ჟოუ ქეჟენმა აღნიშნა, რომ ჩინელ და ქართველ ხალხს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ და ჩინეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. დღესდღეობით სავაჭრო ბრუნვა არ არის დიდი და ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივაში მიღწევად შედეგთან საკმაოდ ბევრი ამორებს, ამიტომ მხარეებმა უნდა გააღრმავონ ურთიერთგაგება, გააძლიერონ კომუნიკაცია და განავითარონ თანამშრომლობა წარმოების სფეროში და პროექტების მეშვეობით აამოქმედონ ორმხრივი ვაჭრობა და თანამშრომლობის სხვა ასპექტები [赵大兴, 2000].

თავის მხრივ, თ. ბერუჩაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი მაღლობელია ჩინეთის მიერ საქართველოსთვის წლების განმავლობაში აღმოჩენილი ფინანსური და ეკონომიკური დახმარებისთვის, ქართული მხარე მოხარული იქნება, თუ ჩინური საწარმოები ჩამოვლენ და ინვესტიციებს განახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს სურს ჩინეთთან აქტიურად ითანამშრომლოს ენერგორესურსების ათვისების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების და მსუბუქი მრეწველობის, ტექსტილის სფეროში. გარდა ამისა ექსპორტისთვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობამ დააარსა ექსპორტის ხელშეწყობის სამმართველო და ქართული მხარე მზადაა, ჩინურ მხარეს მივაწოდოთ შესაბამისი ინფორმაციები, რომ გავაფართოვოთ ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები. ითქვა აგრეთვე, რომ საქართველო

ღვინის წარმოებით ოდითგანვე ცნობილი ქვეყანაა და გამოთქვა იმედი, რომ ჩვენი ქვეყანა ჩინეთში ამ პროდუქციის ექსპორტს გაზრდიდა. შეხვედრის დასასრულს მხარეებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ მხარეებისთვის აქტუალური ამოცანა იყო ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების არასახარბიელო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება და ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისთვის მეტი პრაქტიკულობის შექმნა. შეხვედრის დასრულების შემდეგ გაიმართა ჩინეთის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისთვის უსასყიდლო დახმარების გადაცემის თაობაზე ნოტების გაცვლის ცერემონიალი. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე* და სახელმწიფო მინისტრი გ. არსენიშვილი ცალ ცალკე შეხვდნენ ჟოუ ქეჟენს [赵大兴, 2000].

ქართულ და ჩინურ მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პრესპექტივებზე მსჯელობა გაგრძელდა საქართველოში სრულიად ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკურ დელეგაციის ვიზიტისას 2002 წლის ოქტომბერში, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე *ჩენ კუანგი* მეთაურობდა. ამ ვიზიტის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო „სინხუა“. სააგენტოს ცნობით, დელეგაცია მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ *ნინო ბურჯანაძემ* [格鲁吉亚议长, 2002].

აღსანიშნავია, რომ ჩინურმა პრესამ არაერთხელ დაუთმო საგაზეთო გვერდები საქართველოს გეოპოლიტიკური უპირატესობების საკითხებს. მაგალითად, 2003 წელს ჩინურ ყოველკვირეულ გაზეთში *“Southern Weekend”*-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით *„ვინ არის „შუა რეგიონის“ საბოლოო გამარჯვებული?“*. სტატია მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტების პერიოდში საქართველოსთვის აქტუალური თემებს ეხება. საგაზეთო პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ ჩინელებს კარგად ესმით საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკა. აქ საუბარია კარგი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობის მქონე საქართველოზე გავლენის მოპოვებისთვის რუსეთსა და ამერიკას შორის არსებულ დაპირისპირებაზე. სტატიაში აღნიშნულია, რომ რთული, მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის მქონე, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი, მაგრამ ღარიბი შუა აზიის რეგიონი არაერთი დიდი ქვეყნის ინტერესთა შეჯახების პუნქტია, რადგან ეს არის ევრაზიის შემაკავშირებელი წერტილი და შესაძლოა მსოფლიო „ნავთობის საბადოც“, საქართველო სწორედ ამ ინტერესთა შეჯახების ტერიტორიაზეა. *„საქართველოს არ აქვს სხვა რამ, რაზეც მსოფლიოსთან გარიგებას დადებდა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გაყიდვა შეგვიძლია“* – მოყვანილია სტატიაში *„ერთი ქართველი დიპლომატის“* სიტყვები [容亮、钱克锦, 2003].

სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ პატარა ქვეყანას არ ძალუძს საერთაშორისო ბრძოლებში მთავარი როლის თამაში, მაგრამ ძალიან ბევრ პატარა ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსები ან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა, ამიტომ დიდი სახელმწიფოები ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობენ პატარა ქვეყნის პოლიტიკურ პოზიციებზე გავლენის მოპოვებას, ბრძოლის გამწვავების მომენტში კი დიდი სახელმწიფო შეუბრალებლად იმეტებს პატარა ქვეყანას შიდა არეულობისთვისაც კი, რომ იმისგან სარგებელი მიიღოს, თუმცა ეს ყველაფერი ხშირად პატარა სახელმწიფოს კონტროლს გარეთაა, საქართველო სწორედ ასეთ ტრაგედიას განიცდის. საქართველოს შემთხვევაში რუსეთ-ამერიკის ურთიერთობამ (ინტერესთა შეჯახების გამო ფრთხილმა ურთიერთდაპირისპირებამ) საქართველოს პატარა, მაგრამ რაღაც განსაზღვრული სივრცე დაუტოვა არსებობისთვის, საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი (იგულისხმება მიხეილ სააკაშვილი – **ლ. გ.**) პირდაპირ ამბობს, რომ საქართველომ რუსეთსა და ამერიკას შორის უნდა ითამაშოს „ბანქო“ [容亮、钱克锦, 2003].

ასევე საინტერესოა ჟურნალ „ჩინეთის ვაჭრობა და ეკონომიკაში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით „საქართველო: უსაზღვრო ბიზნეს შესაძლებლობები“, რომელიც წინ უძღოდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ ვიზიტს ჩინეთში. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში, ჩინეთის მიერ საქართველოს ეკონომიკური დახმარებამ, ჩინურ კაპიტალზე დაფუძნებული საწარმოების საქართველოში შემოსვლამ და იქ საქმიანობის განხორციელებამ, ქართველებს არა მხოლოდ ჩინეთის რეფორმების და გახსნილობის პოლიტიკის შედეგები დაანახა, არამედ გაუჩინა სურვილი მათაც გაეზიარებინათ ჩინეთის ეს გამოცდილება. ბაზრის კანონი რკინის კანონია, მისი საოცრად მერყევი თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ საკითხებში უნდა იყო „თვალმახვილი და ხელსწრაფი“, ის არ ელოდება არავის, ბაზარი აღიარებს მხოლოდ კაპიტალს და არა ადამიანებს. ეს იმას გვეუბნება, რომ საქართველოს ბაზარიც არ ელოდება არავის, შენ თუ არ შეხვალ, სხვა შევა. ამიტომაც ჩინურმა საწარმოებმა ერთიმეორეს მიყოლებით დაიწყეს საქართველოში ოპერირება [周继胜, 2006].

ზემოხსენებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩინეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებისგან იყიდა უამრავი დანადგარი, ჯართი და სხვა ტექნიკური პროდუქტი, რომ საქართველოს აქვს საბჭოთა კავშირის პერიოდში ამენებული საავიაციო ქარხანა, ტრაქტორების მწარმოებელი ქარხანა, მეტალურგიული ქარხანა, გემის მოწყობილობების მწარმოებელი ქარხანა, სა-

ტელიტური ანტენების მწარმოებელი ქარხანა. ახლა ყველაფერი ეს მოძველებულია მაგრამ შესაძლებელია ამ ყველაფრის მოწესრიგება და გამოყენება, „სხვები აგლებენ და მუვილებ, ეს სწორედ ჩემთვისაა“, სწორედ ეს არის ორი ბაზრის ჭკვიანური გამოყენება – აღნიშნავს სტატიის ავტორი. მისი მტკიცებით, ქართველებს დიდი ხანია სძულთ დაბალხარისხიანი თურქული ნაწარმი, ისინი განსაკუთრებულად კეთილგანწყობილნი არიან ჩინური პროდუქციის მიმართ, და ელიან ჩინური საწარმოების საქართველოში შესვლას და მათ მიერ გადამუშავების ბაზაზე თუნდაც მარტივი სავაჭრო საქმიანობის განხორციელებას (加工貿易). ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოდან ევროპაში ექსპორტზე არ არის დაწესებული ქვოტის და ლიცენზიის შეზღუდვები, რაც დამატებით მიმზიდველს ხდის საქართველოს საინვესტიციო გარემოს და რომ მიხეილ სააკაშვილი აქტიურად მუშაობს უცხოელი ინვესტორებისთვის საშეღავათო პირობების შემუშავების საკითხებზე [周继胜, 2006].

საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი მოცემულია ჩინეთში გამომავალი გაზეთ „China Economic Times“-ის ფურცლებზე. აღნიშნული პუბლიკაციები მიეძღვნა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ ვიზიტს ჩინეთში 2006 წლის აპრილში. გაზეთს მოჰყავს ჩინეთის საერთაშორისო საკითხების კვლევის დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის და შუა აზიის კვლევითი ცენტრის თავმჯდომარის ჩენ უიუუნგის კომენტარი, რომელშიც ხაზგასმულია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობისთვის ბიძგის მიცემის აუცილებლობა. აქვე მოტანილია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვალერი ჩეჩელაშვილის კომენტარიც, რომელშიც ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო ფრიად დაინტერესებულია ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობით და მოუთმენლად ელის ამ მხრივ ურთიერთობების გაძლიერებას [徐伟, 2006].

ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის კვლევითი განყოფილების ცენტრალური აზიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა სვენ ჭუნგჯიმ „China Economic Times“-ის ჟურნალისტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას. 1992 წელს ჩინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სტაბილური ნაბიჯებით მიიწევს წინ, მაგრამ გარკვეულწილად იმის გამო, რომ ჩინეთს და საქართველოს შორის ძალიან დიდი მანძილია, მიმოსვლა არ არის მოსახერხებელი, ჩინეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლო-

ბის მასშტაბები შედარებით მცირეა და არც განვითარების ტემპია მთლად დამაკაყოფი-
ლებელი, თუმცა საერთო ჯამში თანამშრომლობა მაინც წარმატებულია [徐伟, 2006].

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკო-
ნომიკური თანამშრომლობის სფეროში 2006 წლამდე ორი მნიშვნელოვანი პროექტი გან-
ხორციელდა, მათ შორის პირველი ეს იყო 2001 წლის თებერვალში ჩინეთის *სსიჩუანის*
ელექტროენერჯის კომპანიის მიერ საქართველოში 34000000 დოლარის ინვესტიციის
ჩადება და *ხადორჰესის* აშენება, რომელიც 2004 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და მეორე
2004 წ. 16 სექტემბერს საქართველოს მიერ ჩინეთის სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის
სტატუსის მქონე ქვეყნად აღიარება. სვენ ჭუანგჯი თვლის, რომ საქართველო (2006 წელს)
არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ჩინეთთან ურთიერთობის და თანამ-
შრომლობის გაძლიერებაზე დიდ იმედებს ამყარებს.

აქვე გაზეთს მოჰყავს პრეზიდენტ მ. სააკაშვილის კომენტარიც, რომელშიც აღნიშნუ-
ლია, რომ საქართველოს და ჩინეთს სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიების, მევე-
ნახეობა-მეღვინეობის ტექნოლოგიების, ჰიდროენერჯეტიკის ათვისების და გამოყენების
სფეროში, მაღალი ტექნოლოგიების, ევრაზიის შემაერთებელი ხიდის მშენებლობის, მე-
საქონლეობა-მებაღეობის, საშუალო და მცირე საწარმოების განვითარების, ყოველდღიუ-
რი მოხმარების საგნების გადამუშავების და ტურისტულ და სხვა სფეროებში თანამშრომ-
ლობის კუთხით ძალიან ფართო განვითარების პერსპექტივა აქვს. თუმცა „*იმის გამო რომ*
საქართველოს ეკონომიკური მასშტაბები მცირეა, ორმა ქვეყანამ უნდა იზოვოს ეკონომიკუ-
რი თანამშრომლობის გადაკვეთის წერტილები“ – აღნიშნავს ჩენ უიუნგი [徐伟, 2006].

2006 წლისთვის ჩინეთიდან საქართველოში ძირითადად შემოდის ტექნიკა, ტექ-
სტილი და სხვა ნაწარმი, ხოლო საქართველოდან ჩინეთში შეჰქონდათ ხე-ტყე და ჯართი.
ჩინური პროდუქციის ფასები და ხარისხი მისაღები იყო საქართველოს ბაზრისთვის და
საკმაოდ კონკურენტუნარიანი. საინტერესოა ჩინელი ექსპერტების დასკვნა საქართველოს
ბაზრის იმ ოთხი თავისებურების შესახებ, რომელიც ხელს უწყობდა ჩინური საწარმოე-
ბის საქმიანობის საქართველოში განვითარებას, ესენია:

1. სასაქონლო-მატერიალურ საშუალებათა ნაკლებობა და მაღალი ფასები. რაც
გულისხმობდა იმას, რომ საქართველო მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის,
ყოველდღიური მოხმარების საგნების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის
კუთხით დამოკიდებული იყო იმპორტზე, ფასის ინდექსი კი ჩინურისაზე 4-
ჯერ მეტი იყო, შესაბამისად ჩინური პროდუქციის საქართველოში შემოტა-
ნა ნამდვილად უდირდათ ჩინურ საწარმოებს;

2. საქართველოდან ევროპის და ამერიკის მიმართულებით ექსპორტზე არ იყო შეზღუდვა ქვოტის და ლიცენზიების კუთხით, რაც მომგებიანი იყო ჩინური საწარმოებისთვის საქართველოში გადამუშავების ბაზაზე სავაჭრო საქმიანობის წარმოებისთვის, თანაც საქართველოსთვისაც სასარგებლო იქნებოდა ეს ნაბიჯი ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის კუთხით, ამით ანტიდემპინგის პრობლემასაც აცდებოდნენ ჩინური საწარმოები და შესაძლებელი იქნებოდა ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბება;
3. საქართველო ჩინეთზე ერთი წლით ადრე შევიდა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში განვითარებული ქვეყნის სტატუსით და სარგებლობდა შესაბამისი პოლიტიკით;
4. საქართველო იყენებდა თავისუფლად კონვერტირებად სავალუტო სისტემას და კაპიტალის მოძრაობა არ კონტროლდებოდა.

ექსპერტი სვენ ჟუნგუჩი სტატიაში აღნიშნავს, რომ საქართველო არ გამოირჩევა რესურსების მრავალფეროვნებით, მაგრამ მას გააჩნია მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა, მდებარეობს რა დასავლეთის და აღმოსავლეთის შემაკავშირებელ სახმელეთო მაგისტრალზე, ის წარმოადგენს ჩინური ნაწარმის ევროპის ბაზარზე შესასვლელ ხიდს, ამიტომ ქართულ საწარმოებთან კავშირის გაძლიერება ექსპერტის აზრით, ჩინური საწარმოებისთვისაც ძალიან მომგებიანია [徐伟, 2006].

ექსპერტმა ჩენ უიჟუნგმა ჟურნალისტთან საუბრისას აღნიშნა, რომ „ღვინო არის საქართველოს სამარჯო პროდუქტი და რაღაც დონეზე საქართველოს სიმბოლოც.“ იმ პერიოდისთვის პეკინის ბაზარზე უკვე იყიდებოდა ქართული ღვინო. ჩენ უიჟუნგი თვლიდა, რომ საქართველოს ღვინო კარგი რეპუტაციით სარგებლობდა და ჩინეთში მისი სათანადო პოპულარიზაცია კარგ შედეგებს გამოიღებდა. მით უმეტეს, რომ წინა პერიოდში საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის კომიტეტის თავმჯდომარემ ჩინეთის საელჩოს წერილით მიმართა, ღვინის მწარმოებელი კომპანიების ჩინეთში ღვინის ექსპორტით დაინტერესების თაობაზე, ის აღნიშნავდა, რომ ექსპორტიორი კომპანიები მზად იყვნენ დაეკმაყოფილებინათ ჩინელი იმპორტიორების მოთხოვნები, მაგალითად, ჩინურენოვანი იარლიყების და მსგავსი საკითხების თაობაზე და ა.შ. [徐伟, 2006]

მას შემდეგ, რაც 2006 წლის 1 იანვრიდან რუსეთმა საქართველოსთვის მოწოდებულ ბუნებრივ აირზე ფასები აწია, საქართველოს ეკონომიკას საკმაოდ დიდი პრობლემები შეუქმნა, საქართველომ შესაბამისად დაიწყო ახალი მომწოდებლის ძიება, 2006 წელს ჩინეთში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებული ამ ვიზიტის ერთ-

ერთი მიზანი იყო ასევე ენერგორესურსების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ჩინურ მხარესთან მოლაპარაკებების წარმოება. ჩინეთისა და საქართველოს ენერგორესურსების სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებით სვენ ჟუანგჯი თვლის, რომ საქართველო საკუთარი რესურსების სიმცირის გამო, საერთაშორისო ბაზარზე რესურსების გასაღების კუთხით შეზღუდულია, ამიტომ ენერგორესურსების სფეროში ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სარგებლისმომტანია. იგულისხმება, მაგალითად ჩინეთის კაპიტალის, დანადგარების და ტექნიკის გამოყენებით საქართველოში ნავთობის და გაზის მოპოვება და ტრანსპორტირება, ასევე ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის სფეროში თანამშრომლობა [徐伟, 2006].

თუმცა მიუხედავად იმისა ჩინეთისა და საქართველოს თანამშრომლობის ობიექტი ენერგორესურსების სფერო იქნება, თუ ღვინო, ჩენ უიჟუნგი აღნიშნავს: „მთავარია, ორი ქვეყნის ეკონომიკურ თანამშრომლობაში მოიძებნოს საერთო წერტილები და აქედან მოხდეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება.“ ის ასევე თვლის, რომ ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერება უნდა მოხდეს ნაბიჯ-ნაბიჯ, „საჭიროა მხარეებმა გულმოდგინედ გამოიკვლიონ თანამშრომლობის პერსპექტივები.“ – აღნიშნავს ექსპერტი [徐伟, 2006]. პუბლიკაციაში მოყვანილია მ. სააკაშვილის ჩინეთში ვიზიტის დროს მისი თანმხლები „მაღალჩინოსნის“ სიტყვები იმის თაობაზე, რომ ღვინო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველია და მის ჩინეთში ექსპორტს კარგი პერსპექტივები აქვს, „ქართველებმა ღვინით უნდა შეაღონ ჩინეთის დიდი ბაზრის კარები...“. ჩინელი ექსპერტების აზრით, თუ ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაცია და რეალიზაცია სათანადოდ წარიმართებოდა, საქართველო ქართული ღვინის ჩინეთის ბაზარზე გასაღებით შეძლებდა რუსეთთან შეჩერებული ღვინის ექსპორტით მიღებული ზარალის დაბალანსებას [徐伟, 2006].

2007 წელს საქართველოში ოპერირება დაიწყო „ჰუალინგ ჯგუფმა“, რომელმაც 8 პროექტით (რომელთა შორისაა ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, „თბილისის ზღვის ახალი ქალაქი“ რომელმაც თბილისის 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიადას უმასპინძლა) განახორციელა 500 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია საქართველოში [Hualing Group, 2017; Larsen, 2017: 7-8; ლარსენი, 2017: 9], ჰუალინგ ჯგუფმა დაასაქმა 3000-ზე მეტი ადამიანი [Larsen, 2017: 8; ლარსენი, 2017: 9]. ჩინურმა კომპანიებმა ფეხი მოიკიდეს ასევე საქართველოს მომსახურების სექტორშიც, საფინანსო, სატელეკომუნიკაციო და ტურიზმის სფეროებში. საფინანსო სფეროში, აღსანიშნავია ჰუალინგ ჯგუფის მიერ ბაზისბანკის საკონტროლო პაკეტის შესყიდვა, ბანკმა 5 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზი მიიღო სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჩინეთის განვითარების ბანკისგან, რაც

უცხოურ ინვესტიციებსა და ვაჭრობაში ჩინეთის სახელმწიფოს ჩარევის მაგალითია [Larsen, 2017: 5; ლარსენი, 2017: 9-10]. თანამშრომლობის პროექტების თვალსაზრისით, 2009 წელს კომპანია “China Railway Eryuan Engineering Group CO. LTD” და “Sinohydro” შემოვიდა საქართველოში და ამავე წელს გაფორმდა შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთის მთავრობებს შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ [专访, 2010]. პირველი ასეთი შეთანხმება გაფორმდა 2005 წელს, რის შემდეგაც ის მუდმივად განიცდის განახლებას [ორმხრივი ხელშეკრულებები]. აღსანიშნავია, რომ რიკოთის უღელტეხილის გვირაბებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობასაც ჩინური კომპანიები ახორციელებენ.

2012 წ. 23-25 სექტემბერს საქართველოში ჩინეთიდან ჩამოვიდა დელეგაცია საერთაშორისო ვაჭრობის წახალისების კომისიის ხელმძღვანელის ვან ძიფვეის ხელმძღვანელობით. დელეგატებს შორის იყვნენ რამდენიმე ჩინური მსხვილი კორპორაციის წარმომადგენლები, ასევე ჩინელი და ქართველი დიპლომატები. 24 სექტემბერს ვიზიტით ჩამოსულ ვან ძიფვეის შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრი ვანო მერაბიშვილი. ვან ძიფვეიმ აღნიშნა, რომ საქართველოში იგრძნობა პოლიტიკის სტაბილურობა და ეკონომიკის მდგრადი განვითარება. ორი ქვეყნის მთავრობათა ხელმძღვანელების მიერ გამოჩენილი დიდი ყურადღების დამსახურებით ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას დიდი წინსვლები აქვს, ჩინეთის საწარმოებმა საქართველოში ბევრი ბიზნეს შესაძლებლობა აღმოაჩინეს და უკვე დაიწყეს ინვესტიციების განხორციელება. დღესდღეობით ვაჭრობის, ინვესტიციების, სასარგებლო წიაღისეულის, ინფრასტრუქტურის, ტურისტულ და ბევრ სხვა სფეროში დავიწყეთ თანამშრომლობა. ვან ძიფვეიმ აღნიშნა, რომ რაც შეეხება ჩინეთ-საქართველოს ვაჭრობაში დღესდღეობით არსებული დისბალანსის პრობლემას, ჩინური მხარე კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოში ჩინური საწარმოების ჩამოსვლას და მათ მიერ აქ ინვესტიციების განხორციელებას, იგი ასევე მოუწოდებს ჩინელ ხალხს საქართველოში მოგზაურობისკენ და პირობას დებს, რომ გაზრდის ღვინის და სხვა ქართული პროდუქციის იმპორტს. მართალია დღესდღეობით ჩინური საწარმოები ჯერ კიდევ კარგად არ იცნობენ საქართველოს, ამიტომ ჩინეთის ვაჭრობის წახალისების კომიტეტს სურს ჩინეთში არსებულ საქართველოს საელჩოსთან, საქართველოს სავაჭრო პალატასთან ითანამშრომლოს, გამართოს ფორუმები სპეციალურ თემებზე, გააცნოს ჩინურ საზოგადოებას საქართველოს საინვესტიციო გარემო და ინვესტორების მოზიდვის პოლიტიკა, ასევე დაიგეგმოს ძლიერი ჩინური საწარმოების საქართველოში შემოსვლა და საინვესტიციო გარემოს შესწავლა [9 月 23-25 日, 2012].

3. მერაბიშვილმა შეხვედრის მსვლელობისას აღნიშნა, რომ ის მოხარულია, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობა დღითიდღე აქტიურდება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და მისი ბაზრის მასშტაბები მცირეა, ის ნამდვილად წარმოადგენს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ, სამართლიან და დაბალი გადასახადების პოლიტიკის მქონე ქვეყანას, მით უმეტეს, რომ საქართველომ უკვე მოაწერა ხელი ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, რითაც უცხოელი ინვესტორებისთვის კიდევ უფრო მეტი მიმზიდველობა შეიძინა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა ინარჩუნებს 7-8 პროცენტთან ზრდას, რაც კარგი გზავნილია ჩინური საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში შემოსვლას და ინვესტირებას გეგმავენ. ვ. მერაბიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღესდღეობით ჩინეთის ბევრი მსხვილი საწარმო ახორციელებს საქართველოში რკინიგზის, ჰიდროენერგეტიკის, მაგისტრალების მშენებლობის და სხვა სფეროებში საინვესტიციო თანამშრომლობას, ჩინეთის ფინანსური სექტორის საწარმოებიც აგრეთვე შემოვიდნენ ქართულ ბაზარზე, საქართველოში მიმდინარე პროექტების უმრავლესობაში მონაწილეობენ ჩინური საწარმოები, ჩინეთის მთავრობის მხარდაჭერით ურუმჩისა და თბილისს შორის პირდაპირი საჰაერო რეისები დაინიშნა; ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და საწარმოთაშორისი ურთიერთობები უფრო მოსახერხებელი გახდა. პრემიერმა ასევე მიუთითა, რომ დღესდღეობით ჩინეთი საქართველოს მეოთხე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. მან გამოთქვა რწმენა, რომ ჩინეთი ძალიან მალე გახდება მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყანა და იქნება საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი. წინა წლიდან მოყოლებული საქართველომ ჩინეთით და აზიის ქვეყნებით ჩაანაცვლა ევროპა, როგორც საქართველოს საგარეო ურთიერთობების განვითარების ცენტრი, საქართველოს მთავრობას იმედი აქვს, რომ უფრო და უფრო მეტი ჩინელი ინვესტორი ჩამოვა საქართველოში ინვესტიციების განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის სწრაფ ზრდას [9 月 23-25 日, 2012].

ვან ძიფვეი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ასევე საქართველოს ეკონომიკის მინისტრს ვერა ქობალიას, ფინანსთა მინისტრს ალექსანდრე ხეთაგურს, სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს კახა ბაინდურაშვილს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს და საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარეს ნიკა გილაურს [9 月 23-25 日, 2012]. ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ ვან ძიფვეისთან შეხვედრის დროს ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბევრი ჩინური საწარმო შემოვიდა ქართულ ბაზარზე; მან ისაუბრა ჩინური კომპანიის მიერ აშენებული იუსტიციის

სახლის შესახებ, რომლის გახსნის ცერემონიაში პირადად მიიღო მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტმა [万季飞, 2012].

ვან ძინფვის თქმით, დელეგაციის წევრი საწარმოების უმრავლესობა პირველად იყო საქართველოში, ისინი ადფრთოვანებაში მოიყვანა ქვეყნის ეკონომიკურმა მიღწევებმა, მათ შეიგრძნეს საქართველოს განვითარების სწრაფი ტემპები. „ჩვენი მისიაა – აღნიშნა სტუმარმა, – დავხმაროთ ჩინურ საწარმოებს კონტაქტების დამყარებაში და გავაძრმავოთ ურთიერთგაგება“. ვან ძინფვიმ წამოაყენა იდეა მხარეებს ეთამაშათ მეწარმეთა ასოციაციის როლი და შეექმნათ საწარმოებისთვის თანამშრომლობის პლატფორმა, რასაც მოწონებით შეხვდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრი და, თავის მხრივ, გამოთქვა იმედი, რომ ჩინური მხარე ყურადღებით მოეკიდებოდა ჩინეთის, ყაზახეთის, საქართველოს და თურქეთის ერთობლივი მონაწილეობით განხორციელებულ „აბრეშუმის გზის“ სატრანსპორტო თანამშრომლობის ერთობლივ პროექტებს; ასევე მოუწოდა ჩინურ საწარმოებს ესარგებლათ საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული უპირატესობით და საქართველოს გავლით საკუთარი პროდუქცია გაეტანათ ევროპის ბაზარზე. ვ. ქობალიამ გააცნო ჩინელ სტუმრებს საქართველოს მთავრობის მეორე საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები, მოუწოდა ჩინურ საწარმოებს მეტი ყურადღება დაეთმოს საქართველოს ჰიდროენერგორესურსების ათვისების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების, ტურიზმის, სასტუმროების შენების და სხვა საინვესტიციო პროექტებისთვის. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე ჩინეთის ელჩი საქართველოში ჩენ ძინფვუ, მრჩეველი სავაჭრო ეკონომიკურ საკითხებში ლიუ პო და საქართველოს ელჩი ჩინეთში მამუკა გამყრელიძე [万季飞, 2012].

2013 წლის შემოდგომაზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ სი ძინფინგმა ყაზახეთში და სამხრეთ ინდონეზიაში გააჟღერა „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“ უდიდესი ინიციატივები, რამაც დასაბამი დაუდო „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მასშტაბურ პროექტს [习近平, 2019]. სარტყელისა და გზის ინიციატივა მიზნად ისახავს ჩინური საქონლისთვის სავაჭრო გზების გახსნას და ჩინეთის დასავლეთი ნაწილის, მათ შორის არასტაბილური სინძიანის სასაზღვრო რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სარტყელისა და გზის ინიციატივის მიზანი ასევე არის რუსეთიდან და ცენტრალური აზიიდან ჩინეთში მიმავალი ენერგორესურსების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამ პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მიღწეული იქნება ჩინეთის მთავრობის მიერ დასახული სტრატეგიული ამოცანები:

1. პერიფერიაში მშვიდობის შენარჩუნება, რასაც ეკონომიკური განვითარება და ანტიტერორისტული თანამშრომლობა შეუწყობს ხელს;
2. მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება (უცხოურ ბაზრებზე წვდომის შენარჩუნების მეშვეობით);
3. შიდა წესრიგის შენარჩუნება;
4. საერთაშორისო სტატუსის შენარჩუნება (ევრაზიაში რეგიონული ძალის სტატუსის მოპოვებით) [Larsen, 2017: 12; ლარსენი, 2017: 13].

აღნიშნული ინიციატივა მოიცავს ექვს დერეფანს, რომელიც ჩინეთს ევროპასთან სხვადასხვა სახმელეთო გზით აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირდაპირაა ჩართული ჩინეთი – ცენტრალური აზია – დასავლეთ აზიის დერეფანში [Larsen, 2017: 13; ლარსენი, 2017: 14]. რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ ბოსფორის სრუტეზე აზიის ევროპასთან დამაკავშირებელ იავუზ სულთან სელიმის ხიდთან ერთად საქართველოს ევროპასთან უწყვეტი სარკინიგზო კავშირი ექნება. საქართველოს ასევე შეუძლია ევროპაში საზღვაო გასასვლელის უზრუნველყოფა ბათუმის, ფოთის და ანაკლიის პორტების მეშვეობით [Larsen, 2017: 15; ლარსენი, 2017: 17]. აღსანიშნავია, რომ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივამ, საქართველოსთვის შექმნა შესაძლებლობა გახდეს ორი ახლადშექმნილი რეგიონული ფორმატის GUAM-ისა და აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამხრეთი თანამშრომლობის ინიციატივის დამაკავშირებელი ცენტრი, GUAM-ის ფარგლებში საქართველოს უნიკალური ადგილმდებარეობა აქვს შავი ზღვის პორტით ჩინეთის უკრაინასთან და მოლდოვასთან დასაკავშირებლად. ეს კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან უკრაინა-ჩინეთის ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წლის შემდეგ [Larsen, 2017: 15; ლარსენი, 2017: 17].

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წლის სექტემბერში ჩინეთის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. მან მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში („სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის შესაძლო განვითარების პერსპექტივები“) და გამოკვეთა საქართველოს მნიშვნელოვანი როლი გლობალურ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ანაკლიის პორტის რეგიონალური მნიშვნელობა. 11 სექტემბერს შედგა შეხვედრა საქართველოს ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ მინისტრს ლი ქეციანგს შორის. მათი საუბარი ეხებოდა საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, საინვესტიციო და ტურიზმის მიმართულებით პარტნიორობის განვითარებას.

რებას და არსებულ პოტენციალს. საუბარი შეეხო ახალ აბრეშუმის გზასაც. გ. კვირიკაშვილი ასევე სინდიანის პროვინციასაც ესტუმრა სადაც სინდიან-უილურეთის ავტონომიური რაიონის მთავრობის თავმჯდომარეს ნურ ბექირს შეხვდა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და ურუმჩის მერი. გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა ბიზნეს წრეების წარმომადგენლებსაც, საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედებამ და ჩვენი ქვეყნის ბიზნესგარემომ დიდი დაინტერესება გამოიწვია მათში (საუბარია ინვესტირებაზე ისეთ სექტორებში, როგორიცაა წარმოება, ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ტრანსპორტი და სხვა.). ვიცე-პრემიერმა მონახულა „TBEA“-ს სათავო ოფისი და საწარმო, ეს კომპანია ენერჯეტიკის სფეროში მოღვაწეობს და ამზადებს დანადგარებს, გ. კვირიკაშვილმა მათ საქართველოში საწარმოს გახსნა შესთავაზა [საქართველოს ვიცე-პრემიერის, 2014].

ქართულ-ჩინური ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის კომერციის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დონეზე 2015 წლის 9 მარტს პეკინში ხელმოწერილი ერთობლივი კომუნიკე ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიზანშეწონილობის კვლევის დაწყების შესახებ. შეთანხმების გაფორმებით ხელი უნდა შეწყობოდა ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ვაჭრობის ოპტიმიზაციას, ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში კოოპერაციის ხელშეწყობას, საინვესტიციო თანამშრომლობის გაძლიერებას. აღსანიშნავია რომ ჩინეთის პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა აბრეშუმის გზის ფონდი 40 მილიარდი აშშ დოლარის კაპიტალით [中国与格鲁吉亚, 2015a; ჩინეთსა და საქართველოს შორის, 2015].

2015 წლის 9 მარტს გიორგი კვირიკაშვილი შეხვედრას მართავს აბრეშუმის გზის ფონდის ხელმძღვანელთან – ვანგ იანძისთან. საქართველოს დელეგაცია პირველი იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებიდან, რომელმაც შეხვედრა გამართა ფონდის ხელმძღვანელობასთან. ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში კვირიკაშვილი აგრეთვე შეხვდა ვაჭრობის მინისტრს კაო ხუჩენგს და ჩინეთის ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის თავმჯდომარეს ლი ძინწაოს [საქართველოს ვიცე-პრემიერის, 2014]. ამ უკანასკნელთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე; ვიცე-პრემიერის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩინეთის მოქალაქეებისთვის ვიზის პროცედურების გამარტივების შესახებ, დაიგეგმა ჩინური ტურისტული კომპანიების ვიზიტი საქართველოში, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ადგილზე შესწავლის მიზნით [კვირიკაშვილი, 2015].

2015 წლის 11 მარტს შპს „ჩინეთის ხუასინის ენერგორესურსების კომპანიის“ (CEFC – China Energy Company Limited) წარმომადგენლობა ჩამოვიდა საქართველოში, კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იე ძიენმინგთან შეხვედრა გამართა საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა [王晓华、朱明刚, 2015].¹ ის ფაქტი, რომ ჩინურ კომპანიასთან შეხვედრას მართავს საქართველოს მთავრობის მეთაური, პირდაპირ მიუთითებს მის მნიშვნელობაზე. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ენერგორესურსების, ფინანსების, კულტურის და სხვა მრავალ სფეროში თანამშრომლობის შესახებ, იე ძიენმინგმა აღნიშნა, რომ სი ძინფინგის მიერ ინიცირებული ახალი აბრეშუმის გზის განვითარების სტრატეგია ჩინეთის და საქართველოს საწარმოების მხარდამხარ განვითარებისთვის და ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობისთვის საუკეთესო შესაძლებლობაა. კომპანიამ გამოთქვა ენერგორესურსების გადამუშავების, ბუნებრივი აირის გენერატორების და სხვა საწარმოო პროექტებში ქართულ მხარესთან თანამშრომლობის სურვილი, ასევე ფინანსების სფეროში თანამშრომლობის დაწყების, კაპიტალის ერთობლივი შექმნა-შესყიდვის საკითხებში თანამშრომლობის დაწყების სურვილი. ასევე იე ძიენმინგი გამოვიდა წინადადებით ჩაეტარებინათ „ენერგორესურსების ფონდის და კულტურული ურთიერთობების ფორუმი“ [王晓华、朱明刚, 2015].

ი. ღარიბაშვილმა მოიწონა იე ძიენმინგის იდეა და აღნიშნა ამ კორპორაციის როლი ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში და ასევე აღნიშნა, რომ „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ სტრატეგია ნამდვილად მოუტანს სარგებელს ტრადიციული აბრეშუმის გზის მოსაზღვრე ბევრ ქვეყანას და ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის, ენერგორესურსების, ტრანსპორტის, კულტურის და სხვა სფეროებში რეგიონულ თანამშრომლობას. საქართველოს გააჩნია კარგი საინვესტიციო გარემო და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთის მთავრობასთან და საწარმოებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის გაძლიერებას. მან ხუასინის თავმჯდომარე დაპატიჟა თბილისის რიგით პირველ აბრეშუმის გზის ფორუმში მონაწილეობის მისაღებად [王晓华、朱明刚, 2015].

2015 წლის მაისში კი პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა საქართველოში ვიზიტით ჩამოსულ ჩინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციას მინისტრის ხან ჩანგფუს ხელმძღვანელობით. მხარეებმა შეხვედრაზე ისაუბრეს სოფლის მეურნეობის დარგში ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე და

¹ კომპანია, რომელიც მისდევს საერთაშორისო ენერგორესურსების ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების სტრატეგიას და რომელმაც ენერგეტიკის სექტორში ოპერირების და ამ სექტორში ინვესტირების მეშვეობით შექმნა ორგანიზაცია ენერგორესურსების „საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი“ [CEFC, 2019].

გაცვალეს იდეები ამასთან დაკავშირებით. პრემიერმა ღარიბაშვილმა საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს სურს აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მშენებლობის ჩარჩოებში გაააქტიუროს ჩინეთთან სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში თანამშრომლობა. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი გიორგი კვიციანი, სოფლის მეურნეობის მინისტრი *ოთარ დანელია* და სხვები [龙新, 2015].

ვიზიტის ფარგლებში ხან ჩანგფუმ თავის ქართველ კოლეგა *ოთარ დანელიასთან* გამართულ მოლაპარაკებებზე განიხილა სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის კუთხით თანამშრომლობის მექანიზმების, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის და აგრარული საინვესტიციო თანამშრომლობის გაძლიერების საკითხები. მხარეებმა მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ხელი მოაწერეს „*ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის 2015-2016 წლების სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის სამოქმედო გეგმას*“ [龙新, 2015].

2015 წლის სექტემბერში საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა „*ჩინეთის რკინიგზის სამშენებლო კორპორაციასთან*“, რომელიც წარმოადგენს ჩინეთში მოქმედ უმსხვილეს კორპორაციას ჩინეთის ინფრასტრუქტურის მშენებლობის მთავარ ძალას, ჩინეთში და მსოფლიოში პირველ ადგილზე მდგარ მაღალი დონის კორპორაციას, რომელსაც მსოფლიოს უამრავ ცნობილ პროექტში აქვს თავი გამოჩენილი. კორპორაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ჟუანგ შანგპიანომ პრემიერთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო მათთვის მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს; კორპორაცია აპირებს საქართველოს მთავრობასთან და შესაბამის საწარმოებთან სხვადასხვა სფეროში განავითაროს აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის რკინიგზის, ავტომაგისტრალების, პორტების, ჰიდროტექნიკის ინფრასტრუქტურის მშენებლობის კუთხით და წვლილი შეიტანოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში [张少峰、张岩, 2015].

ირ. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო პრემიერ მინისტრის ამპლუაში მისი პირველი ვიზიტი ჩინეთში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ის ოდითგანვე ძველი აბრეშუმის გზის განუყოფელი ნაწილი იყო. ჩვენ დიდ მხარდაჭერას ვუცხადებთ სი ძინფინგის მიერ გამოთქმულ „*ერთი სარტყელი, ერთი გზის*“ ინიციატივას, ასევე ჩინეთის ინიციატივას აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დაარსების შესახებ, საქართველო წარმოადგენს 45-ე ქვეყანას რომელიც გახდა ამ ბანკის წევრი; ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ ძალიან მალე ქვეყნებს შორის ხელი მოეწერება თავისუფალი

ვაჭრობის შეთანხმებას. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველო მოუწოდებს ჩინელ ინვესტორებს საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისკენ. მხარეებმა ინფრასტრუქტურის მშენებლობის საკითხების ირგვლივ საქმიანი მოლაპარაკება გამართეს და მიაღწიეს აზრთა ერთიანობას. შეხვედრის ბოლოს ჩინეთის რკინიგზის სამშენებლო კორპორაციამ საქართველოს ორ საწარმოსთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვიციანი, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ჟემსიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე და საქართველოს მთავრობის სხვა წარმომადგენლები, ასევე საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე, ჩინური მხრიდან კი ამ კორპორაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ ასევე შვილობილი კომპანიის „ჩინეთის რკინიგზის ოცდამესამე ბიუროს“ ხელმძღვანელი პირებიც [张少峰、张岩, 2015].¹

ამ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მეთაურმა მოინახულა კიდევ ერთ დიდი საწარმო ტალიენის ლოკომოტივის და რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის საწარმო და კომპანიის ხელმძღვანელობასთან გამართა მოლაპარაკებები „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრის ბოლოს მხარეთა შორის გაფორმდა მაღალსიხშირიანი ცვლადი დენის ლოკომოტივების წარმოების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ამ დოკუმენტის გაფორმებით საქართველო და ჩინეთი სარკინიგზო მოწყობილობის სფეროში ნამდვილ თანამშრომლობას იწყებდნენ, რაც დიდ როლს ითამაშებდა მომავალში საერთაშორისო ლოგისტიკური გზების შეუფერხებლად გავლის საქმეში, „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ სტრატეგიაში ქვეყნების ღრმა ინტეგრაციის და აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის სარკინიგზო ხაზის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საქმეში [邢毅, 2015].

აღსანიშნავია, რომ საქართველო რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტის წევრია, რომელსაც ჩინეთი ხელმძღვანელობს, მათგან ერთერთი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკია (AIIB). აღსანიშნავია, რომ 2015 წელს თბილისმა AIIB-ის მთავარი მოლაპარაკებების რიგით მე-6 შეხვედრას უმასპინძლა. ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველო „სტრატეგიულადაა განთავსებული შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის, რაც მას რეგიონული სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას სძენს. სატრანსპორტო და

¹ აღსანიშნავია რომ ამ კომპანიასთან მოლაპარაკებები 2010 წელს საქართველოს მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა ნიკა გილაურმა დაიწყო. მაშინ უკვე შემოსული იყო საქართველოში ამ კორპორაციის შვილობილი კომპანია „ჩინეთის რკინიგზის ოცდამესამე ბიურო“, რომელმაც იკისრა თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა [马鹏飞, 2010].

სხვა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით ბანკს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონული ვაჭრობის განვითარებაში დასავლეთ აზიის, ცენტრალური აზიის და ევროპის უფრო მეტად დაკავშირებით“ [Larsen, 2017: 9; ლარსენი, 2017: 10]. 2015 წლის ივნისში საქართველომ აზიის ინფრასტრუქტურის ინვესტიციების ბანკთან ხელი მოაწერა 114 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბათუმის შემოვლითი გზის პროექტს დააფინანსებს, ამ პროექტის მიზანია საქართველოსა და თურქეთს შორის კომერციული ტრანსპორტის მიმოსვლის ხელშეწყობა, რომელიც როგორც ჩინეთის, ისე საქართველოს ინტერესებსაც ემსახურება. ჩინეთისთვის კი საქართველო მისი სატრანსპორტო კვანძის ფუნქციის გამო არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან მას „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში აზიის ევროპასთან დაკავშირება შეუძლია [Larsen, 2017: 9; ლარსენი, 2017: 10].

აღსანიშნავია, რომ 2016 წ. 5 აპრილს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალურმა სავაჭრო პალატამ გააფორმეს შეთანხმება სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ. ამასთანავე, აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალურმა სავაჭრო პალატამ საქართველოს დედაქალაქ თბილისში გამართა „აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატის მსოფლიო „ქუჩის მოუ“. სადაც მოხდა სწორედ გენერალური სავაჭრო პალატის მიერ ინიცირებული „ინტერნეტ აბრეშუმის გზის“, „აბრეშუმის გზის საერთაშორისო განვითარების ფონდის“, „აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატის ანალიტიკური ცენტრის ბლოკის“ და სხვა საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების საქართველოს სხვადასხვა სფეროს წრეებისთვის წარდგენა. როგორც უკვე აღინიშნა, „ქუჩის მოუს“ ღონისძიებას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი [格鲁吉亚第一, 2018a].

2016 წ. 27 ივლისს, აბრეშუმის გზის საერთაშორისო გენერალური სავაჭრო პალატის მიერ ორგანიზებული „ინტერნეტ აბრეშუმის გზა – ქართული ღვინის ზაფხულის“ საზეიმო ცერემონია გაიმართა შანხაის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში. ამ ღონისძიების შედეგად, საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდირებული ქართული ღვინო იქცა პირველ პარტიად, რომელიც „ინტერნეტ აბრეშუმის გზის“ საშუალებით შევიდა ჩინეთის „ერთი სახელმწიფო, ერთი პროდუქტის“ ფარგლებში [格鲁吉亚第一, 2018a].

საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების გზაზე საეტაპო მოვლენადაა მიჩნეული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, ხელი მოეწერა 2017 წლის 13 მაისს პეკინში [中国与格鲁吉亚,

2017; საქართველოსა და ჩინეთს შორის, 2017b. აღნიშნული დოკუმენტის ქართული ორიგინალი იხ. **საქართველოს მთავრობასა, 2017.** შდრ. ჩინური ორიგინალი – 中国-格鲁吉亚 – 中国-格鲁吉亚自由贸易协定, **2017**]. 2018 წ. 1 იანვარს საქართველო ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმება ოფიციალურად შევიდა ძალაში. ოდნავ მოგვიანებით – 2019 წლის თებერვალში – ძალაში შევიდა საქართველოს და ჰოგკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რაიონს შორის დადებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაც [中国同格鲁吉亚, **2020**]. ეს იყო დაგვირგვინება ამ მიმართულებით ადრე გამართული დიპლომატიური კონსულტაციებისა.

ზემოთ უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები 2015 წლის დეკემბერში დაიწყო [ჩინეთსა და საქართველოს შორის, **2017**], თუმცა პირველ კონსულტაციებს ამ საკითხზე ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 2015 წლის სექტემბერში, როდესაც ჩინეთში ქალაქ თიენძინში გამართული დავოსის საზაფხულო ფორუმის ფარგლებში ჩინეთის პრემიერ მინისტრი ლი ქეციანგი შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს. ამ შეხვედრისას მათ ისაუბრეს ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დაჩქარების თაობაზე [ამის შესახებ იხ.:王金海、赵成、王莉, **2015**]. საერთო ჯამში შედგა სამი ოფიციალური მოლაპარაკება და სამი არაოფიციალური შეხვედრა. ეს იყო ევროპისა და აზიის რეგიონში ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ პირველი მოლაპარაკებები. შეთანხმების მიღწევის გზაზე გადამწყვეტი იყო ორი სახელმწიფოს მთავრობების სახელით გააფორმებული „ურთიერთგაგების შემორანდუმი ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების არსებითად დასრულების შესახებ (关于实质性结束中国-格鲁吉亚自由贸易协定谈判的谅解备忘录)“, რომელსაც ხელი მოეწერა 2016 წლის 5 ოქტომბერს [ჩინეთსა და საქართველოს შორის, **2017**].

„თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების“ გაფორმება, მკვლევართა აზრით, კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივაში საქართველოს მონაწილეობა. ამ მხრივ ყურადღება ექცევა იმ უპირატესობებს, რაც გააჩნია საქართველოს:

1. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირთან და ჩინეთთან;
2. შავ ზღვაზე გასასვლელი და სახმელეთო გზა თურქეთთან, რაც ჩინეთს ევროკავშირთან ვაჭრობის უფრო ეფექტურ პლატფორმას სთავაზობს;
3. ხელსაყრელი მდებარეობა ორ რეგიონულ ფორმატს შორის, რომელიც მნიშვნელოვანია „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის წარმატებით განხორციე-

ლებისტვის. ესენია – საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლოვას (GUAM) გაერთიანება და აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატი [Larsen, 2017: 4; ლარსენი, 2017: 4].

ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ტერიტორიული სიმცირის გათვალისწინებით ჩინეთის მხრიდან სულ მცირე ძალისხმევაც საკმარისია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შედეგების მოსატანად. ასევე კიდევ ერთი სარგებელი ის არის, რომ რეგიონში ჩინეთის ჩართულობას შეუძლია გაზარდოს რუსეთის მხრიდან მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს დესტაბილიზაციის ფასი, რაც შეცვლის რუსეთის სტრატეგიულ გათვლებს. რუსეთზე ამგვარი ზემოქმედება შეამცირებს გეოპოლიტიკურ წნეხს საქართველოზე და მას უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება [Larsen, 2017: 4; ლარსენი, 2017: 4].

2018 წლის ოქტომბერში საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ჯგუფის მოწვევით ხუნანის პროვინციის ვიცე-თავმჯდომარის ტაი ტაოძინის ხელმძღვანელობით ჩინური დელეგაცია ეწვია საქართველოს, როგორც „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მოსაზღვრე ქვეყანას და ცალცალკე შეხვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს გიორგი ხანიშვილს და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრს ნათია თურნავას. მათ განიხილეს ხუნანის სოფლის მეურნეობის ჯგუფის მიერ ჩინეთის დახმარებით საქართველოში განხორციელებული აგრარული პროექტის სათბურების მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოების საკითხები. შეხვედრის დროს ტაი ტაოძინმა ისაუბრა ხუნანის უპირატესობებზე საწარმოო შესაძლებლობებთან და სასოფლო-სამეურნეო, წყლის რესურსებთან დაკავშირებით, მხარეებმა გამოთქვეს იმედი სავაჭრო-ეკონომიკური, ასევე ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერების თაობაზე [陈昂昂、李大源, 2018].

დასასრულს, შეჯამების სახით შეიძლება მოვიტანოთ ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტის ჯოზეფ ლარსენის დაკვირვება-შეფასებები. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ორმხრივი ვაჭრობის მთლიანი მოცულობა 1992 წლიდან 2014 წლამდე 223-ჯერ გაიზარდა, 2017 წლისთვის ჩინეთში საქართველოს ექსპორტის დიდი წილი მინერალებზე (სპილენძი, მადანი, კონცენტრატები) მოდიოდა [Larsen, 2017: 5; ლარსენი, 2017: 6]. ჩინეთი საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წყარო გახდა, 2014 წლისთვის ჩინეთიდან შემოსულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 218 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია და ჩინეთმა ამ კუთხით რიგით მეოთხე ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის, ნიდერლანდების სამეფოს და აშშ-ს შემდეგ [Larsen, 2017: 7-8; ლარსენი, 2017: 9].

ჯ. ლარსენის აზრით, რეგიონულ ინფრასტრუქტურულ ინიციატივა-ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRACEKA), რომლის წევრიც საქართველო 1993 წელს გახდა, „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის საფუძველი გახდება. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ საქართველო მონაწილეობს ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ინიციატივაში (TITR), რომელიც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფორმატის ქვეშ 2016 წლის ოქტომბერში შეიქმნა და ჩინეთს ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით, უკრაინასთან და თურქეთთან დააკავშირებს [Larsen, 2017: 9-10; ლარსენი, 2017: 10-11]. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დრმა ეკონომიკურ ურთიერთობებს გეოპოლიტიკური შედეგიც მოსდევს, იქიდან გამომდინარე რომ მზარდ ეკონომიკურ ჩართულობასთან ერთად იზრდება ჩინეთის ინტერესი საქართველოს სტაბილურობის და უსაფრთხოების მიმართ და ეს ინტერესი უფრო გაღრმავდება, თუ საქართველო „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში საკუთარ ჩართულობას გააფართოვებს [Larsen, 2017: 11; ლარსენი, 2017: 12].

ამ კუთხით, ჯ. ლარსენი მთლიანად იზიარებს ევგენი რუმერის, რიჰარდ სოკოლსკისა და პაულ სტრონსკის დასკვნას: „მიუხედავად იმისა, რომ ჰეკინი და თბილისი უფრო ეკონომიკურ სფეროში არიან პარტნიორები, ვიდრე უსაფრთხოების სფეროში, საქართველოში ჩინურ ინვესტიციებს უსაფრთხოების მიმართულებითაც შეუძლია გაუთვალისწინებელი სარგებლის მოტანა, ჰეკინზე მოსკოვის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების ფონზე, საქართველოში ჩინეთის ყოფნა რუსეთისთვის სავარაუდოდ ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის ფასს გაზრდის“ [Rumer, Sokolsky, Stronsky, 2017; Larsen, 2017: 20; ლარსენი, 2017: 23].

დასკვნა

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში შესრულებული კვლევითი სამუშაოს შედეგები შეიძლება შევაჯამოთ შემდეგნაირად:

1. პირველად ისტორიოგრაფიაში შეიქმნა მეცნიერულად გამართული მონოგრაფიული გამოკვლევა საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებზე გვიან ანტიკური ხანიდან (კოლხეთ-იბერიის ეპოქიდან) XXI ს. დამდეგის ჩათვლით.
2. ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას ზრდის, ის გარემოება, რომ მასში (განსაკუთრებით უახლესი პერიოდის საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ანალიზისას) აქტიურადაა გამოყენებული თვით ავტორის მიერ ნათარგმნი ჩინურენოვანი მასალები, პირველ რიგში, ჩინეთის საინფორმაციო სააგენტოებისა და ჩინური პრესის პუბლიკაციები და სხვ.
3. ნაშრომში მოცემულია დაკვირვებები გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აბრეშუმის დიდი გზის ფუნქციონირებაზე, მის მარშრუტებსა და საქართველოს ჩართულობაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ამ მასშტაბური საერთაშორისო მაგისტრალის მეშვეობით. საქართველო აბრეშუმის გზის ამოქმედებამდე გაცილებით ადრე იყო ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში, უკვე არქაულ და კლასიკურ ხანაში ბერძნული იმპორტი დაფიქსირებულია კოლხეთსა და იბერიაში. ამან ხელი შეუწყო ისეთი გზების ჩამოყალიბებას, რომლებიც შემდგომში აბრეშუმის დიდი გზის შემადგენლობაში შევიდნენ. ამ პერიოდში იბერიის ტერიტორიაზე, წამყვან მაგისტრალურ მნიშვნელობას იძენდა მტკვრის გასწვრივ არსებული გზა. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია *ჰატროკლეს*, *სტრაბონის*, *მარკუს ტერენციუს ვარონის*, *მენანდრეს*, ჩინელი ისტორიკოსის *ჰეი ძუნის* და სხვათა მონაცემებზე, რომლებიც ადასტურებენ დიდი სავაჭრო-საქარავნო გზის ფუნქციონირებას საქართველოს ტერიტორიაზე გავლით. VI ს. II ნახევრიდან ძირითადი სატრანსპორტო სატრანზიტო დატვირთვა გადავიდა აბრეშუმის გზის კავკასიურ მონაკვეთებზე, VI ს. ბოლოდან კი მისი ჩრდილოკავკასიური მიმართულება იქცა რეგულარულად მოქმედ სავაჭრო მაგისტრალად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ამ გზით თვით ჩინელი ვაჭრებიც მიმოდოდნენ, რისი დადასტურება უნდა იყოს მდ. *ყუბანის* შენაკადის *ბოლშაია* ლაბას ზემო წელში მდებარე სამარხში აღმოჩენილი თანის ეპოქის ჩინური ნივთების მთელი კომპლექსი, ჩინური ამოქარგული აბრეშუმისა და ჩინელი

ვაჭრის პირადი სავაჭრო ჩანაწერის ფრაგმენტით. ჩინური ქსოვილების გარდა წინა აზიის გავლით შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოდის ჩინური ფაიფურიც, რომელთა ფრაგმენტები აღმოჩნდა მსხვილი სავაჭრო ქალაქის ანისისა და ქალაქ დმანისის გათხრების დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე 1993 წელს მცხეთიჯვარში აღმოჩენილ ერთადერთ ჩინურ მონეტას, რომელიც 1200 წლით თარიღდება.

4. ჩინეთზე და ჩინელებზე გარკვეული ცოდნა გააჩნდათ შუა საუკუნეების საქართველოში. ამაზე მეტყველებს არამხოლოდ არქეოლოგიური არტეფაქტები, არამედ ქართული წერილობითი ტრადიცია. კერძოდ, ჩინეთის აღმნიშვნელი სახელწოდებების – „ჩინი“, „ჩინეთი“, „მაჩინეთი“, „ჩინ-მაჩინი“, „ხატაეთი“ სიხშირე – ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. ნაშრომში ამ კუთხით გაანალიზებულია XI საუკუნის სპარსული პოემა „ვისრამიანის“ თარგმანის, იოანე შავთელის „აბდულმესიანის“, სარგის თმოგველის „დილარიანის“, ჩახრუხადის „თამარიანის“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, უცნობი ავტორის „რუსუდანიანის“, „ქართლის ცხოვრების“ ჟამთააღმწერლის სახელით ცნობილი მემატიანის ქრონიკის, ფეშანგი ფაშვიბერტყაძის (ხითარიშვილის) პოემა „შაჰნავაზიანის“, რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობების ჩანაწერების მასალები.
5. XIX-XX საუკუნეებში კიდევ უფრო გაიზარდა ქართულ-ჩინური ურთიერთცნობადობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოში მოღვაწე ჩინელებმა, პირველ რიგში, ლიუ წვენჭოუმ, რომელიც რუსეთში და საქართველოში ლაო გინგაოს სახელითაა ცნობილი და რომელთანაც ასოცირდება საქართველოში ჩაის კულტურის დანერგვა-განაშენიანება, ჩაის ნერგების ორანჟერეისა და ჩაის გადამამუშავებელი პირველი მცირე ფაბრიკის შექმნა. არანაკლებ მნიშვნელოვანია პირველი ქართული სათვისტომოს უადრესად ნაყოფიერი საქმიანობა ჩინეთში – ქალაქ ხარპინში (ხარბინი), რომელიც ოფიციალურად ასრულებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობის (საკონსულოს) ფუნქციას მანჯურიაში და მის ფარგლებს გარეთაც – აღმოსავლეთ ციმბირის რეგიონში.
6. საბჭოთა პერიოდში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ჰქონდა გარკვეული ურთიერთობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. საქართველოს სტუმრობდნენ ჩინეთის კომუნისტური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ცნობილი ჩინელი პარტიული და სახელმწიფო მოღ-

ვაწის მარშალ ჟუ დეს საქართველოში ვიზიტი თბილისში, რომელიც დაემთხვა 1956 წლის 5-9 მარტის მღელვარებებს. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში წარმოდგენილია საინტერესო მასალა ერთ-ერთი ჩინური პუბლიკაციიდან, რომელიც ეკუთვნის ამ მოვლენების უშუალო მონაწილეს, ჩინური დელეგაციის წევრს (თარჯიმანს) ჟაო ჟუნგიუნს. ეს მასალა ასევე პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო სივრცეში. ქართულ-ჩინურ კულტურულ კონტაქტების კუთხით სადისერტაციო ნაშრომში ყურადღება გამახვილდა შესახებ ცნობილი ქართველი პოეტების *ალიო მირცხულავასა და ხუტა ბერულავას* ჩინეთში მოგზაურობის ამსახველი ნარკვევების მასალებზე.

7. ნაშრომის ცენტრალურ თემას წარმოადგენს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ურთიერთობების ანალიზი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან XX საუკუნის მიწურულიდან დღემდე. რეალურად სწორედ ამ დროიდან ეყრება საფუძველი საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობებს სახელმწიფო დონეზე. სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი (IV-VI თავები) ძირითადად აგებულია ჩინურ პერიოდულ პრესასა და სხვა საინფორმაციო საშუალებების პუბლიკაციებზე. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი დონის წარმომადგენელთა ოფიციალური ვიზიტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ჩინური მხარის მნიშვნელოვანი ვიზიტები საქართველოში.
8. ნაშრომში ცალკე გაშუქებულია საქართველოს-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, როგორც ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველი. პეკინსა და თბილისს შორის შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან განვლილი 30 წლის განმავლობაში ჩინეთი გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს პარტნიორად სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს აქტიური ჩართულობა ჩინეთის დღევანდელი ლიდერის, *სი ძინფინგის* მიერ ინიცირებული მასშტაბური პროექტის – „*ერთი სარტყელი, ერთი გზის*“ – განხორციელებაში. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა სრულიად ახალ პერსპექტივებს შლის საქართველოს წინაშე და მყარი გარანტიაა იმისა, რომ ახლო მომავალში ქვეყანა შეიძენს ევრაზიის შემაერთებული სატრანსპორტო-სატრანზიტო ჰაბის ფუნქციას.

ასეთია ზოგადად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში წამოჭრილი და განხილული საკითხების ჩამონათვალი და ძირითადი დასკვნები.

ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა ფ ი ა

1. **აბულაშვილი, 2013 – ია აბულაშვილი.** როგორ გაჩნდა პირველი ჩაის ბუჩქი საქართველოში. – *რეზონანსი* (გაზეთი). 02.12.2013.
2. **არიანე, 1961 – ფლავიუს არიანე.** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა *ნათელა კეჭყმაძისა*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1961.
3. **არომიძე, 2017a – ჰაატა არომიძე.** ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივები. – *გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში*. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. *შრომების კრებული*. თბილისი, 2017. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. (<https://www.google.com/search?q=ჩინეთის+ახალი+გეოსტრატეგია+და>)
4. **არომიძე, 2017b – ჰაატა არომიძე.** „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ და საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის პერსპექტივები. – *ინოვაციური ეკონომიკა და მართვა*. ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. N2. ტ. IV, 2017. ბათუმი.
5. **აფციაური, 2020 – დავით აფციაური.** საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივა პოსტპანდემიური კრიზისის ფონზე პოსტპანდემიური კრიზისის ფონზე. – *ფიქრები შეცვლილ სამყაროზე*. მოგონებების მაგიერ. ეძღვნება კოტე ზალდასტანიშვილს (1960-2017) – მეგობარსა და კოლეგას. თბილისი, 2020, გამომცემლობა *სეზან ფაბლიშინგი*, გვ. 97 (<https://www.google.com/search?client=firefox-b-d&q=ფიქრები+შეცვლილ+>)
6. **აქვს თუ არა პერსპექტივა, 2021 – აქვს თუ არა პერსპექტივა ჩინეთ-საქართველოს სამხედრო ურთიერთობას.** რადიო თავისუფლება, 16.04.2021 (<https://www.radiotavisupleba.ge/a/1546470.html>).
7. **ბახტაძე, 2018 – მამუკა ბახტაძე – ჩვენ მანხაის ფორუმში პირადად პრეზიდენტ სი ძინძინის მიწვევით ვმონაწილეობდით, რაც ჩინეთში ექსპორტის კიდევ უფრო გაზრდის საშუალებას მოგვცემს.** – საქართველოს მთავრობა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური. 05.11.2018 (http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=491&info_id=68650).
8. **ბახტაძე, 2019 – მამუკა ბახტაძე ჩინეთში ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს.** – *პალიტრანისი*. 02.07.2019 (<https://palitraneews.ge/video/mamuka-bakhtadze-chinetshi-ekonomikur-forumshi-monatsileobs?fbclid=IwAR3itMWUZGoW-qgKoo1J4hfUcBjYc0jSH3bBNUj3Iwg2bnJ14wXcc3ub2eA>).
9. **ბერულავა, 1958 – ხუტა ბერულავა.** ჩინეთის მზე (მოგზაურის დღიურიდან). თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1958.
10. **ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993 – ზურაბ ბრაგვაძე, ამირან დავითაშვილი.** ჩინური მონეტა მცხეთიჯვრიდან. – *ძეგლის მეგობარი*, #1 (89) 1993, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი, გამომცემლობა: „სამშობლო“. 1993.
11. **ბურჯანაძე, 2005 – ნინო ბურჯანაძეს ჩინეთიდან 20 მლნ იუანი მოაქვს: ქართული სახელმწიფოს მაჯისცემა.** – საქართველოს რესპუბლიკა. N148 (5181), 24.06.2005
12. **გავლენიანი ჩინური, 2015 – გავლენიანი ჩინური გამოცემა „სინხუა“ საქართველოს ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ინტერვიუს აქვეყნებს.** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 11.09.2015 (<https://mfa.gov.ge/MainNav/DiplomatService/ex-ministers/giorgi-kvirikashvili/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/china-interview.aspx>).

13. **გელაშვილი**, 2020 – **თეონა გელაშვილი**. საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები. – *სინოლოგია*. 30.08.2020 (<https://sinologia.ge/sakharthvelo-chinethis-urthierthobebi/>).
14. **გიორგაძე**, 2016a – **ირაკლი გიორგაძე**. ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში (XX ს-ის 20-90-იან წლებში). დისერტაცია წარმოდგენილი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თელავი, 2016.
15. **გიორგაძე**, 2016b – **ირაკლი გიორგაძე**. ქართული ემიგრაცია შორეულ აღმოსავლეთსა და მანჯურიაში და მისი მონაწილეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. – *პროფესორ სარგის კაკაბაძის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი, 2016.
16. **გოგუა**, 2010 – **მაყვალა გოგუა**. ჩაის კულტურის განვითარების ისტორიიდან აჭარაში – *მუზეუმის მაცნე*. ტ. III. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი. ბათუმი, 2010.
17. **გოილაძე**, 1997 – **ვახტანგ გოილაძე**. აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბილისი, გამომცემლობა „ცოდნის წყარო“, 1997.
18. **გრიგალაშვილი**, 2016 – **მარიამ გრიგალაშვილი**. საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ინტენსიფიკაცია და სამომავლო პერსპექტივები. *კომენტარი*. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი, აპრილი, 2016 აპრილი (<http://gip.ge/ge/საქართველო-ჩინეთის->).
19. **გრიშაშვილი**, 1997 – **იოსებ გრიშაშვილი**. ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა). გამოსაცემად მოამზადა **რუსუდან კუსრაშვილმა**. თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 1997 (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=8063>).
20. **გრძელდება ჩინეთში**, 2006 – **გრძელდება ჩინეთში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი**. *დღეს ის მასპინძელი ქვეყნის ლიდერს, ხუ ძინტაოს შეხვდა*. რადიო თავისუფლება, 12.04.2006, (<https://www.radiotavisupleba.ge/a/1546398.html>).
21. **დანიბეგაშვილი**, 1950 – **რაფიელ დანიბეგაშვილი**. მოგზაურობა ინდოეთში. თარგმნა, წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ დაურთო **სოლომონ იორდანაშვილმა**. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1950.
22. **დალუნდარიძე**, **ლიუ-ყანდარელი**, 2003 – **ნინო დალუნდარიძე**, **ლიუ-ყანდარელი კუანვენი**. ჩაის კულტურის სათავეებთან საქართველოში. – *საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრი „აბრეშუმის გზა“*, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003.
23. **დიდი ჩინურ-ქართული ონლაინლექსიკონი**, მთ. რედაქტორი **ზურაბ მამნიაშვილი** (WW.CHINESE.GE).
24. **დილარიანი**, 1997 – **დილარიანი ემნელი XII საუკუნეში სარგის თმოგველის მიერ**. გამოცემა **ზ. ჭიჭინაძისა**. ტფილისი, 1997 (<http://dSPACE.gela.org.ge/bitstream/123456789/5860/4/dilariani%E2%80%93201897.pdf>).
25. **დუმბაძე**, 2019 – **ლელა დუმბაძე**. ჩაი და ჩინელი მეწარმის ლაო ჯინ ჯაოს პირადი ნივთების გამოფენა ბათუმში. – *ბათუმელები*, გაზეთი, 20.05.2019 (<https://batumelebi.netgazeti.ge/news/203909>).
26. **ვაჭრობა**, 1999 – **ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა**. შავიზღვისპირეთის ძვ. ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. მთავარი რედაქტორი **ოთარ ლორთქიფანიძე**. თბილისი, 1999.
27. **ზარდალაშვილი**, 1971 – **გრიგოლ ზარდალაშვილი**. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971.
28. **ზვიადაძე**, 1989 – **გივი ზვიადაძე**. აბრეშუმის დიდი გზა საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა. თბილისი, 1989.
29. **თევზაძე**, 1999 – **დავით თევზაძის სტუმრობა ჩინეთში**. – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/20411?locale=ka>).

30. **თმოგველი**, 1988 – **სარგის თმოგველი** (მთარგმნელი). ვისრამიანი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, (<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/42-visramiani.pdf>); *ქართული მწერლობა*: 40 ტომად. ტ. 3, ვისრამიანი. თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1988.
31. **თოგოშვილი**, 1978 – **გიორგი თოგოშვილი**. აღან იოსები და ბიზანტია. – *მაცნე*. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. #2, 1978, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978.
32. **თუშურაშვილი, ლუარსაბიშვილი**, 2014 – **ომარ თუშურაშვილი, ვლადიმერ ლუარსაბიშვილი**. 9 მარტის მოვლენა – ქართული დისიდენტური მოძრაობის წინაპირობა. – *საარქივო მოამბე*, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, თბილისი, 2014.
33. **ივანიძე**, 2002 – **გიორგი ივანიძე**. აბრეშუმის დიდი გზა სამცხე-ჯავახეთში. – *ჯავახეთი: ისტორია და თანამედროვეობა*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი, ტ. I. ახალციხე, 2002.
